ხარიტონ ახვლედიანის სახელობის

აჭარის მუზეუმი

მუზეუმის მაცნე

V

ბათუმი 2012

მთავარი რედაქტორი

გოდერძი ტოტოჩავა

სარედაქციო კოლეგია:

პროფესორი ნუგზარ მგელაძე

პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი

დოქტორი თემურ ტუნაძე

ექსპერტი ბიძინა აფხაზავა

სამდივნო: რუსუდან კობრავა

ნანა ქორიძე

ნანული სებუა

თინიკო ფაღავა

ზაალ შენგელია

რეცენზენტი: პროფესორი კახაბერ სურგულაძე

© გამომცემლობა ???????

ISSN 1987-6807

ოთარ გოგოლიშვილი

ილია ჭავჭავაძე და ისტორიული კვლევის აქტიური პრობლემები

„ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება. იგი ბელადია, სარდალია. ხოლო მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება.“

ილია

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის მედროშე, პროზის უბადლო ოსტატი, შესანიშნავი პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ფოლკლორის შემგროვებელი და შემსწავლელი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, ეკონომისტი და სოციოლოგი, სოფლის მეურნეობის ჩინებული მცოდნე და საბანკო საქმის წინამძღოლი, დიდია ილია ჭავჭავაძე, მის მავალმხრივ მოღვაწეობასთან ერთად გვევლინება, როგორც არამარტო ქართველი ერის მეისტორიე, არამედ მსოფლიო ისტორიის შესანიშნავი მკვლევარიც.

სახელმწიფო, პოლიტიკური და სამართლებლივი ინსტიტუტები თავის გამოხატულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში პოულობდნენ, მათ შორის მხატვრულ პუბლიცისტურ ლიტერატურაშიც, რომელიც ემსახურება საზოგადოების განვითარების პროცესს, მის განახლებასა და წინსვლას: ილია ჭავჭავაძის მიერ შემუავებული და მხატვრული ფორმით ჩამოყალიბებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულებები, აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ არა მარტო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის და მეოცე საუკუნის დამდეგის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არამედ იგი თანამედროვე ეტაპზეც აქტიურად ეხმარება-ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე მყოფი საქართველოს გადაუჭრელ პრობლემების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზით მიმავალ ჩვენი სამშობლოს ინტერესებზე.

ილია ჭავჭავაძის, როგორც ჩინებული ისტორიკოსის შრომები, მისი ისტორიული მეცნიერების ნააზრევი ყურადღებას სწორედ თანამედროვე ეტაპზე იქცევს, ვინაიდან ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე კაცობრიობის ისტორია და მათ შორის ქართველი ერის ისტორია თავიდან უნდა დაიწეროს: არა მარტო იმიტომ, რომ თითქმის დღემდე არაფერია დაწერილი და გამოკვლეული, ამ 70 წლის განმავლობაში ერთპარტიულ სისტემით, მარქსიზმის განზომიერებით იწერებოდა და ისაზრებოდა ისტორიული მეცნიერება, არამედ შემდეგი აუცილებელი ფაქტორების გამო:

პირველი – ადამიანთა საზოგადოების ისტორია უფრო ღრმაა, მდიდარია, ვინემ დღემდე მასზე შრომებია დაწერილი და გამოქვეყნებული, მეორე – ოცდამეერთე საუკუნის თაობა გამოდის ისტორიის არენაზე ახლებური ხედვით, მოვლენათა მსვლელობაში ახლებური წვდომით: ყოველი ახალი თაობა კი კრიტიკულად აფასებს წინა თაობის ნაღვაწს.” შვილმა უნდა იცოდეს,- წერდა ილია ჭავჭავაძე,- სადაც და რაზე გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღლის წევა, შვილს უნდა გამოკვეთილი ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რა იყო მცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად და რა კეთილი ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის

ირჯებოდა და მხნეობდა და რისთვის და რაში უქმობდა უმისოდ თვითონ შვილი რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს დაემსგავსა” (ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 201-192).

ოცდამეერთე საუკუნის ახალგაზრდობას, უმრავლესჯერ ხვდება წიგნის მაღაზიის თაროები დეტექტური ლიტერატურით დაზნექილი, ხოლო სასარგებლო ლიტერატურის ფასი შეძენის საშუალებას არ აძლევს, ვიდეო და კინო დარბაზები დაჩრდილა-ყაჩაღობის, მკვლელობის, ძარცვის, პროსტიტუციის ამსახველმა ფილმებმა.

სწორედ აქ გვჭირდება ილიასეული სიდინჯითა და სიდარბაისლით მოვლენების, ფაქტების ახსნა და ინტერპრეტაცია, ილიასეული აწონილი სიტყვა, რომ ახალგაზრდობას შევასწავლოთ ერის ისტორია, მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნება.

მესამე - ისტორია ხსოვნაა, ისტორია წარსულია, ისტორია რეალობაა და მისი გადაკეთება, შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ ისტორია მარტო წარსული, გარდასულ დღეთა აღწერა როდია, არამედ იგი მომავლის სამსახურში დგას: ისტორიის ღრმად და მეცნიერულად შესწავლის გარეშე შეუძლებელია დღევანდელობის სწორად განსაზღვრა, გვირაბიდან გამოსასვლელი და ეკლესიისაკენ მიმავალი გზის პოვნა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მომავლის სილუეტი - წარსულის ჩრდილში უნდა ვეძიოთ” დავიწყება ისტორიისა, თავისი წარსულისა და ყოვლის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნიდან, - მომასწავებელია ერის სულით და ხსოვნით მოშლისა, დარღვევისა და მთლიანად წარწყმენდისაცა. წარსული მკვდარი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო-მომავლისა ეს სამი სხვადსხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუყენებელია, ამიტომ არის ნათქვამი ერთის ბრძენისაგან (ილიას მხედველობაში ჰყავს გოფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის (1646-1716 წ.წ.) გამონათქვამი (გერმანელი ფილოსოფოსის, მათემატიკოსის, ფიზიკოსის, იურისტის, ისტორიკოსის) რომ ,,აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა” (ილია ჭავჭავაძე, ტ.IV, გვ. 200). ისტორიული მეცნიერების გაგების, მისი დანიშნულების ამოხსნის პროცესში ვლინდება სხვადასხვა კლასების, სოციალური ჯგუფების, მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტების სხვადსახვაგვარი დამოკიდებულება. ეს პროცესი ყველაზე მეტად გაღრმავდა სოციალიზმის დემონტაჟის, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. საქმე მარტო “მარქსიზმის დოგმებს”, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმულების უარყოფას კი არ ეხება, არამედ ისტორიკოსთა დიდი ნაწილის შრომების უარყოფას, საზოგადოებისა და ცივილიზაციის განვითარების სრულიად მცდარი პოზიციის წარმოჩენას, წინასწარმეტყველებენ “ისტორიის სიღატაკის” და ასე შემდეგ თანამედროვე ეტაპზე ყურადღებას მეცნიერული შემეცნებისა და ისტორიულ რეალობას შორის არსებული ურთიერთობის ანალიზი და მეცნიერული შესწავლა იპყრობს: ნ.ჩერნიშ–ევსკის გამოთქმისა არ იყოს, ”ისტორია ნევის პროსპექტი როდია”, რომ იგი უმრავლესჯერ ტეხილ და მრუდ ხაზს ემსგავსება. ილიამ ჩერნისევსკის ამ სიტყვებთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ისტორიის მსვლელობა როდია სწორხაზოვანი, ყოველ საფეხურს საზოგადოების განვითარებისა ახლავს თავისი ,,ჩავარდნები”, ,,ზიგზაგები”, მაგრამ საერთოდ ახალი განვითარებადი, პროგრესული წინ უსწრებს მასზე უფრო ნაკლებად განვითარებადს, მეცნიერ – ისტორიკოსის ვალია საზოგადოების ისტორიის კვლევისას წინმსვლელობის,პროგრესის როლი წარმოაჩინოს.

მეოთხე- ისტორიული მეცნიერების ყველა დარგი 90-იანი წლებიდან ახალი მასალებით, წყაროებით შეივსო, რომელსაც ობიექტური განსჯა, მეცნიერულად განზოგადოება,სწორი ინტერპრეტაცია სჭირდება: საარქივო მასალების გამოყენებაზე ,,ტაბუს” მოხსნამ, მართალია შესაძლებლობა მისცა მეცნიერ-ისტორიკოსებს ახალი მასალების გამოყენებისა, მაგრამ ამავე დროს თავი იჩინა სრულიად ახალმა მოძრაობამ, პიროვნულმა ეგოიზმმა, წარსულის, ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის,საზოგადოების, ელიტისადმი მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი მასალების კვლევამ და გამოქვეყნებამ, რაც საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილობას იწვევს, ახალგაზრდობას აწვდიან დაუდგენელ, გაყალბებულ მასალებს: ნიკო ნიკოლაძე აღნიშნულის თაობაზე წერდა: “ ყველა

მოძრაობა, რომელიც დაყრდნობილი არ იქნება საქმის "შემოქმედებით", ანდა პოზიტიურ მხარეზე, არამედ მხოლოდ უარყოფილ მხარეზე და არ დაეყრდნობა მომავალი საზოგადოებრივი წყობილობის შესახებ მასის თუნდაც ინტელიგენტური ნაწილის გააზრებულ წარმოდგენასა და დაეყრდნობა მხოლოდ ხალხში არსებულ უარყოფილებას, განწირულია და მისი დამარცხება გარდაუვალია (ნიკო ნიკოლაძე, ტ. IV, გვ. 260).

ისტორიის სამართლიანობა, დამოუკიდებლობის გზით მიმავალი საქართველოს გადაუჭრელი პრობლემები, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მშენებლობის მეცნიერულად განსჯის ამოცანები, დაბეჯითებით მოითხოვს – ისტორიკოსებისაგან ილია ჭავჭავაძის დიდებულ, ღრმად მეცნიერულ ნააზრევზე დაყრდნობით იქნეს გაშუქებული ისტორიული მეცნიერების წინაშე მდგომი პრობლემები: როგორც ერის მესაიდუმლე და წინამძღოლი, მუდამ ქართველ ერთან იყო ჭირსა და ლხინში, მისი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ქართველი ერის უშრეტი სულიერი და პოლიტიკური მოღვაწეობის წყარო მისი დაბადების 160 წლისთავზე, როცა ქართველი ერი კონფლიქტებითა და სამოქალაქო ომით გატანჯული, დემოკრატიული კონსტრუქციული გზით დაეძებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს, სწორედ თანამედროვე ეტაპზე სჭირდება ერს თანადგომა. დიდებულად ჟღერს მისი სიტყვები: ,,მარად და ყველგან, საქართველო მე ვარ შენთანა, მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული, შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა, ამ გულში მე მაქვს,შენი აწმყო, შენი წარსული".

სწორედ ილია ჭავჭავაძეს ესადაგება ის პოლიტიკური აზრი, რომ პიროვნების ისტორიული დამსახურება იმით კი არ განისაზღვრება და კი არ უნდა იქნეს, თუ რა არ მოუცია არამედ იმის მიხედვით თუ რა მოგვცა ახალ წინამორბედთან შედარებით.

ილია ჭავჭავაძემ, თავის წერილებში, შრომებსა და ცალკეულ გამოსვლებში: ,,საქართველოს მოამბეზე", ,,ზოგიერთი რამ", ,,ნიკო ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე", ,,ცხოვრება და კანონი", ,,ხიზნების საქმე", ,,იანოვსკის წერილის გამო", ,,წოდებათა თანასწორობა", ,,ერი და ისტორია", ,,წერილები ქართულ ლიტერატურაზე", ,,ქვათა ღაღადი", ,,მეცხრამეტე საუკუნე", ,,შინაური მიმოხილვა", ,,აი ისტორია" და სხვა, გადმოსცა ისტორიის როლისა და დანიშნულების, ისტორიული მეცნიერების განვითარების კანონზომიერი პროცესი, იგი არ ყოფილა განკერძოებული მეცნიერ-ისტორიკოსი, ერის ისტორიას განიხილავდა ისტორიული განვითარების ერთიან კონტაქტში, მსოფლიო ისტორიის გააზრებითა და მის პრობლემებთან კავშირში.

ილია ჭავჭავაძის ისტორიული შეხედულებების კვლევას პირველად აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი შეეხო. მან პირველ ყოვლისა მიუთითა ილიას მიერ ისტორიული მეცნიერების მნიშვნელობისა და ამოცნობის, ისტორიული მეცნიერების უმთავრეს ფუნქციას - ეროვნული თვითშეგნების ამაღლების პრობლემას, რომ ილიას წარმოდგენით ისტორია, პირველ ყოვლისა, ხალხის ისტორიას უნდა სწავლობდეს, დიდმა ივანემ მართებულად მიუთითა, რომ ილიას გაგებით საზოგადოების განვითარების პროგრესი, წინსვლა შემოქმედებით ნიჭსა და უნარზეა დამოკიდებული. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ილიამ საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ეკონომიკურ მხარეს, რომ მას ეკონომიკა, მიწათმფლობელობა, ერის ისტორიის მთავარ საფუძვლად მიაჩნია.

ასევე ივანე ჯავახიშვილმა კონკრეტულად მიმოიხილა ილია ჭავჭავაძის ისტორიული მოსაზრებები დავით აღმაშენებლის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, თამარ მეფის ომებზე, დიმიტრი თავდადებულისა და გიორგი საakაძის პიროვნებების ახლებური ხედვით წარმოჩენაზე.

ილია ჭავჭავაძის ისტორიული შეხედულების კვლევის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა, ავთანდილ იოსელიანმა, პ. პატიაშვილმა, ი. კაჭარავამ და სხვებმა.

ილია ჭავჭავაძის ისტორიულ შეხედულებებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერის ერთიანობის, განუყოფლობის საკითხი. მისი აზრით ეროვნული კონსოლი-

დაციით დაინტერესებული ისტორია დაეხმარება ერს მთლიანობის აღდგენაში.

თბილისის ქართველთა საადგილმამულო ბანკის კრებაზე, 1895 წლის 19 მაისს ილია ჭავჭავაძის მიმართ ითქვა, რომ ,,ეგ მოსული არის და ჩვენთან არავითარი კავშირი არ აქვსო".ამგვარი უხამსი გამოსვლის გამო ილია გულისტკივილით წერდა: მე არ ვახსენებ ვის უთქვამს, მე პიროვნებას არ ვებრძვი, მე ასეთი აზრის დაბადებას ვებრძვი, რომ ეს აზრი ძირშივე უნდა ამოიწვასო. შემდეგ ილია დასძენს:" ყოველ ქართველს საქართველოს ნაწილისას - გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი და ქართლელი - ჩვენი ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს ეს არამც თუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანის, უწმინდესი მოვალეობაა ძმობა და ერთობა ამაშია, ეგ ძმობა და ერთობა არის კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენი ცხოვრებისა" (ი. ჭავჭავაძე, ტ. IX, გვ. 261-262).

ილია ჭავჭავაძეს ერის ზრდის, შეკავშირების, მისი სასიცოცხლო ძალების ამოქმედებისა და მტრისაგან დაცვის ერთ-ერთ ფაქტორად საკუთარი ერის ისტორიის ცოდნა მიაჩნია. ისტორიის უცოდინარობაში ხედავდა ერის დასუსტებას, გაქრობას, დაქვეითებას, რომ ერის გაქრობა მაშინ იწყება, როცა ერს თავისი ისტორია ავიწყდებაო, როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს-ვინ არის, საიდან მოდის, იმათთან ერთად სახსენებელი არ არის იგი,რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. ,,რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ, - რანი ვიყავით, რანი ვართ და რათ შესაძლოა ვიყვეთ კიდეც, ისტორია თავის გულის_ფიცარზედაც იჭევდეს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაბეჭდვითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ ღონესა და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის" (ი.ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 179).

ერის ბედიღბალზე ღრმად დაფიქრებული, მისეული სიდინჯითა და სიდარბაისლით, მეცნიერულად იკვლევს ქართველი ერის ისტორიას იკვლევს არა უბრალოდ ფაქტობრივი მასალების შეგროვებითა და გამოცემით, არამედ იკვლევს სიღრმისეულად, განზოგადოებულად, მსოფლიო ისტორიის ჭრილში ჩასმით და ინტერპრეტაციით. ამ თემას მიუძღვნა დიდმა ილიამ თავისი განთქმული ნაშრომი ,,ერი და ისტორია".

ერის ისტორიაში ილია ჭავჭავაძე ხედავდა არა მარტო წარსულს, არამედ მის მომავალსაც.იგი წერდა "ბევრ ერს ქვეყანაზედ სულაც არ ჰქონია წარსული, სულაც არ ჰქონია ისტორია, ესე იგი იმისთანა ცნობიერი ცხოვრება, რომელიც გამოსახავს ხოლმე სულიერსა და ხორციელის ვინაობას ერთიანობის კრებულისას, მის მიზიდულობას, მის აზრსა და საგანს არსებობისას, მის წმინდათა_ წმინდა, და რომელიც მკის თავის დროებისათვის და ამასთანავე სთესს მერმისისათვის, ამისთანა ხალხი დღესაც ბევრნი არიან ქვეყანაზედ, ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის - ვინ არის, რისთვის არის,საიდან მოდის და სად მიდის ულმობელი კანონი ისტორიისა ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს ეხლანდელ დროში და სხვა ძლიერის ისტორიის ერი დაემტერება თუ არა, თანაც გაიტანს და შეიწირავს ხოლმე ამისთანა ხალხს" (ი.ჭავჭავაძე ტ. IV, გვ. 200-201).

ამდენად ისტორიის ცოდნასა და შესწავლაში ხედავდა ილია ერის სიძლიერეს, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, სიდიადესა და მხნეობას. ახალგაზრდა ილია 24 წლის ასაკში 1861 წელს წერდა: ,,ისტორია იმითაა დიდი, რომ გვიჩვენებს ჩვენს წინაპართა ცდომილებას, ამასთანავე გვასწავლის ჭკუას, როგორ უნდა მოვიქცეთ, წინა კაცსა უკან მიმდევარი იმისათვის უყურებს, რომ ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოკრას და ყირაზე გადაიაროს უკანამ ნახოს და იმ გზით შორს მოუაროს. მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება, თუ იმათ ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ, რაც მამაპაპას უქნიათ, ის ჩვენ უნდა ვქნათ, ეგ ჩინეთის ფილოსოფია არის: თუ მაგას მივყვებით, ჩვენ ჩინეთსავით შევსდგებით ერთ ალაგზედ და წინ ფეხს ვეღარ წავსდგამთ" (ი.ჭავჭავაძე, ტ. III, გვ.12).

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით, ისტორიის, წარსულის წარმოჩენა და შესწავლა განსაკუთრებით აუცილებელია დაჩაგრული, მცირე ერებისათვის: ვინაიდან ისტორია

აღრმავებს ეროვნულ თვითშეგნებას, სრულყოფს ერის ძალას, აფხიზლებს და მოუწოდებს ერს ერთიანობისაკენ საამისოდ ილიას მოჰყავს ავსტრიის სლავთა გამოღვიძების მაგალითი: ,,ავსტრიის სლავებმა ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდან, გამოჩხრიკეს, მიახლოებით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოვლისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ვინაობას, ეროვნებას, მათ ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა, მოიგონეს ისტორიის შემწეობით დავიწყებულნი სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედაენა, ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილო ერი ერმა თავის ვინაობა გაიგო ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა" (ი.ჭავჭავაძე, ტ.V, გვ.57)

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაში საერთოდ და განსაკუთრებით ადგილი უჭირავს ცივილიზაციის განვითარების ეტაპზე, საზოგადოების სრულყოფის საკითხებს. მისი აზრით, ცივილიზაციის განვითარებას მრავალმხრივი ფაქტორები განაპირობებენ, მაგრამ რაც მთავარია, მისი განვითარების საფუძველს ადამიანის შემოქმედების ნაყოფს მიაწერდა: რომ ცივილიზაცია შედეგია იმ ძალისა და შრომისა, რომელსაც ერთეულნიც ახმარს ძღონეს და საზოგადოებაც, საერთოდ, იგი ერთიანი ძალღონით იქმნება, ცოდნა გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა, მრეწველობის, სიმდიდრის მეტნაკლებობა, ურწმუნობა იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წეს-წყობილობა, ოჯახური, საზოგადოებრივი, სამოქალაქო კანონი, ჩვეულებანი, ზნე ხასიათი და სხვა ამისთანა, სულ ერთად და ერთს მოქმედნი, ჰქმნიან იმას, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტნაკლებობით" (ი.ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 28).

ამდენად, დიდი ილია ცივილიზაციის, საზოგადოების განვითარებას ხსნის მართალია საუბრის უბრალო ფორმით, მაგრამ ღირსეულად, არა ზნეობრივ საფუძველზე დამყარებით, არამედ ობიექტური შეფასებით, რასაც შედეგად საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების სრულყოფა და განვითარება მოჰყვება.

ყურადღებას იპყრობს ილიას შეხედულებები ხმალის, გუთნისა და ოქროს შესახებ. ეს აზრი მან 1881 წლის შინაურ მიმოხილვაში გადმოცა. აქ დიდებულად არის წარმოდგენილი გუთნის, ანუ გლეხობის, ხმლის, ერის თავდაცვისა და ოქროს, ანუ სავაჭრო ურთიერთობის ამოცანები და განსაზღვრა მათი როლი საზოგადოების ისტორიაში. ოქროსა და ხმალს ქვეყნის პატრონად წამოუდგენიათ თავი: ოქროს შეუძლია ყველაფერი იყიდოს, ხმალს კი ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება. ილია არ იზიარებს ოქროსა და ხმლის მოსაზრებებს, ვინაიდან გარდა ამისა ქვეყნად არის ძალა, მართალია ქედმოხრილი, ჩუმი უწყინარი, ტანად მრუდი, მაგრამ გულით მართალი, ფეხმძიმედ დაიარება, არ იკვეხნის, დინჯად დაიარება, მის გარეშე ოქროს ქვეყანაზე მოედანი არ აქვს და არც ძალოვან ხმალს დიდი ძალა და გაძლიერება არ აქვს ეს ერთ_ერთი გუთანია, რომელსაც შეუძლია ოქროსა და ხმალს შორის ჩადგომა, ქვეყნის ხსნა."ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა ხმალმა და გუთანმა ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხმოკიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავიქცევით აქეთ_იქეთ ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით და გადურჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა,_იგი იმიტომ რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი. დასაბამიდანვე დღემდე ესეც ვიქნებით შემდეგშიც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება" (ი.ჭავჭავაძე, ტ.V, გვ. 122-123), ამიტომ მოითხოვდა დიდი ილია, რომ ქართველი ერის ისტორიაში უნდა აისახოს ქვეყნის ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და განათლების საკითხები და გადასაჭრელი პრობლემები.

ერის გაძლიერების, მისი მსოფლიო არენაზე გაყვანის საქმეში, ილია დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურის, განათლების, მეცნიერების შემოქმედების საქმეს. მისი აზრით, ერის მიერ ეკონომიკის, კულტურის განვითარებისათვის მოღვაწეობა ინტენსიური ცხოვრებისათვისაც არის და განვითარების შედეგიც. უფრო უნდა გაღონიერდეს, გაძლიერდეს, გამოიჭედოს არსებობისათვის საჭიდაოდ ამიტომაც კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია და ქვაკუთხედია, იგია თვითონ დაუჭრო-

ბელი სათავე ღონეა, იგი ღონის ღონეა ერისა, თუ ასე ითქმის - იგი ფარია და ხმალი არსებობისათვის ჭიდილში (ი.ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 22).

ეს მოსაზრება მომდევნო ეტაპზე, ილია ჭავჭავაძემ ერთის მხრივ ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მეორე მხრივ ისტორიული მასალების შესწავლის განზოგადოების შესაბამისად კიდევ უფრო დახვეწა, სრულყო და კრედოდ ჩამოაყალიბა ,,ისტორია და წარმატება იმის კი არ არის, ვინც მარტო თავისთვის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდელობას, ავია თუ კარგი ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რამესა ანდერძს მამა პაპეულის, არამედ იმისა, ვინც მას არ ჰკმარობს_რაც დღეს არის და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდათ მიუჩნევია ხვალისათვის".

ტყუილად კი არ სთქვა ტურგენევმა, რომ ეს ქვეყანა არის არა ტაძარი, საცა კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდეს ისტორია და წარმატება მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილებაა (ი.ჭავჭავაძე, ტ. IX, გვ. 113-114).

სავსებით კამომზომიერია და ბუნებრივი იქნება თუ ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც ისტორიკოსი, უპირველეს ყოვლისა ქართული ეროვნული ისტორიის შესწავლითა და მისი ღრმა ცოდნით ჩამოყალიბება, ამასთან დეტალურად შეისწავლა მსოფლიო უახლესი ისტორიის საკითხები.

ერის ისტორიის წარმოჩენა დიდმა ილიამ, საქართველოს წყაროთმცოდნეობის, თქმულებების, მითოლოგიის შესწავლით დაიწყო. ამასთან, ნაშრომში „აი ისტორია" წერდა: ,,მოწმედ და საბუთად მოსატანნი არ არიან რომელისამე ყოფის, საქმის ამ მხრით იგინი ძალიან ცოტად დასაჯერნი და სანდონიანი არიან, მაგრამ ხშირად ამისთანა ამბებში ვპოულობთ ბევრს მართალს აღწერას ზნე-ჩვეულებისა" (ი.ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 29).

ქართველი ერის ისტორიის მეცნიერულად შესწავლის საწყის ეტაპად ილიას უპირველეს ყოვლისა ენის, ზნე-ჩვეულების, სარწმუნოების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის შესწავლა მიაჩნია: ამ პროცესში ასევე სიტყვიერების და ენის შესწავლას აქცევდა გარკვეულ ყურადღებას. მისი აზრით: ,,ცხოვრება ერისა გადაშლილია, გამომზეურებულია, მის ენაში, რომელიც უტყუარი სარკეა ყოვლისა მისი თავგადასავლისა და ყოფაცხოვრების" (ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 30). ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა მომავალ მეისტორიეებს შეეგროვებინათ და შეესწავლათ ეკლესია_მონასტრებში გაფანტული წერილობითი წყაროები, მატერიალური კულტურის ძეგლები, ბევრი სურათი და მოწმობა მოეპოვებინათ, რომელსაც ჯერ კიდევ ემჩნევათ ჩვენი წინაპრების ჭკუითა და გონებით ნამოქმედარნი, მოითხოვდა ძველი ხელნაწერების შეგროვებასა და მის კატალოგიზირებას, მუზეუმების დაარსებას და ა.შ.

ილიას ღრმად ჰქონდა შესწავლილი და საჭიროების შემთხვევაში თავისი აზრის დასასაბუთებლად მოჰქონდა მასალები ძველი ანტიკური ეპოქის, ბერძნული, რომაული, არაბული, ასურული ძეგლებიდან საქართველოს ისტორიის წყაროებში.

წერილში ,,აი ისტორია", იგი წერდა ,,მას აქეთ, რაც რუსულმა წერილებმა თავისი გული გადაუშალა მეცნიერებას წასაკითხად, რაულინსონის, ტალბოტის, ჰინკსის და ოპერტის წყალობით, მას აქეთ, რაც ლერონმანმა და ამ ბოლო ხანებში, სულ ოთხი–ხუთი წელიწადიც არ არის, სეისმა ავნთან ნაპოვნი ლურსმული წერილები გამოარკვიეს, ეჭვი არარავის აქვს, რომ ქართველთა უძველესი დედა_ბინა, სხვათა შორის, არმენიაც ყოფილა, ე.ი. ვანის ტბისა და არარატის მიდამო ადგილები არზრუმითურთ, ლენქორანმა და მის შემდეგ ინგლისელმა სეისმა საქვეყნოდ დაამტკიცეს, რომ ე.წ. ძველად ,,არმენია" გეოგრაფიული სახელია და არა ეთნოგრაფიული, მათი სიტყვით აქ მდგარან ,,სხვადასხვა სახელობის თემნი ქართლის თესლისანი".

ილია ჭავჭავაძემ სერიოზული მეცნიერული მოსაზრებები გამოთქვა ,,ქართლის ცხოვრების", როგორც ისტორიული წყაროს შესახებ, ასევე დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის პოლიტიკურ შეხედულებებზე, მათ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

მაგრამ ილიას ყველაზე მეტად აწუხებდა ქართველი ერის წინააღმდეგ გამოთქმული მოსაზრებები, ერის სახელის შებღალვა, დაკნინება: 1899 წელს დაწერა ნაშრომი ,,ქვათა ღაღადი", რომელშიც მიუთითებს რომ ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი არ მოიპოვება დე-

დამიწის ზურგზე: ჩვენი მოწინააღმდეგები ყოველმხრივ ცდილობენ დააკნინონ, გააჩანაგონ ერის სახელი, აბათილებენ ჩვენი ისტორიის ნაშთს, სისხლით მორწყულ ღვაწლს, ცდილობენ ქვეყანა დააჯერონ ერის ჩამორჩენილობაში, სიმდაბლესა და ა.შ.” ერი როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთხელ და ერთ–ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსნისა და ჭკუამყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველშემთხვევაში და მისი, ასე თუ ისე, გაუპატიურება, ავად ხსენება – დიდი სათაკილო საქციელია. ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილის ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა” (ი.ჭავჭავაძე, ტ. VIII, გვ. 97).

აქვე დიდი ილია კიცხავდა ლიბერალებს, ამ განათლებულ თაობას, რომელნიც ხმას არ იღებდნენ ერის ინტერესების დასაცავად. იგი დასძენდა, რომ: ,,თუ საძრახისი არ ამხილე, მისი ავტორი სამარცხვინო ბოძზე არ გააკრა, დოყლაპიები არ ვამხილე, მაშიმ ვინღა დაიცავს ერის ინტერესებს, ვინ არ დაგვესხმის თავს და არ განაქიქებს ქართულ ერსა და მის ისტორიას. საქმე ის არის, რომ მხილება ავისა და ბოროტისა საფუძვლიანი და საბუთიანი იყოს და არა მოჭორილი და სამდურავისა, ან წყენისა, ან შფოთის ატეხის შიშით ნურავინ გაიხეთქს გულს, განა არ ვიცით, რომ მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა, განა ეს საბუთია, თვალი დავიბრმაოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიჭრათ, რად უნდა გავჩერდეთ” (ი.ჭავჭავაზე, ტ. VIII, გვ. 10).

ყველაზე მეტად ილიას გულისტკივილს იწვევდა საქართველოს დასუსტებისა და დაშლის, პოლიტიკური დაქსაქსულობის პროცესი, რამაც გამოწვია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაქვეითება. მისთვის დამახასიათებელი სიდინჯითა და სიდარბაისლით, პუბლიცისტური სიზუსტით წარმოაჩინა ილიამ ერის ეს საბედისწერო მომენტი. ,,ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და დანაწილდა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ. ამ დარღვევამ არამცთუ მარტო ერთობის კავშირი გაწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა თითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულისტკივილით გული აგვიცრუა, მოგვიკლა მას დღეს აქეთ გათხარა ჩვენის ბედნიერების სამარე, მას დღეს აქეთ თვითოეული დღე რასმე სიკეთეს გვაცლიდა ეს საზარო უბედურება, რომელიც თანთადან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვრწამდა თავიდან ფეხებამდე იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა–პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანას, რომ ერთობა ხელახლად ჩამოეგდოთ. მაგრამ გარედან მტერმა და შიგნით უკეთურმა ბზარვამ ერთხელ ზერგშექცეულს ბედს პირი ჩვენკენ ვეღარ აქნევინეს” (ი.ჭავჭავაძე, ტ.V, გვ.73-74).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე საუბრისას, კერძოდ როგორც ისტორიკოსის კვლევის მეთოდებზე და ხერხებზე მსჯელობისას, ყურადღებას იპყრობს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი - ეს არის ისტორიული მოვლენების, ფაქტების, ერის ისტორიაში მომხდარი ქარტეხილების წარმოჩენა ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდით დიდი ილია მართებულად მიუთითებს, რომ საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონები ყველა ქვეყანაში შეფარდებით, ერთნაირად მოქმედებს: ასეთი კანონზომიერების შესაბამისად ყველა ერსა და ქვეყანას გარკვეული ცვალებადობით განვლილი აქვს ერთი და იგივე ისტორია: ამასთან მას საჭიროდ მიაჩნია ისტორიული განვითარების პროცესი საერთოდ და კერძოდ ქართველი ერის ისტორია განვითარების ერთიან პრობ–ლემებში, მსოფლიო ისტორიის ერთიან ასპექტში განეხილა. ამასთან არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ილია ჭავჭავაძე საზოგადოების ცხოვრებაში აღიარებს და ცნობს ზოგადის და საერთოს დანიშნულებას, როგორც საერთო კანონზომიერებისა, ინდივიდუალურისა და განსაკუთრებულს ამგვარი მრწამსით ილია ჭავჭავაძე, იმდროინდელ ისტორიკოსებსა და მკვლევარებზე მაღლა დადგა.

ამა თუ იმ ერისა თუ სახელმწიფოს ისტორიის პროცესში, ილია ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ადგილობრივ ვითარებას, ვინაიდან ყოველ საგანს და მოვლენას თავის ადგილზე აქვს თავისი სათავე,თავისი ძირი და თავისი გზის მსვლელობა და განვითარების შესაძლებლობა ,,მაგრამ ძალი-

ან შესცდება ის, ვინც მარტო მას დასჯერდა და აქედან გამოიყვანს თავის დასკვნას ბევრი, ძალიან ბევრიც, იმისთანა ნაშთია საზოგადოებრივის თუ ეკონომიკურის წყობისა, რომელიც თუმცა არსებობს, მაგრამ მსვლელობის კვალი კი წაშლილი აქვს ჟამთა მიმდინარეობისაგან და ამის გამო მისი ვერც თავი გაიგება და ვერც ბოლო, თუ მარტო ადგილობრივს ვითარებას შეაჩერებდა კაცი, ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა იგივე საგანი გამოიძიოს სხვა ქვეყნების ისტორიაც მოიშველიოს. იტყვიან სხვა ქვეყნებში რაში გამოგვადგებიან, ჩვენ სხვანი ვართ, ისინი სხვანიო, იტყვიან, მაგრამ თქმელნი ამაში ძალიან შეცდებიან" (ი.ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 188).

ისტორიულ მეცნიერების კვლევაში, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით ილია ჭავჭავაძე გვევლინება არა მარტო ქართველი ერის მეისტორიედ, არა მარტო ისტორიის დანიშნულებისა და ამოცანის გენიალური განსაზღვრელი, არა–მედ მსოფლიო ისტორიის აქტუალური პრობლემების გენიალურ მკვლევრადაც. მისი კვლევის ობიექტი მსოფლიო ისტორიისა უძველესი დროიდან იწყება, თითქმის ყოველ აქტუალურ საკითხს ეხმაურება და მეოცე საუკუნის დამდეგამდე ვრცელდება, ამასთან დროისაგან გარდასული ფაქტების ილიასეული ინტერპრეტაცია, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზედაც იქცევს ყურადღებას და თანმიმდევრობის გადაუჭრელ პრობლემებს ესადაგება.

ილია ჭავჭავაძე, არსებულ ლიტერატურული წყაროების მიმოხილვის შედეგად, რომ კაცობრიობამ უძველესი დროიდან განვლო სამი ეტაპი: – ველურობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია, ამასთან იძლევა ამ სამი ეტაპის მისეულ დახასიათებას.

ყურადღებას იპყრობს ილიასეული მოსაზრებები, პირველყოფილი თემური წყობილობისა, რომლის ეკონომიკურ საფუძველს საზოგადოებრივი საკუთრება წარმოადგენდა: "თვითეულს თემის კაცის სახელობას წილადხდომი მიწის ნაჭერი სწერია დროებით, დროგამოშვებით, ეგრე გაწილადებულს მიწებს ისევ თემი დაუბრუნდება ხოლმე და ხელახლად დაუყოფდა წილისყრით თემის კაცებს, რომ თვითეულს ავი და კარგი თავის რიგზედ შეხვედროდა .თანასწორობა მიწის მფლობელობაში ამ მხარით დამკვიდრებული იყო. მეტნაკლებობის ჩამოვარდნას გზა შეღობილი ჰქონდა" (ი.ჭავჭავაძე, ტ. VI, გვ. 129). შემდეგ ილია მიუთითებს, რომ პირველყოფილი საზოგადოება ყველა ხალხში იყო და ყველას განვლილი აქვს, ეს ეტაპი პირველყოფილი წყობა თავის დროზე ქართველებმაც განვლესო იგი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ პირველყოფილი თემური წყობის გადმონაშთად უნდა გავიგოთ სიტყვები: ,,წყობილება", ,,მოწყალე", ,,მოწყალება", ,,მიცვალებული", ,,წყობა" ასევე იკვლევს ილია სარწმუნოების განვითარების საფეხურებს და აქაც იძლევა სიბრძნისეულ განსჯას," ,,ქართველებს სარწმუნოებრივი წესი, რიგი და სისტემა უნდა ჰქონოდა კარგად გარკვეული უიმისოდ ძნელად წარმოსადგენია კერპმსახურება, რომელიც, როგორც უფრო რთული და განვითარებული რჯული, წესსა, რიგსა და სისტემას ითხოვს ლოცვისას, თაყვანისცემისას, მსხვერპლის შეწირვისას და ბევრ სხვას" (ი.ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ.122).

ახასიათებდა რა სახელმწიფოს იგი ხაზ–გასმით მიუთითებდა, რომ სახელმწიფო, საზოგადოება, სოციალური ფენები, ეს ისეთი კატეგორიებია, რომელთა წარმოდგენა ცალკ-ცალკე შეუძლებელია, რომ ყოველივე მათგანს სახელმწიფოში მისთვის გამოყოფილი ადგილი უნდა ჰქონდეს ,,უკეთესი განწყობილება ის არის, საცა თვითეულს ამათგანს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, საცა თვითეული მათგანი ისეა მოთავსებული, რომ თავისი სრული უფლება მიღწეული აქვს ერთი უწმინდესი და უდიდესი მოვალეობა და საგანი ყოველ საზოგადოდ მოქმედ ძალისა საერთოდ ის არის, რომ ყოფამდე მიაღწევინოს სახელმწიფოს, საზოგადოებას და ადამიანს და ერთმანეთში თვითეული მათგანი სრულის კუთვნილი უფლებით და მოვალეობით მოათავსოს"(ი.ჭავჭავაძე, ტ. V, გვ. 166).

როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე, ისტორიულ მეცნიერებაში და არა მარტო ამ მეცნიერების დარგში, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების რაობის პრობლემა დგას გასარკვევად. ამ მიმართებით გვინდა მოვიტანოთ ილია ჭავჭავაძის შეხედულება მასზე, წერილის მოცულობის სიდიდის მიუხედავად მოგვყავს სრულად, ვინაიდან,

მასში თანამედროვე საქართველო მოსჩანს ,,ეგრეთწოდებული ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება ერთი იმისთანა საგანია ჩვენში, რომელიც ყველაზე ნაკლებ ხელხლებულია ჩვენ მიერ, ყველაზე მეტად ყურადღების და ზრუნვის გარეთ დარჩენილია, თითქოს სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიკურ ყოფა–ცხოვრებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭიროს ყველგან და ჩვენში, რომ რაღა თქმა უნდა დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინ და გარეთ დამოკიდებულებისა, მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიკური ძალ-ღონეობაა ერისა აქ ხელცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადადგამს, რაც გინდა სავსე გქონდეს გული დიდებულ აზრთა გრძნობათათვის ან თვით დიდებულნი აზრნი და გრძნობანი მოევლინებიან კი იქ, საცა ადამიანი მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, მგელსავით პირღია დაიარება და ერთი წუთი ვერ გადაურჩენია, რომ ჭამასმის გარდა სხვა რაზედაც იფიქროს, სხვა უმაღლეს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს7 (ი. ჭავჭავაძე, ტ.VII, გვ. 36-37). ილიამ წერილში ,,საქართველოს მოამბეში" უფრო კონკრეტულად გადმოგვცა თავისი შეხედულებები საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობაზე, რომელშიც მარტო წყობის სტრუქტურა კი არ არის წარმოჩენილი, არამედ თუ როგორ იცვლება მოცემული წყობა ახლით, უფრო წინმსვლელით, პროგრესულით. ყველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრობს – ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარებასა. ერი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დადგენილია და დღეს მოქმედებს, მეორე ის, რაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდმივი. როცა ის რასაც დღევანდელი დღე თხოულობს შესმენილი და გაგებული იქნება, მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს ეხლა ეგ წყობა დაიწერს პირველს ადგილს ცხოვრებაში ახლად გამარჯვებულ წყობასაც სხვა ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე, მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა" (ი. ჭავჭავაძე, ტ.V, გვ. 89-90).

ილია ჭავჭავაძის სიდიადე და შორსმჭვრეტელობა სწორად იმაში მდგომარეობს, ეკონომიკურ წყობის ცვალებადობას, მეცნიერების წინსვლას, საშინაო ცხოვრების სრულყოფას, მოძრაობასა და განვითარებაში ხედავდა.

ილია ჭავჭავაძის გენიალურ შემოქმედებაში, მის პოლიტიკურ აზროვნებაში, სამართლისა და სახელმწიფო წყობის მისეულ მოსაზრებებში მთავარი და გადამწყვეტი ხალხია, განსაკუთრებით კი ქართველი ხალხი "ხალხი - ეს თავი და ბოლო ისტორიისა - ზღვა ერთი რომ დაიგრიალოს ძალა და დიდება მისია" წერდა ილია ჭავჭავაძე 1871 წელს, მაგრამ ილიას მოღვაწეობის, სრული სამყაროს შემოქმედებითი აზროვნების, ფიქრისა, ოცნების ძირითადი კრედო - ქართველი ხალხის ცხოვრება და მოღვაწეობა იყო. "ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა: მის გამომჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სიტყვა" (ი.ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ.180).

ილია, თითქოს მისი სახელისა და დიდების უკვდავმყოფის ანდერძს სტოვებდა, როცა წერდა: ,,ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელსა, თავის ღონეს და შემძლეობას, თავის ხატსა და მაგალითს, ამიტომაც იგი ზოგს იმათგანს წმინდას წმინდანის გვირგვინითა ჰმოსავს".

მიიწურა 160 წელი ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან: საუკუნეების სიშორე ადამიანებს უფრო აახლოებს თანამედროვეობასთან, ქრონიკონის კენტი და ლუწი კაცობრიობას მიაქანებს წარსულისაკენ, უკან იტოვებს ფაქტებსა და მოვლენებს, მაგრამ ასეთივე აჩქარებული სვლით უახლოებს წელთაღრიცხვა ადამიანებს ახალი გლობალური პრობლემების გადასაჭრელად: დიდი ილიას ნააზრევი, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა დღეს დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის სამსახურში დგას.

ცნობილი გერმანელი მწერალი ნობელის პრემიის ლაურიატი ჰერმან ჰესე წერდა: ,,ექიმები სულიერ იერარქიას მიეკუთვნებიან, რადგან მკურნალი უმაღლესი რანგის წარმომადგენელია: ექიმისაგან მე რატომღაც

მოვითხოვ ჰუმანიზმის იმ რომელიღაც გადმონაშთს, რომელიც გულისხმობს ლათინურისა და ბერძნულის ცოდნას და გარკვეულ ფილოსოფიურ მომზადებას განათლებული წრის წარმომადგენელიდან მე ვითხოვ გარკვეულ იდეალიზმს, რომელიც გულისხმობს მუდამ მზადყოფნას, ადამიანის გაგებისა და მასთან პაექრობისათვის, რომელიც მატერიალურ გამორჩენასთან არ არის დაკავშირებული, ერთი სიტყვით მე მოვითხოვ ჰუმანიზმის გამოვლენას".

ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ შეხედულებებისა და ჰუმანიზმზე მსჯელობისას ყურადღებას იპყრობს მისი გამოსვლა სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე.

1906 წელს ილიას სახელმწიფო საბჭოში ირჩევენ, აღნიშნულის გამო იგი წერდა: "სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური იურიდიული მხარეა, არ დავფარავ და ვიტყვი საბჭოში მთელი საქართველოსა და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები".

1907 წლის თებერვალში ილია რუსეთს გაემგზავრა სახელმწიფო საბჭოს მეორე სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. მეორე სხდომაზე იგი გამოვიდა სიკვდილის დასჯის გაუქმების მოთხოვნით. ამ მოხსენებისათვის იგი დიდხანს ემზადებოდა, მოხსენება სახელმწიფოს საბჭოს მემარცხენეთა ჯგუფისათვის გაუცვნია, საკითხის გაუსვლელობის, მისი მიუღებლობის შემთხვევაში მემარცხენე ჯგუფი დატოვებდა სხდომას და ასე მოიქცნენ. მთავრობამ ილიას მოხსენება არ დაბეჭდა და არ გაავრცელა. ბუნებრივია 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების, რეაქციის თარეშის პირობებში მეფის მთავრობა სიკვდილით დასჯის გაუქმებას ვერ შეურიგდებოდა, მაგრამ რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა მას ფართოდ დაუჭირეს მხარი.

ილია ჭავჭავაძე მოკლე კონსპექტში ,,სიკვდილის დასჯის მოსპობის შესახებ" წერდა: ,,რამდენი რამ საბუთია წინააღმდეგ სიკვდილის დასჯისა: ა) იგი აჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირის ნახვითც კი თვალიც ეჩვევა და გრძნობაც. ბ)არყევს ზნეობას, რადგანაც ადამიანებს ართმევს იმას, რის მიცემაც არ შეუძლია. გ) შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს ჰკლავს. დ) ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე. ე) მთელი ქვეყანა თხოულობს სიკვდილის დასჯის მოსპობას და თუ ბანის მიცემაში შევცდით, ნუგეში იმაშია, რომ ავყევით ხმას ღვთისას, რადგან ხმა ერისა არის ხმა ღვთისა და ბოლოს ავტორი ასკვნის, რომ საბუთად მოყვანა იმისა, რომ სიკვდილით დასჯა არ ავნებს თუ აკლებს დანაშაულობას, არაფერს არ მოასწავებს, რადგანაც დანაშაულობის სიმრავლე სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული".

ილია ჭავჭავაძეს, როგორც ჟურნალისტი მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს, აფრთხილებდნენ არ გამოსულიყო სათათბიროში მკაცრად, არ დაეყენებინა სიკვდილით დასჯის გაუქმება. სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს, რა თქმა უვდა, მაგრამ ერთი რამ არ მომწონს, რატომ მაინც და მაინც შენ, ქართველმა უნდა იკისრო სახელმწიფო საბჭოში ამ მოხსენების წაკითხვა. იქ რუსები განა ცოტაა პროფესორები, მეცნიერები რატომ ისინი არ იკისრებენ! დარწმუნებული ვარ, ასეთი დაუფიქრებლობით მთელ საქართველოს საქმეს გააფუჭებთ. ისევ რუსებმა წაიკითხოსო. მაგრამ ილია არაფრად აგდებდა ასეთ შეგონებებს იგი მხნედ და დაბეჯითებით ავიდა სათათბიროს ტრიბუნაზე და თავისი აზრი გადასცა (ილია ჭავჭავაძე, ტ. X, გვ. 466).

ილია ჭავჭავაძე გამოსვლას სათათბირო ფართოდ გამოეხმაურა ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, კერძოდ გაზეთი ,,რეჩი" აუწყებდა მოსახლეობას, რომ სახელმწიფოს საბჭოს 18 წევრიდან 13 ეკუთვნის მემარჯვენე პარტიებს, 5 პირი მემარცხენეებს. ილია ჭავჭავაძე მიდის უკიდურესად მარცხენა მხარისაკენ, მან თავიდანვე განაცხადა, რომ იგი წარმომადგენლობს არა ქართულ თავადაზნაურობას, არამედ მთელ ხალხს. ასეთ განცხადებებს მიუჩვეველი იყო რუსული საზოგადოება სახელმწიფოს საბჭოს სათათბიროს ანუ ქვედა პალატის საზოგადოება სწრაფად გამოაფხიზლა ასეთმა განცხადებამ. ილია ჭავჭავაძის ყოველი გამოსვლა იწვევდა დარბაზის სწრაფად შევსებას იმპერიის განაპირა რაიონების წარმომადგენლებისაგან. ერთი მათგანი, სახელდობრ. ბალტიისპირულ გაზეთს ,,რეჩში" აცხადებს: როგორც ნათელყოფს ილია ჭავჭავაძის

გამოსვლის ტექსტი, არამარტო კმაყოფილება მოდური კონსტიტუციონალიზმით, არაერთი წარმატება ილია ჭავჭავაძისა, ნათელყოფს მემარცხენე პარტიის წარმომადგენლებისათვის, რომ იწყება რუსეთის ისტორიაში შესაძლებლობა ხმა ამოიღონ ნაციონალურმა განაპირა რაიონებმა, აქედან ყველაზე მეტად პოლემიკური ხასიათისა იყო ქართველი პოეტის, პროზაიკოსის და საზოგადო მოღვაწის გამოსვლები. გაზეთი ,,რეჩი" წერდა, რომ როგორც ჩანს, ყველაფერია ამ ქვეყანაზე მოსალოდნელი დიდ უმრავლესობაში, რომელიც გარეგნულად მაინც სტაბილურობას იცავდა – გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც კატეგორიულად დასვა საკითხი, შეიძლება თუ არა პროგრესული საზოგადოება შესდგებოდეს დამსჯელთა და დასასჯელთაგან ეს ჩვეული დახასიათება გახდა ევროპელებისაგან, როცა მეფის რუსეთზე საუბრობდნენ ყველა საკითხზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო ადამიანის სიკვდილით დასჯა. სიცოცხლის ხელყოფის საკითხი რუსეთისათვის ეს ისეთი ბანალური რამ გახლდათ, რომ ილია ჭავჭავაძის გამოსვლა თავისებური ბიძგი იყო, რომ საკითხთა უმრავლესობიდან განსაკუთრებით ყურადღებამოსილი ყოფილიყო სიკვდილით დასჯის საკითხი, საინტერესო ის არის, რომ რუსულ კანონმდებლობაში მკაცრად იყო დაცული სუბორდინაციულობა სიკვდილის დასჯის საკითხისას, საქმე იქამდისაც კი მიდიოდა, რომ უმაღლესი იურიდიული ინსტანციები მკაცრად შენიშნავდენ, რატომ არის ასეთი ლიბერალური კავკასია, სახელმწიფო სისხლის სამართლის დამნაშავეთა მიმართ.

ილია ჭავჭავაძის დამსახურება სახელმწიფო დაცვაში, ცხადია ჭეშმარიტი დემოკრატიზაციაა. იგი ყოველგვარი სუბორდინაციულობის გამორიცხვით, მის მიერ დაყენებული ორი საკითხი იყო ფართო მასებისადმი კარის გაღება საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე მაგალითად სიკვდილის საკითხი, ეს იყო ქვაკუთხოვანი რამ რუსეთის მიერ მეტად გაუბედავად გადადგმულ ნაბიჯებში დემოკრატიზმისაკენ.

ი. ჭავჭავაძის გამოსვლებმა ფართო ასახვა ჰპოვეს პოლონურ, ბალტიისპირულ, ფრანგულ და გერმანულ პრესაში. იგი მტკიცედ აგრძელებდა ბრძოლას. ,,ერიჰაა საიდან სადაო, ამით რა უნდა წახდეს, დასძენდა ილია, მაგის ნუ გეშინიათ ჩემს აზრს და გადაწყვეტილებას არ გადავთქვამ".

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო სათათბიროზე გამოსვლიდან ოთხმოცდაათი წელი გავიდა, მეოცე საუკუნე დასასრულს უახლოვდება იმ დროს ილიას გამოსვლამ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე - სიკვდილის დასჯის გაუქმების შესახებ მსოფლიო აღიარება ჰპოვა. თანამედროვე ეტაპზე კი ბობოქარი მეოცე საუკუნის დასასრულს, არგენტინაში, ბრაზილიაში, ინგლისში, ისრაელში, კანადაში, მექსიკაში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში სიკვდილით სჯიან. ომიანობის დროს, მსოფლიოს ას ქვეყანაში სიკვდილით სჯიან დანაშაულისათვის, ოც ქვეყანაში ინარჩუნებენ სიკვდილის დასჯის კანონს, 59 ქვეყანამ გაზარდა დანაშაულთა ჩამონათვალის რიცხვი, რომლის გამოც სიკვდილით სჯიან, 39 ქვეყანაში სიკვდილით სჯიან ძალადობის, ტერორის, სახელმწიფო უშიშროების დარღვევის გამო, სიკვდილით დასჯის პროცესი მატულობს ყოფილ სსრ კავშირის რესპუბლიკებში.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქრისტიანულმა სექტამ 1997 წლის ოქტომბერში, ქვეყნის თაობას მოუწოდა, კვლავ შემოიღოს სიკვდილით დასჯა, წერდა გაზეთი "დეილი ტელეგრაფი" სიონისტული ეკლესიის ხელმძღვანელმა, ეპისკოპოსმა ბარნაბას ლეგანიანმა მმართველ აფრიკელთა ეროვნულ კონგრესს, მიმართა მოთხოვნით, აღადგინონ ორი წლის წინათ გაუქმებული სიკვდილით დასჯა. მღვდლის აზრით, სიკვდილით დასჯა არის ,,აუცილებელი ბოროტება" საზოგადოების დასაცავად ,,დამნაშავეებისაგან, რომელიც ხალხს თავშესაქცევად ხოცავენ" სინისტურ ქრისტიანული ეკლესია, რომელსაც საფრანგეთში დაახლოებით ხუთი მილიონი მიმდევარი ჰყავს, ქადაგებს რომ ,,სიღარიბე ეს არის ერის ერთადერთი შესაძლებლობა, არ დაჰკარგო საკუთარი ღირსება".

ილიას, ქართველი ერის მამისა და მოჭირნახულის, ნატვრა აღსრულდა. რესპუბლიკის პარლამენტმა, 1997 წლის 11 ოქტომბერს გააუქმა სიკვდილით დასჯა. გავლენის სფეროს გაფართოებისათვის, მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი სახეობის შექმნისათვის, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გაჩაღებული 38 ეთნოკრიზისების

ცეცხლოვანი კერების ჩაქრობისათვის ბრძოლის პროცესში ჩართული მსოფლიო, ცივილიზებული სახელმწიფოების მმართველი ორგანოები, პარლამენტარები და პოლიტოლოგები, ალბათ გონს მოეგებიან და ადამიანის ბედის გადაჭრის პრობლემას მიუდგებიან მეცნიერული განსჯით, სიდარბაისლით, კანონმდებლობის განმტკიცებით, პოლიტიკური აღზრდით და ბოლოსდაბოლოს იხსნის ადამიანებს ,,ღვთისაგან ერთხელ მინიჭებული სიცოცხლის წართმევისაგან" (ჟურ. "განათლება", გვ. 111).

დაბადებიდან 160 წლის შემდეგაც, ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას წინ მიუძღვის ილია ჭავჭავაძის მიერ სიდარბაისლითა და გონიერებით წარმოთქმული ყოველი სიტყვა, მისი გენიალური ნააზრევი, 90 წლის შემდეგ ილიას ჰუმანური იდეები, მისი ბრძოლა და ღვაწლი სიკვდილის დასჯის გაუქმების შესახებ ერისა და მსოფლიოს წინაშე დღის წესრიგში დგას.

ილია ჭავჭავაძე თავის შეხედულებებს, მოსაზრებებს არასოდეს ახვევდა თავს საზოგადოებას, მაგრამ მის მიერ შექმნილი მდიდარი მხატვრული მემკვიდრეობა გზას უნათებს ადამიანებს ძველის დაძლევასა და ახლის გააზრებაში, როგორც ლუის სტივენსონი წერდა: ,,ყველაზე უფრო შთამბეჭდავი და სამართლიანად დიდ გავლენის მქონე წიგნები - მხატვრული ლიტერატურა - მკითხველს თავს არასოდეს ახვევენ ისეთ დოგმას, რაც შემდგომში შეიძლება არასწორი აღმოჩნდეს. ადამიანს არ ასწავლის იმას, რასაც კაცი არც არასოდეს ისწავლის, აწესრიგებს და ნათელჰყოფს ცხოვრების გაკვეთილებს".

რაც დრო გადის წიწამურის ტრაგედიიდან, ქართველი ერი უფრო მეტად და ღირსეულად ეუფლება ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას, მის მრავალმხეივ ნააზრევს. ერმა იგი წმინდანად აღიარა და მის ფრთებქვეშ შეფარებული და ეძებს გზებსა და საშუალებებს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მშენებლობისა და ეკონომიკური სიძნელეების დასაძლევად. როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობდა: ,,ილია იქ სდგას, მომავალ საუკუნეში და ყოველი წელი არათუ განშორებაა მასთან, არამედ მიახლოებაა".

ვიქტორ ნოზაძე წერდა: ,,ილია აცოცხლებს წარსულს, დიადი მხატვრული სიტყვით თვალწინ უშლის ერს მის დიდებულ ისტორიას, მისი გმირებით ახალ თაობებს აღაფრთოვანებს და ერი მიჰყავს იმ ტაძრისაკენ, სადაც ეროვნული წირვა უნდა დადგეს. მისი გაზეთი და წიგნი, მისი ლექსი და მოთხრობა ყველაფერი აქეთ არის მიმართული".

ილია ჭავჭავაძე შევიდა ქართველი ერის ისტორიაში (და არამარტო ქართველი ერის ისტორიაში) ახალი დროის, ახალი საზოგადოებრივი ერთიერთობის წინამორბედი. როგორც აკაკი წერეთელი ბრძანებდა: ,,ახალი მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი" (ილია ემიგრანტთა თვალით, ტომი I, გვ. 55).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბ., 1986.
2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბ., 1955.
3. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1962.
4. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VI, თბ., 1960.
5. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, თბ., 1962.
6. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, თბ., 1984
7. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, თბ., 1957.
8. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, თბ., 1961.
9. ნ. ნიკოლაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, თბ., 1964.
10. ჟურნალი ,,განათლება", 1998., # 3-4.
11. ილია ემიგრანტთა თვალით, ტ. I, თბ., 1996.

ოთარ გოგოლიშვილი

გურიის 1841 წლის აჯანყება

1841 წელს გურიაში მოხდა გლეხთა დიდი აჯანყება, რომელიც სამნახევარ თვეს, 22 მაისიდან (ახალი სტილით 4 ივნისიდან) სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა. ეს აჯანყება მიმართული იყო გლეხთა აუტანელი ექსპლოატაციის, მძიმე გადასახადების, ცარიზმის მიერ შემოღებული რუსული, დესპოტური მართვის სისტემის, ბატომყმური წყობილების, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, იგი არ იყო განკერძოებული მოვლენა, თავისი არსით ობიექტურად უერთდებოდა მთელი რუსეთის გლეხობის ბრძოლას დამყარებული ბატონყმური ცხოვრების წესის წინააღმდეგ და საერთო დემოკრატიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი სახელოვანი, გმირული ეპიზოდი იყო.

მართალია ეს აჯანყება იყო სტიქიური, ნათელ, სწორ პროგრამასა და ხელმძღვანელობას მოკლებული, რამაც განაპირობა მისი მარცხი, მაგრამ მაინც შეასრულა მნიშვნელოვანი პროგრესული როლი. იგი ეკუთვნის იმ აჯანყებათა ნაკადს, რომლებაც შეარყია ბატონყმობისა და ცარიზმის ბურჯები.

აჯანყება ასე დაიწყო. 1841 წლის მაისში აკეთის უბნის მსაჯული თავადი ბარათაშვილი ახალი ფულადი გადასახადის აკრეფას შეუდგა, გადასახადს რუსული ფულით თხოულობდნენ. მოსახლეობამ, რომელსაც არ გააჩნია ასეთი ფული, უარი განაცხადა გადასახადის გადახდაზე; 24 მაისს გადასახადის ამკრეფმა ოჯახებიდან ძალით წაიღო საოჯახო ნივთები, სამეურნეო ინვენტარი.

გლეხობის მოთმინების ფიალა აივსო. ჭანჭათელი გლეხების ჯგუფი - ენუქა, გოგია და ათანასე ვადაჭკორიების მეთაურობით თავს დაესხა გადასახადის ამკრეფ გოგოსი დოროძეს, წაართვა აკრეფილი ფული და ნივთები. შემდეგ გლეხებს შეუპყრიათ აკეთის ნაცვალი, რომლისთვისაც ნახევარი წვერი გაუპარსავთ და ჭანჭათიდან გაუგდიათ. უბნის მსაჯული ბარათაშვილი გაეშურა გლეხთა დასაპატიმრებლად.

ენუქა, გოგია და ათანასე ვადაჭკორიებმა შეკრიბეს აკეთისა და ლანჩხუთის გლეხები და შეადგინეს 300 კაციანი ფირალთა რაზმი, 28 მაისს გლეხთა რაზმი კვლავ მიადგა ბარათაშვილის ბინას, გლეხებმა სთხოვეს მსაჯულს, მაზრის უფროსისათვის გადაეცათ მათი მოთხოვნები: 1. გაეუქმებინათ ახალი გადასახადი; 2. არ დაესაჯათ აჯანყების წამომწყები გლეხები; 3. გადაეყენებინათ აკეთის ნაცვალი.

მაზრის უფროსი იაცენკო მისულა აკეთში ჯარისკაცთა ასეულით, მტკიცედ მოუთხოვია გადასახადის ფულით გადახდა. გლეხთა მღელვარების მოთავენი ტყეში დაიმალნენ.

30 მაისს ახალი გადასახადის შეტანაზე უარი განაცხადეს სოფელ ვანის გლეხებმა, იქაც მივიდა მაზრის უფროსი. გლეხთა მღელვარება გრძელდებოდა ლანჩხუთში. მაზრის უფროსმა ლანჩხუთში წასვლა ვეღარ გაბედა, დაბრუნდა ოზურგეთში.

აკეთში გლეხთა აჯანყება გაგრძელდა, გლეხთა რაზმმა კურსი აიღო ოზურგეთისაკენ. აჯანყება მოედო გურიის სხვა სოფლებსაც.

ლიხაურის თემში აჯანყებულებს წინამძღოლობდნენ გლეხები: ოთარ და ნიკოლოზ თოიძეები, გოჩა გორდელაძე და სხვები. ასკანაში - მამუკა ანთაძე და მუხარბეგ დოლიძე. შემოქმედში - გოგია და როსტომ მამინაშვილები. ჯვარცმაში - იორდანე პაიჭაძე, გუბაზეულის ხეობაში - ბუღარა მამალაძე.

აკეთიდან წასული გლეხთა რაზმი მივიდა შემოქმედში. გლეხებმა იქ მოსალაპარაკებლად მიიწვიეს მაზრის უფროსი, რომელმაც აჯანყებულებთან მისვლა არ იკადრა. შემოქმედიდან გლეხები გაემართნენ ლიხაურისაკენ, სადაც მათ შეუერთდნენ იქაური აჯანყებულები. გოჩა გორდელაძის ოთარ და ნიკილოზ თოიძეების, აზნაურ ს. გოგოლიშვილისა და სხვების მეთაურობით. ლიხაურიდან ჯანყის მონაწილენი გადავიდნენ დვაბზუში, ჩახერგეს გზები, შემდეგ გაემართნენ გურიანთასაკენ. მაზრის უფროსმა თავადს, მაიორ გიორგი ნაკაშიძეს უბრძანა ცეცხლის გახსნა აჯანყებულების წინააღმდეგ. დაიწყო შეტაკება, რომლის დროს მოკლეს სახაზინო გლეხი როსტომ მჟავანაძე, ელისაბედ გურიელის ყმა - გოგია მენაბდე,

დაჭრეს ყმა დიონისე ჭანუყვაძე, გლეხობა გაიფანტა.

9 ივნისს განახლდა აჯანყება აკეთში, შემდეგ მთელ გურიაში. აჯანყების ჩაქრობა დაევალა ახალციხის სამხედრო ოლქის უფროსს, პოლკოვნიკ მოსე არღუთინსკის, რომელიც დაუქვემდებარეს საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორ კახანოვს. 12 ივნისს ოზურგეთში ჩამოვიდა გენერალი კახანოვი. 13 ივნისს დაღესტნიდან დაბრუნდა გურიანთაში მდგარი ჯარების უფროსი პოლკოვნიკი ბრუსილოვი. მ. არღუთინსკი გაბრუნდა ახალციხეში.

გლეხობა თითქოს მიწყნარდა. 16 ივნისს გურიიდან წავიდა გუბერნატორი კახანოვი.

მალე გლეხობა კვლავ ამოქმედდა. 17 ივნისს ასკანელმა გლეხებმა განაცხადეს უარი ახალი გადასახადის შეტანაზე. 20 ივნისს ჯანყი კვლავ გაძლიერდა შემოქმედში მეზატონე ელისაბედ გურიელის რეპრესიული მოქმედების წინააღმდეგ. 21 ივნისს, სოფელ ჯვარცმიდან საჯავახოსკენ გაემართნენ აჯანყებულნი, რომელთა რიგები გზადაგზა იზრდებოდა. 1500-მდე კაცს ითვლიდა გლეხთა რაზმი იორდანე პაიჭაძის მეთაურობით.

გუბერნატორი კვლავ ჩავიდა გურიაში, მოიარა მღელვარე სოფლები. ამჯერად გლეხებმა შეასრულეს მისი ბრძანება, დაიშალნენ. მოძრაობა მინელდა.

გამოსვლები განახლდა ივლისის დასაწყისში. 4 ივლისს თხილვანელმა გლეხებმა განაცხადეს უარი ახალი გადასახადის გადახდაზე. მათ სწრაფად გამოეხმაურნენ აკეთელი გლეხები. შემდეგ მოძრაობა გურიაში კვლავ მიწყნარდა, მაგრამ იმ პერიოდში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა იმერეთში.

ივლისის დამდეგს ხელახლა აჯანყდნენ ოზურგეთის უბნის რიგი სოფლის გლეხები, 26 ივლისს სოფელ ხვარბეთში შეიკრიბა 200-მდე შეიარაღებული გლეხი, მათ მიყვნენ გურიანთის, ლიხაურისა და სხვა სოფლების გლეხები.

მაზრის უფროსი იაცენკო 1 აგვისტოს მივიდა გურიანთაში, აჯანყებულებს უბრძანა დაშლილიყვნენ, მაგრამ უმრავლესობა არ დაემორჩილა.

აჯანყებულთა ერთი ნაწილი გაიგზავნა გურია-იმერეთის საზღვარზე, რათა გზა ჩაეკეტა გურიაში მიმავალი სამხედრო ძალებისათვის. მეორე ნაწილი დაიძრა შეკვეთილისაკენ, რომელსაც ეწოდებოდა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე.

8 აგვისტოს გურიაში შეიარაღებული აჯანყება აზვირთდა.

9 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ბრუსილოვი 200 კაცის თანხლებით გაემართა ოზურგეთიდან შეკვეთილისაკენ. გოგორეთთან აჯანყებულთა 500 კაციანი რაზმი სამღვთოელი (ზემო ნატანები) აბესა ბოლქვაძის მეთაურობით. ბრუსილოვმა აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა კაპიტანი გაბაშვილი, მაგრამ მოლაპარაკება არ მოხერხდა. გაჩაღდა ბრძოლა, აჯანყებულებმა უკუაქციეს, დაამარცხეს ბრუსილოვის რაზმი. ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი აბესა ბოლქვაძემ, რომელიც ისტორიკოსი ჩუდოვინის ცნობით დაიჭრა კიდეც.

გოგორეთის ბრძოლაში გამარჯვებამ ხელი შეუწყო აჯანყების გაძლიერებას, მის გაფართოებასა და განვითარებას.

აჯანყებულთა ერთმა რაზმმა 200 კაცის შემადგენლობით ხელთ იგდო ჩოლოქის საგუშაგო. გლეხთა ერთმა ჯგუფმა აზნაურ გოგია ქარცივაძის მეთაურობით დაიკავა ნატანების საგუშაგო. მალე აჯანყებულებმა მთლიანად დაიკავეს სამხრეთ-დასავლეთი გურია, ხოლო აღმოსავლეთ გურიაში აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა ოზურგეთ- ქუთაისის საკომუნიკაციო ხაზი.

სამხრეთ-დასავლეთ გურიაში აჯანყებულებმა 10 აგვისტოს იერიში მიიტანეს შეკვეთილში წმინდა ნიკოლოზის სიმაგრეზე, რომლის აღების შემდეგ ფოთისაკენ გაემართნენ.

გურიაში რეაქციული ძალების მისაშველებლად 18 აგვისტოს ფოთიდან გამოვიდა დავით დადიანი. იმავე საღამოს მისი ხელმძღვანელობით სამეგრელოს 500 კაციანმა მილიციამ შეძლო აჯანყებულთა უკუგდება მალთაყვიდან. ორი დღის ძლიერი ბრძოლის შემდეგ კი დაიკავა გრიგოლეთი. როგორც ისტორიკოსი ნ. მურავიოვის გადმოცემა ადასტურებს, აჯანყებულები მოწინააღმდეგეებს მიმართავდნენ „რისთვის მოდიხართ თქვენ ჩვენზე? თქვენთანაც იქნება ისე, როგორც ჩვენთან არის, თქვენთანაც აიღებენ გადასახადს“ და სხვა. ასეთ მიმართვას შედეგი გამოუღია: „მეგრული მილიციის გლეხურმა ნაწილმა არ ისურვა წინსვლა და შინ დაბრუნდა“. გრიგოლეთის ბრძოლაში სამეგ-

რელოს მილიცია დამარცხდა. 23 აგვისტოს კი უკან დაიხია ფოთისაკენ.

აჯანყებულებმა გარემოიცვეს ოზურგეთი. ბრიუსილოვის რაზმი საფრთხეში იყო. გარნიზონი შველას ითხოვდა. აჯანყების ჩამქრობ ექსპედიციას სათავეში ჩაუყენეს პოლკოვნიკი მ. არღუთინსკი.

16 აგვისტოს ნაგომარში მივიდა იმერეთის პოლიცია პოლკოვნიკ წერეთლის ხელმძღვანელობით, მაგრამ გზა ვერ განაგრძო. რადგან ნასაკირალის გადასასვლელზე გამაგრებულნი იყვნენ აჯნყებულნი. მილიციამ უკან დაიხია და მოახერხა პორუჩიკ ლევინსკის რაზმთან შეერთება.

ოზურგეთის ასაღებად აჯანყებულთა იერიშის დაწყება გაჭიანურდა. აჯანყების წინამძღოლებს შორის ერთსულოვნება არ იყო.

მეორე მხრივ, გახშირდა მილიციელთა გადასვლა აჯანყებულთა ბანაკში, განსაკუთრებით 27-28 აგვისტოს ღამით. სწორედ ამ მომენტში თავი იჩინა თავადაზნაურობის მისწრაფებამ ესარგებლათ აჯანყებით თავიანთი დაკარგული პრივილეგიების აღსადგენად.

აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა თავადი დავით გუგუნავა, რომელიც ოზურგეთის იერიშის დროს იდგა ერთ-ერთი რაზმის სათავეში. ლანჩხუთიდან რაზმით უნდა მოსულიყო დავით გურიელი, პოეტ მამია გურიელის მამა.

აჯანყების მთავარი წინამძღოლი გახდა თავადი ამბაკო შალიკაშვილი. იგი 1794 წელს დაბადებულა სოფელ ვანში. დასახლებულა სოფელ შემოქმედში, მსახურობდა მეფის არმიაში, იყო პროპორშჩიკი. გლეხთა აჯანყების დაწყებისას იგი ოზურგეთის მილიციაში ყოფილა, შემდეგ ავადმყოფობის მიზეზით გამოსულა იქედან და აჯანყებას ჩადგომია სათავეში.

აჯანყებულთა იერიში ოზურგეთზე წარუმატებლად დამთავრდა, ვერ განახორციელეს ერთდროული შეტევა ყველა მხრიდან. დაქსაქსულად მოქმედებდა ოზურგეთში გამაგრებული ჯარი. შეიარაღებით სჯობდა აჯანყებულთა რაზმებს.

9 სექტემბერს დილის 9 საათზე ოზურგეთში მივიდა აჯანყების ჩასახშობად დიდი შეიარაღებული ექსპედიცია. მ. არღუთინსკის მეთაურობით, გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა, აჯანყებულები დამარცხდნენ.

მ. არღუთინსკის გურიაში ახლდა და დამსჯელ ექსპედიციაში მონაწილეობდა პოეტი გრიგოლ ორბელიანი. როგორც ელ. მაღრაძე აღნიშნავს, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანის“ გენიალური დისშვილი, სრულიად სამართლიანად საყვედურობდა ბიძას უდანაშაულო გურული გლეხების სისხლის დაქცევას. შემდგომში გარკვეულ სინანულს გრძნობდა თვით გრიგოლ ორბელიანი. რომელსაც გაეხარდა აჯანყების დაპატიმრებული მონაწილეების გათავისუფლება.

აჯანყების მონაწილე შეიარაღებულ გლეხთა რიცხვი 7200 კაცს აღწევდა. აჯანყების დროს ბრძოლებში გმირულად დაიღუპნენ აბესა ბოლქვაძე, გიორგი ვადაჭკორია და სხვები.

ქუთაისში 1842 წლის 3 თებერვალს დაიწყო და13 მარტს დამთავრდა სამხედრო სასამართლოს პროცესი აჯანყების აქტიური მონაწილეების წინააღმდეგ. მთავარმმართველმა გოლოვინმა დაამტკიცა მკაცრი განაჩენი 34 ბრალდებულის შესახებ.

განაჩენი ასეთი იყო: პირველი თანრიგის, პირველი ხარისხის დამნაშავეებად სცნეს თავადი ამბაკო შალიკაშვილი, აზნაური ქაიხოსრო გუგუნავა, აზნაური სიმონ ჭყონია. მათ ერთმეოდათ ყოველგვარი უფლება და იგზავნებოდნენ ციმბირში საკატორღო სამუშაოებზე. ასევე ციმბირში იგზავნებოდნენ მეორე თანრიგის მესამე ხარისხის დამნაშავე ალექსანდრე ნაკაიძე, პირველი თანრიგის მეორე და მესამე ხარისხის დამნაშავე გლეხები: ესიკა მამულაიშვილი, გოგია ჯიბლაძე და სხვები. ისინი შპიცრუტენებით დასაჯეს შემდეგ იგზავნებოდნენ ბობრუისკის პატიმართა ასეულში 10 წლის ვადით. მეორე თანრიგის პირველი ხარისხის დამნაშავენი ენუქა ვადაჭკორია, გოგია ვადაჭკორია და სხვები შპრიცრუტენებით დასჯის შემდეგ 10 წლის ვადით იგზავნებოდნენ სევასტოპოლის პატიმართა ასეულში, ხოლო ათანასე ვადაჭკორია, ნიკოლოზ ვადაჭკორია, დავით მეგრელიძე - ბრესტ-ლიტოვსკში.

არ გაუსამართლებიათ თავადი დავით გუგუნავა, აზნაური ათარმიზა თოიძე და სხვები, რომლებიც ბოლომდე არ მიყვნენ აჯანყებას.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ პროგრესული როლი მაინც შეასრულა. მას საპატიო

ადგილი უჭირავს ცარიზმის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის მატიანეში. ამ აჯანყებამ მეფის ხელისუფლებაც კი აიძულა გამოეტანა სათანადო დასკვნები. გამოიგზავნა კომისია მდგომარეობის შესამოწმებლად. ამ შემოწმების შემდეგ სენატმა უარყო რუსეთის გუბერნიების წესები საქართველოში ბრმად გადმოღების მეთოდი და შეიმუშავა ახალი წესები.

რუსეთის ხელმწიფეც - ნიკოლოზ პირველი იძულებული გახდა შეეცვალა სამხედრო სასამართლოს განაჩენი. ა. შალიკაშვილის გარდა, ყველას აპატია დანაშაული. ა. შალიკაშვილი კი ციმბირში კარგახანს დარჩენილა. შემდეგ იგი რუსეთის იმპერატორს კატორღიდან გაუთავისუფლებია აღმოსავლეთ ციმბირის გუბერნატორის ს. მურავიოვის შუამდგომლობით, რადგან ადრე ა. შალიკაშვილს ს. მურავიოვი სიკვდილისაგან უხსნია კავკასიაში სამსახურის დროს.

სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ საზღვარგარეთ გადახვეწილ აჯანყების აქტიურ მონაწილეებსაც: თავად მიხეილ მაქსიმელაშვილს, აზნაურებს სიმონ გოგოლიშვილს და გიტო გოგრიკიძეს, გლეხებს გოგია გორდელაძეს, როსტომ სიხარულიძეს, მაქსიმე ხუხუნაიშვილს. ისინი დაბრუნებულან სამშობლოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის სამუზეუმო გაერთიანების ხელნაწერთა ფონდი #220, ფ. 16-18
2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, (სცსსა), ფ. 229, აღწ. 1, საქ. 1496, ფურც 25
3. იქვე. ფურც. 29-31
4. ი. სიხარულიძე, გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს, ბათ., 1956, გვ.19-20
5. იქვე გვ. 22
6. სცსსა, ფ. 548, აღწ. 1. საქ. 5709, ფურც. 62
7. საქართველოს ისტორია, თბ. 1956, გვ. 424
8. სცსსა. ფ. 648, აღწ. 1. საქ. 709, ფურც. 90-100
9. ი. სიხარულიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 36
10. იქვე, გვ. 49

1841 წლის ბრძოლის ეპიზოდი

რამაზ სურმანიძე

ჭვანის ხეობის ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმია და ძველი საეკლესიო მოღვაწენი

როგორც ისტორიულ-არქეოლოგიური მასალებით დასტურდება, წარმართული რელიგია ქრისტიანობამ საქართველოში ყველაზე ადრე ლაზეთსა და აჭარაში შეცვალა, რაც ანდრია პირველწოდებულის ქადაგებასთანაა დაკავშირებული. მე-16-18 სს. ოსმალო მოძალადეებმა მთელი სამხრეთ საქართველოს პროვინციები ისლამზე მოაქციეს, თუმცა მის გვერდით ზოგან ქრისტიანობაც განაგრძობდა არსებობას.

სამეცნიერო და პოპულარული ლიტერატურის, აგრეთვე ძველ პრესაში არსებული ცნობების გაცნობით დასტურდება, რომ რელიგიასთან დაკავშირებულმა დიდმა მოვლენებმა თავის დროზე ასახვა ჰპოვა ჭვანის ხეობის (შუახევის რაიონი) ტოპონიმებშიც. მოსახლეობამ ცოცხალ მეტყველებაში ბოლო დრომდე შემოინახა ყოფილი ქრისტიანული საკულტო ცენტრებისა და სალოცავების სახელები ნაეკლესიარის, ნასაყდრევის, ნამონასტრევის და სხვათა სახით.

ქრისტიანული აღმსარებლობის შინაარსის მქონე სიტყვებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება ჯვარი. ამ სახელს ხეობაში ატარებს, როგორც ცალკე სოფელი, ასევე სოფლის უბნები, სახნავ-სათეს-სათიბები, მთები და მინდორ-ველები.

საკმაოდ ხშირია მთავარანგელოზის ამსახველი ტოპონიმები, რომლებიც თითქმის ყველა შემთხვევაში "თარანგელო"-დ ჟღერს. ასევე არაიშვიათია ხუცთან, ხუცესთან დაკავშირებული ტოპონიმები. გვხვდება სამება, მელიქწმინდა, ამაღლება, ფერისცვალება და სხვ. ნაეკლესიარები ოსმალური ტრანსკრიფციით ხშირ შემთხვევაში ნაქილისვარებდაც იწოდება (ქილისა-ეკლესია).

ყველა შემთხვევაში, ჭვანის ხეობის მოსახლეობამ ზეპირსიტყვიერებაში შემოგვინახა ისეთი სიტყვები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ ამა თუ იმ სოფელში ადრე ქრისტიანული სალოცავების არსებობაზე. უფრო მეტიც, ხშირად ჩვენთვის ცნობილი ხდება სალოცავის სახელიც (მთავარანგელოზის, წმინდა გიორგის, სამების და ა.შ.).

ჩვენ მიზნად დავისახეთ წარმოვადგინოთ ჭვანის ხეობის ტერიტორიაზე არსებული სოფლების ტოპონიმები, რომლებიც ამ ადგილებში წარსულში ქრისტიანული რელიგიის საკულტო ცენტრებისა და სალოცავების არსებობაზე მიუთითებს. ტოპონიმები (ორმოცამდე) შეგროვდა მრავალრიცხოვანი ლიტერატურის გაცნობისა და ამ საქმით დაინტერესებულ ინფორმატორებთან საუბრების შედეგად[1].

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ადამიანთა ცოცხალ მეტყველებაში შემორჩენილი გეოგრაფიული სახელები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ამ ძეგლებთან და სარწმუნოებასთან, თანდათანობით გააძლიერებს ეროვნულ ცნობიერებას და გააღვიძებს სწრაფვას ისტორიული რწმენის დასაბრუნებლადაც. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ეს მცირე ნაშრომი.

* * *

ისტორიული საქართველოს საკულტო ადგილების სიებზე მუშაობის პროცესში მრავალი საეკლესიო მოღვაწის, მწიგნობრის, მწერლის, კალიგრაფისა და მშენებელი ოსტატის გვარებსაც შევხვდით (მათ შორის ჭვანის ხეობაში 3). შევაგროვეთ ამ ადამიანების ბიოგრაფიები და ტოპონიმიასთან ერთად მკითხველს ვთავაზობთ. მათ ქართველი მკითხველი ჯერჯერობით არ იცნობს.

ეჭვი არ მეპარება, რომ ძველი საქართველოს დიდებული საკულტო ცენტრების ახლო-მახლო მცხოვრები მოსახლეობა, განსაკუთრებით ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ამ ნაშრომის გაცნობის შემდეგ, ღრმად ჩაფიქრდება, თავისი წარსულით დაინტერესდება და წმინდა ადგილების მიმართ კიდევ უფრო მეტი მოკრძალებით განიმსჭვალება, რაც ისტორიული ძეგლების დაცვას და აღდგენა-განწმენდის საქმესაც დიდად წაადგება.

ტოპონიმები (იხ. თანდართული ცხრილი) და ბიოგრაფიები შედგენილია დღემდე გამოცემული ისტორიულ-გეოგრაფიული ლიტერატურის შეჯერების (ლიტერატურა

---

[1] ფრაგმენტი წიგნიდან "ქრისტიანული ძეგლების ტოპონიმია და ძველი საეკლესიო მოღვაწენი" ბათუმი 2009. (ხელნაწერი)

თან ერთვის), აგრეთვე ინფორმატორების ზეპირი გადმოცემების საფუძველზე, მაგრამ მას არა აქვს სისრულის პრეტენზია. პირიქით, დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი რამ გამოტოვებულია. ჩვენი მიზანიც ისაა, რომ მკითხველი გაეცნოს, დაინტერესდეს და მოგვაწოდოს დამატებითი მასალები, რომლებსაც შევიტანთ გამოსაცემად მომზადებულ წიგნში.

საეკლესიო მოღვაწენი

ზაქარია ჭვანელი (ქათამაძე) მე-18 ს. ჭვანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარი (1744-1793) მწიგნობარი და ღვთისმოსავი. ჭვანის ეკლესიის უკანასკნელი მღვდელმსახური. მისი ზრუნვით ეკლესიაში ინახებოდა ძველი საეკლესიო წიგნები. მათი ნაწილი თავად მამა ზაქარიას ხელით ყოფილა გადაწერილი. ჭვანის ეკლესია ხეობაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი იყო და მრევლიც მრავალრიცხოვანი ჰყავდა; ზემო აჭარის სოფლებს შორის ჭვანა ერთ-ერთი გამონაკლისია, სადაც 1744 წელს კიდევ მოქმედებდა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

1777 წელს, როცა მოძალადეებმა ზედიზედ დააქციეს ეკლესიები, მამა ზაქარია ახალციხის სულეიმან-ფაშასთან წავიდა და მომხდურთა ალაგმვა სთხოვა. ფაშა (ათაბაგი-ჯაყელი) შეპირდა დახმარებას, მაგრამ ჭვანაში დაბრუნებულ მოძღვარს ეკლესია დაქცეული დახვდა, ხოლო წმინდა საგნები, ხატები, წიგნები, ხელნაწერები და სხვა საეკლესიო ქონება ეზოში ეყარა.

მამა ზაქარიამ ისინი შეკრიბა და ყველაზე უახლოეს, ჯერ კიდევ მოქმედ ხინოს ეკლესიაში ეპისკოპოს იოანე ხინოწმინდელთან (წუწუნავა) გადაიტანა, თავადაც იქვე დარჩა, მაგრამ 1780 წელს ხინოს ეკლესიასაც იგივე მძიმე დღეები დაუდგა, ამიტომ მთელი საეკლესიო ქონება ჯერ გამოჩინებულში, შემდეგ შემოქმედში გადაიტანეს და ეპისკოპოსს გადასცეს[2].*

[2] დადგინდა, რომ იმ დროს შემოქმედელ-ჯუმათელი ეპისკოპოსი იყო იოსებ თაყაიშვილი. 2012 წლის 28 აგვისტოს ს. ჭალაში (სამღორიაში) წმინდა სამების ტაძრის მშენებლის, სანდრო შარაშიძის რუდუნებით, 235 წლის შემდეგ, ჯვარი შემოქმედიდან ჭალაში გადმოასვენეს. ამ ისტორიულ მოვლენას თან ახლდა დიდი საერო და სასულიერო დღესასწაული.

მამა ზაქარიას შემდგომი ცხოვრება ჩვენთვის უცნობია.

მამა ნიკოლოზი, მღვდელი (მელიქაძე) მე-18 ს. მელიქწმინდის (ამჟამად ჟანიერი) მოძღვარი. მისი ღვთისმოსაობით და შეუპოვრობით ეკლესიაში წირვა-ლოცვას ერთხანს ოსმალთა შემოსევის დროსაც აღავლენდნენ. მამა ნიკოლოზი წიგნიერი და ქველი ადამიანი ყოფილა. მას ხეობაში ხელმოკლეთა და ღარიბღატაკთა შემწესა და მფარველის სახელით იცნობდნენ, რაც დღემდე შენახულია სოფლის მცხოვრებთა ხსოვნაში. მწირ და უწყლო სოფელში მამა ნიკოლოზს სასმელი წყალი გამოუყვანია, რომელიც დღესაც ნიკოლოზის (კოლას) წყაროდ იწოდება.

1730 წელს მელიქწმინდელებმა ოსმალთა მოძალებას ვეღარ გაუძლეს, მელიქაძეთა გვარის ნაწილი, მათ შორის მამა ნიკოლოზიც, მესხეთს (ადიგენი, ახალციხე) და გურიას გადასახლდნენ. (ამ მხარეში ამჟამად მრავალი მელიქაძე ცხოვრობს და ყველა მელიქწმინდიდან გადასულად თვლის თავს). მესხეთში ზოგმა კათოლიკური სარწმუნოება მიიღო და ამით შეინარჩუნა ქრისტიანობა. მამა ნიკოლოზმა მელიქწმინდიდან წაღებული წმინდანთა ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო ნივთები ადიგენში ზარზმის ეკლესიის მღვდელმთავარს გადასცა. თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-ქიმიკოსი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი მელიქაძეთა ამ შტოს შთამომავალი უნდა იყოს.

ონოფრე (ამაღლობელი). მე-17 ს. ჭვანის ეკლესიის მოძღვარი. წარმოშობით იმერეთის სოფელ ამაღლებიდან (ვანის რაიონი) მისი წინაპრების გვარი ძველად სხვა იყო (სავარაუდოდ ინაშარიძე). მას შემდეგ, რაც ისინი იმერეთის და აჭარის სხვა სოფლებში გადასახლდნენ (გეგუთი, მუხაყრუა, ოფეთი, საჯავახო, შუამთა, მერისი, ჭვანა), ზოგმა გვარი შეიცვალა და ამაღლებელი (ამაღლობელი) დაირქვა. ისინი საეკლესიო, სახელმწიფო და სათავადო აზნაურები იყვნენ. მათგან მრავალი სასულიერო პირი, მათ შორის ონოფრე ამაღლობელიც გამოვიდა.

მე-17 საუკუნეში ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზით ამაღლებიდან და ინაშაურიდან რამდენიმე ოჯახი ჭვანის და მერისის

ხეობაში გადმოსახლდნენ (მერისის ხეობაში ახლა ამ სოფელს ინაშარიძეები ჰქვია, შემორჩენილია გვარი – ინაშარიძეც).

მამა ონოფრე ჭვანის ხეობაში გადმოსახლებულთა ამ ნაკადს უნდა მიეკუთვნებოდეს. იგი, როგორც სასულიერო პირი, ღვთისმოსაობასთან ერთად დიდი სიბრძნითა და ჭკუაგონებითაც გამოირჩეოდა. მცხოვრებთა შორის სადავო საკითხებზე მისი სიტყვა საბოლოო იყო.

ისტორიულად მამა ონოფრეს შთამომავალი ჭვანელი ამაღლობლები ხასიათდებოდნენ დიდი გულუხვობით და სტუმართმოყვარეობით. ისინი ჭვანის შუაგულში, გზის პირას ცხოვრობდნენ (ამჟამადაც). მათ სახლებს ჰქონდა საგანგებოდ მოწყობილი სასტუმრო ოთახები, სადაც მასპინძლის დაუკითხავად, ცალკე კიბით ადამიანს შეეძლო ასვლა, ღამის გათევა და ვახშმობა.

ლიტერატურა

1. სურმანიძე რ. ქრისტიანული ძეგლების ტოპონომია და ძველი საეკლესიო მოღვაწენი. ბათუმი, 2009 (ხელნაწერი)
2. შაშიკაძე ზ. აჭარისწყლის ხეობის სოფლები და მოსახლეობა მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში. გაზ."აჭარა" 17 და 21 იანვარი, 2004 წ.
3. შარაშიძე ნ. ქათამაძე დ. ჭვანის ხეობა. ბათუმი, 2000 წ.
4. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S-კოლექცია. საბ.№1700
5. სურმანიძე რ. თეთროსანი. ბათ., 2007 წ.
6. შალამბერიძე მ. პეტრე მელიქიშვილი. თფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ.3. თბ., 1923 წ.
7. სურმანიძე რ. მელიქიშვილები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2003 წ.
8. კეზევაძე მ. ქართული გვარ-სახელები იმერეთში, ქუთაისი 2004 წ.
9. იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 1999 წ.
10. ამაღლობელი ბ., დაფნის და ეკლის საიდუმლო, თბ., 2002 წ.

ჭვანის ხეობის ტოპონიმი	
სოფელი[3]	ტოპონიმები
ახალდაბა	ნასაყდრევი, საძოვარი
ბარათაული	კარგი ეკლესია იდგა, ჯვარი - სოფლის უბანი; ჯვარითავი - ტყე
ბრილი	ეკლესიის ნანგრევი,
ვანი	ნასაყდრალი
ვარჯანაული	ნაქილისვარი - ფერდობი, ქრისტიანული საფლავები
ზემოხევი	ნაქილისვარი - ბუჩქნარი
ინწკირვეთი	ბერიყანა, ბერყანის წყარო, წყარო, ნასაყდრევი - საყანე;
ნაგომარი	ჯვარიმინდორი - საძოვარი
ჟანივარი	მამა ნიკოლოზის (მელიქიძე) წყარო, წყარო,
მელიქწმინდა[4]	ნაქილისვარი მამა ნიკოლოზის ადგილსამყოფელი; ქვაციხე - ციხე-კოშკის ნანგრევი
ტაკიძეები	თარანგელო, საძოვარი; თარანგელოს სერი, ტყე
ცხემლისი	ნასყდარი - ტყე; ქვაკაცა - ქვა; ხუცური - სახნავი; ჯვარიმინდორი - საძოვარი, რომლის ზემოთ მდებარე კლდეზე ჯვარია გამოსახული.
წყაროთა	ნასაყდრალი (ქორკობილის სერი); ნაეკლესიარი, სოფლის ცენტრში
ჭალა	სამება, სასაფლაო და ნაეკლესიარი, ჯამე იდგა; ნაქართლი, ჯაყელ-სურმანიძეთა ქრისტიანული და მუსლიმანური საფლავები, ღვინიაშვილთა ქრისტიანული საფლავები, ნაჯავახურევი - სანდრო შარაშიძის მშენებარე ეკლესია სამღორიას;
ჭვანა	წმინდა გიორგის ნაეკლესიარი ზაქარია ჭვანელის და ონოფრე ამაღლობელის ადგილსამყოფელი
ხაბელაშვილები	ბერიყანა - საყანე; ჯვარი-ულვთო, ქვაკაცა - გზა;
ხიჭაური	მშენებარე ეკლესია ჯვარი, სოფლის უბანი (ს. ვანი)

[3] სოფლები ჩამოთვლილია ალფავიტის მიხედვით

[4] ჭედლურში (ს. ფურტიო) ამავე დასახელების ტოპონიმის არსებობაზე გამოქვეყნდა ი. მანველიძის ნაშრომიც, მაგრამ ის კომპილაციური და მეცნიერულ ინტერესს მოკლებულია (იხ. კრებული "ტბელობა", საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ხიჭაური-თბილისი. 2009. გვ.282-284).

ჭვანის ხეობა მელიქწმინდა
მამა ნიკოლოზის (მელიქაძის) წყარო,
1976 წ აღადგინა დურსუნ მელიქაძემ

ქვაწმინდა (ჟანივრი)
ქვაციხეს (ეკლესიის) ნანგრევები

თაღიანი ხიდი ჭვანაში, აშენებული 1780 წელს

რამაზ სურმანიძე
არაქართველი თერგდალეულთა თაობიდან
(ალექსანდრე ფრენკელი)

ჩვენში ძნელად მოინახება ისტორიკოსი, ვისაც 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ბატალიები, გათავისუფლებული ქართული ტერიტორიების იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობა აინტერესებდა და თავის ნაშრომებში არ გამოეყენებინა ალექსანდრე ფრენკელის უაღრესად საინტერესო ნაშრომი "ჩურუქ-სუს და ბათუმის ნარკვევები", რომელიც ომის დამთავრებიდან სულ რაღაც რამდენიმე თვეში წიგნად გამოვიდა.

დიახ, მრავალმა მეცნიერმა ისარგებლა ამ წიგნით, მაგრამ ავტორის ბიოგრაფიაზე ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ქართულ პრესაში ა.ფრენკელის შემოქმედებაზე ცოტა რამ გამოქვეყნდა. მისი ბიოგრაფია ჩვენი მუზეუმებისა და არქივების არცერთ დოცუმენტს არ შემოუნახავს, ალექსანდრე ფრენკელზე ძალზე ცოტაა ნათქვამი ინფორმაციის ისეთი ხელმისაწვდომ საშუალებაში, როგორიცაა ინტერნეტი. დასანანია, რომ მის შესახებ არაფერს ამბობს ქართული ენციკლოპედია, მაშინ როცა აქ ვრცელი სტატია გამოქვეყნდა ფიზიკოს ი.ი. ფრენკელზე, რომელსაც საქართველოზე ალბათ ერთი სიტყვაც არ დაუწერია.

ქართულ კულტურასა და ისტორიას ნაზიარები ა. ს. ფრენკელი ასეთ უყურადღებობას ნამდვილად არ იმსახურებს. თუნდაც იმიტომ, რომ ებრაული წარმოშობის კაცი თბილისში მართლმადიდებლურად მოინათლა და ქართულ სულიერებას ეზიარა.

ა. ფრენკელს საკმაოდ ახლო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დიმიტრი ბაქრაძესთან, ივანე კერესელიძესთან, ილია ჭავჭავაძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან, გიორგი წერეთელთან, სერგეი მესხთან, ექვთიმე თაყაიშვილთან დას ხვა დიდ ქართველ მოღვაწეებთან.

მასალების სიმწირის მიუხედავად, ჩვენ შევეცადეთ შეგვეკრიბა ის კანტი-კუნტი ცნობები, რომლებიც გაფანტულია ა. ფრენკელის თანამედროვეთა მოგონებებში, პრესაში, კერძო წერილებში და თვით მის ჩანაწერებში, რამაც საშუალება მოგვცა მიახლოებით წარმოდგენა ვიქონიოთ ერთ არაქართველ კალმოსანზე, რომელმაც თავისი შემოქმედებით ჩვენს ქვეყანას საკმაო ამაგი დასდო და წიგნები, აგრეთვე უაღრესად საჭირო და სასარგებლო სამეცნიერო-პოლიტიკური დოკუმენტები დაუტოვა.

ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა ა.ფრენკელის დაბადების ადგილი. დაბადების თარიღზე კი შეიძლება მიახლოებითი ვარაუდის გამოთქმა. ამაში გვეხმარება 1894 წელს თბილისში გამოსული წიგნი, რომელიც მიძღვნილია პეტერბურგის უნივერსიტეტის 75 წლის იუბილეზე. როგორც ირკვევა, იგი ა.ფრენკელის შედგენილია და მთლიანად მის მოგონებაზეა აგებული. (1).

ამ წიგნით ნათელი ხდება, რომ ა.ფრენკელი სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში და დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი. წიგნში საუბარია პირველ სტუდენტურ სასამართლოზე, რომელიც ა.ფრენკელის მონაწილეობით ამ უნივერსიტეტში 1861 წელს გამართულა. ამ ცნობაზე დაყრდნობით, მიახლოებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ა.ფრენკელის სწავლის პერიოდზე. სავარაუდოდ ეს უნდა იყოს 1858-1863 წლები. ამის დასტურად გამოგვადგება აგრეთვე ნიკო ნიკოლაძის ჩანაწერი, რომელიც ა.ს.ფრენკელს, როგორც სტუდენტთა არეულობის მონაწილეს, უმაღლესი კურსის სტუდენტად მოიხსენიებს, ე.ი. 1861 წ. იგი მე-4-5 კურსის სტუდენტია.(2) თუ ვიგულისხმებთ, რომ 1858 წელს ა.ფრენკელი 20 წლის ასაკში შევიდა უნივერსიტეტში (იმდროინდელ რუსეთში თითქმის ყველა პირველკურსელი ამ ასაკის იყო) მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი 1838 წლის ახლო ხანებში დაიბადა.

საყურადღებოა, რომ ზემოხსენებულმა სტუდენტურმა სასამართლომ გაარჩია სტუდენტთა სალაროში საზოგადოების კუთვნილი ფულის გაფლანგვა სტუდენტ-მოლარის მიერ, რასაც უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ცხოვრების დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საქმე გამოიკვლია სტუდენტთა თვითმმართველობამ. ამხანაგურ სასამართლოს თავმჯდომარეობდა ლექტორი ვ.დ. სპაჩოვიჩი. სასამართლოს განჩინებით თანხების მფლანგველი სტუდენტი უნივერსიტეტიდან გაურიცხავთ.

ორიოდე სატყვას ვ.დ. სპასოვიჩზეც ვიტყვით. ვლადიმერ დანიელის ძე სპასოვიჩი (1820-1906) ცნობილი რუსი ვექილი, სამართლის და ლიტერატურის ისტორიკოსია. 1849 წ. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, აქვე, 1857 წლიდან განაგებდა სისხლის სამართლის კათედრას. 1861 წელს სტუდენტური მღელვარების ჩახშობის პროტესტის ნიშნად დატოვა უნივერსიტეტი, სამუშაოდ ადვოკატურა აირჩია და მთელს რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ნაფიცი ვექილის სახელი დაიმკვიდრა. გამოდიოდა მრავალ პოლიტიკურ გასამართლებებზე. მათ შორის 50-ის პროცესზე. საყურადღებოა, რომ ამ დროს დამნაშავეთა სკამზე ისხდნენ ქართველი სტუდენტები: ი.ჯაბადარი, მ.ზდანოვიჩი-მაიაშვილი, მ. ჩიკოიძე, ა. ციციშვილი, ი.ქიქოძე, ა.გამრეკლიძე და სხვ. მათ სხვებთან ერთად, ა.ფრენკელის მასწავლებელი ვ.დ.სპასოვიჩიც იცავდა. იგი ერთდროულად განაგრძობდა მუშაობას იურიდიული სამართლის ისტორიაზე. გამოაქვეყნა რამდენიმე მონოგრაფია, აგრეთვე გამოკვლევები ლიტერატურათმცოდნეობაში.

1863 წელს ვ. სპასოვიჩმა გამოსცა წიგნის – "სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს" 1 ტომი პროგრესული დებულებებით, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრე მე-2-მ აკრძალა (3).

ვ.დ. სპასოვიჩი ითვლება ა.ფრენკელის არამარტო ლექტორად და აღმზრდელად, არამედ მისი მომავალი გზის გამკვალავად. დიახ, შეგირდმაც საკუთარ შემოქმედებით ცხოვრებაში იმ სფეროებში მოსინჯა საკუთარი ძალა, როგორშიც მისმა მასწავლებელმა. ა. ფრენკელიც ნაფიცი ვექილი გახდა, მონაწილეობდა მრავალ მნიშვნელოვან, მათ შორის პოლიტიკურ პროცესებში, სადაც მან წინ წამოსწია მოთხოვნები რუსული არქაული სამართლის გადახედვის აუცილებლობაზე, რათა იგი შეგუებოდა ახალ ურთიერთობებს, ა. ფრენკელი ეწინააღმდეგებოდა განსაკუთრებით სასტიკ განაჩენებს, სიკვდილით დასჯას. თავის მეცნიერულ ნაშრომებს აქვეყნებდა მისსივე დაარსებულ ჟურნალებში.

მკვლევართა ნაშრომებში ა.ფრენკელი წარმოდგენილია, როგორც ისტორიკოსი, ჟურნალისტი, სამხედრო კორესპოდენტი და ა.შ. არცერთი არაა, სწორი. მან დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურდიული ფაკულტეტი, გახდა ნაფიცი ვექილი და მთელი სიცოცხლე ამ სფეროში მოღვაწეობდა.

ჩვენ არ ვიცით როდის და რა მიზეზით ჩამოვიდა ა. ფრენკელი საქართველოში, მაგრამ ფაქტია, რომ იგი რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე უკვე თბილისში იყო. ა.ს. ფრენკელი თანამშრომლობდა ნიკო ნიკოლაძის მიერ 1878 წელს თბილისში დაარსებულ გაზეთ "ობზორ"-ში. ეს არაა შემთხვევითი, ისინი ერთმანეთს იცნობდნენ პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, სადაც ნ. ნიკოლაძე 1861 წელს ჩაირიცხა, იმავე წელს მონაწილეობდა სტუდენტურ გამოსვლებში, რის გამო დააპატიმრეს, უნივერსიტეტიდან გარიცხეს და იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ნ. ნიკოლაძემ თბილისში დააარსა გაზეთი "ობზორი", რომელშიც პირველივე დღეებიდან თანამშრომლობდა ა.ფრენკელი. გაზეთი პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულებისა იყო, ხშირად აქვეყნებდა არსებული წყობილების საწინააღმდეგო მასალებს, რის გამო 1880 წელს ხელისუფლებამ მისი გამოსვლა შეაჩერა, ხოლო ნ.ნიკოლაძე სტავროპოლში გადაასახლა.

"ობზორის" პარალელურად, ა.ს. ფრენკელი პეტერბურგის გაზეთ "გოლოსშიც" თანამშრომლობდა და იყო ამ გაზეთის შუამავალი და აგენტი თბილისში. გაზეთის კავკასიელი კორესპოდენტები მისი მეშვეობით ღებულობდნენ ჰონორარს. ამაზე მეტყველებს ცნობილი მწერლის გიორგი წერეთლის 1879 წ. 18 ნოემბრის ბარათი, რომელიც გაუგზავნა "გოლოსის" რედაქციას. ამ ბარათში ავტორი ასახელებს ა.ფრენკელს, როგორც გაზეთის აგენტს თბილისში.(4)

ა.ფრენკელის თანამშრომლობა "ობზორში" და მისი ურთიერთობა ნ. ნიკოლაძესთან და გ. წერეთელთან ადასტურებს, რომ ის იყო პროგრესული მიმართულების დემოკრატი, ხალხოსნურ იდეებზე აღზრდილი და ქართულ ეროვნულ საქმეებში აქტიურად ჩართული მოღვაწე. პირადად მე მას არაქართველ თერგდალეულს ვუწოდებ.

ნ. ნიკოლაძესთან სიახლოვე მომდევნო წლების წერილებითაც დასტურდება. "ობზორი"-ს დახურვის და მისი რედაქტორის საქართველოდან წასვლის შემდეგ ა.ფრენკე-

ლს ბედი სხვაგან უნდა ეცადა. 1881-1885 წლებში თბილისში გამოდიოდა ჟურნალი "იურიდიჩესკოე ობოზრენიე", რომელსაც ა.ვ.სტეპანოვი რედაქტორობდა, 1883 წლიდან კი ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლობა ა.ს. ფრენკელის ხელში გადავიდა. იქ იგი დარჩა ჟურნალის გამოცემის იძულებით შეჩერებამდე, 1885 წლამდე. (5)

ამის შესახებ ა. ფრენკელი პეტერბურგში წერილს სწერს ნიკო ნიკოლაძეს და აცნობებს, რომ სურს გაახალისოს ჟურნალი (6). მოგვიანებითაც, 1904 წლის ბოლოს, ა.ფრენკელი კვლავ ცდილობდა ახალი გაზეთის ("კავკასიაში") დაარსებას, რაც შეატყობინა თავის მეგობარს ნიკო ნიკოლაძეს და თხოვა თანამშრომლობა. მის წასაქეზებლად წერილის ავტორი ატყობინებს ადრესატს, რომ აკაკი წერეთელი ავადმყოფობის მიუხედავად მზადაა ითანამშრომლოს ახალ გაზეთშიო, მაგრამ ნიკო ნიკოლაძემ იმავე წლის 14 დეკემბერს უპასუხა: "მე ყოველდღიური საქმეებით ვარ დაკავებული და პუბლიკის ინტერესებისაგან ჩამოვრჩები, ამიტომ გირჩევ უფრო ახალგაზრდა თანამშრომლები შეარჩიოო" (7).

როგორც ირკვევა ა.ს.ფრენკელმა ახალი გაზეთის დაარსების იდეა ვეღარ განახორციელა.

ჟურნალ "იურიდიჩესკოე ობოზრენიეს" შინაარსსა და იდეოლოგიურ მიმართულებას ა.ფრენკელის მისვლა დაეტყო. იგი აქვეყნებდა მასალებს ამიერკავკასიის ხალხების მიწათმფლობელობის უფლებებზე, მიჰყავდა რუსეთისა და ამიერკავკასიის სასამართლო ქრონიკა, აშუქებდა ყველა მნიშვნელოვან სასამართლო პროცესებს და გამოტანილ განაჩენებს. ჟურნალს მუშაობაში სიძნელეებიც გააჩნდა, მაგრამ მისი დახურვის ძირითადი მიზეზი მაინც ცენზურის მხრიდან შევიწროება იყო.

ნაფიცი მსაჯული ა.ფრენკელი სასამართლო პროცესზე ხშირად დამცველადაც გამოდიოდა. ამის მაგალითად საკმარისია თბილისში გამართული გახმაურებული პროცესი ტატო წულუკიძისა, რომელზეც ნისიად გამოსვლაზე ყველა ვექილმა უარი განაცხადა, ა. ფრენკელმა კი ამის სურვილი გამოთქვა. უფრო მეტიც, ამ პროცესს მან 174-გვერდიანი წიგნი "ყაჩაღი ტატო წულუკიძე" მიუძღვნა, რომელიც თარგმნა ვარლამ თორელმა და 1911 წელს ბეგლარ ფილინოვმა გამოსცა (8). ამ წიგნიდან გასაგები ხდება, რომ 1878 წლის 24 სექტემბერს თბილისში არტემ ახვერდოვის სახლის დარბევის შემდეგ ტატო წულუკიძე და ქიტესა ნასყიდაშვილი ერზრუმისაკენ გაიქცნენ, რათა შეხვედროდნენ იქ მოქმედ აბრაგს ემრულა მალაყმაძეს, მაგრამ დიდი თოვლის გამო მთებზე გადასვლა ვერ მოახერხეს და ისინი შეიპყრეს.

1879 წლის 22 მაისს თბილისში გამართულ სასამართლო პროცესზე ტატო წულუკიძეს და მის თანამოაზრეებს ბრალს სდებდა პროკურორის ამხანაგი ნ.ვ. კოსტენსკი, ხოლო წარსულში ჩადენილ ყველა ექვს საქმეში დამცველად გამოდიოდა ა.ს.ფრენკელი. მას ტატომ განუცხადა, რომ ადრე უდანაშაულოდ ციხეში ჯდომამ აამხედრა იგი მდიდრების წინააღმდეგ (9).

ა.ფრენკელი იგონებს: "როდესაც თბილისის მეტეხის ციხის საიდუმლო კამერაში მივედი, როგორც დამცველი წულუკიძისა, სასამართლო დანიშნულებით, მე დავიწყე გამოკითხვა.. წულუკიძე არ ფარავდა იმას, რომ ხალხის წინააღმდეგ განრისხებულია" (10). წიგნში მოტანილია ტატო წულუკიძის (1854-1880) ბიოგრაფია, მის მიერ ჩადენილი 22 სისხლის სამართლის დანაშაული, აგრეთვე მისი 38 თანამზრახველის მოკლე ბიოგრაფიები. წიგნში ა.ფრენკელი ცდილობს დაგმოს ავაზაკობა, როგორც სოციალური ბოროტობა, მაგრამ ამავე დროს აკეთებს იმ მიზეზების ანალიზს, რომლებმაც ტატო წულუკიძე, ერთ დროს მუყაითი და ნიჭიერი ახალგაზრდა, საშიშ ავაზაკად იქცა. ამით ავტორი წარმოგვიდგენს იმ სოციალურ უსამართლობას და ფენობრივ უთანასწორობას, რომელიც სუფევდა იმდროინდელ რუსეთში.

ტატო წულუკიძე 1880 წლის 28 იანვარს თბილისში ჩამოახრჩეს. სხვათაშორის ამ შემზარავ პროცესს ერთი უცნაური ამბავიც ახლდა. ჯალათმა სკამს ფეხი რომ გამოაცალა, ამას მსხვერპლის არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია, თურმე ყულფი ნიკაპზე ედო: "შე, მამაძაღლო, წესიერად გამიკეთე ყულფი"-ო, უთქვამს ტატოს, რომლისთვისაც იმ დროს სიკვდილ-სიცოცხლე სულ ერთი იყო.

ამ ტრაგედიას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა აკაკი წერეთელი და ყველაფერი ქართველი ახალგაზრდობის განათლების ცუდი პირობებით ახსნა (11).

ტატო წულუკიძის გაყაჩაღების მიზეზებს, ჯერ კიდევ მისი სიკვდილით დასჯამდე, ვრცლად ეხება თავის წერილში თბილისის სტამბების ერთ-ერთი დამაარსებელი და გამომცემელი სტეფანე მელიქიშვილი (პეტრეს უფროსი ძმა). იგი გადმოგვცემს თბილისიდან ბათუმში თავის მოგზაურობას და ვაგონში მყოფ ერთი თანამგზავრის მონათხრობს, რომელიც ძირითადად ემთხვევა ა.ს. ფრენკელის ჩანაწერებს:

ტატო გიმნაზიაში სწავლობდა და კარგი წარმატებებიც ჰქონდა. მეოთხე კლასში ყოფნისას გარდაეცვალა მეურვე, ვინც მას არჩენდა და სწავლის ქირასაც იხდიდა, ტატო რომელიღაც წულუკიძის უკანონო შვილი იყო და აღარავინ ეპატრონა. უსახლკარო და მშიერ-მწყურვალი გიმნაზიიდან გამორიცხეს. ერთხანს ხელოსნებთან შეგირდად მოეწყო, მაგრამ ისინი უპატიოსნოდ იქცეოდნენ და გაეცალა.

ერთ დღეს ალექსანდროვის ბაღში ერთ კაცს ყაჩაღები დაეცნენ, სცემეს და გაძარცვეს. მოგროვდა ხალხი, რომელთა შორის იყო ტანსაცმელშემოფლეთილი ტატო წულუკიძე. ალბათ ამან გაძარცვაო, სტაცეს ხელი და საპატიმროში უკრეს თავი. წლინახევრის შემდეგ ნამდვილ მძარცველებს მიაგნეს და ტატო გამოუშვეს, მაგრამ იგი ციხიდან ზნეობრივად დამახინჯებული და გაბოროტებული გამოვიდა. ამის შემდეგ იგი თავის თავს, როგორც უკანონოს, "ცოდვის შვილს" ეძახდა და დარწმუნებული იყო, რომ მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული მათი ბრალი იყო, ვინც იგი "ცოდვის შვილად" აქცია (12). ეს ისტორია, როგორც კავკასიისათვის დამახასიათებელი მაგალითი, ა.ფრენკელმა მოხსენების სახით იურდიული საზოგადოების სხდომაზე წარადგინა.

ჟურნალის დახურვას ა.ფრენკელის აპათია არ გამოუწვევია. იმავე წელს შეუდგა სამზადისს და 1886 წელს დააარსა ყოველდღიური ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი "კავკაზსკოე ობოზრენიე". ეს გაზეთიც მისი დამაარსებლის ჩვეული მიმართულებისა იყო, აქვეყნებდა პროგრესული იდეების მატარებელ მასალებს. ალბათ ამიტომაც მხოლოდ 1888 წლის დასაწყისამდე იარსება (13).

ა.ფრენკელის ჟურნალი და გაზეთი იბეჭდებოდა სტამბაში, რომელსაც სათავეში მისი ნათესავი ნ.ი.ფრენკელი ედგა. საყურადღებოა, რომ აქვე დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის "ივერიის" 1886 წლის 241-281 და 1888 წლის 87-107 ნომრები (14). ჩვენ ა.ფრენკელის ილიასთან ურთიერთობის მხოლოდ ერთ საბუთს მივაკვლიეთ (იხ.ქვემოთ), მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმისათვის, რომ ისინი უახლოეს ნაცნობებად მივიჩნიოთ.

ა.ფრენკელის ურთიერთობა დადასტურდა აგრეთვე ქართული პერიოდიკის ერთ-ერთ მამამთავართან ივანე კერესელიძესთან. 1887 წელს ა.ფრენკელს მისი სასოფლო-სამეურნეო გაზეთის "ცისკარის", 1-22 ნომრები გამოუცია (15).

ა.ს.ფრენკელს ახლო კავშირი ჰქონდა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძესთან. მის ნაწერებს იგი ხშირად იმოწმებდა თავის წიგნში, ხოლო მას ერთ-ერთ სანდო და დასაყრდენ მეცნიერად თვლიდა. საყურადღებოა, რომ ექვთიმე თაყაიშვილს დ.ბაქრაძე ა.ფრენკელმა გააცნო. ამის შესახებ წმიდა ექვთიმე გვამცნობს თავის მოგონებებში, თანაც ა.ფრენკელს ახასიათებს, როგორც ქართველთა მეგობარს: "დიმიტრი ბაქრაძეს ერთხანს მხოლოდ მისი ნაწერებით ვიცნობდი, პირადად არა. პეტერბურგიდან რომ ჩამოვედი არც მაშინ დამხვდა თბილისში. კონსტანტინეპოლში მიევლინებინა მთავრობას, თურქული წყაროების მიხედვით სტატისტიკური ცნობების შესაგროვებლად. თბილისში ერთი ნაფიცი ვექილი მუშაობდა, გვარად ფრენკელი, წარმოშობით ეგებ ებრაელიც კი, მართლმადიდებელი იყო და ქართველების დიდი მეგობარი (ვახტანგ მეექვსის კანონების რუსული თარგმანი მისი რედაქციით გამოვიდა). ბაქრაძე რომ ჩამოვიდა, იმ ფრენკელთან შედგა სხდომა ბაქრაძის მიერ ჩამოტანილი თურქული დოკუმენტების თაობაზე. მაშინ გამაცნო ბაქრაძე ფრენკელმა"(16).

ამგვარად ა.ფრენკელის ურთიერთობა დიდ ქართველ მოღვაწეებთან უბრალო ნაცნობობით არ ამოიწურება. ის მათთან ერთად მსჯელობდა დიდ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ საკითხებზე და ხშირად მათ საკუთარ სახლშიც კი იწვევდა.

რაკი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი ვახსენეთ, აქვე მისი რუსულად გამოცემის ისტორიაზეც ვისაუბრებთ. საქმე ეხება საქართველოს ისტორიის დიდმნიშვნელოვან წყაროს, როგორც სამართალმცოდნეობის ძეგლს.

მისი მნიშვნელობა აღიარეს თვით ცარიზმის მესვეურებმაც და პირველად 1828 წელს რუსეთის სენატის დავალებით დაბეჭდეს, როგორც სამსახურეობრივი სარგებლობის სახელმძღვანელო. ბუნებრივია, ასეთი წესით გამოცემული წიგნი ფართო წრისათვის მიუწვდომელი იქნებოდა, ამიტომ ა.ფრენკელმა უფრო ვრცელი და დაზუსტებული სახით 1887 წელს გამოსცა სახელწოდებით: "Сборник законов грузинского царя Вахтанга VI" ნიშანდობლივია, რომ წიგნის რედაქტორი მაშინ უკვე აღიარებული ისტორიკოსი და არქეოლოგი დ.ზ.ბაქრაძე გახლდათ (17).

ა.ფრენკელზე პირველი ცნობა გამოქვეყნდა გაზეთ "ივერიაში". ცნობილი ხალხოსანი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ნანეიშვილი მკითხველს ამცნობდა ა.ფრენკელის დიდ დამსახურებას და ვახტანგ მე-6-ის სამართლის წიგნის რუსულ ენაზე გამოცემის დიდ მნიშვნელობას (18).

1890 წლის აპრილში თბილისში გაიმართა იურდიული საზოგადოების საერთო კრება, რომელზეც მთავარი მოხსენება, "დიმიტრი ბაქრაძის იურდიული მოღვაწეობის შესახებ" ა.ს.ფრენკელმა გააკეთა და იგი ორი თვის წინ გარდაცვლილი მეგობრის ხსოვნას მიუძღვნა (19).

საინტერესო ცნობას წავაწყდით "ივერიის" კიდევ ერთ ნომერში. აქ ა.ს. ფრენკელი თავის ორ სტუდენტობის დროინდელ მეგობართან ერთად (ი. მილიუტინი, ვ. ბოგოსლოვსკი) ილია ჭავჭავაძეს აცნობებს, რომ თბილისში მყოფი პეტერბურგის უნივერსიტეტის სწავლადამთავრებულულები მათი "ალმა მატერ"-ის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ სადილს მართავენ და "ივერიის" რედაქტორს ამ სადილზე იწვევენ (20). Aამ წერილით ილიას მოპატიჟება, მეგობრების თბილისში მოწვევა და 1894 წ. თბილისში წიგნის გამოცემა, რომელიც მიძღვნილია ამ იუბილესადმი, ადასტურებს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის 75 წლის იუბილე თბილისში გაიმართა ერთი კაცის, ა.ს. ფრენკელის ძალისხმევითა და ინიციატივით, რასაც მთელს იმპერიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ამის შემდეგ ქართული გაზეთები ("ივერია", '"ცნობის ფურცელი") რამდენიმე ცნობას აქვეყნებენ ა.ს.ფრენკელის მოღვაწეობაზე, ყველა მათგანზე არ შევჩერდები. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ მხოლოდ ერთს. 1899 წლის 26 იანვარს ა.ს.ფრენკელმა იურდიული საზოგადოების სხდომაზე წარადგინა თავისი სამეცნიერო ნაშრომის რეფერატი ქართული კანონების შესახებ, სადაც ვრცლად და მეცნიერულად გაანალიზებული იყო ვახტანგ VI-ის სამართალი, კერძოდ და ზოგადად ქართული სამართალი (21).

ა.ფრენკელის მოღვაწეობა მარტო მისი პროფესიით არ იფარგლება. Iგი ყურადღებას უთმობს ისეთ საქველმოქმედო საქმეებს, რო–გორიცაა ხელმოკლე მოსწავლეებზე დახმარება. იგი ამ საზოგადოების წევრი იყო. სხვათა შორის 1900 წლის დეკემბერში საზოგადოებას შეუდგენია წესდების პროექტი, ხო–ლო კრება ჩაუტარებია "გრიბოედოვის ქუჩაზედ, ნაფიც ვექილ ა.ფრენკელთან, რომლისთვისაც მიუნდვიათ იშუამდგომლოს მთავრობასთან ამ წესდების დამტკიცების შესახებ".

1902 წლიდან ქართულ პრესაში ა.ს.ფრენკელის ხსენება აღარ არის, თუმცა ის კვლავ აგრძელებს აქტიურ პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობას.

ძალზე მრავალფეროვანია ა.ფრენკელის სიცოცხლის ბოლო 10 წელი. იმპერატრიცა მარია ალექსანდროვნას სახელობის უსინათლოთა საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრი (23).

1910 წლიდან ა. ს. ფრენკელის ხსენება საერთოდ წყდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ხანდაზმული კაცი და ქართველთა მეგობარი, 1909 წელს გარდაიცვალა.

ჩვენი ვალი იყო მოგვეძია მასალები ა.ფრენკელის ოჯახის წევრებზეც. ერთადერთი, რაც "კავკაზსკი კალენდრის" 1913 წლის გამოცემაში ვნახეთ ისაა, რომ აქ საუბარია კაპიტან კონსტანტინე სამოელის ძე ფრენკელზე (ჩვენი აზრით ნაფიცი ვექილის ძმაზე), რომელიც 1912 წელს დაუნიშნავთ დუშეთის მაზრის უფროსად, მაგრამ იმავე წელს ამ თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ და მომდევნო წლებშიც მისი კვალი აღარ ჩანს (24)

როგორც ზემოთ ვთქვით, დიდმნიშვნელოვანი შეხვედრები, რომლებზეც ჩვენი, სასიქადულო მოღვაწეები: ილია, აკაკი, დ. ბაქრაძე, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. ეროვნული მნიშვნელობის საკითხებზე მსჯელობდნენ, იმართებოდა ა.ფრენკელის

სახლში. ამიტომ, ჩვენი ინტერესის საგანი გახდა მისი ბინის მისამართიც. გაირკვა, რომ 1907 წლამდე, 30 წლის განმავლობაში ა.ს. ფრენკელი ცხოვრობდა გრიბოედოვის ქუჩის #33-ში, ხოლო 1907-08 წწ. ყორღანოვის ქუჩის #11 სახლში. გარდაცვალების წინ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზებით კვლავ გამოუცვლია საცხოვრებელი და გადასულა ყორღანოვის ქუჩის #6 სახლში.

ღმერთისა და სამართლიანობის წინაშე მართალნი ვიქნებით, თუ ამ სამი მისამართიდან ერთ-ერთი სახლის კედელზე გავაკეთებთ მემორიალურ დაფას.

ეს ჩვენი კეთილშობილური ვალია.

ლიტერატურა

1. ინტერნეტ. 4279. Френкель А С
2. ნიკო ნიკოლაძე. მოგონებები, თბილისი. 1984, გვ.132.
3. Бальшая советская энциклопедия. Т. 24, 1976, с.742
4. მასალები XIX ს. 60-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან (კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა). თბ., 1981, გვ.179.
5. გიორგი წერეთელი. პუბლიცისტიკა. თბილისი 1973 წ. გვ.208,209.
6. Библиография русской периодики Грузии (составил Г. В. Зерцалов) Тбилиси, 1941. с.57.
7. ნიკო ნიკოლაძის არქივის კატალოგი, თბილისი. 1954, გვ. 162.
8. იქვე, გვ.182.
9. ა.ს.ფრენკელი, ყაჩაღი ტატო წულუკიძე (ისტორია ყაჩაღობისა კავკასიაში) თარგმანი ვარლამ თორელისა. გამომცემელი ბეგლარ ფილინოვი, თბ., 1911 წ.
10. იქვე. გვ.118, 135.
11. იქვე. გვ.139
12. გაზ. “დროება”, #25, 1 თებერვალი, 1880 წ. გვ.1,2
13. გაზ. “დროება” #228, 8 ნოემბერი, 1878 წ, გვ,2.3. #230, 11 ნოემბერი, 1878 წ. გვ.2,3.
14. იხ. ლიტ. #5, გვ. 72
15. იქვე;
16. იქვე;
17. ექვთიმე თაყაიშვილი. რჩეული ნაშრომები, ტ. 1, თბილისი, 1968. გვ.305
18. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ.4. თბილისი, 1979 წ. გვ.337, 338. ტ.8. თბილისი, გვ.702.
19. გაზ. “ივერია”, 4 ოქტ. 1887 წ. გვ .1
20. “ივერია” 19 აპრილი, 1890 წ. გვ. 2,3
21. “ივერია”, 22 იანვარი, 1892 წ. გვ. 2,3
22. “ივერია” 2 თებერვალი, 1899 წ. 2,3
23. “ივერია”, 16 დეკემბერი, 1900 წ, გვ. 3
24. Кавказскйй календарь, 1901-1909 гг.
25. იქვე, 1913 წ. გვ. 90 XXVIII.

რუსუდან კობრავა

საკრედიტო დაწესებულებები ბათუმში XIX-XX სს. მიჯნაზე

XIX საუკუნის 70-90-იან წლებში საგრძნობლად გაფართოვდა საქართველოს შინა ვაჭრობა და რუსეთის საგარეო ვაჭრობაში მისი მონაწილეობა რკინიგზების გაყვანის, სასაქონლო მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარების, საბანკო-საკრედიტო დაწესებულებათა დაარსების შედეგად განმტკიცდა საქართველოს ცალკეულ რეგიონთა ეკონომიკური კავშირი, გაფართოვდა საქონელმიმოქცევა. საქართველოში წარმოებული სასაქონლო პროდუქციის საკმაო ნაწილმა გზა გაიკაფა საზღვარგარეთის ბაზრებისაკენ. საქართველოს ერთ-ერთ სამრეწველო და შინავაჭრობის ცენტრად გადაიქცა ქალაქი ბათუმი. ბათუმი, ასევე გახდა საერთშორისო – სატრანსპორტო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრიც. ბაქოს ნავთობი უცხოეთის ბაზრებზე თითქმის მთლიანად ბათუმის ნავსადგურის მეშვეობით გადიოდა. ნავთობ-პროდუქტების გარდა ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სურსათ-სანოვაგეს, სპირტსა და ღვინოს, ფქვილსა და მარცვლეულს, ხე-ტყეს, აგურ-კრამიტს, მარგანეცს, რკინას, თუნუქს, კალას, ტყვიას, სააფთიაქო საქონელს, ქსოვილებს, ხალიჩებს, აბრეშუმისპარკსა და სხვა.

სასაქონლო ფულადი ურთიერთობის, კაპიტალისტური წარმოების და ვაჭრობის განვითარების პირობებში თანდათან იზრდებოდა საბანკო კაპიტალის, კრედიტის მნიშვნელობა. მრეწველები და ვაჭრები საწარმოო ბრუნვის და საქონლის რეალიზაციის დაჩქარების მიზნით ხშირად მიმართავდნენ უნაღდო ანგარიშსწორებას, თავისებური ხელშეკრულება – ვექსილები ბრუნვაში შედიოდა ფულის მსგავსად, მაგრამ კომერციული კრედიტი საკმარისი არ იყო გაფართოებული კაპიტალისტური წარმოებისა და დიდმასშტაბიანი სავაჭრო ოპერაციებისათვის. თანდათან მწვავედ იგრძნობოდა საბანკო კრედიტის საჭიროება (ა.ბენდიანაშვილი. ვაჭრობა და საბანკო-საკრედიტო ურთიერთობანი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა III ბათუმი 2008 გვ.257-263).

1878 წ. 1 ნოემბერს ბათუმში გაიხსნა სამაზრო ხაზინა. იგი მოთავსებული იყო შეპელოვის (დღევანდელი ვაჟა-ფშაველას) ქუჩაზე ნაგორსკის სახლში (ამჟამად ეს სახლი არ არსებობს). ხაზინის ბრუნვა შეადგენდა 20 მილიონამდე მანეთს წელიწადში (Гурская, 1901 стр 14).

1886 წ. 21 ოქტომბერს გაიხსნა სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება 7-8 კაცის შემადგენლობით. ბანკი თავდაპირველად მოთავსებული იყო ბიკოვის სახლში მარინსკი პროსპექტზე (ახლანდელ მ.აბაშიძის გამზ. #49 თოჯინების თეატრის შენობა), ხოლო შემდეგ 1909 წ. სახელმწიფო ბანკისათვის აშენდა სპეციალური შენობა დონდუკოვო-კორსაკოვის (ახლ. კ. გამსახურდიას) ქ. #10 (ახლანდელი პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა)და 1910 წ. 1 იანვრიდან სახელმწიფო ბანკმა ამ შენობაში განაგრძო საქმიანობა. ბანკის მმართველი იყო ა. ა. ჟუკოვსკი. (Батумь и его окрестности въ описании Н. А. Веру. Бат. 1910 стр. 27).

ბანკი აწარმოებდა ვექსილების აღრიცხვას, კუპონებისა და ფასიანი ქაღალდების განაღდებას, დაწესებულებებისა და კერძო პირებისაგან სხვადასხვა გადასახდელების მიღებას. განყოფილებაც იღებდა ანაბრებს, სცემდა კრედიტებს. 1894 წლიდან სახელმწიფო ბანკი აქტიურად ჩაება ნავთობის საექსპორტო ოპერაციებში. გარკვეული პროცენტით კრედიტს უხსნიდა ადგილობრივ და უცხოელ ვაჭარ-მრეწველებს. განყოფილების ოპერაციები სწრაფად გაფართოვდა 1902 წ. მისი ბრუნვა აქტივი და პასივი უდრიდა 84 მლნ. 1904 წელს კი 141 მლნ. რუბლს. ((Батумь и его окрестности, Бат. 1906 стр. 429-430).

1890 წ. 20 თებერვალს ბათუმში გაიხსნა თბილისის კომერციული ბანკის განყოფილება 5-6 კაცის შემადგენლობით. ბანკისათვის აშენდა სპეციალური შენობა დონდუკოვო-კორსაკოვისა (კ. გამსახურდიას) და მარინსკი პრ. (მ. აბაშიძის გამზირი) კვეთაში. 1900 წელს. ბანკის მმართველი იყო ი. მ. ხუდადოვი. პირველ ხანებში ბანკი არ აწარმოებდა ვექსილების აღრიცხვას, 1894 წლიდან განყოფილებასთან შეიქმნა სააღრიცხვო კომიტეტი. ამ დროიდან განყოფილებამ დაიწყო ვექსილების აღრიცხვა, რამაც შესაძლებელი გახადა მოგება 800-დან 900 ათას მანეთამდე გაზრდილიყო. ბანკი ღებულობ-

და ანაბრებს რუსულ ვალუტაში, ორგანიზებას უწევდა სასაქონლო-სასესხო ოპერაციებს. გირაოდ ღებულობდა უძრავ-მოძრავ ქონებას, გამძლე პროდუქციას და კრედიტებს უხსნიდა ნავთის მრეწველ-ექსპორტიორებს. მისი კლიენტები ნავთობის პროდუქტებს გზავნიდნენ დასავლეთ ევროპის დიდ ქალაქებსა და სხვა მნიშვნელოვან სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში. თბილისის კომერციული ბანკის განყოფილების მეანაბრე მრავალი ბათუმელი გახდა. მოქალაქეებს საშუალება ჰქონდათ განყოფილების მეშვეობით შეეძინათ (გადაეცვალათ) უცხოური მონეტები, ფასიანი ქაღალდები. 1902 წელს თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილების საერთო ბრუნვამ შეადგინა 172 მლნ. რუბლი (Батумъ и его окрестностям. 1906:421-423).

1896 წ. ბათუმში გაიხსნა სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის განყოფილება, რომელიც მდებარეობდა მარინსკი პრ. და შერემეტიევის ქუჩების კუთხეში ძმები ივანიანების სახლში (ამჟ. მ. აბაშიძის და ლ. ასათიანის ქუჩების კვეთა) (Всеобщий адресь эжегодникъ города Батума, 1902:93) ბანკის მმართველი იყო ს. იახტენკოს.

ბანკს კლიენტებად ჰყავდა აგრეთვე ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის სამტრედიის ვაჭარ-მრეწველები და სხვა საქმიანი ადამიანები. მის კომერციულ ოპერაციებში მთავარი ადგილი ეკავა თამასუქების აღრიცხვა-განაღდებას, საქონლისა და ფასიანი ქაღალდების გირაოთი მოკლევადიანი სესხების გაცემას, განყოფილების კრედიტებით ფართოდ სარგებლობდნენ ქუთაისის გუბერნიაში დამზადებული აბრეშუმის პარკის შემსყიდველი ვაჭრები, რითაც ისინი ახერხებდნენ ამ ნედლეულზე შედარებით მაღალი ფასების შენარჩუნებას და დასავლეთ ევროპაში (მარსელი, მილანი) სარფიანად განაღდებას. განყოფილებას გახსნილი ჰქონდა სპეციალური ანგარიშები, აწარმოებდა უცხოეთში ფულის გადარიცხვას, ყიდულობდა და ყიდდა ფასიან ქაღალდებს. სამხრეთ რუსეთის ბანკის ბათუმის განყოფილება არ დასჯერდა საბანკო-საკრედიტო ოპერაციებს და ჩაება ქალაქის სამრეწველო ცხოვრებაში. შეიძინა მიწის ნაკვეთი, გამართა ნავთობის ტარის დამამზადებელი ქარხანა. 1898 წ. ბანკის განყოფილებამ ხელი მოჰკიდა ექსპორტსაც. საამისოდ ბათუმში გამართა საწყობები, იჯარით აიღო რკინიგზის პლატფორმა და ნავმისადგომი. მას ყოველწლიურად დასავლეთ ევროპასა და აზია-აფრიკაში გაჰქონდა რამდენიმე მილიონი ყუთი მარგანეცი. ამ გზით იგი საბანკო მოგებასთან ერთად სავაჭრო მოგებასაც იღებდა. (ა. ბენდიაშვილი გვ.264).

ბათუმის წვრილმა ვაჭარ-მრეწველებმა და სხვა მესაკუთრეებმა თავიანთი ინტერესების დაცვის მიზნით 1895 წ. 4 მარტს დაარსეს საურთიერთო საკრედიტო ბანკი, ბანკი მდებარეობდა მარინსკი პრ. სტეფანოვის სახლში (Н. Гурская გვ.75) ხოლო 1902 წლიდან ბანკი გადავიდა საკუთარ შენობაში მარინსკის და ერისთავის ქუჩების კვეთაში (ამჟამად მ.აბაშიძის ქ.# 15 და მ. მაზნიაშვილის ქ.#6) მდებარე შენობა (Батумъ иего окрестности въ описаний Н. Веру, стр. 61). ამ ბანკის დაარსების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ქ.ბათუმის თვითმმართველობის წევრმა გრიგოლ ვოლსკიმ და მდივანმა ივანე მესხმა. დ. კლდიაშვილის წიგნში "ჩემი ცხოვრების გზაზე" ვკითხულობთ: "ვოლსკი და მესხი იმდენს ეცადნენ, რომ გახსნეს თითქმის მხოლოდ ქართველებისაგან შემდგარი საურთიერთო კრედიტის საზოგადოება. დიდად აითვალწუნა ეს საზოგადოება თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილებამ, მაგრამ დაუღალავმა მეცადინეობამ თავისი გაიტანა და დაარსებული საკრედიტო საზოგადოება წარმატებაში შეჰყავდათ ხელმძღვანელებს, ნდობას პოულობდა და თავის მიზანს ნელნელა აღწევდა _ აწვდიდა კრედიტს საშვალო ხალხს. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეული იყო მდიდარი, განათლებული, განვითარებული ებრაელი შპოლიანსკი. ამის მიმხრობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საკრედიტო საზოგადოებას. საქმის მცოდნემ, გავლენიანმა ებრაელმა, წახალისებულმა იმ პატივისცემით, რომლით ეგებებოდნენ მას ქართველები, მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ბანკი" (დ. კლდიაშვილი "ჩემი ცხოვრების გზაზე". ბათ. 1984 გვ. 53).

ურთიერთდამკრედიტებელი საზოგადოების დამფუძნებელ წევრთა 55% იყო ვაჭარი, 22% სახლმფლობელი, 18%-მდე მოხელე, 4% ხელოსანი. მოკლევადიან სესხად გაიცემოდა ერთ კაცზე მაქსიმუმ 2500

რუბლი, რაც სრულებით არასაკმარისი იყო ვაჭარ-მრეწველებისათვის. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რომ მოსახლეობის ეს ფენა დასახელებულ საზოგადოებაში არ გაწევრიანებულა. ბათუმის "ურთიერთდამკრედიტელი საზოგადოება" თავის წევრებს აძლევდნენ მოკლევადიან სესხებს დაგირავებული ქონების ღირებულების 40-60%-ის ოდენობით. საზოგადოებას საკმაოდ ბევრი მეანაბრე გაუჩნდა, რამაც განაპირობა ძირითადი კაპიტალის მობილიზაცია და საკრედიტო ოპერაციების გაფართოება. საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ოპერაცია იყო ვექსილების აღრიცხვა-განაღდება. 1895 წ. აღირიცხა 158 ათასი რუბლის ვექსილი, 1897 წ. 61 ათასი რუბლის, 1900 წ. 1,2 მლნ, 1902 წ. 1,5 მლნ. რუბლის ვექსილი. საზოგადოებამ სესხად გასცა 39512 რუბლი. 1903 წ. – 100 ათასი რუბლი. 1901 წ. საკრედიტო საზოგადოების მოგება შეადგენდა 15079 რუბლს (ა. ბენდიანაშვილი გვ. 265).

ბათუმის ოლქში საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებდა აგრევე შეერთებული ბანკის ბათუმის განყოფილება, რომელიც მდებარეობდა მიხაილოვის ქუჩაზე შპოლანოკის სახლში (Батумское пабережье южная колхида, 1913:2) (ამჟამად ზ. გამსახურდიას ქ.# 12, ა. კოსტავას ქ. #14 (კუთხე) და რუსეთ-აზიის ბანკის ბათუმის განყოფილება, რომელიც მდებარეობდა მარინსკისა და დონდუკოვო-კორსაკოვის ქუჩის კუთხეში მდებარე საბაევის სახლში (ამჟ. მ.აბაშიძის ქ.#20. კ. გამსახურდიას ქ.#11 კუთხეში მდებარე შენობა (Батумское побережье გვ. 21) ასევე თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკებიც. მათში მიწას აგირავებდნენ და სესხებს იღებდნენ ადგილობრივი მემამულეები. ამავე ბანკებში ბათუმელი მოქალაქეები აგირავებდნენ სახლებს, სხვა უძრავ ქონებას. 1914 წლისათვის თბილისის საადგილმამულო ბანკს ბათუმის ოლქის მოსახლეობაზე სესხად ჰქონდა გაცემული 2,2 მლნ. რუბლი (ბენდიანაშვილი, 2008:264).

ეკონომიკური კრიზისისა და პირველი რევოლუციის წლებში, როცა ნავთის ტარის ქარხნები დაიხურა და ნავთობის ექსპორტი მინიმუმამდე შეიკვეცა, ბანკების და მათი განყოფილებების ოპერაციები საგრძნობლად შემცირდა. 1910 წლიდან კი, როცა შესამჩნევი გახდა სამთო-მეტალურგიული მრეწველობის აღმავლობა, თამბაქოს, აბრეშუმის, მატყლის და სხვა ნედლეულის საექსპორტო ოპერაციების გაფართოება, საბანკო-საკრედიტო ოპერაციები კვლავ გააქტიურდა XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე. ბათუმის ოლქშიც გამომჟღავნდა სამრეწველო, სავაჭრო და საბანკო კაპიტალის დაახლოების, მათი შერწყმის ტენდენცია (ა. ბენდიანაშვილიგვ. 265).

ლიტერატურა

1. ა. ბენდიანაშვილი, ვაჭრობა და საბანკო-საკრედიტო ურთიერთობანი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი, 2008 წ
2. დ.კლდიაშვილი "ჩემი ცხოვრების გზაზე", ბათ. 1984.
3. Н. Гурская Путеводитель и справочная книжка по гор. Батуми и окрестностям. Тифл. 1901.
4. Батумъ и его окрестности въ описание И. А. Веру. Бат. 1910.
5. Батумъ и его окрестности. Бат. 1906
6. Всеобщй адресъ ежегодникъ гор. Батума на 1902 года съкратким очеркомъ истории Батумского края Н. С. Державина Бат. 1902.
7. Батумское побереже Южная колхида краткий практический путеводитедь С.С. Соловнина, Бат., 1913.

საერთიერთო საკრედიტო ბანკი
ამჟამად მ. აბაშიძისა (№ 15)
და მ. მაზნიაშვილის (№6)

საბაევის სახლი სადაც მოთავსებული იყო
რუსეთ-აზიის ბანკის ბათუმის განყოფილება
მ. აბაშიძის 20 კ. გამსახურდიას 11 (კუთხე)

ივანიანების სახლი, სადაც მოთავსებული იყო
სამხრეთ რუსეთის სამრეწველო ბანკის
ბათუმის განყოფილება
(მ. აბაშიძისა და ლ. ასათიანის ქუჩების კვეთა)

სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება
კ. გამსახურდიას ქ. №10

შპოლიანსკის სახლი, სადაც მოთავსებული იყო
შეერთებული ბანკი. ზ. გამსახურდიას ქ.№ 12,
ა. კოსტავას ქ. №14 (კუთხე)

თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის
განყოფილება. მ. აბაშიძის გამზირი №25

საშა ლეკვეიშვილი

ქართული სახალხო სკოლები აჭარაში და ველიკორუსული შოვინიზმი

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით გამოეხმაურა ქართველი საზოგადოებრიობა. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი გაზეთ "ივერიის" ფურცლებიდან მიესალმა თავის ბუდეში დაბრუნებულ ძმებს:"..ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი ერთად "მებრძოლი შავის ბედისა", ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოექცევიან, ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება სამუდამოდ".

ქართველი საზოგადოებრიობა ეძებდა ქართველ მაჰმადიან ძმებთან დაახლოების გზებსა და საშუალებებს. პროგრესულად მოაზროვნე ქართველებმა გადაწყვიტეს, რომ "..მათ სულსა და გულს მხოლოდ-ღა წიგნი აღადგენს, და როდესაც ამ წიგნს ზედ დაერთვის ქრისტიან ქართველთა ცხოველი სიტყვა, მაშინ მაჰმადიანი ქართველები - აჭარა, სულითა და გულით მოეფუფუნება თავის მომმე ქრისტიან ქართველობას"..

ახლად შემოერთებული აჭარის მოსახლეობის ცხოვრების პირობები არც ცარიზმის პერიოდში გაუმჯობესებულა. აჭარამ დანარჩენ საქართველოსთან ერთად იგემა ცარიზმის რეჟიმის კოლონიური ქვეყნის ჩაგვრის სიმძიმე და მწარე ბედი.

ქართველი ინტელიგენცია, მართალია, ბევრს არ მოელოდა რუსეთის მთავრობისაგან, მაგრამ მთლად იმედგაცრუებული გაზეთ "დროებაში" წერდა: "..ჩვენ მოველოდით რუსის მმართველობისაგან შემდგომს მოწყალებას: შთამომავლობით ჩვენდამი კუთვნილის მიწა-ადგილის დამტკიცებას, სარწმუნოების და რჯულის შეუხებლობას, ჩვენის ენისა და ჩვეულების მცოდნე პირთა მმართველად დანიშვნას.. მაგრამ ვერც ერთი ნიშანი მოწყალებისა ვერ დავინახეთ".

რუსეთის მთავრობამ აჭარაში, ისე როგორც სხვა მის მიერ დაპყრობილ კუთხეებში, რუსული სკოლების გახსნა დაიწყო, რასაც მოსახლეობა უარყოფითად შეხვდა. აჭარაში განათლების სფეროში რუსიფიკატორული პოლიტიკის მიზანი იყო, ხელი შეეშალათ ეროვნული – ქართული სკოლების გახსნისათვის.

პროფესორი მედინსკი წერდა: "სახელმწიფო საბჭოში განათლების პროექტის განხილვის დროს იქედან ამოღებული იქნა პუნქტი, რომლის მიხედვითაც არარუსულ ადგილობრივ მოსახლეობაში სწავლება უნდა დაწყებულიყო მშობლიურ ენაზე, მის ნაცვლად სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე უნდა ყოფილიყო და მოსწავლეთათვის უნდა მიეცათ საერთო რუსული ცოდნა და არა მშობლიური".

ასე დაიწყო განვითარება ველიკორუსულმა შოვინიზმმა, რომელიც შემდეგში კიდევ უფრო გაძლიერდა და მტკიცედ გაიდგა ფესვები.

ბათუმში სამოქალაქო სასწავლებლის გახსნის პირველი მცდელობა, ჯერ კიდევ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებამდე, ეკუთვნის რუსეთის ვიცე კონსულს ჯიუდიჩს. მან საჯარო ვაჭრობაზე იყიდა მიწის 12 ნაკვეთი სკოლის მშენებლობისათვის. რა თქმა უნდა, იგი ეროვნული - ქართული სკოლა არ იქნებოდა, მაგრამ მცდელობა იმისა, რომ გაეხსნა საერო სკოლა, წინ გადაგმული ნაბიჯი იყო იმ პერიოდისათვის.

1879 წლის ოქტომბერში სამხედრო გუ–ბერნატორმა გენერალმა ნ. კომაროვმა კავკასიის მეფისნაცვლის თანხმობის შემდეგ გამოთქვა სურვილი ბათუმში გახსნილიყო სამოქალაქო სასწავლებელი.

1880 წლის 22 მაისს ისევ წამოიჭრა საკითხი ბათუმში სამკლასიანი სასწავლებლის გახსნის თაობაზე, მაგრამ ვინაიდან თანხები და შენობა ვერ გამოინახა, სასწავლებლის გახსნა გადაიდო.

ბევრი ძებნის შემდეგ სასწავლებლისათვის დროებითი შენობა გამოინახა. ეს იყო ბახმეტიევის სახლი მიხაილოვის (ახლ. 9 აპრილის) ქუჩაზე. ამგვარად, პირველი სამკლასიანი სასწავლებელი ბათუმში გაიხსნა 1880 წლის 1 სექტემბერს. სასწავლებლის ინსპექტორ-მასწავლებლად დაინიშნა ვ. ბოგდანოვი, ხოლო მასწავლებლად – დ. ზედგინიძე. სწავლება რუსულ ენაზე იყო. სამი წლის მანძილზე ამ სკოლისათვის გამოიყო 3500 მანეთი, რომლითაც სასწავლებელთან გაიხსნა სახელოსნო განყოფილება დურგლისა და ზეინკლის პროფესიის შესასწავლად.

1880 წელს გაიხსნა ივანოვის კერძო სკოლა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სკოლები იხსნებოდა და მალევე იხურებოდა. მათში მოსწავლეთა კონტიგენტი 5-დან 14-მდე იყო, ძირითადად ერთკლასიანი ან ორკლასიანი და ფაქტიურად წარმოადგენდა მოსამზადებელ კლასებს გიმნაზიისა და საქალაქო სასწავლებლისათვის. მათი რიცხვი არც ისე ბევრი იყო და დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

რუსულენოვანი სკოლები მიუღებელი იყო ქართველი მაჰმადიანებისათვის. მათთვის არც ოსმალური იყო მშობლიური და არც რუსული. ამიტომ როგორც სერგეი მესხი წერდა "..ახლად შემოერთებულს ოსმალეთის საქართველოში რაც შეიძლება ბევრი და კარგი შკოლები უნდა გაიხსნას და უეჭველად ქართული შკოლები, ე.ი.ისეთები, რომლებშიაც ყველა საგნების სწავლა ქართულს ენაზედ იყოს, რადგან ეს ენა ყველა იმათთვის მშობლიურია, ყველასათვის გასაგები ენაა".

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, დავით კლდიაშვილი და სხვები ქართველ მაჰმადიანთა წინსვლაში მთავარ როლს აკუთვნებდნენ განათლებას - ქართული წერა-კითხვის გავრცელებას აჭარაში. ამისათვის საჭირო იყო გახსნილიყო დაწყებითი სკოლები. შერჩეულიყო მათთვის ქართველი პედაგოგები.

1880 წლის 14 ივნისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ წერილით სთხოვა ნიკოლოზ ცხვედაძეს გამგზავრებულიყო ბათუმში და შეესწავლა რა პირობებში და როგორ შეიძლებოდა გახსნილიყო სკოლა. ნიკო ცხვედაძემ მოცემული სკოლის გეგმა გააცნო ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-მაიორს ნ. კომაროვს, რომელმაც ამავე წლის 28 ივლისს აცნობა, რომ გასცა განკარგულება ქალაქის ტერიტორიაზე სკოლისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის გამოსაყოფად.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დავით ბაქრაძეს დაავალა სკოლისათვის გამოსადეგი ბინის დაქირავება ბათუმში, მან მაშინდელ "ახმედიეს" უბანში ვინმე გამბაროღლის სახლი შეარჩია 260 მანეთად. მეპატრონეს სახლის გაქირავების ქაღალდი დაუწერია 1880 წლის 28 ოქტომბერს და ბედ დავით ბაქრაძისაგან 50 მანეთი მიუღია.

1880 წლის დეკემბერში სკოლის მასწავლებლად მოწვეული იქნა სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალექსნდრე ნანეიშვილი. ამავე დროს სასწავლო ოლქის მზრუნველს გაეგზავნა თხოვნა დაემტკიცებინა "ბათუმის დაწყებითი სახალხო სკოლა მესამე თანრიგისა", 60 ქართველი ბავშვისათვის სარწმუნოების მიუხედავად. სკოლა იქნებოდა ერთკლასიანი, სწავლების ოთხწლიანი კურსით. სწავლა უნდა დაწყებულიყო 1881 წლის იანვრისათვის. იქვე მინიშნებაც იყო, რომ სკოლაში რუსული ენის სწავლება იწყებოდა მხოლოდ სწავლების მესამე წლიდან, ანუ მესამე განყოფილებიდან, რაც იმ დროისათვის მნიშვნელოვანი პროგრესიც იყო და დიდი რისკიც.

ერთი თვის შემდეგ სასწავლო ოლქის მზურველმა პ.იანოვსკიმ გაუგზავნა პასუხი ილია ჭავჭავაძეს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ იგი ბათუმის მომავალ ქართულ სკოლას 1879 წლის დებულების თანახმად განიხილავს როგორც კერძო სასწავლებელს და მისი აზრით მას უნდა ეწოდოს არა "ბათუმის სახალხო სკოლა", არამედ "ქართული კერძო ერთკლასიანი სასწავლებელი მესამე თანრიგისა". პ.იანოვსკი ითხოვდა, რომ რუსული ენის შესწავლა დაწყებულიყო სწავლების პირველი წლის მეორე ნახევრიდან და უნდა დათმობოდა ყოველდღიურად ნახევარი ან სამი მეოთხედი საათისა.

მიუხედავად პ.იანოვსკის ასეთი მოთხოვნისა ბათუმის სკოლას ეწოდა "სახალხო" და არა კერძო. არც რუსული ენის სწავლებას დათანხმებია პირველი წლიდან. ბათუმის პირველი ქართული სკოლა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ 1881 წლის 22 მარტს გახსნა. საჭირო იყო ისეთი მასწავლებელი, რომელიც ქართველების მოყვარული იქნებოდა, ქართული კარგად ეცოდინებოდა და ამავე დროს გარკვეული გავლენა ექნებოდა ადგილობრივ ქართველ მაჰმადიან მოსახლეობაში. ამ საკითხზე საუბარი ჰქონდა სკოლის გახსნაზე ჩამოსულ ილია ჭავჭავაძეს ხუსეინ აბაშიძესა და ნური ხიმშიაშვილთან ხუსეინ ბეჟან-ოღლის სახლში. საუბარს ესწრებოდა ბათუმის "უჩასტკის" უფროსი ლ.გაბუნია.

1881 წლის 12 სექტემბერს სკოლა მოინახულა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა პ.იანოვსკიმ, რომელსაც ახლდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი - ორლოვი. სტუმრებმა ყურადღება გაამახვილეს რუსული ენის სწავლებაზე და რა თქმა უნდა, კმაყოფილები არ წასულან.

1882 წლის 15 ივლისს ბათუმის ქართული სახალხო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა მოსე ნათაძე. მალე მან საზოგადოების გამგეობას აცნობა, რომ მაჰმადის სჯულის მასწავლებლად მოიწვია მაჭახელაში მცხოვრები ხოჯა სულეიმან ეფენდი. ასეთმა ღონისძიებამ შედეგი გამოიღო. გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი.

1884 წლის ივნისში ბათუმის სკოლა მოინახულა ივანე მაჩაბელმა და ნიკო ცხვედაძემ. სკოლის მუშაობის გაცნობის შემდეგ საჭიროდ ჩათვალეს სკოლაში კერძო კომიტეტის ანუ მზრუნველობის შემოღება.

სამზრუნველო კომიტეტის პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: ეკატერინე ერისთავი (თავ-რე), პელაგია მიქელაძე (თავ-რის ამხანაგი), მელიტონ ლორთქიფანიძე (თავ-რის კანდიდატი), ეგნატე გედევანიშვილი (ხაზინადარი), დავით კობიევი (მდივანი), დავით ჩხეიძე (ვიცე პოლკოვნიკი), ხუსეინ აბაშიძე და სხვა.

მოლა-ხოჯები მოსახლეობაში თავისი პროპაგანდით შიშს თესავდნენ. ისინი მოუწოდებდნენ შვილები არ მიეყვანათ სკოლაში, თორემ გაქრისტიანდებოდნენ და ამას ალაჰი არ გაპატიებთო. ამის გამოც იყო, რომ სკოლაში ქართველ მაჰმადიანთა შვილები ნაკლებად დადიოდნენ.

ეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ილიას, როცა წერდა, რომ აჭარაში სკოლები უნდა გაიხსნას "..ისეთი სიფრთხილით, იმისთანა თვალ-გაფაციცებით, იმისთანა წინმხედველობით, რომ მიზეზი არ მისცეს კაცს აფიქრებინოს, რომ განათლების და სწავლების მეტი აქ სკოლას სხვა რამე წადილიცა აქვს".

დიდი ბრძოლისა და დავის შემდეგ წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქალაქის თვითმმართველობამ გამოუყო სკოლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი შაუმიანის (ახლ. დემეტრე თავდადებულის) ქ.#49. სკოლის შენობის გეგმა შეადგინა საზოგადოების გამგეობამ და დაამტკიცებინა მთავრობას.

1893 წლის ივნისში დაიწყო ბათუმის ქართული სახალხო სკოლის საკუთარი შენობის მშენებლობა. ჟურნალი "მოამბე" წერდა: "უნდა გამოვსტყდეთ და ვსთქვათ, რომ ბათუმელი ქართველები სრულიად არ გვანან სხვა ქართველებს. ყველა ესენი მტკიცედ შეკავშირებულან.. – ამ ძმურისა და გაერთიანებულის ძალით ააგეს ბათუმელმა ქართველებმა ტაძარი მეცნიერებისა.. დიდი ხნის ნატვრა მათი შესრულდა და კურთხევა ქართული სასწავლებლისა.. მოხდა ცხრამეტსა ამა ნოემბრისასა.

1902 წლის 14 დეკემბერს სახალხო სკოლების ინსპექტორმა სუდაკოვმა მეორედ ინახულა ბათუმის სკოლა და გამგეობას მოსთხოვა სკოლის ყველა კლასში ჩამოეკიდათ ხელმწიფის სურათი.

ბათუმის ქართული სახალხო სკოლა წარმოადგენდა ისეთ დაწესებულებას, რომელიც ქართულ ენასა და ქართულ კულტურას ავრცელებდა მაჰმადიან ქართველებში. ამ სკოლამ საგულისხმო ეროვნულ-კულტურული როლი შეასრულა აჭარელთა შეგნებაში პატრიოტული გრძნობის გასაღვივებლად. მან ხელი შეუწყო აჭარის საქართველოსთან "სულით და გულით" შეერთებას.

1881 წლის ოქტომბერში ბათუმში გაიხსნა პირველი ქალთა სამკლასიანი სასწავლებელი, ძველ თურქულ სახლში მაშინდელი თბილისის (ახლ.ბარათაშვილის) ქუჩაზე. 1889 წლამდე სკოლა არსებობდა ქალაქის ხარჯზე, ხელმძღვანელობდა მზრუნველთა საბჭო კ. სევერინას თავმჯდომარეობით. უნდა აღინიშნოს, რომ კ.სევერინა განათლების გავრცელების საქმეს დიდად უწყობდა ხელს. ამავე დროს გამოირჩეოდა საქველმოქმედო საქმეებითაც.

ქალთა სასწავლებლის ძველი შენობა ხანძარმა გაანადგურა, რის შემდეგ იგი გადავიდა საქალაქო სახლში. აქედან კი აზიზიეს (ახლ. თავისუფლების) მოედანზე მდებარე მართლმადიდებლურ ეკლესიაში, ხოლო 1889 წლიდან მთლიანად გადავიდა თვითმმართველობის გამგებლობაში. სკოლას ამ დროიდან ხელმძღვანელობდა სასკოლო კომისია თვითმმართველობის წევრის დ. ბიკოვის თავმჯდომარეობით. 1890 წლის 9 მაისს ბათუმის ქალთა სამკლასიან სასწავლებელს ეწოდა მარინეს (მარიინსკაიას) სახელი. ამავე წლის 1 სექტემბერს გადავიდა

საკუთარ შენობაში სმეკალოვისა და ზღვის (ახლ.რუსთაველის და 26 მაისის) ქუჩების კუთხეში.

მარინეს (მარიინსკის) ქალთა სასწავლებელი იყო უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის ტიპის და ექვემდებარებოდა იმპერატრიცა მარიას სასწავლო უწყებას. სასწავლებლის უფროსი იყო მარია გრიუნეკი. მასწავლებლები: ე. იანკოვსკაია, ვ.ნაუმოვა, ო.ლოგინოვა და სხვა. სწავლის გადასახადი წლის მანძილზე იყო 20 მანეთი. ქართული-მშობლიური ენა არ ისწავლებოდა.

1881 წელს ბათუმში გაიხსნა სამკლასიანი საქალაქო სასწავლებელი, რომელიც მალე გადაკეთდა ექვსკლასიან სასწავლებლად, 1888 წელს ქალაქის თვითმმართველობამ სასწავლებელს აუშენა ორსართულიანი ქვის შენობა შეპელიოვისა და ბაზრის (ახლ. ვაჟა ფშაველას და ზ. გორგილაძის) ქუჩების კუთხეში. მოსწავლეთა რაოდენობა 200-დან 250-მდე იყო. სკოლადამთავრებულები მუშაობდნენ უბრალო ჩინოვნიკებად-სამხედრო სამსახურსა თუ სხვა უწყებებში. იშვიათი გამონაკლისი მიდიოდა სწავლის გასაგრძელებლად.

ბათუმის საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებლის საპატიო ზედამხედველი იყო ე.ბერძენიშვილი, ინსპექტორი პ.ვოევოდა, მასწავლებლები: ვ.ჯაყელი, ი. პანკრატოვი, კ.ზალენსკი, ი.იანჩენკო, ა.ჩველინსკი და სხვა.

1884-1885 სასწავლო წლისათვის სასწავლებელს უკვე ჰქონდა ბიბლიოთეკა, ხოლო 1910 წლისათვის მუზეუმიც.

ცარიზმის მოხელეები აჭარაში, ძირითადად ბათუმში, ხსნიდნენ რუსულენოვან დაწყებით სკოლებს, სადაც სწავლება შერეული ხასიათისა იყო. ე.ი. ყველა ან რამდენიმე კლასი ერთად სწავლობდა. დაწყებით სკოლებს მაშინ ელემენტარულ სკოლებს ეძახდნენ იმის მიუხედავად ვის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა.

ამ პერიოდში არსებობდა შემდეგი ტიპის სკოლები: 1. საქალაქო-სახელმწიფო, 2. სასოფლო, 3. საეკლესიო-სამრევლო, 4. რკინიგზის, 5. საზოგადოებრივი და 6. კერძო სკოლები, რომელთაც ჰქონდათ თანრიგები, ე.წ. ”რაზრიადები” და იწოდებოდნენ, მაგ.: კერძო სკოლა პირველი, მეორე ან მესამე და ა.შ. “რაზრიადის”- თანრიგის მიხედვით.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თქმით სასწავლო გეგმები დაწყებით სკოლებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის კავკასიის სასწავლო ოკრუგში, გათვლილი იყო იმის გათვალისწინებით, რომ რაც შეიძლება სწრაფად დანერგილიყო მოსახლეობაში რუსული კულტურა და რუსული მოქალაქეობა. ეს გეგმა მოწონებული და დამტკიცებული იქნა კავკასიის მეფისნაცვლის მიერ. აქედან გამომდინარე აჭარის დაწყებით სკოლებში, რომელიც გახსნილი იყო მეფის რუსეთის მოხელეთა მიერ, ისწავლებოდა შემდეგი საგნები: რუსული, საეკლესიო, სლავიანური კითხვა, ღვთის კანონი, ოთხი არითმეტიკული მოქმედება, სუფთა წერა და სიმღერა. იქ, სადაც მუსულმანური სარწმუნოების მქონე ბავშვები (ქართველ მაჰმადიანთა) სწავლობდნენ, ისწავლებოდა არა ქრისტიანული, არამედ ისლამის სჯული.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა იქამდეც კი მივიდა, რომ სკოლებში რუსულის სწავლების დროს აიკრძალა ტექსტის მშობლიურ ენაზე თარგმნა. მას ემსახურებოდა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის ლევიტსკის მიერ ქართველი ბავშვებისათვის შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო, რომლის მიხედვით რუსული ენის სწავლება უნდა წარმართულიყო “ბუნებრივი” ე.წ. “ნატურალური” მეთოდით. ამ მეთოდის მიხედვით რუსული ენა ბავშვებს უნდა ესწავლათ მშობლიური ენის დაუხმარებლად – თარგმანის გარეშე. ამის შესახებ მეფის რუსეთის განათლების მინისტრი გლაზოვი 1905 წელს ნიკოლოზ მეორეს წერდა: ”მოსწავლეების მშობლიური ენა თანდათანობით განდევნილი იყო ე.წ. “ნატურალური მეთოდის” შემოღებით. ასე რომ კავკასიის სასწავლო ოლქის 2 086 დაწყებითი სასწავლებლებიდან რუსული ენის შესწავლისას მშობლიური ენის გამოყენება 150 სკოლაში იყო დაშვებული”.

სწავლების ამ “ნატურალურ მეთოდს” ქართველებმა სამართლიანად უწოდეს “მუნჯური” მეთოდი, რომელიც სკოლებიდან გაძევებული იქნა 1906-1907 წლებში.

ასეთი სწავლების წინააღმდეგი იყო ქართველი ინტელიგენცია “მთავარი იარაღი კულტურული აღორძინების ნაციონალური შკოლაა და ჩვენც მოვინდომეთ ამ იარაღით შესვლა აჭარაში. აქ კი წინ გადაგვეღობა

ადგილობრივი ადმინისტრაცია და გამოგვიცხადა: აჭარელი ხომ ქართველი არ არის, მისი შკოლა რუსული უნდა იყოს და არა ქართულიო. დაიწყეს რუსულ ენაზე სწავლება, რამაც კიდევ უფრო აურია დავთარი ქართულად მოლაპარაკე აჭარლებს. მათ ვეღარც რუსული ისწავლეს, ვეღარც ქართული... აჭარელი ქართველებს უფრო ნდობით ეპყრობა, ვინემ რუსსა და რუსულს. რუსულმა სკოლამ ქართული კულტურა მასში არ შეუშვა, ხოლო რუსული კი ვერ შეიტანა და ასე ქართველი მაჰმადიანობა დღემდე იდგა ორ წყალს შუა, ორ მისთვის გაუგებარ კულტურას შორის. ოსმალურის და რუსულის. მისთვის ორივე უცხოა, ორივე შორეულია. ერთადერთი მისი გზა და ხიდია ქართული სკოლა. რუსული კულტურის შეტანა, რუსეთთან მჭიდროდ დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ ქართული ენისა და ქართული სკოლის საშუალებით", – წერდა გაზეთი "ძმური სიტყვა".

ბათუმში მრეწველობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა კადრების მომზადების საკითხი – სახელოსნო სასწავლებლის გახსნის აუცილებლობა. 1886 წლის 14 ნოემბერს სასწავლო განათლების ინსპექტორი წერდა სახელმწიფო მდივანს, რომ შეეტანა წინადადება სახელმწიფო სათათბიროში ბათუმში ვაჟთა პროფესიული სასწავლებლის დაარსების შესახებ.

სასწავლებელი გაიხსნა 1889 წლის ოქტომბერში. ინსპექტორი იყო ი.კოლოდიევი, მასწავლებლები: დ.ჩუბარი, ა.ვილგელმსონი, ვ.კუკლინსკი, ს.ერმანი, მ.პეტრენკო და სხვა. თვითმმართველობის გადაწყვეტილებით სახელოსნო სასწავლებელს გადაეცა 1887 წელს სპეციალურად საქალაქო სასწავლებლისათვის აშენებული შენობა ბულვარის (ახლ.-ნინოშვილის) ქუჩაზე. იქვე იყო შენობა მასწავლებლებისათვის და მოსწავლეთათვის პანსიონი. სახელოსნო სასწავლებლისათვის შესყიდული იქნა 2.129 მანეთის მოწყობილობა, აქედან 17 დაზგა. იგი ექვემდებარებოდა კავკასიის სასწავლო ოლქის ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების განყოფილებას.

ეს იყო პირველი და ერთადერთი სახელოსნო სასწავლებელი საქართველოში, სახელმწიფოს ხარჯზე. სასწავლებელში მიიღებოდნენ დაწყებითი სკოლის კურსდამთამთავრებულები. თავდაპირველად სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, მაგრამ 1901 წლიდან, ისე როგორც ყველგან, აქაც სწავლება რუსულ ენაზე შემოიღეს. სადურგლო, საზეინკლო, სახარატო და საჩამომსხმელო საქმესთან ერთად ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეომეტრია, ფიზიკის ელემენტარული კურსი, ხატვა, სუფთა წერა, გალობა, ტანვარჯიში.

მართალია, სკოლები იხსნებოდა აჭარაში, მაგრამ მაჰმადიან ქართველთა შვილები ცოტანი სწავლობდნენ. ამით შეშფოთებული იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე ქართველები. შესაშფოთებელი მართლაც რომ იყო, თუ გავითვალისწინებთ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ანგარიშს, რომელშიც წერდა: "რუსული სკოლები თითქმის უმნიშვნელო რაოდენობითაა. მეჩეთებთან არსებული სკოლები, ე.წ. მედრესეები სულ 257-ია, რომლებიც არსებობენ ერთადერთი მიზნით - მხარი დაუჭირონ და განამტკიცონ მუსულმანური რელიგიური ფანატიზმი, დაიცვან იგი სხვა რელიგიური ელემენტებისაგან. ამიტომ საჭიროა გაიხსნას სკოლები ხაზინის ხარჯზე, რადგან მოსახლეობა, რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი, ჯერ კიდევ ამ სკოლებს უყურებს ინდიფერენტულად, არა მეგობრულად. არსებულ სკოლებში ბავშვები თითქმის არ მოდიან სასწავლებლად".

აჭარელ ბავშვებს არავინ ეკითხებოდა რა ენაზე სურდა სწავლა. ყველა თავისას აძალებდა: რუსები-რუსულს, თურქები-თათრულ-არაბულს. ბავშვები კი ძირითადად ქართულად ლაპარაკობდნენ. ამიტომ უფრო ქართული წერა-კითხვის შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი.

სკოლის გახსნის სურვილი არაერთხელ გამოუთქვამს ქობულეთის მოსახლეობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია გულო–აღა კაიკაციშვილის, დედე-აღა ნიჟარაძისა და სხვების აქტიურობა ამ მხრივ.

1875 წლის 17 დეკემბერს პირველად გამოჩნდა ქართულ პრესაში გულო კაიკაციშვილის წერილი: "თქვენო კეთილშობილებავ, ძია ქართველო მეგაზეთევ! მე მინდა, ძიავ შეგატყობინოთ ჩვენი ქობულეთის ამბავი, მარა ქართული წერა პაწაის მეტი არ ვიცი და იგიც, ძიავ, ბებიამ მასწავლა პაწიობას და მეშინია, რომ კარგათ ვერ მიგახთინო..

ახლა, ძიავ, ჩვენი ქობულეთის საქმე გლახათ არის..წერა ჩვენ არ ვიცით, კითხვა, კლასი არა გვაქ, ხელობა (ზანათი) არ ვიცით, არც ვინმე გვასწავლის".

გულო კაიკაციშვილს სჯეროდა, რომ ქართველი მაჰმადიანები ნიჭიერები არიან და "იგინი თუ ერთი გამოვიდნენ განათლების ასპარეზზე. მას შემდეგ მთელი ჩვენი ქვეყანა მალე გაივსება ჩვენი ნასწავლი შვილებით.. რაკი ესენი შეიგნებენ, რომ იგინი ქართველები არიან მას შემდეგ მთელი ჩვენი ერი სულ ქართულ გზასა და კვალს დაადგება, ყველგან ქართული ენა მკვიდრს საფუძველზე აღორძინდება".

ქობულეთში 1893 წელს ორკლასიანი სასწავლებელი გაიხსნა ვაჟებისათვის, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ერთკლასიანი სკოლა ქალებისათვის. ქობულეთლებმა რამდენიმეჯერ სთხოვეს სამოსწავლო მთავრობას – ქართული ენის სწავლება შემოეღოთ ადგილობრივ სკოლებში, მაგრამ ცივი უარი მიიღეს: "თქვენ თურქები ხართ, თქვენი დედა ენა თურქულია და ამიტომ ქართული არ გინდათო", - პასუხობდა ცნობილი დირექტორი კრუპსკი და არა ნაკლებ ცნობილი ინსპექტორი გასპარიანცი, მაგრამ ქართველობა იმედს არ კარგავდა, რომ ყოველნაირ დაბრკოლებას გადალახავდა და ქართულ სკოლას გაამარჯვებინებდა სამაჰმადიანო საქართველოში".

სკოლებში თითქოს ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, მაგრამ მასწავლებელთა ნაკლებობისა და რუსიფიკატორული პოლიტიკის აქტიური გაფართოების შედეგად, მაინც გაბატონებული მდგომარეობა რუსული ენის შესწავლას ეკავა.

ქართულ სკოლებს ხსნიდნენ კერძო პირებიც დაახლოებით 5-10-15 ბავშვისათვის. ერთ-ერთი მათგანი იყო ივანე ჯაიანი, რომელსაც ბორჩხალოში ჰქონდა პატარა სკოლა XIX ს. 90-იან წლებში. იგი ქართველ მაჰმადიანთა შვილებს უფასოდ ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას. ივანე ჯაიანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა აჭარაში ქართული წიგნების გავრცელების საქმეში.

ლუკა ანდღულაძე აჭარაში ვახმისტრად მუშაობდა. ზ. ჭიჭინაძე მის შესახებ წერდა: "აჭარწყალზედ მას აქვნდა სკოლა და ქართველ მაჰმადიანთა შვილებს მუქთათ ქართულ ანბანს და წერა-კითხვასაც ასწავლიდა. ასევე მან ასწავლა ქართული წერა-კითხვა ბევრს თავის ზავთიებსაც. წერა-კითხვის გარდა მათ საქართველოს შეგნების ცოდნითაც სწურთნავდა".

სამი წელი უმუშავია ნიკო ერისთავს ექიმად ართვინში, სადაც საკუთარი ინიციატივით მშვენიერი ხის შენობა აუშენებია სკოლისათვის მურღულში, სადაც 60-ზე მეტი ბავშვი სწავლობდა ქართულ წერა-კითხვას, რუსულს და საღვთო სჯულს.

1894 წელს აზიზიეს მოედანზე მდებარე წმ.მიხეილის სახელობის მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაიხსნა სამრევლო სკოლა კერძო პირის მიერ. სკოლაში მიიღებოდა ყველა ბავშვი სქესისა და რწმენის მიუხედავად. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი იყო. ძირითადად ასწავლიდნენ წერა-კითხვას და ღვთისმეტყველებას. მოსწავლეთა რაოდენობა 100-მდე იყო. სკოლის გამგე – ა. რალცევიჩი, მასწავლებლები: ნ. ზელსკი და ე. ნაუმოვა.

1898 წლის 1 სექტემბერს ქალაქის თვითმმართველობის ხარჯზე გაიხსნა ქალთა დაწყებითი სკოლა 50 მოსწავლით. გამგედ დაინიშნა დარია კეჟერაძე. სკოლას პირველი საქალაქო ქალთა დაწყებითი სასწავლებელი ეწოდებოდა.

1899 წლის 1 სექტემბერს ბათუმში გაიხსნა პირველი საქალაქო ვაჟთა დაწყებითი ერთკლასიანი სკოლა, რომელსაც რუსი პოეტის ა.პუშკინის საიუბილეო წელთან დაკავშირებით მისი სახელი ეწოდა. გამგედ დაინიშნა ფ.მგელაძე. 1902 წელს მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებით მოწვეული იქნა მასწავლებელი – ნ. მგელაძე. სკოლაში ისწავლებოდა ქართული ენა და ამან გამოიწვია მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა.

ცარიზმის გარუსების პოლიტიკის მიუხედავად სკოლების გახსნას, ობიექტური შედეგებით, პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. მცირედ, მაგრამ მაინც ხელს უწყობდა ქართული წერა-კითხვის გავრცელებას.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1897 წლის ბოლოსათვის ხულოში ნორმალური ორკლასიანი სასწავლებლის გახსნას. ამ პერიოდისათვის ეს სკოლა იყო ერთადერთი ქართული სკოლა ხულოში, რომელიც მთელ ზემო აჭარას ემსახურებოდა. სკოლას ყოველთვის ჰყავდა 10-15 მოსწავლე. 1898 წლის 15

იანვრიდან ხულოს სკოლაში ზედამხედველად და მასწავლებლად დაინიშნა ალექსანდრე მგელაძე, რომელიც არ იშურებდა თავის ცოდნასა და ენერგიას მაჰმადიანი ბავშვებისათვის ქართული წერა-კითხვა ესწავლებინა. ეს არ გამორჩენიათ მხედველობიდან იქაურ მოლა-ხოჯებს და 1902 წელს ალექსანდრე მგელაძე გამოაძევეს სკოლიდან.

ხულოს ორკლასიანი ქართული სკოლის შესახებ გაზეთი "ცნობის ფურცელი" წერდა: "..გასული წლის (1897) პირველი სექტემბრიდან ს.ხულოს დაუარსეს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, სადაც დანიშნული იყო მასწავლებლად სპარსელი ბ.ნასარი, რომელმაც ვერ წაიყვანა საქმე რიგიანად. მოწაფეები არც ერთი არ ჰყავდა და ვერც ხალხს შეუთვისდა, რომლის მიზეზის გამო მან დაანება აქაურობას და წავიდა. ალაჰმა უწყის სად.. ოთხი თავის შემდეგ დანიშნეს ბ.ა.მგელაძე, რომელმაც უცებ შეაგროვა ოცამდინ მოწაფეები.."

1908 წელს ხულოს სკოლაში მასწავლებლად გაგზავნეს ბართლომე მეგრელიძე. იგი დაუახლოვდა ადგილობრივ მოსახლეობას და მოიპოვა უმრავლესობის ნდობა. ამიტომ იყო, რომ ბავშვები სკოლაში დადიოდნენ. სასიხარულო და საამაყოც იყო, რომ ქართული, მშობლიური წერა-კითხვა ფეხს იკიდებდა ზედა აჭარაში.

1898 წელს აჭის მცხოვრებლებმა დაწყებითი ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა გახსნეს, რომელსაც სოფელი ინახავდა. მასწავლებელი იყო ნიკიფორე იობიშვილი. იგი მოსწავლეებისათვის საკუთარი ფულით ყიდულობდა სასწავლო ნივთებსა და სახელმძღვანელოებს. აჭის სკოლის მზრუნველები იყვნენ: ფიფონა კვესი-ოღლი, სულიკო მენაღარიშვილი, დურსუნ კეკი-ოღლი, ადგილობრივი ხოჯა-მოლა ახმედ ხაჯი-ოღლი.

ცარიზმი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მისი არსებობის ბოლო პერიოდამდე დაუნდობლად ებრძოდა ქართველ მოღვაწეთა მისწრაფებას აეღორძინებინათ აჭარაში ეროვნულ-პატრიოტული განწყობილება. ბათუმის რუსული პრესა შოვინისტურ იდეებს ქადაგებდა და ცდილობდა პროთურქული ელემენტების მოლა-ხოჯების საშუალებით გამუსლიმანებული აჭარის მოსახლეობა მომმე ქართველებისათვის დაეპირისპირებინა. ცარიზმი ყოველნაირად ცდილობდა საქართველოს და მათ შორის აჭარის რუსიფიკაციისათვის მიეღწია. ეს კარგად გამოჩნდა როცა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა პ.იანოვსკიმ 1881 წელს სკოლებს დაუგზავნა ცირკულარი, რომელიც ქართულის ნაცვლად რუსული ენის სწავლებას აწესებდა. მშობლიური ენა ცხადდებოდა არასავალდებულოდ და მას მხოლოდ დაბალ კლასებში ეთმობოდა საათების მცირე რაოდენობა, ისიც გაკვეთილების ბოლოს.

ყველაზე დიდი მიღწევა და ქალაქის თავის – ლუკა ასათიანის დამსახურება იყო ბათუმში ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების გახსნა.

1895 წლის 27 ივნისს ქალაქის თვითმმართველობამ ლუკა ასათიანის ხელმძღვანელობით ვაჟთა გიმნაზიისათვის ზღვის პირას გამოყო მიწის ნაკვეთი შენობის ასაგებად. პროექტი შეადგინა ინჟინერმა სელდენიკოვმა. დირექტორად დაინიშნა ა.სტოიანოვი, ქუთაისის გიმნაზიის ყოფილი დირექტორი.

ბათუმის ვაჟთა გიმნაზია 1897 წლის 14 სექტემბერს გაიხსნა საზეიმო ვითარებაში, სიტყვა წარმოთქვა დეკანოზმა რალცევიჩმა, დირექტორმა ა.სტოიანოვმა, ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა.

ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორი იყო ვ.ბოგოსლავსკი. მასწავლებლები: ნ. დერჟავინი, მ.დიმიტრიევი, ლ.სტეფანოვი, ე.ჩოგოშვილი, ფ.ჯაყელი და სხვა.

გაზეთი "ივერია" წერდა: "გიმნაზიის შენობა აგებულია ბათუმის საუკეთესო ნაწილში, ზღვის პირად, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, მაგრამ სამწუხაროდ, საპყრობილეს მეზობლად. ქალაქმა დაუთმო 2.400 ოთხკუთხედი საჟენი მიწა. ამ ადგილზედ დროებითი შენობა აიგო".

ვაჟთა გიმნაზიის მუდმივი შენობის ასაგებად პროექტი შეიმუშავა არქიტექტორმა შიმკევიჩმა, თბილისში. 1899 წელს ქუთაისის გუბერნიის სამშენებლო განყოფილებამ დაამტკიცა აღნიშნული პროექტი. 1900 წლის 6 მაისს ჩაიყარა გიმნაზიის შენობის საძირკველი. მშენებლობას უძღვებოდა სამხედრო ინჟინერი პომორსკი.

ახალ შენობაში ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა 1903 წელს 461 მოსწავლით მას მიხეილის (მიხაილოვის) სახელობის გიმნაზიას ეძახ-

დნენ. ეკლესია გიმნაზიასთან 1904 წლის 16 დეკემბერს გაიხსნა.

გიმნაზიის პირველი გამოშვება იყო 1904 წელს. დაამთავრა 26 მოსწავლემ. ამათგან, ქართველი იყო – 13, რუსი – 7 და სხვა

ვაჟთა გიმნაზია იცავდა და ემსახურებოდა ცარიზმის ინტერესებს, მისი ოფიციალური ამოცანა იყო მოსწავლეთათვის მიეცა საერთო განათლება, მოემზადებინა ისინი რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკებად ან რუსეთის უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. გიმნაზიის მასწავლებლები სარგებლობდნენ თვითმპყრობელური რუსეთის ყველა პრივილეგიით.

გიმნაზიაში სწავლა მიმდინარეობდა მთლიანად რუსულ ენაზე, მხოლოდ 1910 წლიდან იძულებული გახდნენ უმნიშვნელო რაოდენობით ჩაეტარებინათ ქართული ენის, თურქული და სომხური ენის გაკვეთილები.

1899 წლის დეკემბერში გადაწყდა ბათუმში გახსნილიყო ქალთა გიმნაზია. ამისათვის საჭირო თანხებიც გამოიძებნა. დაქირავებული იქნა ბინა სუკოიანის კერძო სახლში სმეკალოვის და შერემეტიევის (ახლ. რუსთაველისა და ლუკა ასათიანის) ქუჩების კუთხეში. 1900 წლის 26 სექტემბერს 151 მოსწავლით გაიხსნა ქალთა გიმნაზია. დირექტორი იყო ნ.ტიბლენი. პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე – ალ.სტოიანოვი. მასწავლებლები: ლ.ანტონოვა, გ.კემრიცი, ტ.ლიუბიმოვა, ვ.ჩოგოშვილი, ვ.ბორისოვა-ბერიძე, ლ.მაჭავარიანი. გიმნაზია დაკომპლექტებული იყო ერთი მოსამზადებელი და ოთხი კლასით. სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეს უნდა გადაეხადა 60 მანეთი.

1901 წლის 30 იანვარს სუკოიანის სახლი დაიწვა და ქალთა გიმნაზია დროებით ვაჟთა გიმნაზიაში გადავიდა. მალე თვითმმართველობამ გამოყო მიწის ნაკვეთი და დაიწყო ორსართულიანი შენობის აგება ვოზნესენსკის და ეკლესიის (ახლ. პ. მელიქიშვილის და ხ. ახვლედიანის) ქუჩების კუთხეში. ქალთა გიმნაზია ახალ შენობაში გადავიდა 1904 წლის ივნისში. ამავე წელს გიმნაზიას ჰქონდა პირველი გამოშვება, დაამთავრა 27 მოსწავლემ.

ზოგადსაგანმანათლებლო კურსი ქალთა გიმნაზიაში მთავრდებოდა შვიდი კლასით. მერვე კლასს ჰქონდა პედაგოგიური განხრა და ამზადებდა მასწავლებლებს დაწყებითი (ერთკლასიანი) სკოლებისათვის და აღმზრდელებს კერძო სწავლებისათვის. 1909 წელს გიმნაზიასთან გაიხსნა პროფესიული განყოფილება, სადაც ისწავლებოდა ქსოვა, ქარგვა, კერვა, ხელოვნური ყვავილების დამზადება, ნოხების ქსოვა და სხვა.

1903 წელს დიდი ძალისხმევის შემდეგ, ქედაში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა. აბდულ მიქელაძე წერდა: ”სკოლა გვიარსდება.. ქართული წერა-კითხვა ძალიან ნაკლებად არის აქ გავრცელებული. ჩამომავლობით ქართველები ვართ, დედა-ენა არ დაგვიწყნია, ახლა საჭიროა, რომ ქართული წერა-კითხვა გავრცელდეს ჩვენში სკოლის მეშვეობით”.

იყო შემთხვევები, თუ სკოლებში ხოჯამოლები არ იქნებოდნენ, იქ ბავშვები არ მიყავდათ მშობლებს. საბედნიეროდ, იყო ასეთი შემთხვევაც - ქობულეთის ორკლასიან სასწავლებელში ქართული ენის სწავლების გაუქმების გამო მშობლებმა შვილები სკოლაში არ გაგზავნეს იმ მიზეზით, რომ “ძიავ, რა ვქნათ, ჩვენს ენას კი არ ასწავლიან და აბა რაღათ გვინდა შვილების სწავლა თუ რომ თავის ენას დაივიწყებენო”.

XIX საუკუნის ბოლოსათვის ბათუმში გაიხსნა ორკლასიანი ქართული სკოლა, სადაც თავმოყრილი იყო იმ პერიოდის საუკეთესო მასწავლებლები, რომლებიც ცდილობდნენ ქართული ენა მოსწავლეთათვის მთელი დატვირთვით ესწავლებინათ. ესენი იყვნენ: ისიდორე რამიშვილი, ივლიანე გოგოლაშვილი, ანასტასია ლომინაძე, მემედ აბაშიძე და სხვა. სამეთვალყურეო მზრუნველთა საბჭო შედგებოდა: გრიგოლ ვოლსკი (თავ-რე), წევრები:დავით კლდიაშვილი, ა.მესხი, ნ.საბაევი და ი.ბერძენიშვილი.

1903 წლის 1 სექტემბერს ერთდროულად გაიხსნა ორი დაწყებითი სკოლა: ბათუმის საქალაქო მცირე ვაჟთა სკოლა, რომელსაც ეწოდა საიუბილეო-აჭარის რუსეთის იმპერიასთან მიერთების 25 წლისთავის აღსანიშნავად. მეორე-ბათუმის საქალაქო მცირე ქალთა დაწყებითი სკოლა, რომლის გამგედ დაინიშნა ე.ანდრიანოვიჩი. ორივე სკოლა გაიხსნა კერძო სახლში.

ამავე პერიოდში დაჟინებული თხოვნის შედეგად ხოლოდნო – სლობოდნაიას დასახლებაში გაიხსნა ნორმალური ერთკლასიანი სკოლა, სკოლის მეთვალყურე იყო ლ.იალუ-

ნინი, ხოლო მასწავლებელი სოფია იალუ-ნინა.

სკოლები იხსნებოდა, მაგრამ უსახსრობის გამო გაუქმება ელოდებოდათ. მათი შენახვა, განსაკუთრებით სოფლებში ადგილობრივ მოსახლეობას აწვა მხრებზე. ამიტომ ხშირი იყო დახმარების თხოვნა. ზოგჯერ ესეც აგვიანებდა, რაც საერთო ჯამში აჭარაში სწავ-ლა-განათლების საქმეს ნამდვილად ვერაფ-რით წაადგებოდათ.

ქართველ ინტელიგენციას კარგად ესმოდა მოძმეთა გაჭირვება, სატკივარი და ცდილო-ბდა, რამდენადაც კი შეეძლო, დახმარებოდა მას. ჟურნალში "თეატრი და ცხოვრება" დაიბეჭდა სტატია –"უშველოთ ჩაგრულ ძმებს", რომელიც უშუალოდ მიმართვა იყო ქართველი ხალხისადმი, რათა "..შესაფერი კაცები გაგზავნონ ქართველ მაჰმადიანთა შორის. ხელმძღვანელობა გაუწიონ, ქართუ-ლი სკოლები გახსნან, ქართული წიგნები გაავრცელონ, რადგან მათი სამშობლო ენა დღესაც ქართულია, წმინდათ შენახული".

აჭარა განიცდიდა მასწავლებელთა ნაკლე-ბობას, ამიტომ იყო მცდელობა ადგილო-ბრივად მოემზადებინათ მასწავლებლები, რომლებსაც უფრო ენდობოდნენ მაჰმადიანი ქართველები. დასაწყისში ბათუმის საქალაქო ექვსკლასიან სასწავლებელში გაიხსნა მასწა-ვლებელთა მოსამზადებელი კურსები სახა-ლხო სკოლებისათვის, მაგრამ სასწავლებლის დირექტორმა სემიონოვმა აღძრა სამასწა-ვლებლო კურსების გაუქმების საკითხი. მის ნაცვლად საბუღალტრო ან კომერციული კლასები უნდა გახსნილიყო.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ დროებით შეაჩერა სკოლების გახსნა აჭარაში. ეკონომიურ სიდუხჭირესთან ერთად დიდი წინააღმდეგობა იყო კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველ რუდოლფისაგან. მიუხე-დავად ამისა საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ 1916 წლის იან-ვარში დაადგინა, რომ გახსნილიყო რამ-დენიმე ქართული დაწყებითი სკოლა აჭა-რაში და მომარაგებულიყო უფასო სახელ-მძღვანელოებით და საჭირო ინვენტარებით. ამ საქმის მოსაგვარებლად და ხელმძღვანე-ლებად არჩეული იქნა ცნობილი პედაგოგე-ბი: არსენ წითლიძე და იერემია გულისა-შვილი, რომლებიც გაემგზავრნენ აჭარაში.

1916 წლის მარტის დასაწყისში კავკასიის სასწავლო ოლქის ქუთაისის სახალხო სასწავლებლის დირექტორმა საქველმო-ქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას გა-გზავნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: "თქვენს ა.წ. #1237, 26 თებერვლის მიმართვაზე გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ ნებადართულია სკოლები გაიხსნას სოფ-ლებში: 1. აჭარაში – დიდაჭარის სასოფლო ოკრუგში; 2. ალამბარში – კინტრიშის "უჩა-სტკა"; 3. ყოროლისთავში – კინტრიშის "უჩასტკა"; 4. აგარაში – ქედის "უჩასტკა"; 5. ჩხუტუნეთში – მაჭახლის "უჩასტკა"; 6. წყალ-სიმერში – იმერხევის "უჩასტკა". არსენ წითე-ლაძემ და იერემია გულისაშვილმა მოიარეს აჭარის აღნიშნული ადგილები და შეარჩიეს სკოლებისათვის შემდეგი სოფლები: ყორო-ლისთავი, ხუცუბანი, ალამბარი, ხულო - ზემო აჭარა, ჩხუტუნეთი და ქედაში – ქვემო აჭარა.

1917 წელს საქველმოქმედო საზოგადოე-ბის მიერ სკოლების გახსნას წინ აღუდგა კავკასიის სამასწავლო ოლქის მზრუნველი-რუდოლფი, რომელიც "ამტკიცებდა", რომ აჭარლების მშობლიური ენა თურქულია, აჭარლები თურქებია და ახლად გასახსნელ სკოლებში სწავლება თურქულ ენაზე უნდა წარმოებდესო. მაგრამ მისი წინააღმდეგობა დაძლეული იქნა და სკოლები გაიხსნა, სადაც ქართულ წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ და რუსულსაც.

1918 წელს ქართული სკოლების გახსნამ ქართველი ინტელიგენცია სახელმძღვანე-ლოების გამოცემის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ამ რთულ ეროვნულ საქმეს ხელი მოკიდა იაკობ გოგებაშვილმა. მან ჯერ კიდევ 1865 წელს შეადგინა სახელმძღვანელო ქართველი ბავშვებისათვის, რომელსაც "ქა-რთული ანბანი ან პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის" ეწოდა. 1876 წელს გამო-სცა ახალი სახელმძღვანელო- "დედა ენა", რომლის თავფურცელს წააწერა – "სახალხო შკოლებისათვის". ეს იყო ნამდვილი სახა-ლხო წიგნი, რომელზედაც ქართველთა მრა-ვალი თაობა აღიზარდა. "დედა ენამ" ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ არა მარტო სახალხო სკოლებში, სასულიერო სასწავლე-ბლებშიც ისწავლებოდა.

1919 წელს ვინაიდან სკოლები ძირითა-დად რუსულენოვანი იყო და ბავშვებს უჭი-

რდათ მისი (რუსულის) ათვისება, იაკობ გოგებაშვილმა 1887 წელს შეადგინა რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სახალხო სკოლებისათვის და მას "რუსსკოე სლოვო" უწოდა. წიგნი ძირეულად განსხვავდებოდა მაშინ არსებული უშინსკის "როდნოე სლოვო"-საგან.

"დედა ენაში" ზოგიერთი საკითხი (რელიგიური) მიუღებელი დარჩა მაჰმადიანი ქართველებისათვის. იაკობ გოგებაშვილმა გაითვალისწინა აჭარის თავისებურებები და ცვლილებები შეიტანა "დედა ენის" პირველ ნაწილში და მას "პატარა დედა ენა" უწოდა. ამ წიგნს საკმაო მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ შემდეგში არა მარტო სკოლაში, არამედ ოჯახებშიც იყენებდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ "დედა ენის" მიხედვით შედგენილი იყო ე.წ. "სახალხო წიგნები", რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარაში ქართული წერა-კითხვის შესწავლისა და გავრცელების საქმეში.

სასწავლო დაწესებულებები აჭარაში 1879-1920 წლებში		
№	სასწავლებლის დასახელება	დაარსების წელი
1	წმ.ნიკოლოზის სახელობის ეკლესიასთან არსებული ბათუმის ბერძნული საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი.	1865
2	მიხაილოვის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1879
3	ბათუმის პირველი სამკლასიანი სასწავლებელი	1880
4	ივანოვის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1880
5	ბათუმის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამა- ვრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა.	1881
6	ბათუმის საქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებელი.	1881
7	ბათუმის პირველი ქალთა სამკლასიანი სასწავლე- ბელი,რომელსაც 1890 წ. ეწოდა ბათუმის მარინეს (მარიინსკის) სახელობის ქალთა სასწავლებელი.	1881
8	ბათუმის ქალთა ერთკლასიანი კერძო სასწავლებელი.	1885
9	ართვინის ერთკლასიანი სასწავლ. ვაჟებისათვის	1885
10	ართვინის ერთკლასიანი სასწავლ. ქალებისათვის	1886
11	ბათუმის სომხურ-გრიგორიანული დაწყებითი სასწავლებელი	1887
12	პალიევას კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1888
13	ბათუმის სახელოსნო სასწავლებელი	1889
14	ბათუმის საქალაქო ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი	1892
15	ბათუმის სომხურ-კათოლიკური დაწყებითი სასწავლებელი	1892
16	ბათუმის სამხედრო ტაძართან არსებული მართლმადიდებლური სამრევლო სასწავლებელი.	1894
17	არტანუჯის დაწყებითი ერთკლასიანი სასწავლებ.	1894
18	ხოლოდნაია-სლობოდას სოფლის ნორმალური სამინისტრო სასწავლებელი.	1895
19	ჩურუქ-სუს ნორმალური ორკლასიანი სასწავლებ.	1896
20	ბათუმის ვაჟთა გიმნაზია	1897
21	ხულოს ნორმალური ორკლასიანი სასწავლებელი	1897
22	ბათუმის პირველი ერთკლასიანი ქალთა სასწავლებელი.	1898
23	აჭარის ერთკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი	1898
24	ლებედევას კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1898
25	მარადიდის სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1898
26	ბათუმის საქალაქო ს.პუშკინის სახელობის ერთკლასიანი ვაჟთა სასწავლებელი.	1899
27	ბათუმის ქალთა გიმნაზია	1900
28	ბათუმის ქართული დაწყებითი სასწავლებელი	1900
29	წულუკიძის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1900
30	ჩურუქ-სუს დაწყებითი ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი	1901
31	ბერაიას კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1902
32	ჟელტუხინას კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1902

33	პუჩინიანის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1903
34	ბათუმის საქალაქო საიუბილეო ვაჟთა ერთკლასიანი სასწავლებელი	1903
35	ქედის სასოფლო ნორმალური ორკლასიანი სასწავლებელი	1903
36	ხერთვისის სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1903
37	ალიხანოვის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1903
38	მეფისოვის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1903
39	გოგოლის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1903
40	კვირიკეს სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1904
41	ბათუმის რკინიგზის ნორმალური დაწყებითი სასწავლებელი	1907
42	ორთაბათუმის ერთკლასიანი სასწავლებელი	1907
43	ბათუმის საქალაქო ერთკლასიანი სასწავლებელი	1908
44	არნოლდის II თანრიგის კერძო პროგიმნაზია	1908
45	ებრაელთა დაწყებითი სასწავლებელი	1908
46	ბერძნული საქალაქო დაწყებითი სასწავლებელი	1908
47	სომხური საქალაქო დაწყებითი სასწავლებელი	1908
48	ნორდშტეინის III თანრიგის კერძო დაწყებითი სასწავლებელი	1908
49	მურღულის სასოფლო ორკლასიანი სასწავლებელი	1909
50	ბორჩხას სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1909
51	ბარცხანის სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1909
52	ერგეს სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1909
53	ჩაქვის სასოფლო ორკლასიანი სასწავლებელი	1909
54	დაგვას სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1910
55	ფერიის სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1912
56	ბათუმის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი	1914
57	ოლადაურის სასოფლო დაწყებითი სასწავლებელი	1915
58	ალამბრის დაწყებითი სასწავლებელი	1916
59	აჭარისწყლის დაწყებითი სასწავლებელი	1916
60	ჩხუტუნეთის დაწყებითი სასწავლებელი	1916
61	მახუნცეთის დაწყებითი სასწავლებელი	1916
62	ხუცუბნის დაწყებითი სასწავლებელი	1916
63	ქვედა აგარის (ქედა) დაწყებითი სასწავლებელი	1916
64	ზედა აგარის (ხულო) დაწყებითი სასწავლებელი	1916
65	ყოროლისთავის დაწყებითი სასწავლებელი	1916
66	აჭყვის სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1917
67	ქაქუთის სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1917
68	ფიჭვნარის სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1917
69	წყავროკის სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1917
70	წყალსიმერის სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი	1917
71	ქობულეთის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი	1917
72	ქობულეთის ორკლასიანი სასწავლებელი ვაჟებისათვის	1893
73	ბათუმის ქართული გიმნაზია	1919

თუ დავაკვირდებით ცხრილში მოცემულ სასკოლო ქსელის ზრდას, აღმოჩნდება, რომ რუსეთის ცარისტული რეჟიმი სრულებით არ ცდილობდა ან არ ჩქარობდა აჭარაში განათლების განვითარებისათვის ხელი შეეწყო. რუსული ადმინისტრაციის მიერ გახსნილ სკოლებში კი მშობლიური - ქართული ენა საერთოდ არ ისწავლებოდა. ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა ითვალისწინებდა დაეპირისპირებინა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველი ძმები ერთმანეთისათვის, ჩაეხშო ეროვნული სული და აღმოეფხვრა მშობლიური ენა. ჩვენი ქვეყნის საბედნიეროდ, ვერ შეძლო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ. 1955
2. ბათუმი და მისი შემოგარენი, ბათ. 1906

3. ს. მესხი, წერილები აჭარაზე (შეადგინა რ. სურმანიძემ) ბათ., 2000
4. გ. ნიორაძე, პირველი ქართული სკოლა ბათუმში, თბ.,1958
5. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ.V, თბ.1955
6. ი.დერჟავინი, ბათუმის ყოველწლიური საერთო მისამართები ისტორიით, 1902 წლისათვის, ბათ., 1902
7. ნ. რუდოლფი, კავკასიის სასწავლო ოკრუგის მოღვაწეობის მიმოხილვა, 1908-1912 წწ. თბ. 1914
8. ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ.,1951
9. ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება, თბ.1916
10. აპ. წულაძე, ძმური სიტყვა, 1915, 26.07
11. გ. ალავერდაშვილი, ასი წლის იუბილარი, თბ. 1989
12. გ. ბაბილოძე, ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან აჭარაში, ბათ.1975
13. ა. სურგულაძე, გულო კაიკაციშვილი, თბ. 1973
14. ალ. გობრონიძე, დედა ენა და აჭარა, ბათ. 1976
15. ჟურნალი "განათლება" 1911, #9
16. ჟურნალი "თეატრი და ცხოვრება" 1915, 15/02
17. გაზეთი "საქართველო", 1915, #176
18. გაზეთი "ივერია" 1897, # 197

ბათუმის ვაჟთა გიმნაზია

ბათუმის ქალთა გიმნაზია

ასმათ ბაჯელიძე

კაპიტალიზმის განვითარება აჭარაში (აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული მასალების მიხედვით)

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კაპიტალიზმის ფერხულში საქართველო და ამიერკავკასია ჩაება. ძველი პატრიარქალური კარჩაკეტილობა ადგილს უთმობდა სავაჭრო საქონელბრუნვას, ფაბრიკა-ქარხნებს, ვითარდებოდა ქალაქები, იზრდებოდა მუშათა რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს და კერძოდ ბათუმის სამრეწველო განვითარებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ბაქოს ნავთობმა, ჭიათურის მარგანეცმა, ტყიბულის ქვანახშირმა. თურქეთის უღლისაგან გათავისუფლების შემდეგ აჭარის ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვამ. მანამადე ქალაქი პატარა აზიურ-ფეოდალურ დასახლებას წარმოადგენდა და შავი ზღვის ეს ყველაზე მოხერხებული, ბუნებრივად დაცული ნავსადგური გამოუყენებელი იყო. ნიკო ნიკოლაძე 1873 წელს ბათუმის შესახებ წერდა: „ბათუმის ქალაქი ასიოდე უბედურს სახლს და ქოხს ჰქვიან, ზოგი მათგანი დაბწნილი და შეტკეჩილი ფაცხაა, ზოგი ფიცრულია, ორიოდე შენობა ქვითკირისაც მოიძებნება". 1857 წელს რუსეთის საზღვაო საზოგადოებამ მოაწყო ბათუმის ნავმისადგომი, რამაც გაზარდა ქალაქის სავაჭრო მნიშვნელობა. ორი წლის შემდეგ ტვირთბრუნვამ ერთ მილიონ მანეთს გადააჭარბა. შემოტანილი იქნა 590382 მანეთის სხვადასხვა საქონელი – ბამბა, შაქარი, ზეთი, ფურცლოვანი რკინა და სხვა. ასევე გაიტანეს 85379 მანეთის აბრეშუმის პარკი, ცვილი, ტყავი და სხვა. ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა თურქეთის 109 გემი, რომელმაც 545000 მანეთის ღირებულების საქონელი შემოიტანა და გაიტანა. აღირიცხა 1867-1878 წწ. რუსეთის სანაოსნო საზოგადოების 182 გემი. ყოველივე ეს მიუთითებს ბათუმის, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქის როლის ზრდაზე. რუსეთისათვის დღის წესრიგში დადგა ბათუმის შემოერთების საკითხი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმისადმი ინტერესი მას გაცილებით ადრე 1806-1812 წწ, 1828-1829 წწ. და 1853-56 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომების დროსაც ქონდა. ის რაც ვერ მოხერხდა მაშინ 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომმა გადაწყვიტა. 1878 წლის 19 თებერვალს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით რუსეთი მიიღებდა ფულად კონტრიბუციას ან არტანს, ბაიაზეთს, ყარსს. იმპერატორი ალექსანდრე II ანიჭებდა რა დიდ მნიშვნელობას ბათუმს, როგორც ნავსადგურს რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების საქმეში ამბობდა: „მარტო ბათუმი და ყარსი ღირს იმად, რომ რუსეთმა მათთვის გასწიროს რამდენიმე მილიონი". ბათუმით დაინტერესებული იყო ინგლისიც. ამიტომ მან მოითხოვა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა. 1878 წლის 13 ივნისიდან 13 ივლისამდე მიმდინარეობდა ბერლინის კონგრესი. რუსეთმა უარი თქვა ბალკანეთში მაკედონიაზე, მცირე აზიაში ბაიაზეთზე, შეთანხმება მიღწეული იაქნა და ტრაქტატის VIII პუნქტით ბათუმი რუსეთს თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურის „პორტო-ფრანკოს" სტატუსით გადაეცა, რაც ნიშნავდა, რომ ქალაქში საზღვარგარეთულ თუ ადგილობრივ საქონელს უბაჟოდ შეიტანდნენ და გაიტანდნენ. პორტო-ფრანკო ბათუმში 1878 წლიდან 1886 წლამდე მოქმედებდა. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ სერგი მესხი წერდა: „ბათუმს მეაშურეს ქართველმა, სომეხმა, რუსმა და ევროპელმა კომერსანტებმა, დიდძალი ხალხი ჩამოვიდა. ყველა აქ მოელის გაკეთებას". ამ პროცესს მოყვა მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა. 1890 წლისათვის ქალაქში 18 ათასი მცხოვრები იყო. ბათუმის ეკონომიკურ ცხოვრებაში დიდი გარდატეხა დაიწყო 1883 წლიდან სამტრედია ბათუმის რკინიგზის ამოქმედების შემდეგ. ამ გზით ბათუმი თბილისსა და ბაქოს დაუკავშირდა. განსაკუთრებით გაიზარდა ბაქოს ნავთობპროდუქტების ექსპორტი ბათუმის ნავსადგურიდან. ადგილობრივმა და უცხოელმა მეწარმეებმა დაიწყეს ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამზადება, ჯერ კიდევ რკინიგზის გაყვანამდე, 1882 წელს დაიწყო ბათუმში თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების დამამზადებელი მანუფაქტურების მშენებლობა. ამ საქმეში პირველები იყვნენ ბუნგე და პალაშკოვსკი. ნავთობის ექსპორტის

ზრდასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნა საექსპორტო ჭურჭელზე, შესაბამისად მოიმატა კონკურენციამ ადგილობრივ და უცხოელ მეწარმეებს შორის ქალაქში მომრავლდა კოოპერაციისა და მანუფაქტურის ტიპის საწარმოები. ბევრი კომპანია, ადგილობრივი თუ უცხოელი ბიზნესმენი დაინტერესდა ბაქოში აფშერონის ნახევარკუნძულით და შავ ზღვაზე ბათუმით, მათ შორის იყვნენ: ძმები ნობელები, მანთაშევი, ხაჩატურიანცი, ძმები გრამატიკოპულოები, შახბაზოვი და სხვები. საექსპორტო ტარის მწარმოებელ ქარხნებს შორის პირველობდა მანთაშევის ქარხანა. იგი ყოველწლიურად 1200 ათას ცალ ყუთს და 2400 ათას ცალ თუნუქის ბიდონს ამზადებდა. გარდა ბიდონებისა ბათუმში მზადდებოდა კასრებსაც. ა.კარასინის კასრების მთავარი მწარმოებელი სახელოსნო წლიურად 30 ათას კასრს უშვებდა.

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია ნობელის ქარხნის პირველი პროდუქცია – ლამპა #4860/135, ლითონის, შავი ფერის მრგვალი ფითილით, სახელურით. სახელურზე დამაგრებულია 15 სმ. სიგრძის ლითონის ღერო, მრგვალი ლითონისავე ფირფიტით, რომლის დიამეტრია 7 სმ. სახელურის საპირისპირო მხარეს ბრტყელი ლითონის მართკუთხედის ფორმის ფირფიტაა, რომლის ზემოთ არის მოძრავი მრგვალი ალუმინის ფირფიტა. ფირფიტის თავზე არის ოვალური ფორმის ლითონის ყუთი. უკანა მხარე არის ღია, ორი პატარა ფირფიტით, ზედა ნაწილი ოდნავ დამრეცადაა დახრილი, ლამპის ზომებია 17X22 სმ.

ნობელების სახელთანაა დაკავშირებული ნავთობტერმინალის დაარსება ბათუმში - დღევანდელ თამარის დასახ-ლებაში. ლესელიძის ქ. №3–ში ნობელებს ქონდათ კომპანია “Вр. Новель”-ის ბათუმის კანტორა. ამ შენობაში 2007 წლის 17 მაისს გაიხსნა ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი. მუზეუმის ექსპოზიციაში სხვადასხვა ექსპონატებთან ერთად წარმოდგენილია აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის მიერ საგამოფენოდ გადაცემული ექსპონატები. მათ შორის, ორი მართკუთხა ფორმის მინის ბოთლი დალუქული საცობით. ერთ ბოთლში არის ყვითელი ფერის ნავთობი. ბოთლს აწერია Вр. Новель, 1896 თავში და ბოლოში 1882. გვერდებზე წარწერებთან არის ორნამენტებში ჩასმული ორთავიანი არწივი. ბოთლის ზომებია 20X8. ასეთივეა მეორე ბოთლიც ოღონდ საწვავი არის მუქი შავი ფერის. ბათუმით დიდად იყო დაინტერესებული და თავისი კაპიტალი ქონდა ჩადებული ბაქოს ნავთობში ებრაული წარმოშობის ფრანგ ნავთობმაგნატს როტშილდს და თბილისელ სომეხს ა. მანთაშევს. მუზეუმის ექსპოზიციაში მრეწველობის განვითარების სტენდზე წარმოდგენილია ფოტომასალები და ასევე ექსპონატები. მათ შორის ყურადღებას იქცევს თუნუქის ნავთის გადასატანი საშუალო ზომის 17X49 სმ. ბიდონი, რომელსაც ზედა ნაწილში აქვს სახურავი ოვალური ხელის მოსაკიდი, გვერდიდან ბიდონს აქვს სახელური, წინ დამაგრებულია ნავთის გადმოსასხმელი მილი, ბიდონს აქვს წვრილი ლითონის სახელური ასაწევად. გადმოსასხმელი მილის სიგრძეა 14 სმ.

1886 წლიდან საზღვარგარეთ ნავთობი იგზავნებოდა ნავთის ჩასასხმელი გემებითაც. ნავთი რეზერვუარებიდან გემებში ჩადგმულ ცისტერნებში (რომელთა ტევადობა 3 ათასი ტონა იყო) პირდაპირ ისხმებოდა. ნავთის ექსპორტის ზრდასთან ერთად ნავთის გადამსხმელი სადგურების რაოდენობაც გაიზარდა და მათმა რიცხვმა 10-ს მიაღწია. 1885 წ. „ბურკგარდტისა და კომპანიის” ფირმამ ბათუმში პირველმა მოაწყო ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის წარმოებაში უცხოური მანქანა-დანადგარების დამონტაჟება. მრეწველობის მანუფაქტურული სტადია უკვე საფაბრიკო-საქარხნოში გადადის 1889 წლიდან და უკავშირდება როტშილდის სახელს. მან შეიძინა ბუნგესა და პალაშკოვსკის ქარხანა და აღჭურვა ამერიკული მექანიზირებული მაღალტექნიკური დანადგარებით. თავისი სიდიდით გამოირჩეოდა „ბნიტო” - კასპია-შავი ზღვის ნავთობმრეწველობის და ვაჭრობის სააქციო საზოგადოება როტშილდის კომპანია, რომელიც ფლობდა და აკონტროლებდა აღნიშნული საზოგადოების აქციების საკონტროლო პაკეტს. როტშილდის ქარხანას ქონდა საკუთარი ნავსადგომი და ნავთსასხმელი სადგური 26 ცისტერნით. ნავთობის ექსპორტის რაოდენობის ზრდამ დღის წესრიგში

დააყენა ნავთის ექსპორტი ტანკერებით მომხდარიყო, რაც 1889 წ. „კასპია-შავი ზღვის" საზოგადოებამ პირველმა განახორციელა, მიუხედავად ამისა ნავთობის ტარის წარმოება მომგებიან ბიზნესად რჩებოდა და რამდენიმე ფირმა მაინც ეწეოდა, მათ შორის იყო ტანკერების მფლობელი როტშილდის ფირმაც, რომელსაც თავის საწარმოებში დასაქმებული ყავდა 1200-1500 მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი. 1884 წ. ბათუმში ამოქმედდა რიხნერისა და სიდერიდისის, 1887 წ. მანთაშევის და ხაჩატრიანცის, 1888 წ. ძმები ცოვიანების ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის მწარმოებელი ქარხნები. 1889 წ. ბიდონების წარმოება დაიწყო ციმერმანმა, მატუესმა, გარამატიკონოპულომ, შიბაევმა, ხშიანცმა და სხვა. წვრილმა ფირმებმა. ისინი ქარხნების მასშტაბით როტშილდისა და მანთაშევის კომპლექსს ვერ შეედრებოდნენ, მაგრამ ტექნიკური აღჭურვილობა მაღალ დონეზე ქონდათ. ასევე მნიშვნელოვანი იყო მოცულობით, თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების წარმოების მექანიზაციით სიდერიდისის ქარხანა საამქროებით, სახელოსნოებით და დაზგებით. ქარხნის ტერიტორიაზე იყო ლიანდაგი, რომელიც რკინიგზის სადგურამდე გრძელდებოდა. მსხვილ მეწარმეებს ჩამოსული დასაქმებული მუშებისათვისქონდათ საცხოვრებელი ბინები.

XIX საუკუნის ბოლოს რუსეთში შეიქმნა სპეციალური საფაბრიკო ინსპექცია, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის დამამზადებელ ქარხნებს, აგრეთვე ნავთობის ჩამოსასხმელი სადგურების ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელთა მფლობელები იყო „რუსეთ-კავკასიის ნავთობის საზოგადოება" ვაგსტაფი, ბლეი მატიევიჩი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო და სხვა. თითოეულს ქონდა რეზერვუარები და მილსადენის ქსელი. ბაქოს ნავთობის შემოტანა ბათუმში კიდევ უფრო გაიზარდა 1900 წლიდან, როცა დამთავრდა ნავთსადენი მილის ბაქო-ბათუმის გაყვანა, ასევე დიდი როლი ითამაშა ბათუმის ნავსადგურის რეკონსტრუქციამ, ეს იყო უდიდესი მოვლენა არა მარტო აჭარის ეკონომიკურ ცხოვრებაში, არამედ მთელი საქართველო-ამიერკავკასიის და რუსეთის იმპერიის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრებაში. ბაქოს ნავთი მსოფლიო მოხმარების 53% ფარავდა, ამიტომ საჭიროებამ მოითხოვა ნავთობის დიდი მარაგის შექმნა. 1902 წ. ბათუმში უკვე აგებული იყო 128 რეზერვუარი, 18 მილიონი ფუთი ნავთობტევადობით.

გარდა ნავთობპროდუქტების დამამუშავებელ და საექსპორტო ჭურჭლის მწარმოებელი ქარხნებისა XIX საუკუნის ბოლოს ბათუმში ამუშავდა ბინიათ-ოღლისა და შელოვიცკი-ლავბერგის თამბაქოს ფაბრიკები, არყის სახდელი ფაბრიკა. წუღების საკერავი ფაბრიკა, თუჯის ჩამომსხმელი, ლურსმნისა და მინერალური წყლების ქარხნები.

ლაზარე ბინიათ-ოღლის (იგივე ლაზარე ბინიატიდი. წარმოშობით ბერძენი თურქეთის შემადგენლობაში მყოფი ქ.კესარიიდან) თამბაქოს ფაბრიკა თავდაპირველად ახმედ ფაშას - ახლანდელ ხულოს ქუჩაზე მდებარეობდა. იგი გახსნა სამმა ძმამ ლაზარე, პაკი და მიხეილ ბინიატ-ოღლებმა. ქარხანაში ოთხი საამქრო იყო, სადაც ხდებოდა თამბაქოს შერჩევა, დაჭრა, გილზებში ჩატენვა და ყუთებში ჩაწყობა. თანდათანობით წარმოება გაფართოვდა და 1899 წელს ფაბრიკა გადავიდა ზურაბ ბერიძის (ყოფილი კალიევის ქუჩაზე) მდებარე ორსართულიან სახლში ე.წ. თათრის მოედანზე.

ბინიათ-ოღლის თამბაქოზე მოთხოვნა დღითი დღე იზრდებოდა. პროდუქცია იგზავნებოდა თბილისში, ბაქოში, რუსეთში, თამბაქო შემოქონდათ სოხუმიდან, სოჩიდან, ართვინიდან, თუმცა თავად ბინიათ-ოღლისაც ქონდა საკუთარი თამბაქოს პლანტაციები არტანუჯში, ოჩამჩირეში. მის სახელთანაა დაკავშირებული აჭარაში თამბაქოს კულტურის გაშენება. 1901-1902 წწ. ქარხანა გადავიდა დიმიტრი თავდადებულის (ყოფილი შაუმიანის) ქუჩაზე. 1904 წლისათვის მას ქონდა 10 განყოფილება და დღეში მილიონ ცალ პაპიროსს უშვებდა. ბათუმში იყო თამბაქოს ორი ფაბრიკა „კანდილი და თამარა", რომლის მფლობელები იყო ძმები დანილოვები. მუზეუმში წარმოდგენილია ბინითოღლის თამბაქოს ფაბრიკის პროდუქცია და ეტიკეტები.

ბათუმში სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალთან ერთად განვითარდა საბანკო კაპიტალიც. 1886 წელს გაიხსნა სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება, 1890 წელს ჩამოყალიბდა თბილისის კომერციული

ბანკის ბათუმის განყოფილება. 1886 წელს სამხრეთ-რუსეთის სამრეწველო ბანკის ბათუმის განყოფილება. ბათუმში 1903 წლისათვის იყო ხუთი ბანკი, რომელთა წლიური ბრუნვა 346 მილიონი მანეთი იყო.

„ბათუმი, რომელიც ულამაზო, ჭუჭყიან და განუვითარებელ „ქალაქს" წარმოადგენდა მოკლე ხანში დიდად განვითარებულ სავაჭრო-სამრეწველო და კეთილმოწყობილ ევროპულ ქალაქად გადაიქცა" მას ამშვენებდა სწორი და განიერი ქუჩები,საავადმყოფო, ვაჟთა გიმნაზია, 6 კლასიანი სასწავლებელი, ქალაქის მმართველობა და სხვა. გაზეთი „ივერია" ბათუმის შესახებ წერდა: ამ მოკლე ხანის განმავლობაში ბათუმი ისეთი სიჩქარით და სისწრაფით იზრდებოდა და წინ მიდიოდა ყოველივე, რომ თვით ბათუმის მკვიდრნი განცვიფრებაში მოდიოდნენ".

კაპიტალიზმი აჭარის სოფლის მეურნეობაშიც შეიჭრა. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან შემოტანილი იქნა მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, განვითარდა მებაღეობა, მეთამბაქოება. განსაკუთრებით დაწინაურდა ზღვისპირა ადგილები. ინჟინერ-პოლკოვნიკმა სოლოვცევმა ჩაქვში დაიწყო ჩაის, ხეხილისა და დეკორატიული მცენარეების გაშენება. ჩაქვში მსხვილი მამულები ქონდათ პოლკოვნიკ სტოიანოვს, პოპოვს, დალფონსს, ტიმოფეევს და სხვა. ჩაის პლანტაციის მფლობელთა შორის აღსანიშნავია მსხვილი მემამულე და ვაჭარი პოპოვი. 1893 წ.პოპოვმა ჩაქვში ჩამოიყვანა 23 წლის ჩინელი ჩაის სპეციალისტი ლაო ჯონ-ჯაუ. იგი 30 წელი ცხოვრობდა და მუშაობდა აჭარაში. მის სახელს უკავშირდება ჩაის პლანტაციების გაშენება ჩაქვში, ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკების აშენება. მოკლე დროში ბათუმის მხარეში 300 დესენტინას შეადგენდა ჩაის პლანტაციების საერთო ფართი. მაღალ ხარისხიან პროდუქციას უშვებდა ჩაქვისა და სალიბაურის ჩაის ფაბრიკები. 1900 წელს პარიზში გაიხსნა მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, სადაც პოპოვი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. მედალს ქონდა წარწერა: „კავკასიის ჩაი მსოფლიოში საუკეთესოა" ქართულმა ჩაიმ სახელი გაითქვა 1901-1903 წწ. ქ. გლაზგოსა და ქ.რეიმსში მოწყობილ გამოფენაზე. 1926 წ. ლაო ჯონ ჯაუ ოჯახთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. წასვლის წინ მან დატოვა სამახსოვროდ თავისი პირადი ნივთები, რომლებიც მუზეუმის სტაციონალურ ექსპოზიციაშია გამოფენილი. ეს ნივთებია: უნაგირი, ჭილის ქუდი, ქოშები, ჩინური ვაზები, ჩინური წიგნი და სხვა. ასევე ექსპოზიციაში გამოფენილია ლაო ჯონ ჯაუს მიერ წარმოებული ჩაის ყუთები და ეტიკეტები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სამხრეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ბათუმი, 2008 წ. ტ.III
2. ბათუმის რევოლუციის მუზეუმის ფონდი 4. ს. 4. გვ.8
3. „კავკაზსკი კალენდარი", 1893 წ. გვ. 114
4. ა.ჯაფარიძე, ტექნიკური კულტურა, თბ., 1971 წ.
5. დახუნდარიძე, ჩაის კულტურის სათავეები საქართველოში, თბ., 2003 წ.
6. ა. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX –XX სს. თბ., 2. 1956 წ.
7. გაზეთი „დროება", #178, თბ., 1878 წ.
8. ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, 1958 წ.





ბინიაოღლის სიგარეტების ეტიკეტები



ძმები ნობელების ნავთობსამრეწველო ამხანაგობის რეზერვუარები ბათუმში

ბიდონების დამზადება ქარხნულად

სპილენძის ჭურჭლის დამამზადებელი საამქრო

ბიდონები როტშილდის ქარხნიდან

ბიდონების დამამზადებელი მანუფაქტურა



ნავთგადამსხმელი სადგური

მაყვალა გოგუა

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი და ქართველები

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველი ერის ისტორიაში. ქართველებს იმედი მიეცათ, რომ აჭარა და საერთოდ მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამჯერად მაინც დაუბრუნდებოდა დედასამშობლოს. აჭარის, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ "ოსმალოს საქართველოს" საკითხისადმი ქართული საზოგადოება განსაკუთრებით დაინტერესდა XIX ს-ის 60-იან წლებში.

ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ კავშირი აღედგინათ თურქების მიერ დაპყრობით ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველებთან. რუსეთ-თურქეთის ომის წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმოგზაურეს: დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, მამია გურიელმა, ივანე კერესელიძემ, გიორგი წერეთელმა და სხვებმა. ივანე კერესელიძე შეხვდა და ესაუბრა აჭარელთა თავკაცს შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს. სწორედ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების წინ საქართველოში დაიწყო სახალხო ლაშქრის შედგენა. სულ ომის პერიოდში სახალხო ლაშქარში შევიდა 38 ათასზე მეტი კაცი.

აჭარელი პატრიოტები ემზადებოდნენ არსებული ხელისუფლების დამხობისა და საქართველოსთან შეერთებისათვის მზადდებოდა აჯანყება, რომელსაც შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ხელმძღვანელობდა, ჯერ კიდევ ადრე ქობულეთის აჯანყების შესახებ ს.მესხი, ე.მელიქიშვილს თბილისიდან საზღვარგარეთ წერდა: „ქობულეთში ოსმალის ქართველების აჯანყება როგორ მოგწონს – აი, იქნება გაწყრეს ღმერთი და რამე გამოვიდეს – ძალიან სანატრელია, რომ ოსმალო დააწიოკონ – იქნებ ეს ჩვენი ქართველები, რომლებიც იქ იმდენია, რამდენიც რუსეთის საქართველოში (ერთ მილიონზე მეტი) ჩვენ შემოგვიერთონ, ბლომად ვიქნებით, კარგია ყოველ შემთხვევაში" (მესხი, 1980:190). ომი ორ ფრონტზე მიმდინარეობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ამიერკავკასიაში. რუსეთი, რომელმაც მარცხი იწვნია ყირიმის ომში, მომზადებული შეხვდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველების მონაწილეობა ამ ომში, რომლებიც ორივე ფრონტზე წარმატებებს აღწევდნენ.

ჯარების მთავარსარდლებად დაინიშნა მეფის ბიძაშვილები ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბალკანეთში, ხოლო მიხეილ ნიკოლოზის ძე კავკასიაში.

კავკასიაში ბრძოლის მეორე დამხმარე ასპარეზსს შეადგენდა ზღვისპირეთი. ე.წ. რიონის მხარე. აქ ჯარების მეთაური იყო გენერალ-ლეიტენანტი ოკლობჟიო, რომლის განკარგულებაში იყო 51600 კაცი და 20 ქვემეხი. მათგან უშუალოდ საბრძოლველად გამოიყო "ოზურგეთის რაზმი" (25 ათასი მებრძოლი 2 ბატარეით). შემდგომ "ქობულეთის რაზმად" წოდებული. მას თვით ოკლობჟიო მეთაურობდა. შტაბის უფროსად კი პოლკოვნიკი გ.ყაზბეგი დაინიშნა.

კავკასიის არმიის დანარჩენი ნაწილი განლაგებული იყო მთელ კავკასიაში. მცირერიცხოვანი გარნიზონები იდგნენ ფოთში, სოხუმში, ქუთაისში და შავიზღვისპირეთის ქალაქებსა და სიმაგრეებში. იგი იცვლებოდა ომის დაწყებამდე და საბოლოოდ შემდეგი სახით დამტკიცდა:

1. შეტევის განვითარება ბათუმის, არტანის, ყარსის და ბაიაზეთის მიმართულებით. 2. არ დაეშვათ ოსმალეთის დესანტის გადასხმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და შემოჭრა ამიერკავკასიაში. 3. არ დაეშვათ აჯანყება ჩრდილო კავკასიაში.

ომის დასაწყისშივე დაზუსტდა ომის გეგმა და მთელი სიმძიმე ქობულეთის რაზმს დააწვა, ამიტომ იგი გააძლიერეს.

ენერგიულად ემზადებოდა ომისათვის თურქეთიც. ამ ომს ოსმალეთში სამკვდრო-სასიცოცხლო მოვლენად მიიჩნევდნენ.

შიპკის უღელტეხილზე ბრძოლებში უდიდესი გმირობა გამოიჩინა არტილერიის მე-3 ბრიგადის თავადმა ივანე ონისიმეს ძე ვაჩნაძემ (მეგრელიძე, 1974:66). ასევე თავი გამოიჩინა ვასო მაყაშვილმა, რომელიც იყო არტილერისტი; პორუჩიკმა აბულაძემ, პროპორშჩიკმა შენგელიძემ და სხვებმა.

შიპკის ბრძოლებში მონაწილეობდა და განსაკუთრებით თავი ისახელა ფლიგელ-ადიუტანტმა, გენერალ-მაიორმა ნ.მინგრელსკიმ (დადიანი). მან დაიმსახურა წმინდა

ვლადიმერის მეორე ხარისხის ორდენი და ოქროს ხმალი წარწერით "მამაცობისათვის". გარდა ამისა მის მკერდს ამშვენებს წმინდა გიორგის ორი ორდენი.

ომის გამოცხადების პირველ დღესვე 24 აპრილს გაჩაღდა ბრძოლა მეორე ასპარეზზე. კავკასიაში მოქმედი კორპუსის ძირითადმა ძალებმა გენერალ-მაიორ ლორის მელიქოვის მეთაურობით მდ.არფაჩაი გადალახეს. აქ ავანგარდში მოქმედებდა გენერალ-მაიორი ზ.ჭავჭავაძის კავალერია. 5 დღიანი ბრძოლის შემდეგ იგი ყარსის მახლობლად აღმოჩნდა.

7 მაისს მაიორ იოსელიანის ცხენოსანი დივიზია, რომელსაც იუნკერი ნაკაშიძე მეთაურობდა მდინარე მტკვარზე გადავიდა. ამ ბრძოლებში დაატყვევეს ქალაქის კომენდატის შვილი ინჟინერი მაჰმედ ტატლი ოღლი. დააჯილდოვეს ნაკაშიძე და 20 მოხალისე. 17 მაისს დაიწყო ბრძოლა არტაანისათვის. მის მთავარ სიმაგრეს გიულივერდის სიმაღლეები და ფორტი ემირ-ოღლი შეადგენდა. ამ გამაგრებული ადგილების დაკავება თავად მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბს დაევალა. ამირეჯიბმა ბრწყინვალედ განახორციელა მასზე დაკისრებული მოვალეობა. ამისათვის მან დაიმსახურა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი. ბრძოლებში თავი ისახელეს ბატარეის მეთაურმა მუსხელიშვილმა. პირველი აიჭრა მტრის სიმაგრეებზე ი.მიქელაძის ასეული. 8 საათიანი ბრძოლის შემდეგ არტაანი კავკასიის მებრძოლთა ხელში იყო.

არტაანის აღების შემდეგ ახალციხის რაზმი დაიშალა. არტაანის აღება ეს იყო მიმდინარე ომში კავკასიისა და საერთოდ რუსეთის არმიის პირველი გამარჯვება, ამიტომ მას უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

17 მაისს ყარსთან ორი არმიის საკავალერიო ძლიერი ბრძოლა მოხდა. გენერალ ჭავჭავაძის კავალერიამ მტერს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. ამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა გენერალი ჩოლოყაშვილი. 11 მაისს იგი გარდაიცვალა.

ყარსთან ბრძოლაში თავი ისახელეს დაღესტნის ცხენოსან მე-2 რეგულარული პოლკის შტაბის – კაპიტანმა იოსელიანმა, 133-ე ქვეითი არმიის პოლკის კაპიტანმა ჩიჩუამ, 56-ე ელიზავეტპოლის პოლკის მაიორმა მაყაშვილმა და სხვა მრავალმა.

დრამდაგასთან გაჩაღებულ ბრძოლაში მთავარი გმირი იყო გენერალი ამილახვარი. ბრძოლის წინ მან ამანათი მიიღო საქართველოდან, რომელშიც შავი დროშა იყო და რომლითაც იგი ჩოლოქთან იბრძოდა ოფიცრის ჩინით. ეს დროშა მას გაუგზავნა ჩოლოქის ქართული დრუჟინის მეთაურის ჯანდიერის შვილმა.

ბრძოლის წინ ამილახვარი მიუთითებდა რა დროშაზე, მებრძოლებს მიმართავდა: "ბიჭებო! ეს დროშა შეჩვეულია მოწინააღმდეგეზე გამარჯვებას, მის ჩრდილქვეშ 1854 წლის 4 ივლისს ჩვენ სახელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ ჩოლოქზე, ღმერთი გვიშველის დღევანდელ დღესაც" (მეგრელიძე, 1974: 70-71).

ამილახვარის მეთაურობით 1877 წლის 4 ივლისს დრამდაგასთან განადგურებული იქნა თურქეთის არმია. სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა ზივინთან. აქ თავი ისახელა გენერალ ჭავჭავაძის კავალერიამ. თბილისის მე-15 პოლკის შტაბს-კაპიტანმა ორბელიანმა, კაპიტანმა მაჭავარიანმა, პოლკოვნიკმა ჩოლოყაშვილმა, ვაჩნაძემ და სხვებმა.

დიდი სისასტიკით გამოირჩეოდა მუსტაფა-ფაშა, რომელიც გზადაგზა ანადგურებდა და სპობდა ქრისტიანებით დასახლებულ სოფლებს. იგი არ ინდობდა ბავშვებს და მოხუცებს.

კავკასიის ბრძოლის პირველი პერიოდი მოქმედი კორპუსის მარცხნივ ზივინთან და სზღვრებთან უკან დახევით დამთავრდა. შერიფ-ბეგი აქტიურად უწყობდა ხელს გამარჯვების მოპოვებას. შერიფი დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის სარდლობისაგან, რომ მას დაეჩქარებინა აჭარის აღება. სწორედ ამის შესახებ წერია: "17 იანვარს შერიფ-ბეგის დაჟინებით არმიის შტაბის უფროსმა უბრძანა პოლკოვნიკ ტრეიტერს კავშირი გაება გენერალ კომაროვსა და შერიფ-ბეგთან და პირადი წინამძღოლობით შავი ზღვის ფლოტელთა ორივე ბატალიონი დაეძრა დღვინისკენ, შემდეგ კი აჭარისაკენ". (Толикеев, Материалы для описании русско- турецкой войны 1877-1878 гг. Т 4. Стр. 389).

კავკასიის არმიის მარჯვენა ფლანგზე ბათუმის მიმართულებით მოქმედებდა ოზურგეთის რაზმი გენერალ ლეიტენანტის ოკლობჟიოს მეთაურობით.

დიდი ბრძოლები გაიმართა მდ.ჩოლოქზე. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები იყო მუხაესტატესა და ხუცუბნისათვის. სწორედ ამ ბრძოლებში ისახელა თავი დანიბეგაშვილის რაზმმა, რომელმაც იერიშით აიღო ხუცუბნის ყორღანი, რომელსაც მებრძოლებმა დანიბეგაშვილის ყორღანი შეარქვეს.

რუსეთის მთავრობა დიდ იმედს ამყარებდა ადგილობრივ მოსახლეობაზე. გაზეთი "დროება" იტყობინებოდა, რომ "შორაპნის მაზრაში მთავრობის მოთხოვნილებით ყოველ ას გლეხზე ორი გლეხი უნდა წასულიყო ლაშქარში, მსურველი კი ათჯერ მეტი აღმოჩნდა. განსაკუთრებული ხალისით მიდიოდნენ ლაშქარში გურულები" (საქ. ისტ. ნარკვევები, 1970:441).

განსაკუთრებით გამოირჩეოდა გურიის ლაშქარი შტაბს კაპიტან გურიელის მეთაურობით. ოზურგეთის რაზმს ქობულეთის რაზმი ეწოდა. აქვე იბრძოდა პირველი და მეორე ქართული დრუჟინა.

განსაკუთრებული დღე იყო 25 აპრილი, როცა ქობულეთის რაზმი ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა.

კაპიტან მაყაშვილს დაევალა სიმაღლის აღება და თან დროშა უნდა აღემართა. ბრძოლის ველზე დაეცა 16 მამაცი ლიხაურელი. კაპიტან მაყაშვილს მე-4 ხარისხის ორდენი უბოძეს წარწერით "მამაცობისათვის" ხოლო შემდგომ იგი რუმინეთის მეფემ დააჯილდოვა "რუმინეთის ვარსკვლავის ორდენით".

ქობულეთის რაზმი მხოლოდ ივლისის დასაწყისში მივიდა ციხისძირის სიმაგრემდე, რომლის გადალახვა ვერცერთ ომში ვერ შეძლო რუსეთის არმიამ.

ბათუმსა და მისი მიდამოების რუსეთის ჯარების მიერ დაკავების შესახებ კალენდარული გეგმა ყოფილა შედგენილი ასეთი განრიგით: ქობულეთი, სამება, კვირიკე – 17 აგვისტოს, ციხისძირი-21 აგვისტოს, ჩაქვი – 24 აგვისტოს, ართვინი, ბორჩხა და აჭარა – 23 აგვისტოს. ქალაქი ბათუმი – 25 აგვისტოს (ახვლედიანი, 1956:134).

თავი ისახელა ქართულმა დრუჟინამ, მან ადრე კავკასიის ომში წმინდა გიორგის დროშა დაიმსახურა. ამჟამად ვერცხლის საყვირეები მიიღო წარწერით "1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში წარჩინებისათვის" ასეთი ჯილდო მრავალი ომის მონაწილე შენაერთებსაც არ ღირსებიათ.

ბათუმისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარის ბეგების მიერ დაკავებულ პოზიციას. მათ შორის ყველაზე ძლიერი შერიფ ბეგ ხიმშიაშვილი მტკიცედ ადგა აჭარის საქართველოსთან შეერთების გზას (საქ. ისტ. ნარკვევები, 1970:447).

ომის დაწყებისთანავე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აფხაზეთში. აფხაზეთის მოსახლეობამ შექმნა ეგ.წ. "სამურზაყანოს მილიცია" და აქტიურად იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ, თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში თავი ისახელეს სამურზაყანოს ასეულიდან ბათა ემუხვარმა, თავადებმა ალმასხან და ჩიგო მარშანიებმა.

თურქებმა ხელთ იგდეს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია და მოსახლეობის ნაწილი რუსეთის წინააღმდეგ აამხედრეს, ხოლო კავკასიის მთებში აჯანყება მძვინვარებდა,

ძალიან ბევრი ქართველი მონაწილეობდა პლევნის ბლოკადაში. თავი ისახელა ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკი (ბაგრატიონმა) რომელიც ერთადერთი იყო დუნაის მთელ არმიაში, რომელიც პლევნის იერიშის წინააღმდეგი იყო. მე-9 დივიზიას ხელმძღვანელობდა ლაშქარაშვილი, მარცხენა ფლანგზე განლაგებულ ჯარებს მეთაურობდა გენერალი მანველაშვილი. თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტმა შანშიაშვილმა, კორნეტ სუმბათაშვილმა, რომელმაც დაიმსახურა ორდენი "რუმინეთის ვარსკვლავი".

აღსანიშნავია იმპერატორ ალექსანდრე მე-2-ის დუნაის არმიაში 1877-1878 წწ. ყოფნის დღიურები. გადმოცემულია 28-29 ნოემბრის მოვლენები, თუ როგორ განიცდის და ნერვიულობს იმპერატორი პლევნასთან დროებით წარუმატებლობებზე. ნახსენებია გენერალი ლაშქარევი, რომელსაც თურმე ცხენი მოუკლეს შეტევისას. ("სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში" ბათ., 2009 წ. გვ.173).

განსაკუთრებით ისახელა თავი ლაზარევის რაზმში ყირიმის ომის გმირმა პოლკოვნიკმა ქავთარაძემ, მისმა გამარჯვებამ საშუალება მისცა ლაზარევს მთელი ძალებით გაეშალა შეტევა. მას წმინდა გიორგის მე-3 ხარისხის ორდენი უბოძეს.

ბრძოლის მე-3 ეტაპზე განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამირეჯიბის ცხენოსანთა

ნაწილებმა, მისმა შეტევამ აიძულა თურქები ბანაკი დაეტოვებინათ მთელი თავისი სიმდიდრით (46 ქვემეხი). გამარჯვების მთავარი გმირი ამირეჯიბი დაჯილდოებული იქნა წმინდა გიორგის მე-3 ხარისხის ორდენით, ხოლო 8 ნოემბერს მას გენერალ-მაიორობა უბოძეს.

18 ნოემბერს ლაზარევმა ყარსი აიღო ღამის ბრძოლებით. ეს იყო სანიმუშო მაგალითი, რომლის მსგავსი სუვოროვის მიერ იზმაილის აღების შემდეგ სამხედრო ხელოვნების ისტორიას არ ახსოვს.

ყარსის ბრძოლებში თავი ისახელეს პორუჩიკმა აბაშიძემ, ბაგრატიონ-მუხრანელმა, პოლკოვნიკმა ქავთარაძემ და სხვა. არზრუმის ბლოკადის დროს თავი გამოიჩინა ამირეჯიბმა, რომელსაც სტანისლავის I ხარისხის ორდენი ხმლით უბოძეს.

1878 წლის 31 იანვარს დროებითი ზავი დაიდო ქ.ანდრიანოპოლში. 8 მარტს გაფორმდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულება. სწორედ ამ ზავით რუსეთს აზიაში ეძლეოდა არტაანი, ყარსი, ბათუმი და ბაიაზეთი. მათ ირგვლივ მდებარე ტერიტორიები სოღანლუღის მთებამდე.

ამ ზავით უკმაყოფილო ინგლისი ემზადებოდა იმისათვის, რომ ამიერკავკასია მოეწყვიტა რუსეთისათვის. აგრესორთა გეგმებში განსაკუთრებული ადგილი ენიჭებოდა სამხრეთ-საქართველოს, რომელშიც სამი საუკუნის განმავლობაში თურქებმა ისლამი დანერგეს სან-სტეფანოს ზავი მიუღებელი აღმოჩნდა ინგლისისათვის. ამიტომ 1878 წ. 18-30 მაისს ხელმოწერილი იქნა შეთანხმება ინგლის-რუსეთს შორის. ამ შეთანხმების თანახმად რუსეთი გარკვეულ დათმობებზე წავიდა, თუმცა ინგლისი ცნობდა რუსეთს მიეღო ბათუმი, ყარსი და მისი მიმდებარე ტერიტორიები.

1878 წლის 13 ივლისს ბერლინის კონგრესის მუშაობაში ევროპის სახელმწიფოების 20 წარმომადგენელი მონაწილეობდა. სულ ჩატარდა 13 სხდომა, განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა ბათუმის რუსეთთან შეერთების საკითხთან დაკავშირებით.

1878 წლის 30 მაისის შეთანხმებას ინგლის-რუსეთს შორის დიდი ხმაური მოყვა. თურქეთს უნდოდა დაებრუნებინა არზრუმი და ქ.ბაიაზეთი. ამ მდგომარეობის გამოყენებით რუსეთმა შეძლო ბათუმის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაეჭრა, მაგრამ იგი აიძულეს ქალაქი პორტო-ფრანკოდ გამოეცხადებინა. ე.ი. თავისუფალ სავაჭრო ქალაქად.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, თურქეთი ვალდებულებას იღებდა ბათუმი რუსეთისათვის გადაეცა თუმცა თურქები ბათუმის გადაცემას აფერხებდნენ, რათა მეტი სიმდიდრე გაეტანათ აჭარიდან.

1878 წლის 25 აგვისტო – ქართველი ხალხის საზეიმო დღეა, 31 აგვისტოს ოსმალთა უკანასკნელმა ნაწილებმა დერვიშ-ფაშას მეთაურობით ბათუმი დატოვეს.

ქალაქის მოსახლეობა განმათავისუფლებელ ჯარს ბარცხანასთან შეხვდა და მის უფროსს პურმარილი მიართვა. იმ დღესვე შევიდა ბათუმის ნავსადგურში რუსეთის ფლოტიც, ბათუმის ციტადელზე აღმართულმა რუსეთის ნაციონალურმა დროშამ და ქვემეხთა არაერთმა სალუტმა მოსახლეობას ამცნო, რომ დამთავრდა თურქთა ხანგრძლივი ბატონობა აჭარაში, რომ ეს მხარე დედა-სამშობლოს საქართველოს დაუბრუნდა" (საქ. ისტ. ნარკვევები, 1970:452).

რუსეთის მიერ ბათუმის დაკავება და არზრუმის თურქებისადმი გადაცემა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის უკანასკნელი აქტი იყო.

ილია ჭავჭავაძემ ქართველ ხალხს მოუწოდა დახმარების ხელი გაეწოდებინა ახლად განთავისუფლებული და ომით დაზარალებული მაჰმადიანი ქართველებისათვის. „აბა ქართველობავ - წერდა დიდი მოღვაწე – ეხლა შენ იცი როგორ დაანახვებ თავს შენს ახალ შემოერთებულ ძმებს! ეხლა შენ იცი როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამაპაპათა ანდერძს: ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისაო" ("ივერია" 1879 წ. №9).

ყარსისა და ბათუმის ოლქიდან გასახლებულთა რიცხვი დაახლოებით 140 ათას კაცს შეადგენდა. 1877-1878 წლების კამპანიას დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომაც არის, რომ ინტერესი ამ მოვლენისადმი დღესაც დიდია.

საინტერესოა, რომ აჭარაში შესულ მებრძოლებს გენერალ ოკლობჟიო მოუწოდებდა, რომ არ დაერღვიათ მოსახლეობის ტრადიციული ზნე-ჩვეულებანი და პატივისცემით მოპყრობოდნენ ხალხს "დაე გახსოვდეთ, რომ თქვენ წინ გადაშლილია მინ-

დვრები და მთები ძველი ქრისტიანული საქართველოსი, რომლის ათასობით მილიციელი და მოლაშქრე ამჟამად ჩვენს რიგებში დგას და საერთო მტერს ებრძვისო” (მეგრელიძე, 1963:125).

ლიტერატურა

1. სერგეი მესხი, “წერილები”, 1950 წ. სოხუმი, გვ. 190
2. შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974
3. Толикеев, материали для описании русско-турецкой войны, 1877-1878 гг. Т, 4. с. 389.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.V. თბ. 1970 წ.
5. ხ. ახვლედიანი, სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956 წ.
6. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, ბათ., 2009 წ.
7. “ივერია”, 1879 წ. # 9

გურიის მილიცია

ქართული მილიცია

გურიის მილიცია

ლამარა გულორდავა

ევგენი აფხაზავა - ლეგენდის დაბრუნება

პირველი მსოფლიო ომის გმირი და დამოუკიდებელი საქართველოსათვის მებრძოლი ევგენი აფხაზავა დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ არჩეულში (სადგურ ჯუმათიდან 2–3 კმ). იგი პირველ მსოფლიო ომამდე გაიწვიეს ჯარში. ევგენის გიმნაზიის ოთხი კლასი ჰქონდა დამთავრებული და შესაფერისად მიიჩნიეს სამხედრო სკოლაში გაეგზავნათ, რომელიც 1915 წელს დაამთავრა. იმავე წელს ომში ოთხჯერ დაიჭრა, ავსტრიის საზღვარზე გმირობისათვის მრავალი ჯილდო მიიღო. ჟურნალში ,,თეატრი და ცხოვრება“ (1915 წ. N23) დაიბეჭდა მისი ფოტო. ამის შემდეგ ომში მრავალჯერ ისახელა თავი, მრავალი ორდენი მიიღო, გახდა პორუჩიკი, ვახმისტრი, სამშობლოში შტაბს–როტმისტრის ხარისხით, ოთხი ვარსკვლავით და მრავალი ჯილდოთი დაბრუნდა.

შტაბს–როტმისტრი აფხაზავა იყო წმინდა გიორგის ორდენის სრული კავალერი. მის მკერდსა და კისერს სამხედრო სკოლის დამთავრების ნიშანი და ცხრა ორდენი ამშვენებდა. ესენია: ორი ვერცხლის მედალი ხელმწიფე ნიკოლოზის გამოსახულებით, წმინდა გიორგის 4 ჯვარი – ორი ოქროსი და ორიც ვერცხლისა, წმინდა ანას ორდენი ოქროში ჩასმული და სამხედრო სკოლის დამთავრების ნიშანიც მკერდის მარცხენა მხარეს ჰქონდა ჩამოკიდებული, ხოლო წმინდა ვლადიმირის ორდენი ოქროში ჩასმული – მკერდის მარჯვენა მხარეს, კისერზე კი ეკიდა წმინდა სტანისლავის ორდენი ოქროში ჩასმული მინანქრით.

კორნეტის ვერცხლისფერ ეპოლეტზე ჩამჯდარი ოთხი ვარსკვლავი და რიცხვი ,,12“ გვიჩვენებდა, რომ აფხაზავა მე–12 საკავალერიო ულანთა (მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი ჯარი რუსეთის არმიაში) პოლკის შტაბს–როტმისტრი იყო (ქუთათელი, 1985-:88-91).

ეროვნული სამხედრო ნაწილების შედგენის მიზნით დასავლეთის ფრონტიდან სამშობლოში ბრუნდებოდნენ ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები, მათ შორის იყო ევგენი აფხაზავა.

პირველი მსოფლიო ომის გმირს სამშობლოში ყველა სიყვარულითა და პატივისცემით შეეგება. ლამაზ სახეს ოდნავ კეხიანი ცხვირი და ულვაშები უმშვენებდა, თვალებით ცეცხლს აფრქვევდა, ლამაზად ჩაცმულს წელზე კავკასიური ხმალი ერტყა. ბავშვები და ახალგაზრდობა ფეხდაფეხ მისდევდნენ, ხნიერები აღტაცებით აყოლებდნენ თვალს.

დადგა 1918 წლის იანვარი. დრო იყო მეტისმეტად არეული. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამიერკავკასიას, და კერძოდ საქართველოს ორი მხრიდან მოელოდა საფრთხე. ერთი მხრივ იყო ოსმალეთი, მაგრამ სანამ ისინი ჩვენამდე მოაღწევდნენ, თურქეთის ფრონტიდან საბჭოთა რუსეთში მიმავალი ჯარები დაიძრნენ, მათი ეშელონები თბილისიდან 303–ე ვერსზე დაბანაკდნენ. ბოლშევიკური აგიტაციით აღგზნებული 100 ათასი ჯარისკაცი თბილისში შემოსვლას და მთავრობის გადადგომას მოითხოვდა. მათი თავშეყრა თბილისთან ახლოს ხელსაყრელი არ იყო, რადგანაც მათ სამოქალაქო ომის და

ანარქიის საშიშროება შექმნეს. (მაზნიაშვილი, 1990: 10-11) .

ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტმა თბილისის დაკავებისთვის მომენტი ხელსაყრელად მიიჩნია და აჯანყების გეგმა შეიმუშავა. მათ ლენინიდან ჰქონდათ დავალება თბილისის ხელში ჩაგდებისა. ამ მიზნით ლენინმა სამხედრო ხელმძღვანელიც კი გამოგზავნა, მაგრამ აჯანყების გეგმა ჩაიშალა. (საქ. ისტ. ნარკვ. 1972:552).

1917 წლის ნოემბერში მენშევიკებმა თბილისის არსენალი დაიკავეს და ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა. (საქ. ისტ. ნარკვ. 1972:528).

ამგვარად, საქართველოს საფრთხე მოელოდა. ამ პირობებში, როცა ომი არ იყო დამთავრებული და ქვეყანაში არეულობა სუფევდა, იქმნებოდა ქართული საჯარისო კორპუსი, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს სტეფანე ახმეტელი.

1918 წლის 4 იანვარს საბჭოების სამხარეო ცენტრის გაერთიანებულ სხდომაზე ნოე ჟორდანიამ განაცხადა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ მობილიზებული ნაციონალური არმიის ტყვია-წამლით მომარაგების მიზნით, ამიერკავკასიის კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს თურქეთის ფრონტიდან რუსეთისაკენ მიმავალი ეშელონების განიარაღება. ამასთან, ჯარისკაცები არ უნდა მოხვედრილიყვნენ თბილისში. ეშელონები თბილისის შემოვლით ჩრდილოეთში უნდა გაეგზავნათ.

თბილისის დაცვა და ამ დაცვისათვის საომარი ოპერაციების ჩატარება მთავრობამ გიორგი მაზნიაშვილს მიანდო.

ნ. ჟორდანიამ სპეციალურად მოიკითხა პირველი მსოფლიო ომის გმირი, სახელგანთქმული და გამოცდილი მებრძოლი ევგენი აფხაზავა და პოლკოვნიკ ახმეტელს ურჩია ეშელონების გასაიარაღებლად გამოეყენებინა იგი.

მართლაც, ,,ნ. რამიშვილმა მოახდინა საჩქარო კრება, რომელმაც გადასწყვიტა, გამოეწვიათ კახეთიდან აბხაზავას ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც თვალყურს ადევნებდა კახეთში მდგომ ერთ–ერთ რუსულ სამხედრო ნაწილს. აფხაზავას დაევალა წასულიყო ბაქოსკენ, გაძღოლოდა წინ მომავალ 16 ეშელონს და არ მიეცა მათთვის ნება მატარებლიდან გადმოსხმისა“. იგონებს გენერალი მაზნიაშვილი (მაზნიაშვილი, 1990: 19).

ჯავშნიანი მატარებლის უფროსი ევგენი აფხაზავა სამხედრო სამსახურში ნამდვილად დიდად გამოცდილი იყო. ევგენი აზერბაიჯანშიც მსახურობდა. ბევრი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა, მათ შორის მუსულმანთა ცხენოსანი ლეგიონის უფროსი პოლკოვნიკი მაღალოვი (მაღალაშვილი).

ამიერკავკასიის კომისარიატმა გააფრთხილა ელისავეტოპოლის ნაციონალური კომიტეტი საჭირო ზომები მიეღო ეშელონების გასაიარაღებლად. ელისავეპტოპოლის ნაციონალურმა კომიტეტმა კი ეშელონების განიარაღება დაავალა მუსულმანთა შეიარაღებულ რაზმებს, რომელსაც მაღალაშვილი ხელმძღვანელობდა. (საქ. ისტ. ნარკვ. 1972:550).

6 იანვარს, დილით, აფხაზავა თბილისის არსენალთან გაჩერებულ მატარებელში დაბანაკდა. აქვე მოთავსდნენ მისი თანაშემწენი: მაყაშვილი, მაკარაშვილი და 60 პარტიზანი.

აფხაზავას ხელში პარაბელუმი ეჭირა, წელზე მოსევადებული ქამარ–ხანჯლით შემორტყმული შავი ჩოხა ეცვა. მისი რაზმელებიც შავ ჩოხას ატარებდნენ.

თურქეთის ფრონტიდან რუსეთისაკენ მიმავალი ჯარების გზა თბილისზე გავლით მიემართებოდა. საფრთხის თავიდან ასაცილებლად მთავრობამ ყარსის რკინიგზის ხაზი უშუალოდ შეუერთა ბაქოს რკინიგზის ხაზს 303–ე ვერსზე. აფხაზავამ თბილისის მახლობლად ეშელონების განიარაღება მიზანშეწონილად არ მიიჩნია და 303–ე ვერსისაკენ გაეშურა, მაგრამ არც აქ მოისურვა მათი განიარაღება და ყარაიაში ჩავიდა. აფხაზავამ და მისმა რაზმელებმა ყარაიას სადგურზე მდგომი ეშელონი განაიარაღეს.

ყარაიას სადგურზე ახლა არტილერია და ქვეითად დატვირთული ხუთი ეშელონი მოვიდა, ეშელონის ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს განიარაღებაზე, ის კი არა, აქეთ მოითხოვეს ჯავშნიანი მატარებლის განიარაღება. აფხაზავამ თავი შეიკავა. იმ ღამით აღსტაფაში ჩავიდა. იქ მან ბრძანება მიიღო, ფრონტიდან მომავალი არცერთი ეშელონი არ უნდა გამოეშვათ აღსტაფის სადგურიდან. ახლა განიარაღება შამქორში უნდა მომხდა-

რიყო. 7 იანვარს აფხაზავას შეატყობინეს, რომ ეშელონები ყარაიადან გამოვიდნენო. არა და ყარაიადან აღსტაფამდე ყველა სადგურის უფროსი ვალდებული იყო შეეტყობინებინა აფხაზავასთვის ეშელონების მოძრაობა. თურმე, რამდენიმე სადგურის უფროსი ბოლშევიკი აღმოჩნდა და ეშელონები გაატარეს აღსტაფისაკენ. აფხაზავა გაცეცხლდა, მაყაშვილს ლიანდაგების აყრა უბრძანა, ხოლო რაზმელებს – ჯავშოსანში ჩასხდომა და ბრძოლისათვის მზადყოფნა .

7 იანვარსვე როტმისტრმა აფხაზავამ მუსულმანური ცხენოსანი პოლკის მეთაურის მაღალაშვილის სახელზე დეპეშა გაგზავნა: ,,მოდის 5 შეიარაღებული ეშელონი ქვემეხით, შეიპყრეს საბჭოს წარმომადგენლები, მოვდივართ ჯავშნიანი მატარებლით წინააღმდეგობის გასაწევად. გთხოვთ დახმარებას ყოველ გვარეობის იარაღით“ (საქ. ისტ. ნარკვ. 1972:550).

აღტაგლა–აღსტაფის უბანზე ახლა 16 ეშელონს მოეყარა თავი. ისინი იარაღის ჩაბარებაზე უარს აცხადებდნენ და ჯავშნიანი მატარებლის განიარაღებას მოითხოვდნენ. პოლკოვნიკი მაღალაშვილი და აფხაზავა საღგურ განჯაში შეხვდნენ ერთმანეთს. მაღალაშვილს ქართველი ოფიცრები ახლდნენ: ლეგიონის შტაბის უფროსი ანდრონიკაშვილი, აფხაზავას მეგობარი ეხვაია და თარხან–მოურავი. ჯავშნიან მატარებელში ოფიცრების თათბირი გაიმართა. გადაწყდა, შამქორში მომხდარიყო განიარაღება და ეშელონები შამქორიდან რუსეთში გაეგზავნათ (საქ. ისტ. ნარკვ. 1972:550).

აფხაზავა ჯავშნიანი მატარებლით შამქორს ჩავიდა, შამქორისაკენ გაეშურნენ აგრეთვე რაფიბეგოვისა და ტიგრანიანის რაზმელებით სავსე მატარებლები. განჯა და შამქორი სამხედრო ბანაკად გადაიქცა, განჯიდან შამქორისაკენ სამხედრო ეშელონები მიდიოდნენ, შამქორიდან განჯისაკენ მიმავალი რკინიგზის ხაზი აფხაზავას ჯავშნიან მატარებელს გადაეჭრა.

9 იანვარს, დილის 8 საათხე შამქორის სადგურზე პირველი ეშელონი გამოჩნდა, აფხაზავამ, ისე, როგორც ყარაიაში, წინადადება მისცა რუსეთის ჯარისკაცებს განიარაღებულიყვნენ. ჯარისკაცებმა იარაღი ჩააბარეს, ერთ საათში მეორე ეშელონიც განაიარაღეს.

მაგრამ შემდეგ მოსული საარტილერიო ეშელონები წინააღმდეგი წავიდნენ განიარაღებაზე. ჯარისკაცები ეშელონებიდან ჩამოვიდნენ, ზარბაზნები ჩამოიღეს და ჯავშნიან მატარებელს ყუმბარები დაუშინეს. გმირულად იბრძოდნენ ჯავშნოსნის რაზმელები, მაგრამ ყუმბარებით დანგრეული ჯავშნოსანი ლიანდაგს აცდა და გვერდით გადაწვა. ცოცხლად დარჩენილი რაზმელები ვაგონებიდან გადმოცვივდნენ. აფხაზავას მარცხენა ხელის ძვალი ყუმბარას დაემსხვრია, დაჭრილ მეთაურს რუსებმა ტყვია დააყარეს. ტყვიებით დაცხრილული აფხაზავა თოვლში ჩაიკეცა.

შამქორში დაიღუპნენ მისი ორი უახლოესი თანაშემწეც: მაყაშვილი და მაკარაშვილი (მაზნიაშვილი, 1990:19).

მაღალაშვილმა ბრძანება გასცა: შამქორიდან ბაქოსაკენ და დალიარისაკენ ლიანდაგი აეყარათ. განიარაღება გააგრძელეს მაღალაშვილის, რაფიბეგოვის და თარხან–მოურავის რაზმელებმა. ეშელონებს ცეცხლი წაუკიდეს და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ.

ბრძოლის შემდეგ ლიანდაგზე 5 დამსხვრეული ეშელონი და ყუმბარებით დანგრეული ჯავშოსანი ეგდო, ირგვლივ დამწვარ-დასახიჩრებული გვამები ეყარა... (ქუთათელი, 1985:120). შემდეგში ეშელონები ბრუნდებოდნენ პატარ–პატარა ჯგუფებით, რომლებიც ვერ ბედავდნენ თბილისზე გალაშქრებას. რამდენიმე დღეში სამგზავრო მატარებლების მიმოსვლაც აღსდგა.

მთავრობამ ყარსში და მის მიდამოებში გაგზავნა ცარიელი საბარგო მატარებლები ოფიცრებით, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ მოეგროვებინათ მიტოვებული სამხედრო ქონება. გაფანტული სამხედრო ქონების შეგროვება გაგრძელდა 1918 წლის მატის ბოლომდე (მაზნიაშვილი, 1990:19).

ი. სტალინი აღნიშნავდა: ,,განიარაღების უმაღლეს ილუსტრაციას წარმოადგენს შამქორთან ელისავეტოპოლსა და თბილისს შორის თურქეთის ფრონტიდან გამოსული ეშელონების განიარაღება. ელისავეტოპოლის მუსულმანთა ნაციონალური კომიტეტის წევრების მეთაურობით და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ გაგზავნილი ჯავშნიანი მატარებლის (მეთაური ევგენი აფხაზავა. ლ. გ.) დახმარებით განაიარაღეს რუსეთში მიმავალი ჯარის ნაწილი. რუსებს წაართვეს 15 ათასი თოფი, 70–მდე ტყვიამფრქვევი და ორი ათეული ზარბაზანი“ (სტალინი, 1936:16).

შამქორის ბრძოლამ ჩაშალა რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტის აჯანყების გეგმები – გამოეყენებინა არმიის ბოლშევიკური ნაწილები, მოეწყოთ შეიარაღებული გამოსვლა, ხელში ჩაეგდოთ თბილისი, აეღოთ არსენალი, გაერეკათ ამიერკავკასიის კომისარიატი და შეექმნათ რევოლუციური მუშურ–გლეხური მთავრობა. ამ ბრძოლამ დაადასტურა, რომ მენშევიკური მთავრობა ორგანიზებული აღმოჩნდა და თბილისის საგანგებო და სახელდახელო გამაგრებით ხელისუფლების გამყარება უზრუნველყო.

ამგვარად, გადაურჩა თბილისი ხიფათს და ამაში დიდია ევგენი აფხაზავას წვლილი, მას მცირე რაზმით მოუხდა რიცხვმრავალი რუსის ჯარის განიარაღება. ჯავშოსანი მატარებლის უფროსი და მისი თანამებრძოლები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისა და ღირსებისათვის.

კარგა ხანს ახსოვდათ შამქორის ამბები, მაგრამ მერე დავიწყებას მიეცა. ევგენის ხსოვნაც თანდათან მინელდა. ჯავშოსანი ასე თუ ისე, ახსოვდათ, მაგრამ ის პიროვნება, ვინც 1918 წლის იანვარში თბილისს აარიდა თურქეთის ფრონტიდან დაბრუნებული დიდძალი რუსის ჯარის შემოსევა, ეს უკვე ამოვარდა ხალხის ცნობიერებიდან.

მაგრამ დადგა ჟამი საქართველოს ბოლო, ორსაუკუნოვანი პერიოდის ნამდვილი ისტორიის შექმნისა, დადგა დრო დაუბრუნდეს ლეგენდარული სახელები ეროვნულ ცნობიერებას, უნდა აღსდგეს სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგამოდებული მებრძოლის – ევგენი აფხაზავას სახელი. მის სახელთან დაკავშირებული უმთავრესი ეპიზოდი – შამქორის ბრძოლა არ უნდა დაიკარგოს.

ევგენი აფხაზავამ თავისი შრომით, ცოდნითა და გამოცდილებით მიაღწია სამხედრო სამსახურში მაღალ საფეხურს. მაღალჩინოსანმა გვერდით გადადო ყოველდღიური ჩასაცმელი - ფრენჩი თუ საპარადო მუნდირი, დიდი სიამაყით ჩაიცვა ეროვნული გვარდიის შავი ჩოხა და სამშობლოს დასაცავად იბრძოლა ბოლომდე. იგი იყო უშიშარი, მტკიცე, უტეხი, რისკიანი, მარჯვე, ქედუხრელი.

გმირის პიროვნული პორტრეტი ვერ შემორჩებოდა, რომ არა ალ. ქუთათელის წიგნი ,,პირისპირ“. რომანი ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, მაგრამ ევგენი აფხაზავას შესახებ და შამქორის ისტორია მაშინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი დოკუმენტური წყაროებითაა გამყარებული. ევგენის არ ჰქონდა დრო დაეწერა მემუარები (როგორც გიორგი მაზნიაშვილს ან ვალოდია გოგუაძეს, რომელიც დასავლეთ საქართველოში მოძრავ ჯავშოსანს ხელმძღვანელობდა), იგი დაიღუპა ახალგაზრდა, ცოლ–შვილი არ ჰყოლია, დანიშნული ყოფილა ჭავჭავაძის ქალზე. ევგენის ერთი ძმა ჰყავდა - მიხეილი, რომელიც კოლექტივიზაციას ვერ შეეგუა, იარაღი აისხა და ყაჩაღად გავიდა. მიხეილს 4 შვილი ჰყავდა, მათმა შვილებმა და შვილიშვილებმა იციან სასახელო წინაპრის შესახებ. მათი მეშვეობით შევკრიბე მასალები ამ საინტერესო პირო-

ვნებაზე. მაქვს ზეპირი ინფორმაცია, რომ მოსკოვში, კრემლის გეორგიევსკის დარბაზში ოქროს ასოებით დაწერილი ყოფილა პირველი მსოფლიო ომის გმირთა სახელები, მათგან 7 ქართველია და ერთ–ერთი მათგანი ევგენი აფხაზავაა. მოწოდებული ფოტოებისა და ინფორმაციისთვის მადლობას ვუხდი მუზეუმის ექსპერტს ბიძინა აფხაზავას, რომლის წინაპარი იყო ევგენი აფხაზავა.

ჩვენ არ ვიცით ევგენი აფხაზავას დაბადების თარიღი, მაგრამ თუ ომამდე გაიწვიეს ჯარში, ვფიქრობთ, 1914 წელს იქნებოდა 18-22 წლის. ვიცით, რომ დაიღუპა 1918 წელს და იყო ძალზე ახალგაზრდა, ალბათ 22-26 წლისა. არც ის ვიცით, უამრავი ჯილდოს პატრონმა მიიღო თუ არა ქართული ჯილდო დაღუპვის შემდეგ, მაგრამ ვთვლით, რომ მისთვის ყველაზე მაღალი ჯილდო იქნება ღირსეული ბიოგრაფიის აღდგენა ხალხის ცნობიერებაში და ის ყვავილები, რომელსაც 9 იანვარს მის საფლავთან მიიტანენ გულშემატკივრები. გმირი დაკრძალულია მის მშობლიურ სოფელ არჩეულში, აფხაზავების სასაფლაოზე.

2013 წლის 9 იანვარს 95 წელი სრულდება ევგენი აფხაზავას შამქორში დაღუპვიდან.

P. S. ამ სტატიით მცირეოდენი წვლილი შევიტანე გმირის გახსენებაში, რომლის ისტორიამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სტატია ოდნავ შემოკლებით გამოქვეყნდა ლანჩხუთის რაიონულ გაზეთ ,,ლანჩხუთი პლუს“–ში, მივიღე გამოხმაურება ნიგვზიანის საჯარო სკოლიდან. მასალები გავაცანით აგრეთვე კინოდოკუმენტალისტს ირაკლი მახარაძეს. მასვე ვთხოვთ გააგრძელოს კვლევა და გამოსცეს პატარა წიგნი ევგენი აფხაზავაზე. ასევე, ვეთანხმები მუზეუმის ექსპერტის ბიძინა აფხაზავას წინადადებას – შეიქმნას ევგენი აფხაზავას ფონდი, რომლის მეშვეობით უნდა მოწესრიგდეს საფლავი და დაიდგას გმირის ბიუსტი. ამით პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. მაზნიაშვილი. ,,მოგონებანი“. ბათუმი. 1990 წ.
2. ი. სტალინი. ,,ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით“. თბილისი, 1936 წ.
3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.6. თბილისი, 1972 წ.
4. ალ. ქუთათელი, პირისპირ, წიგნი 1–2. თბილისი, 1985 წ.
5. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. N23.

ალექსანდრე ჩხაიძე

განათლების სისტემის ისტორიიდან აჭარაში (ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდი)

ოსმალთა სამასწლიანმა ბატონობამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა აჭარის განვითარებას. განსაკუთრებით მდგომარეობა გართულდა მე-19 ს. შუა ხანებში, როცა დამპყრობლებმა აქ მკაცრად მოჰკიდა ხელი საკუთარი სისტემის დანერგვას. მომავალი თაობის აღზრდა-განათლება და სახელმწიფოს ბიუროკრატიული საქმისწარმოება ოსმალურ ენაზე უნდა ყოფილიყო. ამ დროს აჭარაში სულ უფრო ძლიერდება მაჰმადიანური რელიგიის გავლენა, ხოლო ქართულ ენაზე წერა-კითხვას გადაგვარების საფრთხე დაემუქრა.

ადრე ჩვენთან გაბატონებული იყო შეხედულება, რომ აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს, ერთადერთი სასწავლო დაწესებულება იყო მედრესე, სადაც მხოლოდ ოსმალურ წერა-კითხვას (მათ ასოები არაბული ჰქონდათ) და მაჰმადიანური რელიგიის დოგმებს ასწავლიდნენ.

ჩვენ შევეცდებით გარკვეული კორექტივები შევიტანოთ ამ შეხედულებაში. ჩვენს ხელთაა 1869 წ. ოფიციალური ოსმალური მონაცემები, რომლითაც აჭარაში ფუნქციონირებდა განათლების ორი საფეხური დაბალი – მექთებეები და საშუალო -სამეცნიერო სკოლები (მედრესეები). კერძოდ, აღნიშნული წლისათვის ბათუმის კაზაში არსებულა 28 მექთებე 717 მოსწავლით და 2 სამეცნიერო სკოლა, ანუ მედრესე 60 მოსწავლით. აგრეთვე 1 მექთებე ბერძნები ბავშვებისათვის 15 მოსწავლით. აჭარის რაიონებში სადაც ყველა სასწავლებელი მაჰმადიანური იყო შემდეგი ციფრები გვაქვს: ჩურუქ სუს (ანუ ქობულეთის) ნაჰიეში იყო 19 მექთებე - 445 მოსწავლით და 3 სამეცნიერო სკოლა (მედრესე) - 52 მოსწავლით, ქვემო აჭარის ნაჰიეში იყო 39 მექთებე - 570 მოსწავლით და 3 სამეცნიერო სკოლა (მედრესე) - 55 მოსწავლით. ზემო აჭარის ნაჰიეში იყო 32 მექთებე - 839 მოსწავლით და 5 სამეცნიერო სკოლა (მედრესე) - 200 მოსწავლით, მაჭახლის ნაჰიეში იყო 30 მექთებე - 577 მოსწავლით და 4 სამეცნიერო სკოლა (მედრესე) - 40 მოსწავლით, გონიოს ნაჰიეში იყო 44 მექთებე - 986 მოსწავლით და 3 სამეცნიერო სკოლა (მედრესე) - 80 მოსწავლით. ყოველ სამეცნიერო სკოლაში (მედრესეში) იყო თითო მუდერისი, ესე იგი მასწავლებელი, პროფესორი მედრესეში (1.155).

მოტანილი მონაცემების შემდეგ საინტერესოა უშუალოდ თვითმხილველთა აზრი, რამდენად ემთხვევა ისინი ზემოთ აღნიშნულ 1869 წლის ოფიციალურ ოსმალურ საბუთს. რამდენად რეალურია მექთებეთა არსებობა?

1872 წ. ბათუმში იმყოფებოდა ნიკო ნიკოლაძე. თავისი შთაბეჭდილებანი მან გამოაქვეყნა ნაშრომში „სხვათა შორის" სადაც წერს: „მართალია, აქ ბევრი სახალხო და უმაღლესი სასწავლებელია, მაგრამ ამ სასწავლებლებს ძლიერ მცირედი მნიშვნელობა აქვთ. სახალხო სასწავლებლებში (ცხადია აქ მხედველობაშია მექთებეები - ა.ჩ.) მაგალითად, მარტო წერა-კითხვას ასწავლიან... მედრესეებში (ჩვენებურათ გიმნაზიებში) ასწავლიან არაბულ და პერსულ წერა-კითხვას, სხვადასხვაგვარი თათრული ხელნაწერის გარჩევას, ლოგიკას, რიტორიკას, საღვთო წერილს და ცოტ ცოტა ისტორიას, გეოგრაფიას, ფილოსოფიას... იქ (მხედველობაშია ეს სასწავლებლები – ა.ჩ.) ყმაწვილი თუ თავის ბუნებით ნიჭს და ტვინის ძალას არ ჰკარგავს, ხეპრული ვითომ განათლებით გაბერვის მეტს ვერსა იძენს" (11.79-80). რუსეთის არმიის შტაბის ოფიცერი გიორგი ყაზბეგი, რომელმაც აჭარაში 1874 წ. არალეგალურად იმოგზაურა, ადასტურებს ზემო აჭარაში მექთებესა და მედრესეს გვერდიგვერდ ფუნქციონირებას (2.37-38). 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრებისთანავე, ოსმალთაგან განთავისუფლებელ აჭარაში იმყოფებოდა რუსეთის არმიის კორეს-პოდენტი ა.ფრენკელი. ის გადმოგვცემს: „ჩურუქ სუს ოლქში, ჩემი გამოკითხვით არ აღმოჩნდა არც ერთი სამოქალაქო სკოლა. რაც შეეხება სულიერ მაჰმადიანურ სკოლებს, ისინი რამდენადმე უკეთაა მოწყობილი, ყოველ მეჩეთთან არსებობს სკოლა, რომლებშიც უმთავრესად ისწავლებოდა ყურანი" (3.84–

85). აქ უდაოდ მხედველობაშია მექთებეები. ავტორი აგრძელებს: „მათში იშვიათად ვინმე დაისწავლის წიგნიერებას და შეუძლია წერა–კითხვა. თუ რომელიმეს აღმოაჩნდება ეს ნიჭი, ამ გენიოსს აიყვანდნენ და აგზავნიან „ვაყუფის“ ხარჯზე ბათუმში, მედრესეში“ (3.85). ა.ფრენკელიც ნ. ნიკოლაძის მსგავსად აქაურ მედრესეებს ადარებს გიმნაზიებს, ასევე სემინარიებს (3.85).

რას წარმოადგენდნენ მექთებეები? როგორც აღნიშნულია, ეს განათლების სისტემის დაბალი საფეხურია. ის შეიძლება ყოფილიყო კათოლიკური, სომხური და ბერძნული. თუმცა ოსმალეთის იმპერიაში, შესაბამისად აჭარაშიც უმრავლესობას მაჰმადიანური მექთებეები შეადგენდნენ და აჭარელი ბავშვებიც იქ დადიოდნენ. ეს სკოლები უმეტესად მეჩეთებთან მდებარეობდა, აქ სწავლობდნენ მარტო წერა–კითხვას და ყურანის ტექსტებს. მთელი უბედურება იმაში იყო, რომ აჭარელ ბავშვებს წერა–კითხვა უნდა ესწავლათ არაბულ ენაზე, თუ ამას მივუმატებთ აღზრდის სისტემის მოუწესრიგებლობას და ფიზიკურ დასჯას, ადვილი წარმოსადგენია, როგორ რთულ მდგომარეობაში იქნებოდნენ ისინი ჩავარდნილნი. მაგრამ რა ექნათ მათ მშობლებს, სხვა სასწავლებლები არ არსებობდა და სახელმწიფოში არსებული ელემენტარული წერა–კითხვა ხომ უნდა ესწავლათ მათ შვილებს, ამას გარდა მაჰმადიანურ სასულიერო პირებსაც, რომლებიც მასწავლებლების როლს ასრულებდნენ დიდი გავლენა გააჩნდათ და მშობლებიც ცდილობდნენ აუცილებლად მიებარებინათ შვილები მექთებეებში, ხოლო შემდეგ თუ შესაძლებელი იყო მედრესეებშიც. მექთებეები გარდა ვაჟებისა გოგონებისთვისაც არსებობდა.

სამწუხაროდ ჩვენ მწირი მასალა გაგვაჩნია იმდროინდელ სასწავლებლებში სწავლების პროცესზე. თუმცა აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში გარკვეულ მონაცემებს მაინც ვნახულობთ. ვოლტერ ჭანტურია აღწერს სწავლების პროცესს, როგორც ის უწოდებს „დაწყებით მედრესეში“ მაგრამ ხსენებული ოსმალური სტატისტიკა არავითრ „დაწყებით მედრესეს“ არ აღნიშნავს. ავტორს უდაოდ სახელწოდება ეშლება და აქ მექთებეა ნაგულისხმევი, რაც ჩანს როგორც მოსწავლეთა ასაკიდან: აქ შედიოდნენ 6–7 წლისა (4.22), სწავლების გეგმის: ყურანის კითხვა, რელიგიური ჩვევების (4.19) მიხედვით. აქ საკლასო სისტემა არ იყო და მოსწავლეები ერთად სწავლობდნენ (4.18). ვაჟები და გოგონები ცალ–ცალკე ისხდნენ, ან შეიძლება სხვადასხვა სმენაში ევლოთ. რადგან დრო გამოყოფილი არ იყო სწავლა მზის ამოსვლიდან იწყებოდა და ხოჯის გადაწყვეტილებით შეწყდებოდა ხოლმე. ცხადია შესვენებებიც იყო. ზარის დარეკვაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგან ცოდვა არისო (4.23).

მოსწავლეებს რომლებიც მექთებეებში თავს გამოიჩენდნენ, საშუალება ეძლეოდათ სწავლა გაეგრძელებინათ მედრესეებში. აქ მოსწავლეთა ასაკი შეიძლება ყოფილიყო 15–დან 40 წლამდე. მასწავლებლები მაჰმადიანური რელიგიის ღვთისმსახურები იყვნენ. გარდა სასულიეროსა აქ საერო საგნებიც ისწავლებოდა. შესაბამისად, აქ სასულიეროს გარდა საერო მოხელეებიც მზადდებოდა. სწავლება არაბულ ენაზე დაწერილი წიგნებით მიმდინარეობდა. მასწავლებლები მოსწავლეებისაგან ღებულობდნენ საჩუქრებს კვების პროდუქტების სახით, სულეიმან გიორგაძე იხსენებს: „დაგვაჟდუმლებდნენ ოც–ოზდაათ ბაღანას ერთად და დიდი ხმით ყველას ერთად გვაკითხებდა. მედრესეს ახლო რომ კაცს გიევლო ქორწილი და ჩახურებული სიმღერა ანდა ტირილი ეგონებოდა. ვკითხულობდით და უნდა ეზაშერად გვესწავლა. ვაი შენ ხელს თუ მალე ვერ ისწავლე ეზაშერაი. ასე ვირჩობოდით, რას გვაკითხიებდნენ ვერაფერ ვერ მივხვდებოდით, ესო ღმერთის და მუხამედ ფეიღამბერის ნათქვამიაო და მადლიაო და ჩვენც გვჯეროდა” (5.6–7). იქვე სულეიმანი იგონებს, რომ მოსწავლე გოგონას უპწკინა, მასწავლებელმა, ანუ ხოჯამ სულეიმანს ჯოხი მოატანინა და ფეხის გულებში სცემა. სულეიმანმა ეს ამბავი სახლში მამას მოუყვა. მამამისმა ბავშვი დატუქსა, რომ ხოჯა ტყუილუბრალოდ არ გცემდაო, სახლიდან გააგდო და მანაც ის ღამე ბიძასთან გაათია.

აღწერილი სასწავლო–აღმზრდელობითი სისტემის შედეგად აჭარაში ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდისათვის მართალია ქართული ლაპარაკი შემორჩა, თუმცა ოსმალური მნიშვნელოვნად შემოიჭრა. ქართული

წერა–კითხვა კი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოვიყვანთ ერთი ქობულეთელის გადმოცემას: „გუშინღამ ჩვენ გორდელაძეს შინ ჩამოეტანა ქართული გაზეთი... ყველა მივედით საყურებლად – თუ რა ამბავია გაზეთაჩი, მარა კაი წამკითხველი კაცი ვერ ვიშოვეთ და გლახამ ვერ წაიკითხა. პაწაწაი ზოგიერთმა ქალებმა კი იციან ქართულის წაკითხვა, მაგრამ ქალები სახლიდან ვერ გამოვიდნენ. მერე ჩვენმა ბიჭმა ოქროპირაშვილმა თქვა, რომ ბიჭოვო, გეირბინე სამეგასო და გულაი კაკაისშვილი მოიყვანეთო, იმან იცისო კაი გაზეთის წაკითხვაო... გულაი მოვიყვანეთ... წაიკითხა. ყველა გავბეჩდით, ყოლიფერი ჩვენი ამბავი მართალი ქე ეწერა, ძიავ გაზეთში“ (6).

შექმნილმა მდგომარეობამ უარყოფითად იმოქმედა ჩვენი კუთხის მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალის განვითრებაზე. იმ დროს აჭარაში არ შექმნილა არც რაიმე სამეცნიერო წიგნი, არც ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები. რადგან აქ არ არსებობდა ქართული სკოლები, გავრცელდა მექთებეები და მედრესეები, ხოლო სწავლებაც რელიგიური იყო, შესაბამისად ძალზედ გაიზარდა მაჰმადიანური რელიგიის გავლენა. როცა აქაურ სასწავლებლებში აღმოჩნდებოდა ნიჭიერი მოსწავლეები მათ აგზავნიდნენ ოსმალეთის უმაღლეს რელიგიურ სასწავლებლებში. ისინი კი უკან დაბრუნების შემდეგ ძირითადად ოსმალური ხელისუფლების იდეოლოგიურ იარაღს წარმოადგენდნენ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მე–19 ს. შუა ხანებში, აჭარაში ოსმალთაგან განთავისუფლების წინა პერიოდში საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი. კერძოდ ქართული სკოლები არ არსებობდა, ხოლო არსებული სასწავლო აღმზრდელობითი სისტემა ორ საფეხურს მოიცავდა, ესენი იყო მექთებეები და მედრესეები, რომლებიც დამპყრობთა სამსახურში იდგა. შემოდიოდა ოსმალური ენა, წერა–კითხვა, მაჰმადიანური რელიგია, მათი სახელმწიფო დაწესებულებები, სადაც საქმისწარმოება ოსმალურ ენაზე მიმდინარეობდა. მართალია ამ შემოტევას აჭარლების ფსიქოლოგია ჯერ კიდევ უძლებდა, რადგან კარგად იცოდნენ, რომ წარმოშობით ქართველები იყვნენ. თუმცა ასე რომ გაგრძელებულიყო შეიძლება სავალალო მდგომარეობა მიგვეღო.

1877–1878 წწ. რუსეთ–ოსმალეთის ომი და აჭარის განთავისუფლება უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი კუთხის ისტორიაში, მართლია ერთი დამპყრობელი ოსმალეთი, მეორე დამპყრობელმა, რუსეთმა შეცვალა. მაგრამ ეს შედარებით დადებით მოვლენას წარმოადგენდა, რადგან აჭარას საშუალება მიეცა მთელ საქართველოსთან ერთად განვითარების საკუთრი გზა მოენახა.

ლიტერატურა

1. ნიკო ნიკოლაძე., თხზულებანი, ტ.3. 1963 წ.
2. ყაზბეგი გ., „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, ბათ. 1995 წ.
3. Френкеля А., Очерки Чурук-су и Батума. типография А.А. Михельсона, Тифлись, 1879 г
4. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, რუსულ ენაზე N 251
5. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ქართულ ენაზე, N 231
6. სასოფლო გაზეთი, 1876 წ. N 1.
7. Emiroglu kudret., TRABZON VILAYETI SALNAMESI -1869 ANKARA 1993

იზოლდა აბაიშვილი

მუზეუმის ფონდში დაცული დროშები

ყველა ქვეყანას აქვს სახელმწიფოებრივი განმასხვავებელი ნიშნები (სიმბოლოები), რომლებიც მიღებულია საგანგებო კანონებით. ესენია: დროშა, გერბი, ჰიმნი, დევიზი, ბეჭედი და სხვა.

დროშა წარმოადგენს ტარზე დამაგრებულ ერთ ან რამდენიმე ფერის ქსოვილის ნაჭერს. დროშა შეიძლება ჰქონდეს საგვარეულოს, სამხედრო ნაწილს, ქალაქს, ქვეყნის კუთხეს, რომელიმე საზოგადოებრივ გაერთიანებას, პოლიტიკურ პარტიას და ცხადია, სახელმწიფოს. დროშის ფერებსა და ზედ გამოსახულ ნიშნებს ყოველთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფო დროშა აღიმართება სამთავრობო შენობებზე, საელჩოებზე, საზღვაო გემებზე, სხვა ნაგებობებზე.

ისტორიული ქართული დროშები მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე ნაკლებად იყო შესწავლილი. ამ საკითხს ნაწილობრივ შეეხო ივანე ჯავახიშვილი (ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II 1928 წ. გვ.98, 149, 204) სპეციალური ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ს.ბარნაველს (ქართული დროშები. თბ. 1953 წ.). საინტერესო ცნობებს გვაწვდის საკავშირო დროშათა ასოციაციის ყოფილი **თავმჯდომარე, პროფესორი ოლეგ ტარნოვსკი**. საქართველოშო ყოფნისას მისი ყურადღება მიიქცია სვეტიცხოვლის ტაძარში კედელზე გამოხატულ ნავებზე აღმართულმა დროშებმა. პარიზში ყოფნისას კი იგი გასცნობია მსოფლიო ქვეყნების უძველესი ატლასის ფოტოფირს, რომელიც ანონიმ კატალონელ ბერს შეუდგენია და 1375 წელს ბარსელონაში გამოუქვეყნებია. (დღეს მისი ორიგინალი მადრიდის ბიბლიოთეკაში ინახება) – (გაზ. "თბილისი", 1989 წ. 18 მაისი. პროფ. ს.გამსახურდია – ძველი ქართული სახელმწიფო დროშა). აღნიშნულ ატლასში იმ დროის ევროპის, აზიის და აფრიკის დროშებთან ერთად ზოგიერთი ქართული დროშაც არის აღწერილი, როგორც პროფესორი ს.გამსახურდია აღნიშნავს, ჩვენთვის უცნობია, კატალონიელ ბერს ქართული დროშები თავადა აქვს ნანახი, თუ მათ შესახებ ცნობები გენუელ, ვენეციელ, პიზელ და სხვა ვაჭრებისაგან აქვს მიღებული, მაგრამ ცხადია, რომ მე-14 საუკუნეში ევროპელი მისიონერები საქართველოში უკვე მოემგზავრებოდნენ. საქართველო ევროპისათვის ნაცნობი ქვეყანა იყო და მისდამი ცხოველ ინტერესს იჩენდნენ. სავარაუდოა, რომ კატალონიელი ბერი კარგად იცნობდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას და აგრეთვე საყურადღებოა ისიც, რომ კატალონიელი ბერის მიერ აღწერილი დროშების თეთრი ფერი იდენტურია სვეტიცხოვლის ნავებზე ყველაზე საპატიო და მაღალ ანძაზე გამოსახული თეთრი დროშის ფერის. დროშის ცენტრში გამოსახვა მის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე მიგვითითებს, რადგან გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო დროშა თეთრი ფერისა ყოფილა, ხოლო ჯვრის გამოსახულება მასზე შემდგომ პერიოდში გაჩნდა. საქართველომ დავით აღმაშენებლის მეფობის დროს ჯვაროსნების მსგავსად წმინდა გიორგის მფარველობა მიიღო, რაც სიმბოლურად თეთრ ფონზე წითელი სწორი ჯვრით გამოისახა.

უძველეს ქართულ დროშებზე ძირითადად ნაყოფიერების, ღვთაებათა და მზის სიმბოლოები იყო გამოსახული. თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით – "მეფენი მარადის დროშათა ზედა და ღერბთა მათთა დასწერდეს სახესა წმიდისა გიორგისასა და აგრეთვე ყოველთა ზედა საჭურველთა და ჩაფხუტთა ზედა მხედართასა" (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I. თბ., 1985. გვ. 56).

დროშას ძველ საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი იყო როგორც ძალაუფლების გამომხატველი, სამხედრო საქმეში ჯარის ნაწილებისა და სარდლების განმასხვავებელი ნიშანი, ის იყო საბრძოლო დანიშნულებათა მქონე, ზეიმთა მონაწილე და საკულტო საგანიც – (ს.ბარნაველი. ქართული დროშები, თბ. 1953 წ. გვ.1).

ტერმინი "დროშა" ქართულ ორიგინალურ ტექსტებში პირველად მე-10 საუკუნის შატბერდისეულ "წმინდა ნინოს ცხოვრებაში" გვხვდება. სულხან-საბას განმარტებით სიტყვა "დროშა" – დრაუჟი, მწყობრთ ნიშანი, ფერად-ფერადი, გუნდთა და გუნდთა საცნობელია. მე-12 საუკუნეში იხმარებოდა ტერმინი "დროშაკი", ასევე იხმარებოდა "ბავრაყი", რომელიც სულხან-საბას მიხედვით საეკლესიო (სამღვდელო) დროშა იყო. მე-18

საუკუნეში “დროშა” და “ბავრაყი” თანაბრად იხმარებოდა. ეს ტერმინი ფონეტიკურად დაუკავშირდა თურქული წარმოშობის ტერმინს “ბაირაღს” და ქართულ ტექსტებში მე-18, მე-19 საუკუნიდან გვხვდება: მაგ:”1900 წლის 16 იანვარს მიაბარეს მიწას გიორგი წერეთელი. იგი ქაშუეთის ეკლესიიდან გამოასვენეს. თავში მოჰქონდათ ჯვარი, ხატი, ეკლესიის ბაირაღები, შემდეგ მოდიოდნენ ამქრები და ქალაქის დეპუტაციები”- წერს გაზეთი “კვალი” (გაზ.”კვალი” 1900 წ. #4 23 იანვარი).

დროშის შემადგენელ ნაწილებს თავისი სახელწოდებები ჰქონდა. დროშის ტარს “ბუნი” ერქვა, ტილოს “ალამი”. დროშას ჰქონდა აგრეთვე “დროშის თავი” და დროშის “ბუდე”.

სახელმწიფო დროშა სამეფოს ყველა მნიშვნელოვანი საზეიმო მოვლენის მონაწილე იყო. ეს იყო მეფის კურთხევა, საზეიმო გამოსვლა, აღლუმი თუ სხვა. დროშა აღიმართებოდა ასპარეზობის დროსაც. სამეფო დროშას მე-12-14 საუკუნეებში ძლევამოსილ მეფეთა სახელები ერქვა: ”დროშა სამეფო” ეწოდებოდა საქართველოს სახელმწიფო დროშას და იგი უზენაესი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დამოუკიდებლობის სამბოლო იყო და მემკვიდრეობით იმის ხელში გადადიოდა, ვინც პირმშოობის კანონის ძალით საქართველოს ტახტზე ავიდოდა – (ივ.ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II გვ. 206-207).

საქართველოში სახელმწიფო დროშასთან ერთად სხვა დროშებიც არსებობდა. ისინი ჰქონდათ “საქვეყნოდ გამრიგე” მოხელეებს. მაგალითად: ერისთავებს ჰქონიათ განსაკუთრებული სამოსი “ბეჭედი და სარტყელი.. ცხენი თოროსანი, დროშა და შუბი”. ცალკე იყო საეკლესიო და ლაშქრის დროშა. ლაშქრის ცალკეულ რაზმებსაც თავიანთი დროშები ჰქონიათ. დიდმნიშვნელოვანი ლაშქრობების დროს საქართველოს სახელმწიფო დროშა მიჰქონდათ. მაგალითად: როდესაც ქართველთა ჯარი სპარსეთთან სალაშქროდ გაემზადა, თამარმა “მოიღო დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი და შეავედრა ვარძიის ღვთისმშობელსა. დროშა და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს” – (ქართლის ცხოვრება. ტ. II, თბ. 1959 წ. გვ. 104).

რუსუდან მეფემ კი როდესაც შეიტყო საქართველოს საზღვრებში ხვარასნელთა შემოსვლის ამბავი, “მოუწოდა ყრმა იმერთა და ამერთა და მოიღო დროშა სეფე.. უბოძა დროშა სვიანი ივანე ათაბაგსა და წარავლინა ბრძოლად სულტნისა მის ჯალალედინისა”- (ქართლის ცხოვრება. ტ.II. თბ. 1959 წ. გვ. 169).

სახელმწიფო დროშა “გორგასლიანი”, “დავითიანი”, “დროშა სეფე”, “დროშა თამარის”, “ბაგრატოვანი” და ა.შ. იყო ერთიანი საქართველოს შემაკავშირებელი, მისი სიმბოლო, მისი სიძლიერისა და სიამაყის გამომხატველი. სახელმწიფო დროშას იცავდა ხალხი საუკუნეების მანძილზე და მის გარშემო ერთიანდებოდა.

დროშისადმი ადამიანების ერთგულების ტრადიციები კიდევ უფრო ცხოველმყოფელი ძალით გამოჩნდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთი ეპიზოდი მიხეილ ჯავახიშვილის რომანიდან “არსენა მარაბდელი” მოგვითხრობს: ”რუსმა ოფიცერმა, რეგვენმა ორლოვმა დროშის წართმევა დააპირა. არსენამ დროშა ხელყოფისაგან გადაარჩინა. საქართველო ხუთ სადროშოდ იყო დაყოფილი და ქვემო ქართლს მეწინავე სადროშო ერქვა, ამბოხებული ტყის ძმები არსენამ შეკრიბა და გამოუცხადა:”ჩვენს წინაპრებს ეს დროშა იმდენი უთრევიათ და მისი გულისთვინ იმდენი სისხლი დაუღვრიათ, რომ ამ სისხლში ქალაქიც კი დაიხრჩობოდა, მაგრამ დროშა დაძველდა და მისი მეთაური თავადობაც დაბერდა. ახლა ამ დროშას ჩვენ უნდა მოვუაროთ, ძველზე ახალი წავაწეროთ და პირნათლად ვატაროთ. ძველისაგან კარგს ვისესხებთ, უვარგისს მოვიშორებთ, ახალს დავუმატებთ და ასე ვივლით და ვატარებთ. ამ დროშაზე ასე სწერია:”დაიცავი კარი ჩემი უფალო და ციხე ჩემი მარად ჰყავ”. მოდი, ძმებო, ახლა ასე დავაწეროთ: ძმობა, შრომა, მიწა, თავისუფლება, თანასწორობა და პატიოსნება. დაე გვენდოს ძველის დამწერი, რომ ჩვენი შრომა, ძმობა და პატიოსნება ჩვენს კარებს იმათ ხმალზე უფრო დაიცავს” – (მ. ჯავახიშვილი, არსენა მარაბდელი, თბ.1976 წ. გვ.242).

მე-20 საუკუნის დასაწყისში მოწოდების სახით გაისმა ირ. ევდოშვილის მგზნებარე პატრიოტული სიტყვები:

"..წინ, წინ მედგრად შევებრძოლოთ
ჩარხუკუღმართ ამ ჩვენს დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ბრძოლის დროშა!"

რსდმპ კავკასიის კავშირის 1905 წლის ერთ-ერთ პროკლამაციაში ვკითხულობთ: "დგება ახალი ცხოვრების განთიადი და პროლეტარიატის სისხლიანი დროშა, რომლის გამო თრთის დესპოტებისა და ექსპლოატატორების გული. მუშების ასიათასიანი არმიის ჩვენი ამხანაგების მიერ აღმართულია თვითმპყრობელობის შუაგულში" – (რსდმპ კავკასიის პროკლამაციები (1903-1905) 1955 წ. გვ.284).

რსდმპ თბილისის კომიტეტმა ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდა მოწოდება "ყველა მუშას". მასში ნათქვამია: "რევოლუცია გრგვინავს! ფრიალებს წითელი დროშები, შენდება ბარიკადები, იარაღს ისხამს ხალხი.. რევოლუციის გემმა იალქანი აუშვა და თავისუფლებისაკენ გაემართა"(აჭმ. რსმ. ფონდი 4, ს.30).

ამრიგად, დროშა იყო საფიცარი, სათაყვანებელი სიმბოლო დიადი მიზნების მისაღწევად და იგი ყოველთვის იმსახურებდა გაფრთხილებას, შენახვასა და მოვლას თაობიდან თაობამდე.

მუზეუმის მიერ წლების განმავლობაში შეგროვილ და სამუზეუმო ფონდში შენახულ ნივთიერ მასალებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დროშებს. ესაა სახელმწიფო დროშა, გარდამავალი დროშა, სამახსოვრო დროშა, სოც.შეჯიბრებაში გამარჯვებულის დროშა, ალამი თუ ვიმპელი. თითოეულ მათგანს საინტერესო ისტორია აქვს.

1900-იანი წლების რევოლუციური ბრძოლების აქტიური მონაწილე მაგდანა მგელაძე იგონებს იმ დროშის შესახებ, რომელიც 1901 წელს ჩამოყალიბებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტისათვის შეიკერა. "..ერთხელ ჩემმა ქმარმა (ივანე მგელაძემ) მომიტანა წითელი აბრეშუმის მატერია და მითხრა: ეს დროშათ უნდა შეკერო, პირველმაისობაზე გვესაჭიროებაო. როცა დროშა შევკერე, მოიტანეს მარქსისა და ენგელსის სურათები, რომელიც იმ დროშაზე დავაკერეთ და 1902 წლის პირველმაისობაზე გავიტანეთ. პირველმაისობა პლატფორმა "თამარაზე" მიღმა ტყის პირად მოვაწყვეთ. დავალება მქონდა - დროშა წამეღო დემონსტრაციაზე და გადამეცა მუშებისათვის. დროშა ივანე დუდუჩავას გადავეცი, რომელმაც ჯოხი გამოთალა დროშისათვის. დროშა ააფრიალეს და შევძახეთ: „გაუმარჯოს 1 მაისს" – (აჭმ. რსმ. ფონდი 4, ს.30). 1904 წლის ბოლომდე ეს დროშა წინ მიუძღოდა ბათუმის მუშების სხვა დემონსტრაციებსაც. სიძველის გამო დროშა გაიცრიცა. ივანემ მითხრა: "ეს დროშა შევინახოთ..მიყვარს. ეს ხომ სოსოს პირველი დროშააო.." მოვიტანე პატარა ბალიში, გავარღვიე მარლა, შიგ ჩავდევი და ამოვკერე. ვუფრთხილდებოდი და როცა რევოლუციის მუზეუმი გაიხსნა (1937 წ.) აქ მოვიტანე. ახლა ეს დროშა მუზეუმში იანახება (აჭმ. რსმ. #3 ფონდი 5, საქმე 104, გვ.6).

მუზეუმში ინახება პოლიტპატიმართა და გადასახლებულთა საკავშირო საზოგადოების აჭარისტანის განყოფილების დროშა (აჭმ. 23376, რსმ-4) საზოგადოება 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობისათვის გადასახლებულთა მიერ შეიქმნა. 20 წლის თავზე საზოგადოების აჭარისტანის განყოფილების მიერ შეკერილ ამ დროშას რუსულ-ქართულად აქვს წარწერები: "პოლიტპატიმართა და გადასახლებულთა საკავშირო საზოგადოების აჭარისტანის განყოფილება. 1905-1925 წწ." ამ საზოგადოების აქტიური წევრი იყო პოლიტპატიმარი ნესტორ ერქომაიშვილი, რომლის შესახებ წერილობითი მასალები და მისგანვე შემონახული ეს დროშაც მუზეუმში ინახება – (აჭმ. 23376, რსმ-4, ფონდი 5, ს-357).

"მაშ, წინ, მედგრად... შემოვიკრიბოთ "ახალი კვალის" დროშის ქვეშ და ახალგაზრდული გატაცებით, ხალისით, ენერგიითა და სიმტკიცით ვეკვეთოთ თანამედროვე ცხოვრების უკუღმართობას, უსამართლობას..." (ჟურნალი "კვალი" 1918 წ. # 1). ასე მოუწოდებდნენ მოსახლეობას ჟურნალი "კვალის" ფურცლებიდან უკუღმართი ცხოვრებისა და უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანებულიყვნენ ერთი დროშის ქვეშ. სიტყვა "დროშის ქვეშ" გაერთიანება ნიშნავდა ერთსულოვნებას, შეკავშირებას, გაერთიანებულ ბრძოლას სანუკვარი ოცნების მისაღწევად.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე წითელი დროშა აფრიალდა. წითელი დროშა იქცა სოციალისტური

რევოლუციის, საბჭოთა სახელმწიფოს ემბლემად, მის სიმბოლოდ.

1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა სსრ კავშირი. საჭირო გახდა დროშაზე გამოსახულიყო მკაფიო სიმბოლო, რომელიც გამოხატავდა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობას თავიანთი უფლებებისათვის ბრძოლაში. ასეთი სიმბოლო გახდა ხუთქიმიანი ვარსკვლავი წითელ დროშაზე და ასევე გერბზე. ამიერიდან წითელ დროშაზე ჩვენ ვხედავთ ხუთქიმიან ვარსკვლავს.

უძველესი დროიდან, როცა არ იყო რუკა და კომპასი ადამიანები თავიანთ გზას დღისით მზით, ღამით კი ვარსკვლავების საშუალებით იგნებდნენ. მგზავრი ყოველთვის ვარსკვლავს შესცქეროდა, რათა გზიდან არ აცდენილიყო. ამიტომ გახდა ხუთქიმიანი ვარსკვლავი გზის მანათობლის, სიწმინდის, მარადიულობისა და ამაღლების სიმბოლო – (ა. ზოიძე, საბჭოთა სახელმწიფოს სიმბოლოები. ბათუმი, 1986 წ).

სახელმწიფო დროშა გასცდა ქვეყნის საზღვრებს. იგი აღიმართებოდა საელჩოებზე, სრულდებოდა ძირსდაუშვებელი ფრენები ჩრდილოეთ პოლუსზე, დროშის თანხლებით გადაილახებოდა ყოველგვარი სიძნელეები, დაბრკოლებები, ციკლონები, პოლარული ყინვებისა და კლდოვანი მთების დაპყრობები.

დიდი სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებულ ავტორიტეტს იძენდა წითელი დროშა. იგი წინ მიუძღოდა და საბრძოლო თუ შრომითი მამაცობით აღაფრთოვანებდა ჯარისკაცებსა და ზურგის მშრომელებს. საბჭოთა ჯარისკაცი პირველი ეგებებოდა და უკანასკნელი ტოვებდა ბრძოლის ველს. დროშისადმი ერთგულების უამრავი საგმირო და მამაცური ამბების მაგალითებია ცნობილი ომისა და შემდგომი პერიოდის ხალხთა ცხოვრებაში.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შემოღებული იქნა დროშის ახალი ნიმუშები. ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დროშაზე შენარჩუნებული იყო ერთიანი საკავშირო ემბლემა – ჩაქუჩ-ნამგალი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი და წითელი ქსოვილი. გარდა ამისა რესპუბლიკების თავისებურებათა ასახვის მიზნით დაუმატეს ფერადი ზოლები. აჭარის მუზეუმის ფონდებში დაცულია 15-ვე მოკავშირე რესპუბლიკის დროშა. აბრეშუმის ქსოვილისაგან სტანდარტულად დამზადებული ეს დროშები (აჭმ. #23 376, რსმ #13 973(1-15) საგანგებოდ დაგეგმილ საიუბილეო ღონისძიებებზე და დემონსტრაციებზე მსვლელობისას გაიტანებოდა მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის ნიშნად.

1951 წლის 11 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით დამტკიცდა რესპუბლიკის ახალი დროშა. ესკიზის ავტორი იყო სევერიან მაისაშვილი. იგი უცვლელად შევიდა საქართველოს სსრ 1978 წლის კონსტიტუციაში, რომელშიც ნათქვამია: "საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის წითელ ქსოვილს, რომლის სიგანის შეფარდება სიგრძესთან არის 1: 2. ზედა კუთხეში, ტართან მოთავსებულია ცისფერი კვადრატი, რომლის გვერდი დროშის სიგანის ნახევარს უდრის. კვადრატის შუაგულში წრეა, რომლის რადიუსი კვადრატის გვერდის მესამედს შეადგენს, წრეში ჩახატულია ნამგალი და ურო, ვარსკვლავი და სხივები წითელი ფერისაა. კვადრატის მარჯვენა გვერდის შუაგულიდან დროშას მთელ სიგრძეზე გასდევს ცისფერი ზოლი, რომლის სიგანე კვადრატის გვერდის მესამედია" – (ა. ზოიძე, საბჭოთა სახელმწიფო სიმბოლოები. ბათუმი, 1986 წ).

საქართველოს სახელმწიფო დროშაზე ცისფერი ჰორიზონტალური ზოლი განასახიერებს შავ ზღვას, ხოლო ტართან კვადრატში ცისფერი სხივებიანი მზე-მზიური საქართველოს ფირუზისფერ ზეცას. ასეთი დროშის ნიმუშები რამდენიმეა დაცული მუზეუმის ფონდში (აჭმ. 23397, რსმ. 12929).

დროშას ინახავდა და საყოველთაო სადღესასწაულო დღეებში დემონსტრაციებზე წინ მიუძღოდა ამა თუ იმ დაწესებულებას, სასოფლო საბჭოს, კოლმეურნეობას და ა.შ. ასეთი სახის დროშები სახელმწიფო დროშების იდენტურია, იმ განსხვავებით, რომ მათზე დაწესებულების სათანადო წარწერაა. ამ სახის დროშებიდან ფონდში დაცულია:

1. გონიოს სასოფლო საბჭოს დროშა (აჭმ. 18701/4)
2. ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის დროშა (აჭმ. 18701/2)

3. კალინინის სახელობის ახალშენის კოლმეურნეობის დროშა (აჭმ.18701/3)
4. აჭარის სამხრეთმცოდნეო ინსტიტუტის დროშა (აჭმ.95).
5. ხელვაჩაურის რაიონის სოფ.წინსვლის სასოფლო-სამეურნეო არტელის დროშა (აჭმ. 23115/5).
6. რევოლუციის მუზეუმის დროშა (აჭმ. 233-97, რსმ – 12929)
7. ბათუმის გამამაგრებელი რაიონის სამხედრო გარნიზონის დროშა,

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 1918-1922 წლების ამ დროშაზე წარწერებია რუსულ-ქართულად, ცენტრში ჩახატულია წითელარმიელის ქუდი, საქ. სსრ გერბი, ხუთქიმიანი ვარსკვლავი და ნახევარმთვარე (აჭმ. 17576).

ფონდში დაცული დროშებიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე საიუბილეო სამახსოვრო დროშები:

ა. საქ, სსრ აჭარის ასსრ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წელი (აჭმ).

ბ. მოწინავე კოლმეურნეობას ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად (აჭმ. 22525/1)

გ. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი 1000 წევრიანი სახანძრო საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის დროშა (აჭმ).

დ. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი – ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის დროშა (აჭმ. 230881/1).

აღსანიშნავია ფონდში დაცული გარდამავალი დროშებიდან: სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოს, კოლმეურნეობას, მოწინავე მეჩაიეს, მეთამბაქოეს, მეცხოველეობის მუშაკს, მოწინავე კინოთეატრს, განათლებისა და კულტურის სფეროში მოპოვებული წარმატებებისათვის, საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებულ დაწესებულებას (აჭმ.#19369/10, 22737, 22525/21, 158/2, 19369/11, 22529, 18701/5, 22737).

მეგობრობის დროშებიდან:

ვიეტნამი – საბჭოთა კავშირის მეგობრობის დროშა (აჭმ.#18819).

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის – სსრ კავშირთა მეგობრობის დროშა (აჭმ 23376, რსმ. ფ-7. ს-445, აჭმ. 18819/1).

ხალხთა შორის მეგობრობის დროშა (აჭმ. Dრ-215/1).

ბლაგოევგრად-ბათუმის მეგობრობის საზოგადოების დროშა (აჭმ. დრ.25/1. აჭმ. დრ. 224). და სხვა.

1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ საქართველოს საზოგადოებამ პროტესტი გამოხატა სსრ კავშირის ერთიანი დროშის სიმბოლოების მიმართ. მათ აღადგინეს 1918 – 1921 წლების დემოკრატიული დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული დროშა და გლოვის დღეებში ყველა დაწესებულების ფასადებზე თავდახრილი ქართული ეროვნული დროშები გამოიფინა. ეს იყო შინდისფერი მართკუთხა ფორმის ქსოვილი, რომლის ზედა მარცხენა კუთხეში თეთრი და შავი ზოლია. ასეთი იყო 1918 – 21 წლებში ეროვნული დროშა დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს რომლის პრეზიდენტი იყო ნოე ჟორდანია. იდენტური დროშები დაამზადეს ხულოს რაიონის სოფ. ყინჩაურის ახალგაზრდებმა და 1990 წლის 15 მაისს სხალთის ეკლესიის ეზოდან ფეხით შეუდგნენ გზას თბილისისაკენ. ახალგაზრდების ერთ ნაწილს წმინდა ნინოს ჯვარი მიჰქონდა, მეორე ნაწილს – წმინდა ნინოს ხატი. ისინი აცხადებდნენ:

“ჩვენ იქიდან მოვდივართ, სადაც ქრისტიანობის აკვანი დაირწა, ჩვენ იმ კუთხიდან მოვდივართ, რომელიც ანდრია პირველწოდებულმა გაანათლა, ჩვენ იმ გზით მოვდივართ, საიდანაც წმინდა ნინო შემოვიდა, ჩვენ იქ მივდივართ, სადაც საქართველოს გულია...

ჩვენ ამ გზებს მომავალშიც ასევე გამოვივლით, ოღონდ ღვთის წყალობით ეს გზები უკვე თავისუფალი საქართველოსი იქნება...” ეს ახალგაზრდები არიან ამირან, მერაბ, ალიოშა, ალექსანდრე, რევაზ გორგილაძეები, რამაზ სურმანიძე, დავით დავითაძე და სხვები. 1990 წლის 26 მაისს ისინი ფეხით ჩავიდნენ დედაქალაქში. მათ აღფრთოვანებით შეხვდა მოსახლეობა, რომელიც საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულს აღნიშნავდა. ამ დროშამ შემდგომში მუზეუმში დაიდო ბინა (აჭმ. რსმ – 13973).

ასეთივე ეროვნული დროშა შეკერეს ყოფილი რევოლუციის მუზეუმის (შემდგომ ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმი)

თანამშრომლებმა გამოფენის მოსაწყობად, რომელიც საქართველოს პირველ მრავალ-პარტიულ არჩევნებს მიეძღვნა (აჭმ. 23472 (1-2), 23229, 230781, 23472, რსმ, 13973).

მუზეუმში სულ 186 დასახელების დროშა, ვიმპელი, ალამი და საპატიო ლენტია დაცული.

თანამედროვე საქართველოს სახელმ-წიფო დროშა თეთრი ფერის ქსოვილია მასზე წითელი ფერის ერთი დიდი და ოთხი პა-ტარა ჯვრით. ეს მაცხოვარსა და ოთხ მახა-რობელს აღნიშნავს. XIII – XIV საუკუ-ნეებიდან ეს დროშა საქართველოს მიერ დაარსებული იერუსალიმის სამეფო დროშაც იყო. დროშის თეთრ ფერში ვერცხლის ფერი იგულისხმება, რაც უმანკოებას, უბიწობას, სიწმინდეს, სიბრძნეს აღნიშნავს, ხოლო წი-თელი ფერი სიმამაცეს, ვაჟკაცობას, სამარ-თლიანობასა და სიყვარულს.

არსებობს სპეციალური დებულებანი, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფო დროშის აღმართვის წესი. არსებობს დროშის საერთაშორისო ოქმი, რომლის განუხრელად შესრულება სავალდებულოა. 12 ივნისი დროშის საერთაშორისო დღეა. დროშა სა-ხელმწიფო სუვერენიტეტის სიმბოლოდ ით-ვლება, ამიტომ სახელმწიფო დროშისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება განიხი-ლება, როგორც სახელმწიფოსადმი მიმარ-თული შეურაცხმყოფელი მოქმედება.

სახელმწიფო დროშის ცერემონიალის წესების ცოდნა სავალდებულოა საზღვარ-გარეთ მყოფი მოქალაქეთათვის, რომლებმაც არავითარ გარემოებაში არ უნდა დაუშვან სახელმწიფო ალამისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება.

არსებობს დროშის აღმართვის წესიც, რომლის მიხედვით აღმართვა წარმოებს სწრაფად, ხოლო დაშვება ნელა, არ შეიძლება დროშა ეხებოდეს მიწას, იატაკს, წყალს.

“დროშას ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანს სცემს, როგორც ემბლე-მას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლოდ დაცვისათვის არა თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი სიცოც-ხლეს არ ზოგავს და მისთვის სიკვდილი სა-ხელად და დიდებად მიაჩნიათ - ილია ჭავ-ჭავაძე.

უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ამხედრებული ქართველ ვაჟკაცებს დროშა წმინდა მფარველად მიუძღოდათ წინ და გა-მარჯვების რწმენით მუხტავდა სამშობლოს, მამულის დამცველებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება. ტ.II თბ. 1959 წ. გვ. 104-163
2. ივ.ჯავახიშვილი-ქართული სამართლის ისტორია წიგნი II გვ. 206-207
3. ს.ბარნაველი – ქართული დროშები. თბ. 1953 წ.
4. აკ.ზოიძე – საბჭოთა სახელმწიფოს სიმბოლოები,ბათ.1986 წ.
5. გაზ. “თბილისი” 1989 წ. 18 მაისი. ს. გამსახურდია, ძველი ქართული სახელმწიფო დროშა.
6. რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლ-ამაციები (1903-1905 წ.), თბ. 1955, გვ. 284
7. ი.ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1957 გვ. 429, 490
8. ა.ზოიძე, საბჭოთა სახელმწიფო სიმბო-ლოები, ბათ. 1986 წ.
9. აჭმ. ფონდი. რსმ, ფონდი 4, ს. 30, ფონდი 5, ს.104
10. ჟურნალი “კვალი” 1918 წ. #1

დროშა საჩუქრად მუზეუმს თელავის
სკოლა–ინტერნატის კოლექტივისაგან

1918-1921 წ.წ დამოუკიდებელი
საქართველოს ეროვნული დროშა

ბათუმის გამამაგრებელი რაიონის
სამხედრო გარნიზონის დროშა

საქ. სსრ დროშა

საქ. რევოლუციის სახელმწიფო
მუზეუმის დროშა

პოლიტპატიმართა და გადასახლებულთა საკავშირო
საზოგადოების აჭარისტანის განყოფილების დროშა

რსდმპ ბათუმის კომიტეტის დროშა

დროშა–სოციალისტურ შეჯიბრებაში
გამარჯვებულ წარმოებას

ლამარა გულორდავა

ფრინველებზე დაკვირვება აჭარაში და მსოფლიო რეკორდი

ორნითოლოგია (ბერძნულიდან ,,ორნის''– ფრინველი და ,,ლოგოს'' – მოძღვრება) ზოოლოგიის ერთ-ერთი დარგია, რომელიც სწავლობს ფრინველებს, მათ ეკოლოგიას, სისტემატიკას, ქცევებს, ხმებს, მიგრაციებს და სხვ. ორნითოლოგიის ისტორია იწყება ძვ. წ. IV ს–ში და უკავშირდება არისტოტელეს სახელს, რომელმაც თავის ,,ცხოველთა ისტორიაში'' აღწერა 170 ფრინველი.

კავკასიის ფაუნა, რომელიც ევროპასა და აზიის ფაუნათა შორის გარდამავალ ადგილზე დგას და დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ძველთაგან იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გვხვდება ცნობები კავკასიისა და მასთან მოსაზღვრე ზღვების დამახასიათებელი ცხოველების შესახებ (სტრაბონის, პლინიუსის, ელიანის და სხვ. ბერძენი ავტორების თხზულებებში). სახელგანთქმული ვენეციელი მოგზაური მარკო-პოლო (1254–1324) წერდა: ,,მსოფლიოში საუკეთესო მიმინოები აქაა''. (იგულისხმება საქართველო).

ვახუშტი ბატონიშვილის (1696–1756) ნაშრომში ,,აღწერა სამეფოსა საქართველოსა'' მოტანილია ცნობები ცხოველთა გავრცელების შესახებ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, დახასიათებელია ძუძუმწოვართა, ფრინველთა და თევზთა სახეების სივრცობლივი განაწილება სხვადასხვა რაიონში.

კავკასიაში XIX ს–ის პირველი ნახევრიდან სისტემატურ ორნითოლოგიურ დაკვირვებებს აწარმოებდნენ რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მკვლევარები. მეცნიერების: მ. ბოგდანოვის, კ. როსიკოვის, კ. სატუნინის, გ. რადეს მიერ გამოქვეყნებული ორნითოლოგიური ნაშრომები: კატალოგები, სარკვევები და სხვ. დღემდე ინარჩუნებენ სამეცნიერო მნიშვნელობას. რადეს მიერ შეგროვილი ზოოოლოგიური ექსპონატები (ცხოველები, ფრინველები და სხვ.) დღესაც ამკობენ საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილებას ქ. თბილისში.

აჭარა–გურიის და ლაზეთის ჩრდილო–აღმოსავლეთ ნაწილის ორნითოლოგიურ ფაუნას იკვლევდა ფ. ვილკონსკი, რომელმაც 1896 წელს მოსკოვში გამოსცა ნაშრომი. ორნითოლოგიური მიზნით კავკასიაში იმოგზაურა პ. ნესტეროვმა, რომელიც 1910 წელს პეტერბურგის ბუნებისმეტყველთა საზოგადოების დავალებით ეწვია მდ. ჭოროხის შუა და ქვემო წელს და მოგვცა ბათუმის ოლქის ორნითოლოგიური დახასიათება.

პირველი ქართული მეცნიერული ნაშრომი ორნითოლოგიაში ეკუთვნის პ. საყვარელიძეს. მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვთ ი. ჩხიკვიშვილს, ა. ჯანაშვილს, ლ. ჩინჩალაძეს და სხვ.

მკვლევარები, ჯერ კიდევ XIX ს–ში აღნიშნავდნენ, რომ თავიანთი სეზონური გადაფრენების დროს მწყრები, წეროები, იხვები, სავათები, გარეული ბატები, სარსარაკები, ტყის ქათმები, შაშვები, მერცხლები, შოშიები და სხვა გადამფრენი ფრინველები ხშირად გადაუფრენენ ხოლმე კავკასიონის მაღალ ნაწილს, თუმცა მათი მნიშვნელობანი რაოდენობა ამ დროს გზაში იღუპება შიმშილისა და სიცივისაგან. მიუხედავად ამისა და XXI საუკუნეში გაჩენილი ფრინველების ავადმყოფობისა, შეიმჩნევა განსაკუთრებით მტაცებელი ფრინველების სიმრავლე და მრავალფეროვნება.

დღეს, დედამიწაზე ბიომრავალფეროვნების მხრივ ,,25 ცხელი წერტილი'' არსებობს. მათ შორის ერთ–ერთი კავკასიაა. შავი ზღვის სანაპიროზე გადის ფრინველთა მიგრაციის დიდი საჰაერო გზა ევროპისა და აზიის ჩრდილო რეგიონებიდან აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთისაკენ, უფრო სამხრეთისკენაც.

ბათუმის შემოგარენი, კერძოდ კი სოფლები ჩაისუბანი და სახალვაშო, წარმოადგენს ფრინველთა მიგრაციის მსოფლიოში ერთ–ერთ ვიწრო და მრავალფეროვან დერეფანს, სადაც ყოველწლიურად 800 ათასზე მეტი გადამფრენი მტაცებელი ფრინველი აღირიცხება. სოფ. ჩაისუბანი, კერძოდ მისი ერთ–ერთი ნაწილი, ე. წ. შუამთა მსოფლიოში მტაცებელ ფრინველთა მიგრაციაზე დაკვირვების მოცულობით მესამე ადგილია ამერიკისა და ისრაელის შემდეგ. იგი ცნობილია ,,აღმოსავლეთ შავი ზღვის სამიგრაციო დერეფნის'' სახელით. აქ ფრინველებზე დაკვირვება შესაძლებელია ყოველი წლის აგვისტოს

თვის ბოლოდან ოქტომბრის თვის ბოლომდე.

აღნიშნულ დერეფანში მიგრირებენ ძირითადად მტაცებელი ფრინველები. მათ შორის იშვიათი და უკვე გადაშენების გზაზე მყოფი ფრინველები. აქ შეხვდებით მტაცებელ ფრინველთა ისეთ სახეობებს, როგორიცაა: კრაზანაჭამია, შავარდენი, შავი ძერა, მცირე მყივანი არწივი, ჩია არწივი, ჭაობის ძელქორი, მდელოს ძელქორი და სხვ.

ეს დერეფანი ყოველთვის გამოირჩეოდა გადამფრენი მტაცებელი ფრინველების რაოდენობით. თუმცა 2012 წლის 3 სექტემბერი რეკორდული აღმოჩნდა. ერთი დღის განმავლობაში დაფიქსირებული იქნა 165 ათასი გადამფრენი კრაზანაჭამია არწივი. (თვლას სპეციალური ხელსაწყოთი აწარმოებდა საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ბათუმი რაფთორ ქაუნთ'') ეს ციფრი მნიშვნელოვნად აღემატება 1982 წელს ისრაელში დაფიქსირებულ ბოლო მსოფლიო რეკორდს – 124 ათასი გადამფრანი დღის განმავლობაში.

თანამედროვე მსოფლიოში ფრინველებით დაინტერესება და მათზე დაკვირვება იმდენად დიდია, რომ იგი ჩამოყალიბდა ტურიზმის ცალკე სახეობად. იგი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკის ქვეყნებში.

წელს, ქალაქ ბათუმში, უთუოდ შეამჩნევდით ბინოკლითა და ფოტოაპარატით აღჭურვილ ტურისტულ ჯგუფებს, რომლებიც შედგებოდნენ პროფესიონალ და მოყვარულ ფრინველებზე დამკვირვებლებისაგან. ისინი ევროპიდან თუ ამერიკიდან საქართველოში ფრინველთა ხილვის და მათზე დაკვირვების ინტერესმა ჩამოიყვანა.

მოხალისე ,,ბერდვოჩერებმა'' (,,ბერდვოჩინგი'' ინგლისური სიტყვაა და ფრინველებზე დაკვირვებას ნიშნავს) ჯერ კიდევ 2008 წელს საერთაშორისო პროექტის ფარგლებში შავი ზღვის დერეფანში 806 679 მტაცებელი ფრინველი აღრიცხეს. შემოდგომაზე გადამფრენი ფრინველის ასეთი დიდი რაოდენობა სხვა არცერთ ქვეყანაში არ დაფიქსირებულა. 2009 წელს 851 491 გადამფრენი ფრინველი აღირიცხა. ამჟამად, შავი ზღვის ზოლზე მტაცებელი ფრინველების 34 სახეობაა რეგისტრირებული. ,,ბათუმი რაფთორ ქაუნთ''–ის მონაცემები მოიცავს ასევე შორ მანძილზე გადამფრენი მტაცებელი ფრინველების დიდ რაოდენობას, რომლებიც სავარაუდოდ, ჩრდილო აღმოსავლეთ ევროპიდან, დასავლეთ კავკასიიდან და დასავლეთ რუსეთიდან მოფრინავენ. დაფიქსირებულ ფრინველთაგან საერთაშორისო საფრთხის ქვეშ მყოფი გადამფრენი ფრინველებიც არიან.

აჭარის მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის გადამფრენი თუ მობუდარი ფრინველის ფიტულები. მტაცებლებიდან აღსანიშნავია ბექობის არწივი, ჩია არწივი, ქორი, მიმინო, შავარდენი, ბოლობეჭედა და სხვ. აქვე ნაჩვენებია წყლის და ჭაობის ფრინველებიც, როგორიცაა: მყივანი გედი, გარეული ბატი, დიდი ჩვამა, ქარცი ყანჩა, ლაკლაკი, გარეული იხვი და სხვ. ისინი დამზადებულია სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ფრინველებიდან.

საინტერესო იქნება გაგაცნოთ რეკორდსმენი კრაზანაჭამია არწივი (ბოლოკარკაზი). სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში წერია: ,,ეს ფრინველი მიმინოს უმცირესია, ქვე ვერ დაჯდება, ბუზთა ჭამითა ცხონდება. ამას ეწოდების ლათინურად ალიექტუმ. ნიკარტნი და ჭანგი არწივს უგავს და ტანად უმცროსია, წყლით თევზს ამოიყვანს და სჭამს, ხეზე შეჯდება ფოცხვივითა''.

ბოლოკარკაზი, იგივე კრაზანაჭამია (აჭარასა და გურიაში ირაოს ეძახიან ფრენის მანერის გამო. ლათინურად – Pernis apivorus, რუსულად – Осаед, ინგლისურად – nonny-bozard) მტაცებელი ფრინველია შავარდნისნაირთა რიგისა და ქორისებრთა ოჯახისა. სიგრძე – 60 სმ. ჩვეულებრივ კაკაჩას გავს, მაგრამ უფრო გრძელი და ვიწრო კუდი აქვს. პატარა თავი, რომელიც გუგულისას ჰგავს, მამრს ნაცრისფერი აქვს, მდედრს კი ყავისფერი. სხეულის ქვედა ნაწილის შეფერილობა ცვალებადობს, თუმცა უმრავლესობა დაზოლილია და მტევნების ადგილას შავი ლაქები ეტყობა. კუდზე სამი მუქი ზოლი გასდევს, ორი ვიწრო – დასაწყისში, ხოლო განიერი –ბოლოში. ახლო მანძილზე შესამჩნევია ყვითელი თვალები და ნაცრისფერი ცვილანა. აქვს ბასრი ბრჭყალები და განმგმირავი ნისკარტი. გავრცელებულია ევროპაში, კავკასიაში, მცირე და წინა აზიაში, ირანში, ციმბირში, აფრიკაში. საქართველოში გვხვდება მიმოფრენისას. ვერტიკალურად აღწევს 1600 მ. ზღ. დ. ბინადრობს ფოთლო-

ვანსა და შერეულ ტყეებში, მეტწილად, სანაპირო ზონაში. ბუდეს იკეთებს ხეზე. მაისში დებს 2–3 კვერცხს. ინკუბაცია გრძელდება 30 დღე. კრუხად მორიგეობით ჯდება ორივე მშობელი.

ბოლოკარკაზი კაკაჩასაგან განსხვავებით, არასოდეს ჩერდება ჰაერში ერთ ადგილას. როგორც სახელი მიგვითითებს იკვებება კრაზანებით, სხვა მწერებითაც, და მათი ლავრით, რომელთა ბუდეებს მიწიდან თხრის. იშვიათად იკვებება ამფიბიებით, რეპტილიებით, მღრღნელებით და პატარა ფრინველებით. ბოლოკარკაზი არასაბაზიერო ფრინველია.

აჭარაში ფრინველებზე დაკვირვება ყოველწლიურად უფრო და უფრო საინტერესო ხდება. უფრო მეტიც, იგი ახალი ტურისტული შეთავაზება გახდა. საქართველოში ფრინველების მიგრაციაზე დაკვირვების ტურიზმის დამკვიდრების პიონერი აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტია.

2012 წლის გაზაფხულ–ზაფხულის პერიოდში აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა სოფ. ჩაისუბანში (შუამთა) დაიწყო ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარება – ტურისტებისათვის მოსასვენებელი ადგილების მოწყობა, საფეხმავლო ბილიკების გაყვანა, აღჭურვილობის შეძენა. გათვალისწინებულია მკვლევარების თუ ტურისტების კერძო სექტორში განთავსება.

წელს აღინიშნა საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ბათუმი რაფთორ ქაუნთ''–ის მეხუთე წლისთავი. 19–22 სექტემბერს ბათუმში, პირველად საქართველოში, ფრინველების ფესტივალი ჩატარდა. ამ დღეებში აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტმა ,,ბათუმი რაფთორ ქაუნთ''–თან ერთად ჩაატარა სხვადასხვა ღონისძიებები: სოფ. ჩაისუბანში გაიხსნა ინფრასტრუქტურული სამუშაოებით განახლებული დაკვირვების წერტილი, მოეწყო ექსკურსიები ეროვნულ პარკებში, უცხოელმა და ქართველმა მეცნიერებმა ჩაატარეს საინტერესო ლექციები, რომლებსაც უძღვებოდნენ მტაცებელ ფრინველებთან და ველური ბუნების გადარჩენაზე მომუშავე გამოცდილი სპეციალისტები: დოქტორი კეიტ ბილდსტეინი (აშშ), ალეხანდრო ონრუბია (ესპანეთი), ერვინ ვან მანენი (ნიდერლანდები), ანდრეა კორსო (იტალია) და სხვ. ფრინველების გადაფრენას ოცამდე უცხოელი და ქართველი მეცნიერი აკვირდებოდა. მათ შეუერთდა უამრავი დაინტერესებული ტურისტი.

ფრინველების მიგრაციის მნიშვნელოვანი დერეფანი და გადაფრენაში რეკორდული მაჩვენებელი კიდევ ერთხელ ადასტურებს ფრინველების მიგრაციაზე დაკვირვების ტურიზმის პოტენციალს აჭარაში, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ტურიზმის სხვა სახეობების განვითარებასაც, როგორიცაა ზღვაზე დასვენება, კულტურული ტურიზმი, სოფლად ტურიზმი, ეკოტურიზმი, რაც კიდევ მეტ ტურისტს მოიზიდავს ჩვენს რეგიონში. ეს კი ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის გაზრდის წყარო და კეთილდღეობის საწინდარი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მარუაშვილი ლ., კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ.1, თბ., 1975
2. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977
3. სულხან–საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტ.1, თბ., 1991
4. ჯანაშვილი ა. ხელაძე პ. და სხვ. აჭარის ფაუნა, ხერხემლიანები, ბათუმი, 1979
5. www . turizmadjara . ge
6. www. Batumiraptorcount. Org
7. ka. Wikipedia. Org (ორნითოლოგია).
8. www.Monadire. Com
9. Beb. Ekofast. Com

ფრინველების მიგრაციაზე დაკვირვებები

კრაზანაჭამია

კრაზანაჭამია

ფრინველთა გადაფრენა

კრაზანაჭამია ფრენისას

კრაზანაჭამია ფრენისას

კრაზანაჭამიას კვერცხი

თამარ ტარიელაძე

მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილი ძუძუმწოვრები

უხსოვარი დროიდან ადამიანი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძუძუმწოვარ ცხოველებთან: ჯერ კიდევ პირველყოფილ ადამიანს შეეძლო არსებობა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ნადირობდა მსხვილ გარეულ მხეცებზე და ამით უზრუნველყოფდა თავის თავს საზრდოთი და ტანსაცმლით.

უფრო გვიან ადამიანმა მოიშინაურა ზოგიერთი ძუძუმწოვარი ცხოველი და მათგან გამოიყვანა სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაური ცხოველების ნაირგვარი ჯიშები.

მაგრამ შინაური ცხოველების გამოყვანის შემდეგ გარეულმა ძუძუმწოვრებმა არ დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა ადამიანისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სანადირო-სარეწაო ძუძუმწოვრებს, უმთავრესად წყვილჩლიქიანებსა და მტაცებლებს. მათგან პირველები (მაგ. გარეული ღორი, ირემი, შველი და სხვა) ძირითადად, ხორცის მოსაპოვებლად ნადირობის ობიექტია და სამონადირეო მეურნეობის სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში იძლევიან საკმაო რაოდენობის ხორცს, რომელიც უფრო მაღალი ხარისხისაა, ვიდრე შინაური რქოსანი პირუტყვის ხორცი და უფრო ძვირადაც ფასობს.

მიუხედავად იმისა, რომ გარეული ძუძუმწოვრები ევოლუციის შედეგად კარგად არიან შეგუებული თავისი ადგილსამყოფელის გარკვეულ პირობებთან, მაინც მათი რიცხოვნობა ამჟამად შესამჩნევადაა შემცირებული. პირველ რიგში ეს ითქმის სანადირო ცხოველების შესახებ. მათი რიცხოვნების შემცირების ძირითადი მიზეზი იყო შეუზღუდავი, მტაცებლური ნადირობა და ბრაკონიერობა.

შემცირდა არამარტო სანადირო-სარეწაო ძუძუმწოვრების, არამედ იმ სხვა ძუძუმწოვრების რიცხოვნობაც, რომლებიც არ არიან ნადირობის ობიექტი, მაგ:ღამურები, ბიგები. ეს შედეგია იმისა, რომ ამა თუ იმ ტერიტორიის ათვისების დროს ირღვევა ცხოველთა ბუნებრივი ადგილსამყოფელი. მაგ: ტყის გაჩეხვა, ველს ტერიტორიის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის საძოვრად.

წარსულში ცხოველთა დაცვისადმი ზრუნვის უქონლობის შედეგად დედამიწის ზედაპირიდან გაქრა ცხოველთა და, კერძოდ, ძუძუმწოვართა მრავალი სახეობა. ასე მაგალითად, ბოლო 400-500 წლის განმავლობაში გაქრა ძუძუმწოვართა 63 სახეობა. ამჟამად თვლიან, რომ დედამიწაზე ძუძუმწოვართა 300 სახეობა და ქვესახეობა, მცირე რიცხოვნობისა და არეალის შემცირების გამო, გადაშენების გზაზეა დამდგარი, თუკი მათ გადასარჩენად არ იქნა მიღებული სპეციალური ზომები.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა შეაგროვა ცნობები ასეთ იშვიათ და გადაშენების გზაზე მდგომი ცხოველების (და მცენარეების) სახეობების შესახებ და ამის საფუძველზე შეადგინა საერთაშორისო "წითელი წიგნი".

"წითელ წიგნში" ცხოველის სახეობის შეტანა იმას მოწმობს, რომ ამ სახეობის გადასარჩენად საჭიროა სპეციალური ზომების მიღება. საქართველოში შექმნილია რესპუბლიკური "წითელი წიგნი", რომელშიც სხვა ცხოველებთან ერთად, გათვალისწინებულია ძუძუმწოვართა გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი რიგი სახეობებიც. ამჟამად ასეთი სახეობების რიცხვს მიკუთვნებულია: ნიამორი, ქურციკი, კავკასიური ირემი, ჯიქი, ფოცხვერი, აფთარი და სხვა.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი ევროპული ზღარბი, კავკასიური თხუნელა მწერიჭამიების რიგის წარმომადგენლები არიან. ამ რიგში შემავალი ცხოველები ნაირგვარია როგორც სხეულის მოყვანილობით, ისე ზომითაც. მრავალგვარობის მიუხედავად მწერიჭამიების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია სოლივით წაგრძელებული თავი, ხორთუმისებურად წაგრძელებული ცხვირით. ხორთუმი კუნთოვანია და ძლიერ მოძრავი, სხეულის საფარველი ნაირგვარია. ამ რიგის წარმომადგენლების სხეული დაფარულია ხავერდოვანი ბეწვით, ზოგიერთი სახეობისა კი ჯაგრისებური ბეწვებით ან ეკლებით.

მწერიჭამიები გავრცელებულია დედამიწაზე თითქმის ყველგან-სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიისა და ანტარქტიკის გარდა.

მწერიჭამიები უმაღლესი ძუძუმწოვრების უძველესი რიგია. საქართველოში ამ რიგის სამი ოჯახი ბინადრობს: ზღარბები, თხუნელები და ბიგები.

ზღარბები ბინადრობს ტყეებში, ბუჩქნარებში, ბაღებსა და ვენახებში. ბუდეს იკეთებს ბალახისა და წვრილი ტოტებისაგან ხეების ფესვების ქვეშ ან სხვა მოფარებულ ადგილებში. ზოგჯერ სახლდება სოროში, შემოდგომიდან ზამთრის ძილქუშს ეძლევა. მრავლდება წელიწადში ერთჯერ-გაზაფხულზე, შობს 3-8 ნაშიერს.

კავკასიური თხუნელა – თხუნელების ოჯახის წარმომადგენელია. თვალი ტყავით აქვს დაფარული, თვალის ჭრილი არა აქვს. გვხვდება თითქმის ყველგან 2000 მეტრ სიმაღლემდე. ეტანება ტენიან ადგილებს. ბუდეს იკეთებს სოროში. სორო რთული აგებულებისაა და შედგება რამდენიმე სართულისაგან განლაგებული მიწისქვეშა გასასვლელებისაგან. მრავლდება წელიწადში ერთხელ-გაზაფხულზე და შობს 5 ნაშიერს.

ხელფრთიანების რიგიდან ექსპოზიციაში წარმოდგენილია ღამურა. ხელფრთიანები ძუძუმწოვრების ერთადერთი ჯგუფია, რომელიც ხასიათდება ხანგრძლივი და შორი ფრენის უნარით. ფრენასთან ეს ცხოველები იმით არიან შეგუებული, რომ აქვთ კანის თხელი აპკისებური ნაოჭი-საფრენი აპკი, რომელიც გაჭიმულია მხრის, წინამხრის, თითებს, უკანა კიდურებსა და კუდს შორის. ხელფრთიანებს გააჩნიათ ბგერისა და სმენის აპარატი. ამ აპარატის თავისებური აგებულების გამო ხელფრთიანებს შეუძლიათ წარმოქმნან და მოისმინონ ულტრა ბგერები (დაახლოებით 40000 რხევა წამში). ფრენის დროს ეს ბგერები აირეკლება შემხვედრის სხეულიდან და ღამურა მათ შეიგრძნობს. ამიტომ ღამურა სიბნელეში არ ეჯახება შემხვედრ საგნებს და გვერდს უვლის მათ, ხოლო მფრინავ მწერებს ყლაპავს.

ჩვენში გავრცელებული ღამურები ბინდის ან ღამის ცხოველებია. ხშირად ღამურები ქმნიან დიდ ჯგუფებს. სექტემბერ-ოქტომბრიდან ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს მარტ-აპრილში. მრავლდება წელიწადში ერთხელ, შობს 1-2 ნაშიერს.

რიგი კურდღლისნაირები – კურდღელი საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. წლის განმავლობაში მრავლდება 3-4 ჯერ თითო ჯერზე შობს 1-6 ნაშიერს.

რიგი მღრღნელები – იკვებებიან ძირითადად მცენარეული საკვებით. ისინი ბინადრობენ ნაირგვარ პირობებში. მათი უმრავლესობა ბინადრობს სოროებში. ზოგიერთები მეხეურ ცხოვრებას ეწევიან, ნაწილი კი წყალში და მის ახლოს ცხოვრებასთანაა შეგუებული. მრავალგვარია მღრღნელების მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. მათი მრავალი სახეობა დიდად აზიანებს სასოფლო-სამეურნეო მცენარეებს, ანადგურებს საკვები პროდუქტების მარაგს, აზიანებს ავეჯს და სხვა. მღრღნელების სახეობის უმრავლესობა საშიშია როგორც ადამიანისა და შინაური ცხოველების ინფექციურ დაავადებათა საწყისების მატარებელი და გამავრცელებლები. ზოგიერთი სახეობის მღრღნელი ძვირფასი ბეწვის მომცემია (ნუტრია, ციყვი). მღრღნელების მრავალი სახეობა იმითაა სასარგებლო, რომ ისინი შეადგენენ მტაცებელთა რიგის ბეწვის მომცემი ცხოველების საკვებს.

ამჟამად დედამიწის ზურგზე ბინადრობს 3000-მდე სახეობის მღრნელი. ხოლო საქართველოში 29 სახეობა.

ციყვი – დღის ცხოველია, აქტიურია დილასა და საღამოს საათებში. წელიწადში 2-3 ჯერ მრავლდება. შობს 10-მდე თვალაუხელელ ნაშიერს.

ნუტრია-ნუტრიების ოჯახის წარმომადგენელია. მისი სამშობლო სამხრეთი ამერიკაა, სადაც ნუტრია ჭაობებიან ადგილებში ბინადრობს. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მოახდინეს მისი აკლიმატიზაცია ამიერკავკასიაში. საქართველოში კოლხეთის დაბლობის დაჭაობებულ ადგილებში ნუტრია კარგად შეეგუა და ფართოდ განსახლდა, მაგრამ არასწორი რეწვის გამო მისი რაოდენობა ამჟამად მინიმუმამდეა დაყვანილი.

ძილგუდა - ძილგუდების ოჯახის წარმომადგენელია, გარეგნულად მოგვაგონებს ციყვს. კუდი გრძელია და ფუნჯით ბოლოვდება. საქართველოში გვხვდება ყველგან, სადაც ნაყოფმსხმოიარე ხეებია. აქტიურია წლის თბილ დროს, ხოლო შემოდგომის ბოლოს ზამთრის ძილქუშს ეძლევა. ის წარმოადგენს კვერნების საკვებს.

ღნავი (ტყის ძილგუდა) – ძილგუდების ოჯახის წარმომადგენელია. ძილგუდაზე პატარა ზომისაა. აქვს გრძელი, საკმაოდ ფუმფულა კუდი, საქართველოში ყველგანაა გავრცელებული.

მტაცებელთა რიგის მრავალი ცხოველი იძლევა მაღალი ხარისხის ბეწვს.

წავი ეკუთვნის კვერნისებრთა ოჯახს, ბინადრობს მდინარეებისა და ზოგჯერ გზების ნაპირებზე, საუკეთესოდ ცურავს და ყვინთავს. მიწაზე სწრაფი სიარული არ შეუძლია. ძვირფასი ბეწვის მომცემი ცხოველია. მასზე ნადირობა აკრძალულია.

კვერნა - გვხვდება ტყის შუა და მაღალი ზონის ტყეებში 1000-2000 მ. სიმაღლემდე. ბუდეს იკეთებს ხის ფუღუროში, კლდეთა ნაპრალებში, ფესვების, ხეების ქვეშ. შეუღლებამდე ცხოვრობს მარტოულად. იკვებება შერეული საკვებით. იტაცებს შინაურ ცხოველებს. ძალიან მარდი, ღონიერი, დაუღალავი მტაცებელია. საუკეთესო ბეწვის მომცემი ცხოველია. ჩვენში გავრცელებულია ორი სახის კვერნა. კავკასიის თეთრყელა კვერნა და კავკასიის ყვითელყელა კვერნა მას ყოველთვის ორ-ორი ნაშიერი ჰყავს. მისი ნაშიერი თვალაუხილავი იბადება. თვალებს ახელს 36 დღის ასაკში. იგი სწრაფად იზრდება და ერთი წლის ასაკში ამთავრებს ზრდას, თუმცა გამრავლების უნარიანობა მხოლოდ მესამე წლის თავზე შესწევს.

დედოფალა - კვერნისებრთა ოჯახს ეკუთვნის. გვხვდება ყველგან 3500 მეტრ სიმაღლემდე. იკვებება ძირითადად თაგვისებრი მღრღნელებით, მაგრამ ხშირად თავს ესხმის კურდღლებსა და ფრინველებს. ჭამს გველებს, ხვლიკებს, მწერებს. ბეწვი მდარე ხარისხისაა. სარგებლობა მოაქვს თაგვისებური მღრღნელების მასობრივი განადგურებით.

რიგი წყვილჩლიქიანები – ამ რიგის ცხოველებისათვის დამახასიათებელია ფეხების თავისებური აგებულება. ისინი გრძელია და მომარჯვებულია სარბენად. კარგად აქვთ განვითარებული მე-3 და მე-4 თითები. თითების ბოლო დაფარული აქვთ ჩლიქებით. ამ რიგის წარმომადგენელს ღორს (და ბეჰემოტს) განვითარებული აქვთ ოთხივე თითი.

წყვილჩლიქიანები - იკვებებიან უმთავრესად მცენარეებით. ზოგიერთ სახეობას (მაგ. ღორს) კუჭი მარტივი აქვს, ხოლო ზოგს კი რთული და ჩვეულებრივად 4 განყოფილებისაგან შედგება (მაგ: ირემი, შველი და სხვა). რთული კუჭის მქონე ცხოველები ცოხნიან საკვებს, მათ მცოხნელთა ქვერივს აკუთვნებენ, ხოლო მარტივი კუჭის მქონე წყვილჩლიქიანებს - არამცოხნელთა ქვერივს.

გარეული ღორი-ღორების ოჯახის ტიპიური წარმომადგენელია. მდედრები მამრზე პატარაა. აჭარაში გარეული ღორი უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება ჭარნალის ხეობაში, კვარი–ათისა და ბოდოკოს ტყეში. მცირე რაოდენობით გვხვდება სოფელ მირვეთის მოდამოებთან, სადაც უფრო თურქეთის საზღვრებიდან შემოდის. საერთოდ აჭარისწყლის ხეობაში გარეული ღორი არც ისე ხშირია. იგი უფრო შუახევის ჭალასა და ღაღვის მიდამოებში ბინადრობს, მის აღმოსავლეთით გარეული ღორი იშვიათობას წარმოადგენს.

გარეული ღორი ყველაფრის მჭამელი ცხოველია, სწრაფად იზრდება და გამრავლების უნარს იძენს წლინახევრის ასაკში. ყრის 3-7 გოჭს. Kოლტებად ცხოვრობენ, სიცოცხლის ხანგრძლივობა 24 წელია.

შველი – ეკუთვნის ირმების ოჯახს. რქები აქვს მხოლოდ მამრს. რქები ყოველწლიურად სცვივა ნოემბერ-დეკემბერში და მათ ნაცვლად იზრდება ახალი რქები. ახალგაზრდა შვლებს ზურგზე სამ რიგად განლაგებული თეთრი ლაქები აქვთ.

შველი გვხვდება შუახევის, ხულოს და ხელვაჩაურის რაიონში. იგი დაცულია კინტრიშის ნაკრძალში, სწრაფად მრავლდება ვინაიდან სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 14-15 თვის ასაკში. მდედრი შობს ჩვეულებრივად ორ ნუკრს, ზოგჯერ ერთს ან სამს. მამრი არ ზრუნავს შთამომავლობაზე. ზაფხულობით ის ცალკე ცხოვრობს, ზამთრობით კი ოჯახის წევრებთან ერთად. ზამთარში, როდესაც თავდაცვისათვის საჭიროა დიდი სიფრთხილე. შველები ერთიანდებიან ჯოგებად.

რიგი ვეშაპები – ამ რიგში გაერთიანებული ძუძუმწოვრები დიდი ზომისაა და მხოლოდ წყალში ცხოვრობენ. სხეული თევზის ფორმისაა კუდის ორნაკვთიანი ფარფლით. წინა კიდურები გადაქცეულია ფარფლებად. უკანა კიდურები არა აქვს. საქართველოს ნაპირებთან ბინადრობს კბილე-

ბიანი ვეშაპის ზოგიერთი სახეობა დელფინების ოჯახიდან.

ზღვის ღორი – ეკუთვნის დელფინების ოჯახს, გავრცელებულია შავიზღვისეული ზღვის ღორი. მუდმივად ცხოვრობს წყალში. წყლიდან ამოსვლა და ხმელეთზე მოძრაობა არ შეუძლია. ცხოვრობს ჯგუფებად 4-10 ეგზემპლარის შემადგენლობით. მაკეობის ხანგრძლივობა 10-12 თვეა, შობს ერთ ნაშიერს. მშობიარობის დროს დედა ამოსწევს სხეულის უკანა ნაწილს წყლის ზედაპირზე, ხოლო დაბადებისას ნაშიერი ასწრებს წყალში მოხვედრამდე ჩაისუნთქავს ატმოსფერულ ჰაერს. ნაშიერს წოვა არ შეუძლია. მილისებურად დაკეცილი ენის საშუალებით ის ეკიდება დედის ძუძუს, ხოლო დედა კუნთების შეკუმშვით ძუძუდან შეუშხაპუნებს შვილს პირში რძეს. რძის ცხიმიანობა 40-50%, გამრავლების უნარი უვითარდება 2-3 წლის ასაკში, სიცოცხლის ხანგრძლივობა 30-35 წლამდეა.

აფალინა – ეკუთვნის დელფინების დელფინების ოჯახს. სხეულია სიგრძე 5 მ-ს აღწევს. სხეულის საშუალო წონაა 110-150 კგ. ზურგის მხარეზე ფარფლები და კუდის ნაკვთები მორუხოშავია, მუცელი თეთრი. შავ ზღვაში გვხვდება შავი ზღვის აფალინა, გაურბის ზღვის გაშლილ სივრცეს.

ლიტერატურა

1. ვ. კაჭარავა "მადლი დედაბუნებისა" თბ. 1983 წ.
2. გ.გ.დოპელმაიერი, ა.ს.მალჩევისკი, გ.ა.ნოვიკოვი, ბ.ი.ფალკენშტეინი – "ტყის მხეცებისა და ფრინველების ბიოლოგია" თბ. 1963 წ.
3. ა. ჯანაშვილი, პ.ხელაძე, ჯ.მესხიძე "აჭარის ფაუნა, ხერხემლიანები" ბათუმი 1979 წ.
4. ბ. ე. ყურაშვილი, "ბუნება დაცვითი განათლების საკითხები", თბილისი 1988 წ.
5. ვლ. ბურჯანაძე "ბუნების დაცვა საყოველთაო სახალხო საქმეა" თბ., 1971 წ.
6. არ. გეგეჭკორი "დედაბუნება" თბ., 2004
7. ბ. ყურაშვილი, საქართველოს ცხოველთა სამყაროს დაცვა და ნაციონალური გამო–ყენება, თბ., 1988

წავი

ციყვი

ციყვი

ზღარბი

შველი

ღამურა

ნათელა ახვლედიანი

მუზეუმში დაცული იქთიო ფაუნა

2000 წლის წინათ, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, თევზი სიმბოლოდ გამოარჩიეს ქრისტიანებმა. ქრისტიანული თემების რბევის დროს მაცხოვრის სწავლებისადმი ერთგულებას ადამიანები თევზის გამოსახულების ჩვენებით განუცხადებდნენ ერთმანეთს. ამის საფუძველი შემდეგი გარემოება უნდა ყოფილიყო. "ითხუს" ბერძნულად თევზს ნიშნავს. თითოეული ასო იშიფრება: "იესო ქრისტე ძე ღვთისა მაცხოვარი".

ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ ქრისტეს მოწაფეები მესათხევლეები ანუ მეთევზეები იყვნენ. თევზები წყლის ხერხემლიანი ცხოველებია, რომლებსაც არა აქვთ სხეულის მუდმივი ტემპერატურა, წონა კი განსაკუთრებულია. მეცნიერები თევზებს სამ დიდ ნაწილად აჯგუფებენ:

1. ძვლოვანი თევზები;
2.ზვიგენები და სკაროსები;
3. სალამურასებრნი.

ამჟამად ცნობილია თევზების 22000-მდე სახეობა, რომლებიც 7 ქვეკლასში ერთიანდებიან.

ბობოქარი იყო გეოლოგიური წარსული დედამიწის იმ ნაწილისა, სადაც დღეს შავი ზღვა მდებარეობს. თანამედროვე ფორმა შავმა ზღვამ დაახლოებით 10000 წლის წინათ მიიღო. ზღვა შავი არსად არ არის შავი უბრალოდ, მარმარილოს ზღვასთან შედარებით უფრო მუქია. ზღვა უსაზღვროდ დიდია და კეთილი, მდიდარი და ამოუცნობი.

შავი ზღვის მნიშვნელობა საქართველოსთვის ფასდაუდებელია. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ წარმონაქმნს ქვეყნის ზოგადგეოგრაფიული მდებარეობისათვის, რესურსულ პოტენციალს, რეკრეაციულ ზონას, საგარეო კავშირურთიერთობების ძირითად არტერიას. შავი ზღვა ქართველებისათვის მსოფლიო ოკეანის კარიბჭეა.

200 მეტრზე ღრმად, ჟანგბადის გაქრობის გამო, შავი ზღვის წყალი და ფსკერი უსიცოცხლოა, მაგრამ მიუხედავად ამისა შავ ზღვაში 2000 სახეობის ცხოველი გვხვდება. მათგან 150 – უძველესი გეოლოგიური დროიდან ბინადრობს. 240-კი ენდემურია. შავ ზღვაში მენდელევის მთელი ტაბულაა გახსნილი.

შავი ზღვის თევზები თავისი ნირის მიხედვით განიყოფებიან შემდეგ ჯგუფებად:

1. პელაგური თევზები, რომლებიც ცხოვრობენ პელაგურ ნაწილში. ისინი არ არიან დაკავშირებული ფსკერთან და მთელ თავის ცხოვრებას ატარებენ ზღვის პელაგურ ნაწილში, სადაც იკვებებიან და მრავლდებიან. ამ ჯგუფის თევზებია: ქაფშია, ქარსალა, სტავრიდა, სკუმბრია და სხვა.

2. ფსერული თევზები ცხოვრობენ ზღვის ფსკერზე და იქ იკვებებიან და მრავლდებიან. ასეთია:ღორჯო, კამბალა, ბარაბული, ზღვის მამალი, ზღვის მელა, ზღვის ქორჭილა და სხვა. შავ ზღვაში ვხვდებით გამსვლელ თევზებსაც.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში თითქმის დაარსების დღიდან, ჯერ სველი პრეპარატები, შემდეგ ფიტულები შავი ზღვის თევზებისაა, დაცულია ფონდებსა თუ ექსპოზიციაში. ფოტულები დამზადებულია ტაქსოდერმისტ ვ. სოკოლოვის მიერ.

წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს:

ზღვის ეშმაკი – საინვენტარო N# 2459 გამხმარი, პირი ღია. შემოსულია 1924 წელს ბათუმის თევზის სამეურნეო სადგურიდან. ტანის სიგრძე 25 სმ. თავის 40 სმ. კუდი 12 სმ.

საერთოდ, ზღვის ეშმაკი – ზღვის ეშმაკისებრთა ოჯახისაა, მისი სიგრძე 1,5 მ. აღწევს წონა 20 კგ-მდე, სხეული შიშველია, ზემოდან მუქი, ქვემოდან მოთეთრო. თავი დიდი, განიერი და ბრტყელი აქვს, დიდი პირი. სასაზე ძლიერი კბილები, მტაცებელია. გავრცელებულია ბარენციის ზღვიდან შავ ზღვამდე. იყენებენ ნედლსა და შებოლილს. კუჭქვეშა ჯირკვლისაგან ამზადებენ ინსულინს.

ზღვის მამალი – საინვენტარო N#2461 1938. მუზეუმში შემოსულია 1924 წელს მეთევზეთა არტელიდან. ფიტული, ტანის სიგრძე 46 სმ. წარმოდგენილია მუზეუმის ექსპოზიციაში 2 ცალი.

ზღვის მამლისებრნი – ამ თევზების ოჯახი ქორჭილასნაირთა რიგისაა, თითისტარისებრი. სხეული დაფარულია წვრილი ქერცლით. მკერდის ფარფლის წინა 3 სხივი გარდაქმნილია მოძრაობის, შეხებისა და გემოვნების ორგანოებად. გავრცელებულია ფართოდ. საქართველოში შავი ზღვის სანა-

პიროზე ყველგან გვხვდება. მცირე სარეწაო მნიშვნელობა აქვს.

ზღვის კატა – საინვენტარო N1193/7 შემოსულია მეთევზეთა არტელიდან, 1930 წელს. სიგრძე 70 სმ-დეა.

ზღვის კატა ბოლოქაცვისებრთა ოჯახი–საა. სხეულის სიგრძე 2,5 მ. აღწევს. წონა 16 კგ. სხეული შიშველია, მხოლოდ ზურგის შუა ხაზზე რამდენიმე მცირე ხორკლია, კუდის ფუძესთან აქვს კიდეებდაკბილული ქიცვი. რომლის ჩხვლეტას ზღვის კატა თავდასხმის დროს იყენებს. ხორცი შეიძლება საკვებად გამოიყენოთ, მაგრამ ძალზე უგემურია, ღვიძლი შეიცავს დიდი რაოდენობით ცხიმს, გამოიყენება მედიცინაში, რადგან მასში "ა" ვიტამინი შედის. გავრცელებულია შავ ზღვაში, ატლანტიის ოკეანეში, ხმელთაშუა ზღვაში, აზოვის ზღვაში. საქართველოს სანაპიროებთან ყველგან გვხვდება.

კამბალა – მუზეუმის ექსპოზიციაში 1930 წლიდან არის. საინვენტარო N20172/1 1372 სხეული ასიმეტრიულია, ბრტყელი, დაფარული ქერცლით. თვალები მოქცეულია ერთ მხარეზე, უმეტესად მარჯვნივ. სხეულის ზედა-თვალების მხარეზე მცირე რაოდენობის ფარფლებია, რასაც კუდის ღერო მოკლეებულია.

კამბალა ცხოვრობს ზღვის ფსკერზე, ხოლო ქვირითის დაყრის დროს მცირე სიღრმის სანაპირო ზოლს უახლოვდება, შემდეგ ისევ სიღრმეში მიდის. საქართველოში მისი გავრცელების არეალია აჭარის, ფოთის, ანაკლიის, ოჩამჩირის და ახალი ათონის თავთხელები. შედის მდინარეების შესართავებში. შავ ზღვაში კამბალა 5 სახის გვხვდება. კამბალა-კალკანი 2 სახის, კამბალა გლოსა, არნგლესუსი, ზღვის ენა, იჭერენ სხვადასხვა ბადეებით და ჩანგლებით. იყენებენ ნედლს, შებოლილს, დამარილებულს.

შავი ზღვის ორაგული – 1976 წელს სოკოლოვის მიერ არის დამზადებული საყრდენზე. სხეული დაფარულია მკვრივი ქერცლით. თავი ტიტველია, აქვთ ცხიმოვანი ფარფლი, საცურავი ბუშტი საყლაპავ მილთანაა დაკავშირებული. ზურგის ფარფლი მოკლეა.

ორაგული გავრცელებულია ატლანტის ოკეანის ევროპულ სანაპიროებთან, ხმელთაშუა, შავი, კასპიის, არალის ზღვების აუზებში.

შავ ზღვაში ბინადრობს ორაგულის ქვესახეობა-შავი ზღვის ორაგული. იგი გავრცელებულია შავ ზღვაში და მასში შენაკად მდინარეებში-ფსოუში, ბზიფში, კოდორში, ენგურში, კინტრიშში, ჩაქვისწყალში და მაჭახელაში.

სხეულის სიგრძე 100-130 სმ-მდეა. წონა 8-13 კგ-მდეა ზოგჯერ მეტიც. გამსვლელი თევზია, გააჩნია ტბის (ტბის კალმახი) და მდინარის (მდინარის კალმახი) ფორმები. ქვირითს ყრის მდინარის ფსკერზე მის მიერ ამოთხრილ ბუდეებში და მას ფარავს ქვიშით. ინკუბაციის ხანგრძლივობა წყლის ტემპერატურის შესაბამისად 47-50 დღიდან 90-100 დღემდე გრძელდება.

სტავრიდა – ფართოდაა გავრცელებული შავ ზღვაში, ჩვეულებრივ სიგრძე უდრის 12-15 სმ. ცნობილია 40-45 სმ-ის სიგრძის. მუზეუმში დიდი და პატარა ზომის სტავრიდა არის დაცული. სტავრიდა მარდად მოძრავი პელაგიური თევზია. სტავრიდა დიდი რაოდენობით გვხვდება სექტემბერში. ზამთრობს ღრმა ნაპირებთან და ზღვის უბეებში, რომელთა შორის აღსანიშნავია ბათუმი.

სტავრიდას იყენებენ როგორც ახლად ისე გაყინული სახით. მისგან ამზადებენ მაღალი ხარისხის კონსერვებს. აკეთებენ კარგი ხარისხის შებოლილ პროდუქტებს.

ზღვის ცხენთევზა – ნემსთევზასებრთა ოჯახისაა. გარეგნულად ჭადრაკის მხედარს წააგავს. სხეულის სიგრძე 4-20 სმ. აღწევს, გვარში 30 სახეობაა. გავრცელებულია ზომიერ და ტროპიკულ ზღვებში. გვხვდება შავი ზღვის და იაპონიის ზღვებში. ზღვის ცხენთევზა ცალსქესიანი თევზია. მამალს კუდის დასაწყისში ქვედა მხარეზე აქვს აპკი, რომელშიც დედალი დებს კვერცხს. პარკში გამოჩეკილი ლიფსიტების საკვები ერთხანს ყვითრია, შემდეგ გამოდიან წყალში, სადაც პლანქტონით და ბენთოსით იკვებებიან, სარეწაო მნიშვნელობა არა აქვთ.

სხეული თითისტარისებურია. ლაყუჩის ნაპრალები სხეულის წინა ნაწილის მარჯვნივ და მარცხნივაა განლაგებული. მკერდის ფარფლის წინა კიდე თავისუფალია. ქალას არა აქვს კეფის როკები. ზურგის ფარფლის ქიცვები კარგადაა განვითარებული. ორივე ყბაზე კბილები ერთნაირია, ნესტოები პირის ნაპრალიდან მოშორებითაა განლაგებული,

ცოცხლად მშობიარენი არიან. ფართოდაა გავრცელებული ჩრდილო ნახევარსფეროს ზღვებსა და ოკეანეებში. შავ ზღვაში გვხვდება ორი სახეობა კერძოდ, მუზეუმში არის შავი ზღვის ქაცვიანი ზვიგენი (კატ-რანი), სიცოცხლის ხანგრძლივობა 35 წლამ-დეა.

სარეწაო ობიექტია, ღვიძლიდან ამზადე-ბენ ძვირფასი სამკურნალო თვისების ზეთს, ხოლო ტყავს იყენებენ ფეტრის წარმოებაში გამოსაყენებლად. კატრანის შებოლილი ზურგიელი მაღალხარისხოვანი საკვები პროდუქტია.

1953 წელს აჭარის შავი ზღვის სანაპი-როზე, ნავსადგურის მახლობლად, დაჭე-რილი იქნა თევზი მწვანულა, რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, რადგან უმთავრე-სად ეს თევზი ბულგარეთის, რუმინეთის სანაპირო ზოლში ვხვდებით, იშვიათი სილამაზის თევზია. მისი სხეული დაფარუ-ლია სხვადასხვა ფერის წერტილებით. თევ-ზის სიგრძე 25-30 სმ. წონა 250 გრ. იკვებება მოლუსკებით, წყალმცენარეებით და სხვა. მწვანულა სამრეწველო მნიშვნელობის არ არის უგემური ხორცი აქვს.

მუზეუმში დაცულია შავი ზღვის თევ-ზების სხვა სახეობებიც როგორიცაა: ხმალ-თევზა, ზღვის მელა, ზღვის ურჩხული, თევ-ზჩაქუჩა, ხამსა, ნემსურა, სმარიდა, ფარფლ-წითელა, კალმახი, გველთევზა, ჩიქვი, ბარა-ბული, გარბილი, კარჩხანა, ქარიყლაპია, ჭა-ნარი, კეფალი და სხვა.

ზღვის ყველაზე უფრო აშკარა პროდუქტი, რა თქმა უნდა თევზი არის და მეცნიერების გამოთვლით შავ ზღვაში მისთვის ზიანის მიყენების გარეშე შესაძლოა წლიურად მინიმუმ 350,00 ტონა თევზის დაჭერა. თევ–ზის გამრავლებისათვის აუცილებელი არის დაუბინძურებული და დაცული ეკოსისტემა, ხოლო ეკოსისტემის არსებობისათვის კი საჭიროა თევზჭერის შესაბამისი მართვა.

ევტროფიკაციის გავლენა მთელ შავ ზღვას დაეტყო. მართალია, კვლევის შედეგად დად–გინდა, რომ წყალში გახსნილი ორგანული დაბინძურების 70% მხოლოდ მდინარე დუნაიდან მოდის, მაინც თამამად შეგვიძ–ლია ვთქვათ, რომ შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანამ შეიტანა თავისი წვლილი ამ პროცესში.

ლიტერატურა

1. ჯ. მესხიძე, ო. ბურჭულაძე – საქართვე-ლოს შავი ზღვის სანაპიროს თევზები, ბათუმი, 1982 წ.
2. თ. ძაძამია, ბ. სარია, შავი ზღვის თევზები, თბილისი, 1998 წ.
3. ე. ჩხაიძე, აჭარის სარეწაო თევზები, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხ.ფ.
4. აჭარის მუზეუმის ბუნების განყოფილების საინვენტარო წიგნი
5. საქართველოს მტკნარი წყლის თევზები, თბ, 1970 წ.

ცხენთევზა

ზღვის ეშმაკი

ზღვის მამალი

მწვანულა

ზვიგენი

სველი პრეპარატები

ლია გერგეშანია

მუსიკალური საზოგადოება აჭარაში და ვლადიმერ კორშონი

აჭარის მუსიკალური საზოგადოების ისტორია იწყება შორეული წარსულიდან. XIX ს.ბოლოს შეიქმნა ე.წ. "ბათუმის მუსიკალური წრე", რომლის წესდება დამტკიცდა ქ. სანკტ-პეტერბურგში 1899 წლის 21 აგვისტოს სამხედრო მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ კუროპატკინის მიერ. მისი ფუძემდებელი იყო სასულე ორკესტრის დიდი მცოდნე და შესანიშნავი პედაგოგი, კონცერტმაისტერი კონსტანტინე ვეტოშნიკოვი. მან მუსიკალურ წრეში განახორციელა რეფორმა, რომელმაც ხელი შეუწყო წრის შემოქმედებითი საქმიანობის ამაღლებას.

მუსიკალური წრე ფინანსდებოდა საწევრო შენატანებიდან, მუსიკალურ სკოლაში სწავლის საფასურიდან, ასევე კონცერტების, საოპერო, დრამატული სპექტაკლებიდან და სხვა შემოსული თანხებიდან.

ბათუმის მუსიკალურ წრესთან არსებობდა მუსიკალური სკოლა, რომელშიც გახსნილი იყო საფორტეპიანო და ინსტრუმენტალური კლასები. ბავშვები ეუფლებოდნენ ინსტრუმენტებზე დაკვრას და იღებდნენ ზოგად მუსიკალურ განათლებას.

მუსიკალური წრე ხშირად აწყობდა მუსიკალურ სამფონიურ შეკრებებს, კონცერტებს, საღამოებს, საოპერო-დრამატულ სპექტაკლებს, სრულდებოდა ინსტრუმენტალური და ვოკალური ნაწარმოებები, საკვარტეტო საღამოებზე კი-კამერული მუსიკის პიესები, მათივე ძალებით შესრულებული იყო ცალკეული ფრაგმენტები ოპერებიდან "ფაუსტი", "კარმენი", "ტრავიატა", "ტრუბადური" და სხვა.

იმ პერიოდის ბათუმის გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა სტატიები მუსიკალური წრის საქმიანობის მნიშვნელობაზე ფართო მასებში მუსიკალური ცოდნის განვითარების საქმეში.

1921 წელს აჭარაში იქმნება მუსიკალური საზოგადოება. ამავე წელს ბათუმში ვლადიმერ კორშონის ჩამოსვლამ, მისმა გამოცდილებამ და ავტორიტეტმა აქტიური როლი ითამაშა მუსიკალური საზოგადოების განვითარებაში. ვლ. კორშონმა დიდი გავლენა მოახდინა ბათუმის მუსიკალურ ცხოვრებაზე. აჭარაში შეიქმნა სახელმწიფო კოლექტივები: სახელმწიფო აკადემიური გუნდი – ხელმძღვანელი მ.კუხიანიძე, რუსული ოპერა – დირიჟორი ვლ.კორშონი, სასულე ორკესტრი – კაპელმაისტერი თ.ხავთასი, მოგვიანებით შეიქმნა სიმფონიური ორკესტრი – დირიჟორი ვლ.კორშონი. საოპერო-საგუნდო სტუდია და სხვა.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კორშონი დაიბადა 1882 წლის სექტემბერში ქ.ნიკოლაევში (უკრაინა) მოსამსახურის ოჯახში. სწავლობდა რეალურ სასწავლებელში, ხშირად ესწრებოდა სიმფონიური ორკესტრის კონცერტებს, მონაწილეობას იღებდა სასკოლო მუსიკალურ ღონისძიებებში.

კორშონების სახლში იკრიბებოდნენ მამის მეგობრები, რომლებიც შინაურ კონცერტებს მართავდნენ. პატარა ვლადიმერი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. წლებთან ერთად მუსიკისადმი სიყვარული უფრო ღრმა და სერიოზული გახდა.

1898 წელს ვლ.კორშონი ჩაირიცხა ოდესის კერძო მუსიკალურ სტუდიაში ცნობილ დირიჟორებთან-პოდლუცკისა და მისელოვიჩთან. აქ იგი დაინტერესდა ოპერით. ამიტომ სტუდიის დამთავრების შემდეგ ვლ. კორშონმა პრაქტიკა გაიარა საოპერო სტუდიაში. მუსიკალურ განათლებას იღებდა ოდესის კონსერვატორიის პროფესორთან, დირიჟორ ი.პრიბიკისთან.

1902 წელს ვლ. კორშონი მიიწვიეს ოდესის ოპერის თეატრში კონცერტმაისტერად და გუნდის ხელმძღვანელად. მან მალევე გამოამჟღავნა თავისი ნიჭი და ტალანტი. 1903 წლის 26 თებერვალს შედგა ვლ.კორშონის როგორც დირიჟორის პირველი გამოსვლა სცენაზე. დირიჟორობდა როსინის ოპერას "სევილიელი დალაქი". ეს მისთვის მოულოდნელი ტრიუმფი იყო, რამაც შემდეგ განსაზღვრა მისი მომავალი – გამხდარიყო პროფესიონალი დირიჟორი.

1904-1911 წლებში წარმატებით დირიჟორობდა საოპერო ორკესტრს და გუნდს სხვადასხვა ქალაქებში: რიგა, ვილნო, ხარკოვი, მინსკი, რიაზანი, როსტოვი, სარატოვი, ვიტებსკი, ბაქო და სხვა.

1911 წელს ვლ.კორშონი იყო რუსული ოპერის სადირიჟორო სკოლის წარმომადგენლად საზღვარგარეთ, კერძოდ პოლო-

ნეთში. შემდეგ ის არაერთხელ იყო საკონ-ცერტო ტურნეთი ევროპის სხვადასხვა ქვეყ-ნებში.

1912 წელს ვლ. კორშონი თბილისში ჩამოდის. იგი მოხიბლა საქართველოს ბუნე-ბამ, ხალხმა, ყველაზე უფრო მოაჯადოვა ქართულმა მუსიკამ. ვლ. კორშონი მიიწვიეს თბილისის სახაზინო თეატრში გუნდმაის-ტერად, სადაც დირიჟორი იყო ზაქარია ფალიაშვილი, ხოლო საოპერო ამხანაგობის ხელმძღვანელი ივანე ფალიაშვილი.

თბილისის ოპერაში ვლ.კორშონი გაეცნო ქართულ საოპერო მუსიკას. კომპოზიტო-რების ზ.ფალიაშვილის, მ.ბალანჩივაძის, დ.არაყიშვილის, ვ.დოლიძის ოპერებს, ნიჭი-ერ მომღერლებს – ვ.სარაჯიშვილს, ს.ინაიშ-ვილს, ა.კავსაძეს, გ.ვენაძეს და სხვა.

1921 წელს ვლ.კორშონი ბათუმში ჩამო-დის. მისი ინიციატივით აჭარის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა პირველი რუსული საოპერო დასი. მხატვრულ ხელმძღვანელად და რეჟისორად მოიწვია ე.ვრონსკი, ბალეტ-მაისტერად ს.ვაკარეცი, თვითონ ორკესტრს დირიჟორობდა. საოპერო დასში თანამშრო-მელთა საერთო რიცხვი 80-ს აღემატებოდა.

1921 წლის 24 ოქტომბერს ბათუმის აკადემიურ თეატრში დაიდგა ჯ.ვერდის ოპერა "აიდა". ეს უდიდესი მოვლენა გახდა ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში. ადგილ-ობრივი გაზეთები დადებითად გამოეხმაურა ამ მოვლენას და აღნიშნა ოპერის მნიშვნე-ლობა მუსიკალური კულტურის განვითა–რებაში.

დამსახურებული აღიარება მოიპოვეს ოპერის სოლისტებმა: ლ.სპრიშევსკაიამ, ე.ვრონსკიმ, ს.ვაკარეცმა, ი.ვალენტინოვმა, ე.რალცევიჩმა, ა.დიმერმა და სხვა.

1922 წლის 20 მაისს ბათუმში აღინიშნა ვლ. კორშონის მოღვაწეობის 20 წლისთავი-სადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. სა-ზეიმო ნაწილის შემდეგ დაიდგა პ.ჩაიკოვ-სკის ოპერა "პიკის ქალი" ვლ. კორშონის დირიჟორობით.

გასული საუკუნის 20-იან წლებში ბათ-უმში მრავალფეროვანი იყო საოპერო რეპერ–ტუარი: ჯ.ვერდის "რიგოლეტო", "ტრავი–ატა", პ.ჩაიკოვსკის "პიკის ქალი", "ევგენი ონეგინი", მ.გლინკას "ივანე სუსანინი", "რუსლანი და ლიუდმილა", პუჩინის "ტოს-კა", "ბოჰემა", ჟ.ბიზეს "კარმენი", რუბენშტე-ინის "დემონი", ე. კაპრავნიკის "დუბროვსკი" და სხვა.

ორკესტრი ვლ. კორშონის დირიჟორო-ბით უკრავდა მაღალკვალიფიციურად. მან შეძლო ვოკალურ პარტიებს შერწყმოდა ერთ მთლიან ჰარმონიულ ანსამბლად და დიდი პოპულარობაც მოიპოვა.

1926 წლის დასაწყისში დიდთოვლობამ დააზარალა თეატრი, ჩამოინგრა მაყურებელ-თა დარბაზის სახურავი და თეატრმა შეწყვიტა არსებობა. ხუთი წლის მანძილზე ოპერის თეატრმა აჭარის მაყურებელს უჩვენა ქართველი, რუსი და საზღვარგარეთის კლა-სიკოსი კომპოზიტორების 20-მდე ოპერა.

1929 წლიდან აჭარის სახალხო კომისა-რიატის თხოვნით ვლ. კორშონი ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელთან არსებულ საოპერო-საგუნდო კლასს ხელმძღვანელ-ობდა და იყო პედაგოგიც. 1932 წელს იყო პირველი გამოშვება 15 ვოკალისტის რაო-დენობით. აქედან ზოგმა კონსერვატორიაში გააგრძელა სწავლა, ზოგიერთებმა პედაგო-გებად და ლოტბარებად დაიწყეს მუშაობა, ზოგმა კი სახელი მოიხვეჭა როგორც ნიჭი-ერმა ვოკალისტმა.

1934 წელს სახალხო კომისარიატის მიერ ბათუმში შეიქმნა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი. პირველსავე დღეს ვლ.კორშონს დაავალეს სიმფონიური ორკესტრის დაკომპ-ლექტება, მისი დირიჟორობა და სამხატვრო ხელმძღვანელობა. ორკესტრში უკრავდნენ გამოცდილი მუსიკოსები: აჭარის დამსახუ-რებული არტისტი ა.შლიფერი, ბ.ივანოვი, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღ-ვაწე თ.ხავთასი, ვ.მარგველაშვილი, დამსახუ-რებული პედაგოგი ო.ხაჩინიანი. ორკესტრის ასისტენტები: ლ. ველიუსი, ა. ტატიშვილი, ნ. ფრეჩკო, ე. ტრეტიაკოვა, ლ. ნავროცკაია, ი. იუმოიე, ვ. სობიკი, ნ. გარდეევინი და სხვა.

ორკესტრის რეპერტუარი მრავალფერო–ვანი იყო. სრულდებოდა ქართველი კომპო-ზიტორების: ზ.ფალიაშვილის, დ. არაყიშვი–ლის, მ. ბალანჩივაძის, ვ. დოლიძისა და აგრეთვე რიმსკი-კორსაკოვის, პ. ჩაიკოვსკის, გლინკას, როსინის, ფ.ლისტის და სხვათა ნაწარმოებები.

1934 წლის 21 აგვისტოს ბათუმის ზღვის-პირა პარკის საზაფხულო თეატრში გაიმართა სიმფონიური ორკესტრის პირველი კონცერ-ტი ვლ.კორშონის დირიჟორობით. კონცერტი

იყო ანშლანგით და ჰქონდა დიდი წარმატება. სიმფონიური ორკესტრი თანდათან იხვეჭდა პოპულარობას, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

გარდა ამისა, სიმფონიური ორკესტრი იყო გამორჩეული სკოლა ბევრი მუსიკოსის დახელოვნებისათვის. ორკესტრში უკრავდნენ შემდეგში ცნობილი მუსიკოსები: საქართველოს დამსახურებული არტისტი ი.კილარჯიშვილი, ლ.რაბინოვიჩი, ტაჯიკეთის დამსახურებული არტისტი, დოცენტი ა.ვედენსკი და სხვა.

აჭარის სიმფონიურმა ორკესტრმა 1941 წლის ზაფხულში შეწყვიტა არსებობა.

ვლ. კორშონი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული დრამატული თეატრის საქმიანობას. ის იყო დირიჟორი და მუსიკალური ნაწილის გამგე. ვლ. კორშონმა დრამატული თეატრის ორკესტრი დააკომპლექტა ბათუმის ოპერის თეატრის მუსიკოსებით. მან მთელი თავისი ცოდნა, ნიჭი, გამოცდილება და ენერგია ორკესტრს შეალია. ბათუმის დრამატულ თეატრში შექმნა 40-მდე მუსიკალური ნაწარმოები, რომლებითაც გააფორმა სპექტაკლები: სოფოკლეს "ოიდიპოს მეფე", ტრენევის "ლიუბოვ იაროვაია", სემიონოვის "რუსული საკითხი", დარასელის "კიკვიძე", გრაკოვის "ახალგაზრდა გვარდია", გოლდონის "სასტუმროს დიასახლისი", შერვაშიძის "ბაგრატიონი", ოსტროვსკის "შემოსავლიანი ადგილი" და სხვა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბევრი მუსიკოსი წავიდა ფრონტზე. დარჩენილი მუსიკოსებისაგან ვლ.კორშონმა შექმნა საკონცერტო ბრიგადა. იგი სამხედრო ნაწილებში, ჰოსპიტლებში, ლაზარეთებში ატარებდა კონცერტებს. პარალელურად ხელმძღვანელობდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მხატვრული თვითშემოქმედების მუშათა გუნდს, ასევე საზღვაო პორტის, ქალაქის სასწავლებლების გუნდებს და სხვა.

ვლ. კორშონი დაჯილდოებული იყო სიგელებით, დიპლომებით და ფასიანი ძვირფასი საჩუქრებით. მინიჭებული ჰქონდა აჭარის დამსახურებული არტისტის წოდება.

1949-1950 წწ. ვლ. კორშონმა ავადმყოფობის გამო დატოვა თეატრის ორკესტრი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მისი მოსწავლე ნ.ქადაგიძე. 1950 წლის ოქტომბერში კი გარდაიცვალა.

შესანიშნავი მუსიკოსი, დაუღალავი ორგანიზატორი, ბრწყინვალე დირიჟორი და პედაგოგი, კარგი ადამიანი – ასეთი დარჩა ვლ.კორშონი არა მარტო აჭარის, არამედ საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მეხსიერებაში.

ლიტერატურა

1. ი. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938
2. ჯ. ნოღაიდელი, მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, თბ., 1961
3. გაზეთი "საბჭოთა აჭარისტანი", 1934, №27
4. აჭმ., ხელნაწერთა ფონდი, საქმე №621

ბათუმის საგუნდო-საობერო ვოკალური სტუდიის I გამოშვება - 1930 წ.
(ცენტრში ბედგაგოგი ვ. კორშონი)

ბათუმის პირველი ოპერის თეატრის შსახიობია ჯაჯუფი 1922 წ.
(ცენტრში-კომპ. ივ. ფალიაშვილი; მე-2 რიგში მარცხნიდან მე-4 ვ. კორშონი)

ПРОГРАММА ЛИБРЕТТО
В Субботу 3го Мая 1924 г.
БЕНЕФИС
Главного дирижера и
организатора Госоперы
Н. Б. Н. Аджаристана
Владимира Александровича
КОРШОН
В. А. К.

ინგა დიასამიძე

ლადო შარაშიძე
(გახსენება)

1920 წელს სოხუმიდან ჩამოვიდა მხატვარი დიმიტრი პოხიმოვი. ეს ის დრო იყო როცა რუსეთის იმპერიიდან რევოლუციის შემდგომ ინტელიგენციის საკმაო ნაწილი დაიძრა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ. სწორედ ერთ-ერთი იყო დ.პოხიმოვი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აჭარაში, კერძოდ ბათუმში სახვით ხელოვნებას. გაიხსნა სალონები, სადაც ბეჭდავდნენ აფიშებს, რეკლამებს, აწყობდნენ გამოფენებს.

ბატონი ლადო ამ დროს სულ ათიოდე წლის გახლდათ (1910-1994) ის ბავშვობიდან ჩაება ბათუმში სახვითი ხელოვნების ბუმში. მისი გახსენება დაკავშირებულია მის მჭიდრო კავშირთან აჭარის მუზეუმის ხელოვნების ფონდის შექმნასთან. მრავალი აჭარაში მოღვაწე მხატვრების ნამუშევრები მისი ღვაწლით შეიძინა აჭარის კულტურის სამინისტრომ და მფლობელობაში გადმოსცა ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმს.

მუზეუმში მისი მეშვეობით მოხვდა არა მარტო ადგილობრივი მხატვრების, არამედ საქართველოს სხვა ცნობილი მხატვრების ნამუშევრებიც. კერძოდ, ელენე ახვლედიანის და ლადო გუდიაშვილის ქმნილებები.

საინტერესოა ლადო შარაშიძის და ლადო გუდიაშვილის ურთიერთობა. ბატონი ლადო არა მარტო ბათუმში, არამედ საქართველოშიც ერთ-ერთი პირველი ხელოვნებათმცოდნე გახლდათ. ამ მხრივ აღსანიშნავია მის მიერ გამოცემული წიგნები და ალბომები: "სახვითი ხელოვნება აჭარაში", "ნარკვევები, გახსენება", "ნარკვევები მოგონებები", "ბათუმის ისტორიული ადგილები", "აჭარის ისტორიული ადგილები". ალბომები: "აჭარის მატერიალური კულტურული ძეგლები", "ბათუმი", "ბათუმელი მხატვრები".

საყურადღებოა მისი რეცენზიები: უჩა ჯაფარიძეზე, ქეთევან მაღალაშვილზე, გიგო გაბაშვილზე, მოსე თოიძეზე, ელგუჯა ამაშუკელზე და სხვა.

აქ მინდა მოვიტანო ვრცელი ამონარიდები მისი ინტერვიუსა, როცა იგი აჭარაში გამომავალ ჟურნალ "ჭოროხის" მთავარი რედაქტორი გახლდათ. ასევე იგი იყო საქართველოს რევოლუციის მუზეუმის დირექტორი. ვფიქრობთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის ეს ძალზე საინტერესო იქნება.

"ბატონ ლადოსთან ერთი შეხვედრა მინდა გავიხსენო. 1979 წლის მიწურულში ჟურნალ "ჭოროხის" მთავარ რედაქტორად დამნიშნეს და გადავწყვიტე საახალწლო ნომერი ლადო გუდიაშვილის ნახატით გამეხსნა. ცოტა პროვინციული სითამამე კი იყო, მაგრამ ვამჯობინე თბილისში ოჯახში ვწვეოდი და იქ გადამეცა ჩემი თხოვნა... მარტო მისვლა მაინც ვერ გავბედე. მხატვარი დიმიტრი ერისთავი გავიყოლე და დეკემბრის სუსხიან საღამოს კეცხოველის ქუჩაზე მდებარე სახლს მივადექი. კარი ქალბატონმა ნინომ გაგვიღო და გაჩახჩახებულ დარბაზში შეგვიყვანა, სადაც ბატონი ლადო მუშაობდა. ძალზე გაუხარდა ჩვენი სტუმრობა, ბათუმის ამბები მკითხა. საერთო ნაცნობებით დაინტერესდა, მე ძუნწად ვაძლევდი პასუხებს, ერთ დიდ დარბაზში თავმოყრილ ამდენ შედევრს პირველად ვხედავდი და თვალი ნახატიდან ნახატზე გამირბოდა. ხომ დიდი დარბაზია გვითხრა მასპინძელმა, მაგრამ ჩემს სურათებს დღეს ეს მაინც არ ჰყოფნის... ყველაფრის ერთდროულად გამოფენას, რა თქმა უნდა ვერასოდეს შევძლებ, ალბათ არც არის საჭირო, მაგრამ დროდადრო ექსპოზიციას ვცვლი ხოლმე და ამით ვახალისებ. ჩემი სტუმრობის მიზეზი ცნობილმა მხატვარმა დიმიტრი ერისთავმა აუხსნა, საშინლად ვღელავდი, ვაი თუ უარი მითხრას მეთქი... მაგრამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ბატონმა ლადომ მაშინვე თანხმობა განაცხადა, ოღონდ კარგი ჟურნალი გამოვიდეს და ჩემგან შეფერხება არ გექნებაო.

ერთი მოგონება რომ დავწერო გალაქტიონსა და მერიზე დაბეჭდავთ? ჯიქურ შემომხედა მხატვარმა... როგორ არ დაგიბეჭდავთ, მაგრამ მერი ხომ არარეალური პიროვნებაა, გალაქტიონის პოეტური იდილია... თქვენ ასე გგონიათ? ეშმაკურად გამიღიმა მასპინძელმა...მე, კიდევ მერის გვარიც ვი–ცი....შერვაშიძეა იგი, ყოფილი ფლეირინა იყო, წარმოუდგენელი სილამაზის ქალი, ცოლად გაჰყვა ქუთაისელ გიგუშა ერისთავს.

სხვათაშორის მერი დღესაც ცოცხალია 90 წელს გადაშორებული პარიზში ცხოვრობს.

"შემდეგ ასეთი ეპიზოდიც მოიგონა..." სახელოსნოში მეწვია გალაქტიონი და ჩარჩოში ჩასმული მზა ტილო მომიტანა. ჩემო ძამიკო... მერი უნდა დამიხატო! მინდა გულახდილი ვიყო და ზოგი რამ გიამბო ჩემს ცხოვრებაზე. ნიკოლოზ ბარათაშვილს ჩემზე უკეთესი ბედი ჰქონდა... ის მუდამ ეკატერინე ჭავჭავაძის გვერდით იყო, მის წრეში ტრიალებდა, მე კი სანატრელ არსებას არც კი ვიცნობდი ხეირიანად. ცივი, მაგრამ წარმატებული სილამაზის იყო, მე მას შორიდან ვეტრფოდი, მისი ნათესავის გრაფინია ზარინიკოვას სასახლე ქუთაისში, სადაც ჩემი მერი ცხოვრობდა, ჩემთვის აუღებელი ქაჯეთის ციხე-სიმაგრე იყო. ლექსი "მერი" მის ქორწილამდე სამი დღით ადრე დავწერე და გავუგზავნე ვისაც ეკუთვნოდა... მერი შერვაშიძეს... მე მაშინ არაფერი არ ვიყავი და მის სახელს ახლაც გულში ვინახავ როგორც წმინდა ხატებას".

ასეთი იყო ჩვენი ლადო ნამდვილი ბათუმელი, კეთილი იუმორის პატრონი, იმედია ჩვენს მკითხველს მივაწოდეთ საინტერესო ინფორმაცია, ჩვენს ბათუმსა და ბათუმელებზე.

ლიტერატურა:

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის წერილების განყოფილებაში დაცული მასალები №1197 და №1198

კოლმეურნე გოგონები
ავტორი ლადო გუდიაშვილი



ლადო შარაშიძე
ავტორი გრაჩ სეჩენიანი

ნინო გუდიაშვილი, პატარა ლადო შარაშიძე, ლადო გუდიაშვილი და ლადო შარაშიძე

მამია ფაღავა, მალხაზ ჩოხარაძე, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე

ეპიზოდები მუჰაჯირთა შთამომავლების ცხოვრებიდან

2012 წლის 3 ივლისს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველოლოგიის ინსტიტუტის'' მუდმივ-მოქმედი კომპლექსური ექსპედიცია (ხელმძღვანელი, პროფ. მამია ფაღავა) სამუშაოდ თურქეთის რესპუბლიკის ორდუს ილის (გუბერნიის) ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებში გაემგზავრა. ექსპედიცია მოეწყო სამეცნიერო პროექტის – ,,მუჰაჯირები'' ფარგლებში, რომელიც ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაფინანსებითა და მხარდაჭერით.

ექსპედიცია კომპლექსური იყო და მის შემადგენლობაში შედიოდნენ:

ა. ენათმეცნიერები: პროფ. მამია ფაღავა, ასოც. პროფ. მაია ბარამიძე, მაგისტრანტი თამარ ჩოხარაძე.

ბ. ფოლკლორისტები: პროფ. თინა შიოშვილი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი გიორგი მახარაშვილი.

გ. ეთნოლოგები: პროფ. ნუგზარ მგელაძე, ისტორიის აკადემიური დოქტორი რუსლან ბარამიძე.

დ. ისტორიკოსები: ასოც. პროფ. მალხაზ ჩოხარაძე, ასოც. პროფ. ზაზა შაშიკაძე.

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ნიაზ ზოსიძე (კოორდინატორი) და ლაშა თავდგირიძე (ოპერატორი).

ერთი კვირის განმავლობაში ჩვენთან ერთად მუშაობდა სტამბოლში მოღვაწე ეთნო–ლოგი (ისტორიკოსი), მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავალი მურად შაჰინი, ავტორი რამ–დენიმე საინტერესო ნაკვლევისა მუჰაჯირთა მეტყველების, ფოლკლორისა და ისტორიის შესახებ.

ჩვენთან ერთად თურქეთის რესპუბ-ლიკაში გამოემგზავრნენ აჭარის ტელევიზიის თანამშრომლები, რუსუდან აბაშიძე (ჟურნალისტი) და მინდია კუპრაძე (ოპერატორი). აღვნიშნავ, რომ ტელევიზიის მუშაკები 8 დღე მუშაობდნენ ჩვენთან ერთად, იზიარებდნენ ჩვენს ყოველდღიურობას, შეკრიბეს საინტერესო მასალები და ოთხი მშვენიერი რეპორტაჟი მიუძღვნეს მუჰაჯირთა ყოფას, რაც საინტერესო სიახლეა ჩვენს სამეცნიერო საქმიანობაში.

ექსპედიციის გეოგრაფია ვრცელი იყო, მოიცავდა ორდუს ილის ილჩეებს: უნიეს, ჩაიბაშს, იქიზჯეს, კუმრუს, ყორღანს, ფაცას, ულუბეის... ვიმუშავეთ სამსუნის ილის სოფლებშიც. ბარემ ვიტყვით, რომ სამ კვირაში გავიარეთ 3000 კილომეტრზე მეტი, ვიმუშავეთ მთასა და ბარში, დარსა და ავდარში... იმდენად დიდი იყო ჩვენებურთა გაცნობის სურვილი, რომ მუშაობის პროცესში დაღლა არ გვიგვრძნია, თუმცა გვარიანად დავი–ღალეთ.

აღვნიშნავთ, რომ მუჰაჯირები რეგიონების (ზოგჯერ სოფლების) მიხედვით კომპაქტურად დასახლებულან და შეუქმნიათ ,,ქართული'' სოფლები. ორდუს მხარეში ქართველ მუჰაჯირთა ოთხი ნაკადი გაირჩევა: ა. აჭარლები (აჭარისწყლის ხეობიდან გადასახლებულები), ბ. ჩურუქსუელები (ქობულეთლები), გ. მაჭახლელები, დ. ბათუმლები (რაოდენობრივად შედარებით ნაკლები). ჩანს, ძნელი იყო ლტოლვილთა დამკვიდრება ახალ ,,სამშობლოში'', ყოფილა გართულებული ურთიერთობაც ადგილობრივებთან, მაგრამ ყველაფერი დაძლიეს და ახალი სამკვიდრებელიც შეიქმნეს. წინააღმდეგობისას ერთად იყვნენ, სხვა დროს ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და ებრძოდნენ ყოველდღიურობას. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: სამშობლოდან გადახვეწილებმა თან წაიღეს თავიანთი კუთხის ტრადიციები, ფოლკლორი, სამშობლოს ხსოვნა და მეტ-ყველების თავისებურებანი, მშობლიური კილო, რაც მეტ-ნაკლები ცვლილებით დღემდე შემოინახეს. დიახ, ახალ ქვეყანაში შექმნეს ახალი ,,სამშობლო'', შეეგუენ ბედს და შეერკინენ ცხოვრებას, რთულსა და ძნელს... ახალ კულტურულ გარემოში თანდათან შეითვისეს ახალი კულტურა, მაგრამ სათუთად შეინახეს ,,მემლექეთის'' ხსოვნა და ,,ჩვენებურის'' (გადასახლებულები თავიანთ თავს ,,ჩვენებურს'' უწოდებდნენ) პატივისცემა. ,,ველურ'' ქვეყანაში დასახლდნენ, თავისი სოფლის წესზე მოაწყვეს ეზო-კარი, ააგეს სახლები, ქართული ოდა-სახლები, ფანჯრებითა და ,,ოჯახით'' (ბუხრით), ეზოში ნალია და მერეგიც დადგეს... ასე უცხო მასპინძელი ქვეყნისათვის. უარი თქვეს ზღვისპირას

შეთავაზებულ მამულებზე, საცხოვრებლად ისეთი ადგილები შეარჩიეს, მშობლიურს რომ ჰგავდა, დასახლდნენ იქ, სადაც კარგი ჰაერი და წყალი იყო, სადაც ,,წყავი'' ხარობდა... გადასახლებულებმა მკვიდრი საფუძველი შეიქმნეს, სამშობლოდან წაღებული თხილიც გააშენეს, კაკალიცა და ხეჭეჭურიც, ჩხავერიცა და დემირა ვაშლიც... იალაღებიც გაიჩინეს და ხარი და ძროხაც აშენეს, სხვა საქონელიც, ყანაც ,,დაიდვეს'' და მრავალხმიანი ნადურიც იმღერეს, ქობულეთში რომ მღეროდნენ მათი წინაპრები:

,,ნადირაძეს ნადი ხავდა,
გადიარა სადილობა,
გორდელა, გორდელااა...
ვიყავ ქალი აზნაური,
გლეხმა კაცმა მითხუა,
დღეს მითხუა, ხვალ მივყავარ,
ნანინა, ნანაა და...
_ ჩიტი ჩიტსა მაბზაკუნსა,
შამოვკარი ხელკოდალი,
მიამტრიე თავ-ბარკალი,
მისი გვერდის დაჩეხაზე
ორი ცული შემომაკლდა,
ორვე იყო ოთურაბო,
ნანინაბ ნა დაა...
_ ზეცას ევდჳთ, ზეცა ვნახოთ,
მარსკლავებსაც დევენახვოთ...
ბზემა კაცი მომიგზანა,
მაქ თუ იყავ რატმარ მოდი,
რატმარ მნახე?!
აწე მუალ, აწე გნახავ
ნანინაი ნااა ..."

(მ/კ მზია ხახუტაიშვილმა ჩაიწერა).

სამშობლოს ხსოვნა შეინახეს, თაობიდან თაობას გადასცეს მამა-პაპეული კერის ნიშნები, უკან დაბრუნებაზე კი აღარ ფიქრობდნენ რწმენით აყრილ-გადასახლებულები, თავს ,,მშობლიურ წიაღში'' გრძნობდნენ, თუმცა თავი შემოიზღუდეს და ცდილობდნენ არ აღრეულიყვნენ უცხოებში, შეენარჩუნებინათ თავიანთი მეობა... ასეთი იყო რეალობა. ამ რეალობის საძიებლად და შესასწავლად ჩავედით ,,ჩვენებურებთან''.

* * *

ექსპედიცია პირველად უნიაში, სასტუმრო ,,გრანდ-ოტელში'' გაჩერდა. საღამოს უნიას ქუჩებში გავისეირნეთ, პირველ ,,ჩვენებურსაც'' იქ შევხვდით, მარკეტში მუშაობს, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ლაპარაკობს ქართულად. ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

_ საიდან ხარ?
_ აქავრი ვარ!
_ ქართველი ხარ?
_ ჰო, გურჯი!
_ ესკი სოიადი? (ძველი გვარი?)
_ არ ვიცი, ძველიდან აქ ვცხოვრობ.
_ საიდან მოვიდა შენი ბაბოი?
_ ბათუმიდან!
_ რომელი სოფლიდან?
_ბათუმიდან და...'' გაკვირვებით გვიყურებს. იცის, რომ ბათუმიდან მოვიდნენ აქ მისი წინაპრები, მეტს რას ვთხოვთ? ბათუმი ჰგონია თავად სოფელი...

* * *

4 ივლისს, უნიეში ჩასვლიდან მეორე დღეს სასტუმრო ,,ანკარაში" გადავსახლდით. სიამოვნებით მიგვიღო მისმა ქართველმა მფლობელმა ასლან ათაბეგმა, ათაბაგთა ფეოდალური ოჯახის ჩამომავალმა. შუადღისას ქალაქში მუზაფერ ბერიძე გავიცანით, აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალი, კაცი კარგი მექართულე და მუდამ ღიმილიანი. გაიგო რა ჩვენი ჩასვლის მიზეზი, ,,ბაზარი არაა'' დაგეხმარებითო, მოგვიგო. მუზაფერს საქართველოში ,,უსაქმია'' 20 წელი, ბიზნესი ჰქონია, ამიტომაც კარგად ლაპარაკობს ქართულად. ,,ბაზარი არაა'' ამ დროში ქართულს ისწავლიდა. თავად წაგვიძღვა მუზაფერი ჩათალფინარში, მუჰაჯირთა ქართულ სოფელში, უნიადან 3 კილომეტრში რომ მდებარეობს. ჩურუქსუელების სოფელია ჩათალფინარი.

სოფლის ცენტრში გავჩერდით. სიყვარულითა და გამორჩეული სითბოთი დაგვხვდნენ ,,ბეჟანიძნების, ნინიძნების, გოგიტიძნების, თამაზაშვილების, ბასილაძნების, კილაძნების, ხახუტაიშვილების, მჟავანაძნების...'' ჩამომავლები. უხარიათ ჩვენი ნახვა. გაიგეს რა მუჰაჯირებზე წიგნის დაწერას ვაპირებდით, მეტი გულმოდგინებით ცდილობდნენ დაგვხმარებოდნენ: გაეხსენებინათ, მოეთხროთ, ემღერათ...

ჯგუფ-ჯგუფად ვმუშაობდით. რუსუდანი და ოპერატორები თავს დაგვტრიალებენ, მასალებს იღებენ სატელევიზიო გადაცემისა თუ მომავალი ფილმისათვის. სხვები მასა-

ლებს ვიწერთ: ვინ დიალექტოლოგიურს, ვინ ფოლკლორულს, ვინ ეთნოგრაფიულს... გვაინტერესებს ყველაფერი, რაც შემორჩა აქაურთა მეხსიერებას. ბევრი რამ ჩავიწერეთ. ისლამ ბეჟანიძის მონათხრობს მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას: ,,აქ ჩურუქსველები ვცხოვრობთ, აჭარლები და მაჭახლელები აქ არ არიან'' და ცდილობს აგვიხსნას მსგავსება-განსხვავება მათ შორის:

,,ჩვენ თხილს ვჩივით, იგინმა კაკალი ჩივიან; ჩვენ ნიგოზ ვჩივით, იგინმა კაკალი ჩივიან; ჩვენ ვაშლ ვჩივით, იგინიც ვაშლ იტყვიან... იგინი ყოლიფერ კაკალი ჩივიან, სიმინდიც კაკალი ჩივიან''. და ამ ,,ფუნდამენტური განსხვავების'' გამო მთხრობელი დაჟინებით გვეუბნება:

,,_ აჭარელი სხვა არი,

_მაჭახლელი სხვა არი,

_ჩურუქსუ სხვა არი!''

ასე ,,ჩივიან ქობლეთლები'', ასე ამბობენ აჭარლები და მაჭახლელებიც.

* * *

5 ივლისს ექსპედიციამ მუშაობა სოილემეზით (ახლა ჰანიალი) დაიწყო. გამცილებლად ნიჰათ თაში გვყავს, მუჰაჯირთა შთამომავალი. ოჯახი გაგვაცნო ნიათმა: დედა – მერიემ თაში და ბაბუა – სულეიმან თაში. ყურადღებას იქცევს ქ-ნი მერიემის სხარტი ქართული საუბარი (ბუნებრივია, თურქული მინარევით) და მისი ინტერესი ქართული წერისადმი. ქართულ ნაწერს დააკვირდა ქალბატონი, აღფრთოვანებას ვერ მალავს, ხმამაღლა გამოხატავს გულისნადებს: ,,რა ლამაზათ წერავ, ოი, გიავ?!"...

შემდეგ აქბაბას ვეწვიეთ, მაჭახლელთა დასახლებას. ჩილოღლების ეზოში გავჩერდით. აქ თავი მოიყარეს სოფლელებმა. ვსაუბრობთ, ვაკვირდებით, ვიწერთ, ვიღებთ... უკვე მეორე დღეა ვმუშაობთ მუჰაჯირთა სოფლებში და უკვე თვალშისაცემია: 1. ქართულად საუბრობს უფროსი და საშუალო თაობა, ახლებმა _ უმეტესად არ იციან ქართული; 2. მუჰაჯირთა შთამომავალიც, მისი წინაპარივით ემიჯნება თურქს, ,,კუდიანს'' ეძახის, ერიდება მასთან ქორწილს, ,,ჩვენი ადეთები'' განსხვავდებაო ერთმანეთიდან...

ერთმა გარემოებამ მიიქცია კიდევ ჩვენი ყურადღება: ლტოლვილები ჰუქუმეთმა ზღვის სანაპირო ზოლში დაასახლა. დიდხანს ვერ გაძლეს კოღო-ბუზსა და ციების (ცხროს) კერებში, მთებში წავიდნენ და იქ შექმნეს სოფლები: მაჭახლელებმა და აჭარლებმა უფრო მაღლა, ჩურუქსუელებმა _ დაბლა. საცხოვრებლად ისეთ ადგილებს არჩევდნენ მშობლიურს რომ აგონებდათ... თვალში საცემია კიდევ შემდეგი: მუჰაჯირთა პირველი თაობების აქაური ცხოვრება ერთი გაბმული წვალებაა დასამკვიდრებლად, ბრძოლაა პირდაპირი მნიშვნელობით: ებრძვიან გაჭირვებას, ავადმყოფობას, ებრძვიან ,,კუდიანებს'' თუ სხვა მილლეთის წარმომადგენლებს; ძნელად, მაგრამ იმკვიდრებენ ადგილს. მუჰაჯირთა შთამომავლები გვიყვებიან ,,დედეებიდან გაგონილს'', მათ მონათხრობში სისხლი და ძალადობაც ჩანს; შთამომავლები ამაყობენ, რომ ძლიერი, ,,გამტანი'', ,,ღორი'' წინაპრები ჰყავდათ: ,,ერთი ემიაი მყოლია, უნიედან მოვდოდა, თხები ყოლია. თხები მომცე'და, არ მოგცე'და, დუუკლიან გზაზე. ბაბაებმა წევდენ, ვერ ესროლენ ამ კაცს (მკვლელს). ერთი ბიბიაი გვყავდა, კაცზე-კაცი. ევდა ოჯახზე (ბუხარზე), ბრაგდა-მიცა, მოკლა-მეგერ''. ანალოგიური ეპიზოდები ბევრია, ზოგიერთზე ქვემოთაც მივაქცევთ ყურადღებას.

* * *

6 ივლისს, პარასკევს ქუშჩაში წავედით, სადაც შევხვდით ჩიკვაიძეებს, ლორთქიფანიძეებს, სირაბიძეებს, გოგიაშვილებს, გურგენიძეებს... აჭარლები ვართო, გაგვეცნენ. ბევრი საინტერესო მოვისმინეთ და ჩავიწერეთ ამ სოფელში. ერთ ეპიზოდს მოვიყვანთ: ,,გოგოს ფეშინში წავყვებოდით. სუფრას დევკავებდით. ქუმალი არის, უნიაის სოფელი. სუფრა დევკავეთ. მეორე სართულზე ხარი ამუაყვანიე.

– იმ მერდევანზე ხარი რაფერ ეÁყვანეს, კაცი ძლივს Áარებოდა.

– რა გაკლიანო სუფრაზე, ხარი გვაკლიაო, ვუთხარით! მეÁყვანეს...''

ტიპიური სცენაა ძველებური ქორწილიდან. ამიტომაც მოვიყვანეთ ეს მონათხრობი.

სიმღერაც იციან ამ სოფელში და ცეკვაც. ჩვენი თხოვნით იცეკვეს და იმღერეს... საუბარში ასეთი რამ თქვა Áაშარ ილდიზმა (ბოლქვაძე): ,,ჩვენი ვაიოს სოფელი და აქავრობა ძალვან გავს''. ,,ძალვან რომ გავს''

იმიტომაც აირჩიეს ეს მიდამო Áაშარის წინაპრებმა საცხოვრებლად.

* * *

7 ივლისს თექქირაზში ვიმუშავეთ. გავიცანით იქაური ქართველები: ჯავეთ ქურთოღლი, ნეჯეთ ჩილოღლუ, ისმაილ ბუიუქ'ი... დაბის ცენტრში შევხვდით მათ. გაცნობისა და გაშინაურების შემდეგ ვიკითხე: საიდან მოვიდნენ თქვენი ძველები და თქვენს გარდა კიდევ რა გვარები ცხოვრობენ აქ-მეთქი.

– მაჭახელიდან ვართ, ბათუმიდან. იქიდან მოვიდნენ ჩვენი ძველები. ,,პაწაÁ ვართ, ჰამა საღლამი ვართ, აქ ვერ მოვდოდენ...''

ხაზს უსვამენ მათ ,,მაგრობას'', მაგრამ მეზობლის გვარი ხშირად არ იციან, ჩანს, არც აინტერესებთ, არ კითხულობენ. მეზობლის კი არა, ხშირად ცოლის ქართული გვარიც არ იციან. მათთვის საკმარისი ინფორმაციაა, რომ ,,ქალი გურჯია''.

კარგა ხანია ვაკვირდებით მუჰაჯირობის, როგორც პროცესის არსს. თექქირაზელ მუჰაჯირებთან საუბრიდან ერთხელ კიდევ დავრწმუნდით:

ა. ოჯახიდან ,,სხვები წამოვდენ, ერთი დარჩა''.

ბ. მუჰაჯირები ზოგჯერ ჩხუბობენ ერთმანეთში, მაგრამ სხვისგან თუ იგრძნეს საფრთხე, ერთიანდებიან, გვერდში უდგებიან ერთმანეთს და ეხმარებიან. ერთიანობა ეხმარებოდათ უცხო მხარეში დამკვიდრების ძნელ პროცესში.

გ. მოვიდნენ უცხონი უცხო მხარეში, უცხო კულტურით უცხო კულტურაში. მარტოობა და შიში იგრძნეს. საკუთარ თავში ჩაიკეტნენ: სხვაზე არ ათხოვებენ, არც თხოულობენ უცხო ტომისას, ცდილობენ ,,არ გედეერიონ'' სხვაში. რწმენის ერთობა ვერ გახდა საკმარისი ფაქტორი, ეროვნება და ტრადიცია ჭარბობს რწმენას, უცხო მხარეში მაინც...

იმავე დღეს ექინჯიქში ავედით. იქაური მაჭახლელები ვნახეთ: ჯემალ გორენი, აიშე გორენი, სეით ბაირახტაროღლის ჩამომავლები გავიცანით. ჩვენი ყურადღება ძველმა სახლმა მიიქცია, ტიპური ლაზური სახლი სამი ბუხრით. ბუხრის ქვები ორნამენტირებულია. ასეთი ქვები აჭარაშიც გვინახავს, თუმცა სხვა მოხატულობით. ქვების წარმომავლობა ვიკითხეთ. აქ ამზადებენო, გვიპასუხეს..

* * *

8 ივლისს, კვირას, სერდერ ბერიძე მიგვყვება მეგზურად. სერდერი აქაური კაცია, საინტერესო მთხრობელი, კარგად იცნობს უნიელ მუჰაჯირებს. დილით უნიეში შევჩერდით საგზლისა და სხვა ნივთების შესაძენად. აჰმედ ალთუნი (თვარიძე) გავიცანით. მისი წინაპრები ქედიდან, წონიარისიდან წამოსულან. სამი ძმა მოსულა თურქეთში: ,,ერთი აქ მოვდა, ერთი გირესუნშია, ერთი – სინოპში: ომან'ი, სულეიმან'ი, მერჯან'ი. ჩვენი გვარიდან იქ არვინ დარჩენილან''. მართლაც, გვარი თვარიძე, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აჭარაში არ გვხვდება. შესაძლებელია, თვარიძეების ერთი შტო საქართველოს სხვა კუთხეებში გადასახლდა და დღევანდელი თვარაძეები მათი ჩამომავლები არიან (თვარიძე>თვარაძე. ა-ი>ა-ა დასაშვები ხმოვანთცვლილებაა ქართულში). მუჰაჯირობის დროს შეიმჩნევა საქართველოს სხვა პრივინციებში გადასახლების შემთხვევებიც.

საუბარში ჩაგვერთო ადგილობრივი გაზეთის, ,,უნიე ჰაბერლერის'' კორესპონდენტი მუჯაით გურენი (მცირე ინფორმაცია გამოაქვეყნა ექსპედიციის მუშაობის შესახებ გაზეთში). ქართულად გვესაუბრა. ქართველი გვეგონა. თურქი ვარო, გვითხრა. საინტერესო ამბავიც მოგვითხრო: ,,ჩუენ სოფელში ოთხი თურქული ოჯახი იყო, ორმოცი ოჯახი ქართველი მოვდა. ჩვენც ქართველი გავმხტარვართ... ამფერი ბრევლი არი, ჩემ სოფელშიც (ექინჯიქ'ი) არი...'' საინტერესო ცნობაა. ჩანს, ასიმილაცია არ იყო ცალმხრივი პროცესი.

სერდერ ბერიძესთან საუბრის ერთ ეპიზოდს გავიხსენებთ: ,,ჩვენი დედეები იტყოდენ, თხილი და ხუმბრა ბათუმიდან მოვტაითო. თურქიეში ორდუში არი მარტო ხუმბრა, ისტამბულში, ანკარაში... ვინმემ არ იცის''. თხილი და ბევრი სხვაც (ჩხავერი, ხეჭეჭური...) მუჰაჯირებმა რომ მოიტანეს ამ კუთხეში, სხვაგანაც მოვისმინეთ. ახლა თურქეთის ეს რეგიონი თხილის ქვეყანაა, თხილია შემოსავლის ძირითადი წყარო... თხილი კი ბათუმიდან მოუტანიათ, ,,ფიდანი ცხენზე დაუკრავთ და ისე''.

ქართველი მუჰაჯირი რომ ერიდებოდა თურქებში აღრევას, დასტურად ბევრის მონათხრობი გამოდგება. სერდერი ძველ

სურათს გვაჩვენებს, რომელზეც ორი მიცვალებული და შეიარაღებული მამაკაცებია გამოსახული და გვიყვება: ,,თურქს შუუყვარდა ქართველის გოგო, ჩვენებური. არ მიცა ბაბამ, თურქი ხარ, კუდიანიო. იმის მემრე ათი კაცი აწია და ორდუში ვინც ჩვენებური ცხოვრობს, მოკლა... ჩვენებურები ადგენ, მაი კაცი მოკლან'და, თამაზოღლები არიან, დიდი გვარი... იმის სურათია დაჰა აქ. მაÁ კაცი მოკლენ. ლექსი გამუუთქვეს, თურქეთში თელმა იცის მაი ლექსი''. მონათხრობი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ძალზე ძნელი იყო ქართველობის შენარჩუნება და, საერთოდ, ლტოლვილთა ყოფა უცხო მხარეში.

უცხოთა შორის მარტოდ დარჩენილი ქართველი ამქვეყნიურ ცხოვრებაზეც დაფიქრებულა, რაც კარგად ჩანს მიტროპოლელი ხასან ჩელიქის (ჯინჭარაძე) მონათხრობიდან: ,,ერთი კაცი წუუყვანიან მეგრემ, ჯეჰენნემი დაგარუნიოთდაო, უთქვიან. რუმ დაარუნიეს, უთქვია ამ კაცს:

_ აქა ხალხ წვენ და ცეხლი ჰად არიო?

–შიშა, ნახშირი, ცეხლი იქიდან თუ მეიტან, მაშინ დეიწვებიო, უთქმიან''.

ამ თქმულების გამგონთ დავით გურამიშვილი გვახსენდება: ,,სულს გაყვება ხორცთ ნაქმარი, ავსა ავი, კარგსა – კარგი''.

ხასან ჩელიქის წინაპრები ქობულეთიდან წამოსულან. მის საუბარში გვესმის: ,,ჩემი გელინის ბაბა-ნენეÁ ჯინჭარაფხე იყო. ქათამიფხე, შაქარაფხე... არიან აქ''. – ფხე სუფიქსიანი ფორმები ახლა იშვიათია ქობულეთელთა მეტყველებაში (სხვა კილოებშიც), შეიძლება ითქვას, ფუნქციადაკარგულია ეს სუფიქსი. – ფხე შენახულა და დღემდე ცოცხალია მუჰაჯირთა შთამომავლების ქარ–თულში.

* * *

რამდენიმე დღეა დავდივართ მუჰაჯირთა სოფლებში (კიდევ ბევრს ვივლით წელსაც და მომავალშიც) და ვეძებთ:

მეტყველებაში: აჭარული და შავშური კილოს ჯერ კიდევ შენახულ ძველ ვითარებას: ,,მე ორი შვილი და ერთი გოგო [მყავს]'' _ შვილი ვაჟის მნიშვნელობით. მასალა საინტერესოა ისტორიული დიალექტოლოგიისა და საკუთრივ დასახელებული კილოების შესასწავლად, სხვა თვალსაზრისითაც.

ფოლკლორში: შემორჩენილ ძველ სიმღერებსა და თქმულება-გადმოცემებს, ანდაზებს, ლეგენდებს, შელოცვისა და წყევლის ფორმულებს:

,,ყესლი ბუძიავ, მიმყევ-მომყევ,

წედი-მოდი, მე მოვალ...'' (ნადური სიმღერიდან).

ეთნოლოგიაში: ძველი აჭარული და შავშური ყოფის ელემენტებს: აჭარული სახლი (ზოგადად კარ-მიდამო), ქორწილი, სისხლის აღება...

არ გაგიკვირდეთ, თუ სადღაც ყორღანში არსენაული ნახოთ. ეს ადგილის დედის ხსოვნაა...

* * *

ჰაიდარ ზოროღლი (თებიძე) მოგვითხრობს მუჰაჯირების საქორწილო ტრადიციის შესახებ:

,,ხებერ გუუგზანი [გოგოის ბაბას], ამაღამ შენთან მოვალ. რატომ მოვალ, იცი? ღმერთის ემრით, შენი გოგო ამა და ამ ბიჭისთვინ'და მოგთხვონ'და. მოდიო, თუ გეტყვის, მიხვალ.

მიხვალ, ეტყვი, რომ ღმერთის ემრით, შენი გოგო ამას'და მივცეთ.

მიცემა თუ უნდებიან, ელჩ სუფრას დუუდგმენ, თუ არ უნდებიან, შიერი წამოხვალ და მიხდები, არ მაძლევსო.

ერთჯელ, ორჯელ მივდოდით, მესამეზე სიტყვას გადავწყვეტდით, ბოხჩა'და ვიყიდოთო, ვეტყოდით.

ხუთი-ექვსი კაცი მივტანთ ნიშანს. ზოგი იქდა, ზოგი არ იქდა ნიშან-დუგუნს. 2-3 წელწად იქნებოდა დანიშნული, სიძე ვერ გეეკარებოდა.

ქორწილზე კაცის სიზენგილეზე გორე წევდოდენ. დადე წევდოდა. დადე მისი ხისიმი იყო: ია ბიბი, ია ძმის ქალი, ია ხალაი (ხალას ბიბის ეტყოდენ), გათხვებული დაÁც იქნებოდა.

დუგუნი პაწაÁ იქნებოდა, Áა არ იქნებოდა. წამოიყვანდენ დოდოფალს: ცხენით ფე–ხით წევდოდენ. დოდოფალ ცხენზე შააჟდუ–მლებდენ, კაცები – ფეხით.

გოგოს წამოყვებოდა: დადე, ემიაი, სიძე, ძმა, ერთი ან ორი ქალი, 20-25 კაცი, ნამე–ტარიც იქნებოდა.

ქალის მხარე მოითხოვდა ბახშიშ: ძროხას, ცხვარს... მემრე გელინს აჩუქვებდა.

მერე შეახვედრებდენ. ძველი კაცები გეიბ-ჯგენდენ ფეხს. მერე გადააყრიდენ ფულს. მემრე მისი ხისიმი (ძმა, ემიაÁ) ჩამოიყვანდა [ცხენიდან], შეიყვანდა ოდაში. სიძე მივერე საღამოს შევდოდა. იმ საღამოს დუგუნია. დოდოფალს ცავს დადე.

საჭმელ ჭამდენ, სუფრას დეÁკავებდენ. ზოგი რახ მეითხოვდა, ზოგი ცხვარ მეით–ხოვდა, იდელებდენ... გათენდებოდა კუდ-დაგლეჯილი წევდოდენ. ქორწილის მიერე დღეს ნიქახს გახდიდენ.

ორმოც დღეს უკან გოგოს ხისიმი მოვ-დოდა, გოგოს წეიყვანდა: სადილს მეიტანდა, გოგოს წეიყვანდა. ოც დღეს უკან სიძეს დაპაიჯავდენ, გოგოსაც წამოიყვანდა...''

ვფიქრობთ, ქვემოაჭარული საქორწილო ტრადიცია მოკლედ და ზედმიწევნითაა გად-მოცემული. მეტ-ნაკლები ცვლილებით ტრა–დიციამ ჩვენამდე მოაღწია. თუმცა მხარეებს შორის შეთანხმება ყოველთვის ვერ ხერხ-დებოდა. ზოგჯერ საქმე ქალის მოტაცებით, ,,აწევით'' მთავრდებოდა:

,,ერთ იერზე წევედი, იგონებს ბატონი ჰაიდარი, არ იქნებაო, კაცმა. ბიჭის ბაბას ვუთხარი, აგაწევიეფ-მეთქი. ბიჭის ბაბას შეეშინა გოგოის ბაბაიდან. იმას მემრე ვარი ვთქვი, მევსვენე.

კაც თუ უნდა შენი თავი კარქობით მოქ-ცემს. ერთი ყაინის ქალი ავაწევიე. ყაინს შეერიგა გოგოის ბაბამ, მე ისე მოკტა, არ შემერიგა. დუნიალუღი დაბდღნეს. თხილებ-ში ავწიეთ. დეგვესიენ, გევსვით ფიშტოები. ხიდზე დავდექი, ფიშტო დუუმიზნე, დაგხიცავთ-მეთქი. არ გვესროლეს გვიცნეს და... სხვა სოფელში წევყვაი...''

ზოგჯერ დაპირისპირება უფრო შორს მიდიოდა, ტრაგედიაც დატრიალებულა.

ერთ სევდიან ისტორიასაც მოგითხრობთ და დავასრულებთ: ჯელალ დინჩინმა (ჯინ-ჭარაძე) გვიამბო მისი წინაპრების ამბავი: მუჰაჯირად წასვლა გადაწყვიტეს. არ იყო იოლი შეგუებოდნენ მშობლიური კუთხიდან აყრას, მაგრამ უნდა წასულიყვნენ. ,,სახლი ხონდა, კარი ხონდა, დუუტევია, ქითაბი წამოიღო, დატია ყოლიფერი. დილას ამდგა-რან, შაჭმელი რაცხა იყო უჭამიან, ქომუშები მუუწველიან, ძეÁ ოჯახში ცეხლზე დუუდ-გმიან, ცეხლიდან ნუგუზალი უკან გამუ-უწევიან, ცეხლი გამუუნელებიან... ვინცხა მოვა, სვამსო. ძროხა გუუშვიან საბალახოთ, რაცხა ზიდა წამოიღო, სხვა დაჭტია, წამოვ-და. აი რომ გამახსენდება, გულზე ცეხლი მაქ...''

* * *

ბევრი მხიარული თუ სევდიანი ისტორია მოვისმინეთ ექსპედიციის დღეებში. მუჰა-ჯირთა შთამომავლებს (უფროს თაობას მაინც) ჯერ კიდევ ახსოვთ მამა-პაპათა მონათხრობი, ზეპირგადმოცემები, ტრადი-ციები, ლექს-სიმღერები, ჯერ კიდევ იციან მშობლიური ქართული... თუმცა თანდათან ივიწყებენ ქართულს, ინავლება ძველი ყო-ფის ელემენტებიც, ამიტომაც საშური საქმეა მუჰაჯირებთან მუშაობა, ჯერ კიდევ გადარ-ჩენილის ფიქსაცია და შენახვა. ჩვენი სამეც–ნიერო პროექტი სწორედ ამ საქმეს ემსახურება.

ნუგზარ მგელაძე

ჯემალ ნოღაიდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი[5]

ჯემალ ნოღაიდელი ქართული კულტურის ისტორიას შესაშური ნაყოფიერებით იკვლევდა. სხვადასხვა მიმართულებათა შორის სულიერი ფასეულობებისა და, საერთოდ, ეროვნული კულტურის დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული კვლევები უნდა გამოვყოთ. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ იყო, რომ იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი რომ გახლდათ. ჯემალ ნოღაიდელის შემოქმედებაში ზეპირსიტყვიერებისა და კილო-მეტყველების შესწავლის გვერდით, ეთნოგრაფიულ მასალებსა და ეთნოგრაფიულ რეკონსტრუქციებს განმსაზღვრელი ადგილი ეჭირა.

სანამ ჯემალ ნოღაიდელის ინტერესების არეალში მოქცეულ ეთნოგრაფიულ პრობლემატიკაზე ყურადღებას მიგაქცევინებთ, მანამ მინდა საკითხი იმის თაობაზე დავსვა ქართული ეროვნული მეცნიერების ჩამოყალიბების გარიჟრაჟზე ჩვენი სასიქადულო წინაპრები თუ რატომ ხდებოდნენ მრავალმიმართულებიანი მკვლევარები? რატომ სწევდნენ ტიტანურ შრომას?. უნდა ვაღიაროთ, თუმცა კი საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს იყო ქართული ისტორიული მეცნიერების ფუძემდებლის - ივანე ჯავახიშვილის ჩანაფიქრის ნაწილი. ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ქართული ისტორიული მეცნიერების ინტელექტუალური სივრცე შესავსები იყო. ისტორიულ მეცნიერებას ფუნდამენტი არ გააჩნდა, რაც სხვადასხვა დარგთა კოორდინირებული კვლევითა და წერილობით, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ, ენობრივ წყაროებზე დაყრდნობით განმაზოგადებელი საპროგრამო და სახელმძღვანელო ნაშრომებით უნდა შექმნილიყო. ამ ფუნდამენტის ჩაყრას კი, მრავალ არაკეთილმოსურნეთა ფონზე, ახალგაზრდა ეროვნული უნივერსიტეტის სიცოცხლისუნარიანობა მოითხოვდა.

დღევანდელი გადასახედიდან შესაძლებელია ძველი თაობის მეცნიერთა დებულებებში ზოგიერთი პუნქტი კორექტივს საჭიროებდეს, მაგრამ მათი ნაშრომები ზოგადად განმსაზღვრელნი აღმოჩნდნენ და საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორისა და ენათმეცნიერების სფეროში მყარ ქვაქუკეთხედად იქცნენ.

ივანე ჯავახიშვილი ამიტომ გახდა არა მარტო ქართველი ერის ისტორიის, არამედ ქართული მუსიკის, პალეოგრაფიის, სამართლის, მატერიალური და ეკონომიკური ისტორიის, ქართველი და კავკასიის ხალხების ენობრივი ურთიერთობების, ეთნოგენეზისა და ეთნოლოგიური პრობლემების შესახებ დაწერილი ფუნდამენტური წიგნების ავტორი, რომელთაგან დღეს, თუნდაც ერთის შექმნას, ალბათ, ფიგურალურად თუ ვიტ-

[5] თემა მოხსენების სახით _ `ჯემალ ნოღაიდელი _ ეთნოგრაფი" წაკითხულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯემალ ნოღაიდელის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. 1996 წლის მარტში და 20012 წლის 3 მაისს კი _ `ჯემალ ნოღაიდელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი" _ ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმში გამართულ სესიაზე.

ყვით, ერთი ადამიანის სიცოცხლე მაინც დასჭირდებოდა.

ივანე ჯავახიშვილი მის ირგვლივ მყოფი ადამიანებისაგან - მეგობრებისაგან, კოლეგებისაგან, მათ შორის, მოწაფეებისაგან ამავე სტილით ითხოვდა მუშაობას. ასეთივე მიდგომით მოითხოვდა იგი მუშაობას ჯემალ ნოღაიდელისაგანაც.

ივანე ჯავახიშვილი ჯემალ ნოღაიდელზე დიდ იმედებს ამყარებდა და ფოლკლორის გარდა კულტურის ეთნოგრაფიული ასპექტით კვლევასაც ავალებდა. საზოგადოებას მოეხსენება, რომ ჯემალ ნოღაიდელის მიერ შეკრებლი მასალის ერთი ნაწილი, მაგალითად, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები" თვით ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიებშიც არის გამოყენებული[6], რაც მისდამი, როგორც მეცნიერისადმი, ნდობის უპრეცედენტო მოწმობაა. ჯემალ ნოღაიდელის მიერ შეკრებილი მასალების მეორე ნაწილი მის წიგნებში უშუალოდ აისახა, რომლებიც დაიბეჭდა, როგორც ავტორის სიცოცხლეში, ისე, გარდაცვალების შემდეგ. მათი დიდი ნაწილი საზოგადოებამ ჯემალ ნოღაიდელის მეგობრის, ნიკო მარის მოწაფის, აწ გარდაცვლილი პროფესორის იოსებ მეგრელიძის რედაქტორობით იხილა.

აქ წინა პლანზე მკვლევარის სამეცნიერო საქმიანობის კიდევ ერთი საინტერესო მხარე იწევს – ჯემალ ნოღაიდელი როგორც საველე მუშაკი. მის მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის დღეს მოპოვება ფაქტობრივად წარმოუდგენელია, რადგან იმ პირთა _ მოხუცები, სახალხო მთქმელები, სამეცნიერო ტერმინებით თუ ვიტყვით ინფორმატორები და რესპოდენტები - დიდი ნაწილი, ვისგანაც მასალის ფიქსაცია მოხდა ცოცხალი აღარაა და თუ არა ჯემალ ნოღაიდელი და მისი კოლეგები, ალბათ, მათ მეხსიერებაში დაუნჯებული ეროვნული კულტურის შესახებ ცნობები სამუდამოდ მივიწყებას მიეცემოდა.

ჯემალ ნოღაიდელის ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება, ძირითადად, სოციალური და სულიერი კულტურის სფეროებს მოიცავდა, თუმცა მის ჩანაწერებში ინფორმაცია სამეურნეო ყოფის შესახებაც უხვად შეიძლება მოვიძიოთ.

[6] ივ. ჯავახიშვილი. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938, გვ. 81-83.

ხაზი მეცნიერის დიდ მუსიკალურ ცოდნასაც უნდა გაესვას. თუ არა ჯემალ ნოღაიდელი, ალბათ, ქართული მუსიკისა და ლექს-სიმღერების ბევრი სანიმუშო მარგალიტი დღის შუქს ვერ იხილავდა. ამ ლექს-სიმღერებიდან განსაკუთრებით როგორც აჭარული ნადური ლექს-სიმღერები, ისე ნადური სიმღერების ჰანგები უნდა გამოიყოს. ჯემალ ნოღაიდელის მეცნიერული მემკვიდრეობა იმითაცაა უაღრესად ფასეული, რომ მან გურულ და აჭარულ ნადურ (ყანურ) სიმღერებში სამხმიანობისა და ოთხმიანობის ფაქტს პირველმა მიაქცია ყურადღება. მართალია, თავის დროზე, ეს მიგნება სხვის აღმოჩენად გახმაურდა, მაგრამ დღეს საყოველთაოდ ცნობილია მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური აღმოჩენის საქმეში ჯემალ ნოღაიდელის პრიორიტეტული დამსახურება. აჭარაში ჯემალ ნოღაიდელისა და ალი მსხალაძის შემდეგ, სამწუხაროდ, ხალხური მუსიკალური კულტურის მეცნიერული შესწავლა შეწყდა, რაც კარგად დაწყებული საქმის მიუღებელი დასასრული იყო. მოსავლელია არქივებში შემონახული ძველი მუსიკალური ჩანაწერები, რომლებიც უკვე, თუ ეს ჩვენს პირობებში საერთოდ შესაძლებელია, რესტავრაციას საჭიროებენ[7].

აჭარის სიმღერისა და ცეკვის თითქმის ყველა ლოტბარი და დირიჟორი – არტემ ერქომაიშვილი, მირიან ჩხიკვიშვილი, მელიტონ კუხიანიძე, გულნარა ნოღაიდელი და სხვები ქართული კლასიკური მუსიკის განვითარებაში ხალხური ლექს-სიმღერებისა და ჰანგების დიდ მნიშვნელობას მშვენივრად აცნობიერებდნენ. ხალხური მუსიკალური ხელოვნებისადმი პროფესიული დამოკიდებულებით ვაჟთა ვოკალური ანსაბლი - ,,ორნანო" გამოირჩეოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ მას სათავეში ედგა ჯემალ ნოღაიდელის კოლეგა _ ალი მსხალაძე რომ ედგა. მისი რეპერტუარი ლექცია-კონცერტით და იმის

[7] ამ კუთხით, თავის დროზე, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში საპრობლემო ჯგუფმა – „აჭარის კულტურულმა მემკვიდრეობამ" დაიწყო მუშაობა. სარესტავრაციო საქმიანობა შემდეგშიც გაგრძელდა, თუმცა მისი დასრულება და სრულყოფილად განხორციელება მაინც ვერ მოხერხდა. ეს ფაქტი სერიოზულ დაფიქრებას და სამომავლო კონკრეტული გეგმების ორგანიზაციას მოითხოვს.

განმარტებით იყო დატვირთული თუ რომელი ფოლკლორული ჟანრი თუ ნიმუში გახლდათ ამა თუ იმ სიმღერის ამოსავალი.

მეცნიერულად აჭარაში ხალხური ცეკვებიც არ შეისწავლება, რაც კლასიკური ქორეოგრაფიის უშრეტ წყაროდ გამოდგებოდა. რამდენჯერ ვუსახელებივართ საქართველოში და, საერთოდ, მთელ მსოფლიოში თავისი შემოქმედებით, ცალკეული დახვეწილი კომპოზიციით აჭარაში მოღვაწე ცეკვის დოსტატებს - ენვერ ხაბაძეს, ფატმა კობალაძეს, ალექსანდრე ჯიჯეიშვილს, გივი ჩიხლაძეს, ზაურ ლაზიშვილს, რეზო ჭანიშვილს, თემურ ბიბილეიშვილს, ჯემალ ჩიჩუას, გივი კაჭარავას, თენგიზ (თოფუზ) გაბაიძეს, თოფან მელაძეს, თემელ მიქელაძეს, თამაზ ჯახუტაშვილს, თამაზ გოგოტიშვილს, თამაზ ბეჟანიძეს, თამაზ კილაძეს, განდაგანის პირველ შემსრულებელ ქალს - გულიკო ნოღაიდელს.

ყველაფერ ამას კი საფუძვლად ხალხური ცოდნა, ხალხური ნიჭი და შემოქმედება, ხალხური ხელოვნება ედო. წინაპრებმა გვიანდერძეს უზარმაზარი სულიერი მემკვიდრეობა. მას გამომზეურება, შესწავლა და მოვლა სჭირდება.

ჯემალ ნოღაიდელი ის პიროვნება გახლდათ, რომელსაც ქართული კულტურისათვის ხალხური ხელოვნების მნიშვნელობა შესანიშნავად ესმოდა.

მრავალმხრივი ყურადღების ღირსია ჯემალ ნოღაიდელის მიერ შეკრებილი მასალები აჭარის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების შესახებ. ავტორს დეტალურად აქვს აღწერილი აჭარული სოფლის მოსახლეობა ეთნოგრაფიული თვალსაზრისით - ადათები, ჩვეულებები, კულტი და რიტუალი, ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები. მათგან შეიძლება გამოვყოთ საქორწინო ურთიერთობები, ფადიკო, მშობიარობა, ახალი წლის ციკლი, ცხრამარტობა, აშურა და დადეგი, ნადირის დაკოჭვა, სამხთო, ცხემლის ჭრა, ქათმის ფერხვა, ცეცხლის შენახვა, ახალმთვარესთან შეხვედრა, რწყილის გადალოცვა, რვა იანვრობა, ნასესხები, ქაშატობა, ლაზარია, ბზობა, ფერცვალობა, ყეენობა და ბერიკაობა, ცოცხლობია, საგლოვიარო რიტუალი, შელოცვები... განსაკუთრებით აღსანიშნავია დემონოლოგიის, კერძოდ, ავი სულებისა და კუდიანების, სატანისეული სამყაროს ხალხური გააზრების კვლევა. ამ საკითხებზე მუშაობისას მეცნიერს დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა, რადგან საბჭოთა წყობის პირობებში, რელიგიასთან მებრძოლ ოფიციალურ, ჩინოვნიკურ წრეებში კარგად არ იყო გაცნობიერებული თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის სულიერი ფასეულობების განსაზღვრისათვის ტრადიციული რწმენა–წარმოდგენების შესწავლას.

აჭარელთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ჩვეულები ტრადიციული კულტურის შესწავლის თვალსაზრისით უხვ მასალას იძლევა. აჭარელთა საქორწინო ურთიერთობებს მეცნიერი დამახასიათებელი რიტუალებითა და გართობა-თამაშობებთან კონტექსტში აღწერდა. ჩვენი დროის გადასახედიდან ავტორის მიერ საქორწინო რიტუალის დაწვრილებითი წარმოდგენა განსაკუთრებით ინტერესშემცველია. მით უმეტეს, რომ წარსულისათვის დამახასიათებელმა ადათ-ჩვევებმა თანამედროვე ქორწილში გარკვეული მოდიფიცირება განიცადეს, ჩვეულებათა ნაწილი კი - ყოფიდან საერთოდ გაქრა.

ჯემალ ნოღაიდელი ბავშვის დაბადებასა და ქალის მშობიარობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს შესაშური თანმიმდევრობით აღწერს. მათგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მაგიური ხასიათის მკურნალობის წესები და შელოცვები. შელოცვებში წინაქრისტიანული დანაშრევები ნათლად ჩანს. აჭარაში შეკრებილი ქართული ხალხური შელოცვები სულიერ ღირებულებებზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ზოგირთი შელოცვის ძირითად ტექსტში წინაქრისტიანული ეპოქის გვერდით ჩანს ქრისტიანული კულტურის კვალი რომ ჩანს. შელოცვებს დასაწყისში ქრისტიანული დანართი აქვთ წამძღვარებული, მაგალითად: „გოჟოს შელოცვა". რელიგიური საკითხების შესწავლის პროცესში ავტორი ხაზს იმ გარემოებას უსვამს, რომ აჭარაში ისტორიულ წარსულში ერთმანეთს დაუპირისპირდა წარმართობა, ქრისტიანობა და ისლამი. ამგვარმა სინკრეტიზმმა აჭარელთა რელიგიურ ცნობიერებას ღრმა კვალი დაამჩნია. მიუხედავად ამისა აჭარელთა ცხოვრების წესი არ შეცვლილა. იგი ტრადიციული - ქართული დარჩა და მიუხედავად სხვადასხვა განსხვავებული კულტურისა და არატრადიციულ რელიგი-

ათა მძლავრობისა, მაინც მყარ ეროვნულ ნიადაგზე განვითარდა.

ჯემალ ნოღაიდელი საწესჩვეულებო რიტუალების აღწერისას კალენდარულ თანმიმდევრობას იცავს. ახალ წელთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები არა მარტო ოჯახის წევრთა კეთილდღეობასა და ბედნიერებას ითვალისწინებდა, არამედ გარკვეული რიტუალები მეურნეობის სხვადასხვა დარგების (მეფრინველეობა, მესაქონლეობა) ნაყოფიერების ასამაღლებლად სრულდებოდა.

აჭარაში დაფიქსირებული ამინდის მართვის მაგიურ ჩვეულებებიდან საყურადღებოა **ქაშატობა**, რომელიც საქართველოს სხვა მხარეებში არ დასტურდება. ქაშატობა აპრილის პირველ შაბათზე მოდის. ამ დღეს მუშაობა იკრძალებოდა, რკინეულს მიწაზე არ გაატარებდნენ. ავტორის მასალებით ამით მოსახლეობა დიდ წვიმებსა და ნიაღვარს თავიდან იცილებდა.

ის ფაქტი, რომ აჭარის სინამდვილეში ცხემლა საკულტო ხეს წარმოადგენდა, პირველად ჯემალ ნოღაიდელმა დაადასტურა. *ცხემლის ჭრის* რიტუალი საკულტო ხეებისადმი თაყვანისცემის ფართო გავრცელებულობაზე აშკარად მიუთითებს. მნიშვნელოვანი დაკვირვებაა ისიც, რომ წითელი ნაყოფის მქონე ხეს მაგიური დანიშნულება ენიჭებოდა და ამგვარი ხისგან დამზადებული საგნები ავი თვალის საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა. ფერთა სიმბოლიკაში წითელი ფერი საკრალური ფუნქციის მატარებელი იყო და, ამჯერად მის მნიშვნელობაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

აი ის მოკლე მონახაზი, საკითხთა ჯგუფი, რომლებიც მკვლევარის ინტერესების არეალში იყო მოქცეული. ბუნებრივია მეცნიერის ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა ამით არ ამოიწურება, მისი გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია. საერთოდ, ჯემალ ნოღაიდელის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ჩანაწერები საფუძვლიან შესწავლასა და განზოგადებას მოითხოვს.

ჯემალ ნოღაიდელის დაწყებულ საქმეს მისი შთამომავლობა აგრძელებს. დიალექტოლოგიას მისი ქალიშვილი - ნანული ნოღაიდელი, ხოლო ეთნოგრაფიას შვილიშვილი - თამილა ლომთათიძე წარმატებით ემსახურება. ორივენი სასახელო მამისა და ბაბუის წამოწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებენ.

მანამ, სანამ საქართველოში ფილოლოგიური და ისტორიული მეცნიერებები იარსებებენ, ჯემალ ნოღაიდელის სახელი მუდამ იცოცხლებს.

საქართველო სანიმუშო მეცნიერისა და მისაბაძი მოქალაქის მადლიერია. ამის დასტურია მკვლევარის საიუბილეო საღამოც, სამეცნიერო წრეების, კოლეგებისა და მეგობრების ფაქიზი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება განსვენებული მეცნიერის ღვაწლისადმი.

ფოლკლორული ექსპედიცია ქობულეთში, 1962 წ. მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: ჯემალ ნოღაიდელი, გრიგოლ ჩხიკვაძე, ქამილ ტაკიძე, ზურაბ თანდილავა

მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: ასლან ინაიშვილი, გრიგოლ ჩხიკვაძე და ჯემალ ნოღაიდელი მუსიკალურ შემსრულებლებთან ერთად. ქობულეთი



ჯემალ ნოღაიდელი მთხრობელებთან ერთად.
გურიის ექსპედიცია.

ექსპედიციის წევრები ცნობილ მთქმელ
თოფია ქათამაძესთან ერთად. ხულო, 1958 წ.
მარცხვიდან მარჯვნივ სხედან: ჯემალ ნოღაიდელი
ნელი ცქიტიშვილი, თოფია ქათამაძე,
ზურაბ თანდილავა, მზია ნადირაძე; დგანან:
ალექსანდრე დავითაძე, მურმან ზოსიძე,
სერგო ბერიძე, არჩილ მაკარაძე,

ჯემალ ნოღაიდელი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
თანამშრომლებთან ერთად. მარცხნიდან მარჯვნივ პირველ რიგში: ევ. სალუქვაძე,
ჯ. ნოღაიდელი, ი. გოგოლიშვილი, გრ. კოკელაძე, გრ. ხავთასი.
მეორე რიგში: დ. ზვიადაძე, შ. გიგაშვილი, ი. მეგრელიძე, ა. ვეფხვაძე, კ. გუგუშვილი.

†ვლადიმერ მგელაძე[8]
მესაქონლეობა ზემო აჭარაში

მთა-აჭარის მემინდვრეობა და მესაქონლეობა სიმბიოზურად ვითარდებოდა, თუმცა ღორჯომში პრიორიტეტული მაინც მსხვილფეხა მეცხოველეობა იყო. მეურნეობის ეს დარგი მთა-აჭარაში თავისებური სახით იყო წარმოდგენილი. მესაქონლეობის ამ ტიპის ჩამოყალიბებაზე გავლენა არამარტო ზოგადად გარემომ, რელიეფმა და მცენარეულმა საფარმა, არამედ კლიმატმა და დამხმარე სამეურნეო ბაზამაც მოახდინა. ბინადარი ცხოვრებისა და მიწათმოქმედების ხელშეწყობით საიალაღო _ ნახევრად მომთაფერდაობითი მესაქონლეობა ვითარდებოდა. იგი თავის კომპლექსში ბაგური, ბარული და ზეგნური (*ყიშლის* _ ფერდას და *თის* _ მთის) მესაქონლეობისათვის დამახასიათებელ ელემენტებს შეიცავდა (**ჩიტაია**, 1937:338; 1947:155; 1963:201-205).

ღორჯომის ხეობის მესაქონლეობა მრავალპროფილიანი იყო. აქ გლეხობა მსხილფეხა პირუტყვის მოშენებასთან ერთად მეკამეჩეობას, მეთხეობასა და მეცხვარეობასაც მისდევდა. მესაქონლეობის ეს თავისებურება დასახლების ფორმათა სისტემაში და საკარმიდამო კომპლექსის ორგანიზაციაშიც აისახა. ღორჯომის ხეობის საკარმიდამო კომპლექსი თანაზომიერად, ხვედრითი წონის მიხედვით, მესაქონლეობა-მემინდვრეობის ყველა ელემენტს აერთიანებდა (**რობაქიძე**, 1960:13-14).

ზემო აჭარის მკვიდრნი შინაური პირუტყვის ყოლაში ჯალაბობის რჩენის წყაროს ხედავდა და ამიტომაც პირუტყვის მოშენებაგამრავლებასა და გამოკვებაზეც ყოველდღიურად ზრუნავდა. აჭარის მაღალმთიან ხეობაში მესაქონლეობის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელიც იყო.

ღორჯომში მესაქონლეობის უპირატესი განვითარებისა და მისი ტრადიციულობის მაჩვენებელია რიგი მონაცემი: ახალდაბადებული ძროხის შვილი **ხბო**, კამეჩის _**კოტიაი**,^ თხის _ **თიკანი**, ხოლო ცხვრისა _**კაკანაი** იყო. სქესის მიხედვით **ხბო** დედალი და მამალი, ხოლო სამეურნეო დანიშნულებით _ **საფურე**[9] და **სახრე** (//**სახარე**) იყო. დედალი თიკანი _ **კაკანაი** სამეურნეო თვალსაზრისით _ **სადგამი**, თხის მამალი შვილი _ **ბოტი** (/**პოსი**)[10], ხოლო ცხვრისა _ **ყოჩი** (/**ვერძი**) იყო. ასაკობრივი თვალსაზრისით **ხბო** წლიდან ორ წლამდე *ბერწად*[11], ორიდან სამ წლამდე კი _ **კალო**'დ მიიჩნეოდა. ოთხი წლისა იგი **ქერობა**'დ იწოდებოდა. კალო მოზვერი შეიძლება კალოობაში **გამოჩეხილი**'ყო (გახედნილიყო), ხოლო ოთხი წლისა კი ხვნა-თესვაში (**ქერობა**'ში) დაესაქმებინათ. სამი წლის დედალი ხბო **დეკეული** იყო. ღორჯომის ხეობაში უშობელი _ **დეკეული** `იგრილებდა". ამ ასაკში კამეჩის შვილს *ზაქს* უწოდებდნენ. ერთი წლის ასაკში მყოფი თიკანი _ **წალი**, ხოლო **კაკანა**ი კი _ **კრავი** იყო. კრავს აქ *შიშაგს* ეძახდნენ. **კრავი** და **წალი** ნამატი _ შესამატი, ხოლო მათი მშობელი კი - **დედო თხა** თუ **დედო ცხვარი** იყო. პირველი ხბოს დედა ძროხაზე - **ახალპირი** ითქმოდა. *კალოს* (სამი წლის) ან *ქერობის* (ოთხი წლის) ნამატი უკვე *ხვედრს* წარმოადგენდა _ უნდა ემაკა. უმთავრესად ზაფხულსა და შემოდგომაზე *იდევნიდა* _ იმაკებდა. ორსული ძროხა - **მაკე**'დ, ხოლო დაუმაკებებლი - **ბერწი** (**ყისირი**) ითვლებოდა. **ქერობა დეკეული** თუ არ იმაკებდა, მაშინ მას **ურწანი** ეთქმოდა. წვეულადობის მიხედვით ძროხა შეიძლება **ბერწ-მეწველი** და **ხბოიანი** ყოფილიყო. ძროხა, რომელიც წელიწად ჩაგდებით იმაკებდა, იგი ბერწობის პერიოდში ბერწ-მეწველად, ხოლო მეორე და მესამე წელს თუ კიდევ არ იმაკებდა და აღარც მოიწველიდა **ხმელ-ბერწად** იწოდებოდა. შესანახი პირუტყვი **ტამაზლუღი**, ხოლო სახორცე ანუ დასაკლავი **ეთლიგი** იყო. შეხორცებით საქონელი

---

[8] ვაგრძელებთ ვლადიმერ მგელაძის გამოუქვეყნებელი ხელნაწერების პუბლიკაციას. ამჯერად ციკლიდან – „სამეურნეო ყოფა ზემო აჭარაში" ვბეჭდავთ მცირე მოცულობის ნაშრომს, რომელიც, უმთავრესად, ღორჯომის ხეობის მესაქონლეობის პრობლემებს ეხება და გასული საუკუნის 60-იან წლებში უშუალოდ ავტორის მიერ ველზე შეკრებილი მდიდარი ეთნოგრაფიული წყაროების საფუძველზეა დაწერილი. ხელნაწერი ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქივში ინახება და მცირეოდენი სარედაქციო შესწორებებით იბეჭდება – **რედ**.

[9] **საფურე** და **სახრე**, ხშირად, სქესის მნიშვნელობითაც წარმოჩნდება.

[10] 2-3 წლის ასაკში **ბოტი** ანუ **პოსი** უკვე *ვაცად* იწოდება. **ვაცი** ხეობაში საგეოგრაფიო – ადგილის სახელწოდებაშიც მონაწილეობს. მაგალითად, ასეთია **ვაცი-ციხე**.

[11] ორი წლის ასაკში დამაკება სასურველი არ იყო. ამ ასაკში აქაური ძროხა არ მაკობს. ამიტომაც იწოდება მეორე წელში მყოფი ძროხა *ბერწად*. ამდენად, **ბერწი** აღნიშნავს დაუმაკებელ ძროხას.

შეიძლება მსუქანი და ჭლე ან **ჯენდეკი** ყოფილიყო[12].

მთაგორიანობისა და ხანგრძლივი ზამთრის _ დიდი თოვლის გამო წელიწადის ექვსი თვის განმავლობაში საქონელი ბაგურ კვებაზე - **ახორში დაბმული** ჰყავდათ. საქონლის **დაბმა,** ძირითადად, ნოემბრის თვეში - თვის დასაწყისიდან ხდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, ღორჯომის პირობებში `საქონელს ახორში გიორგობითვი ნახევრიდან ვაბამდით", თუმცა, ზოგჯერ, ზამთარმა მოსვლა ადრე იცოდა და მთელი არე-მარე მარტის გასვლამდე თოვლის საბერველქეშ იყო მოქცეული. აპრილის `ნახევრიდან აქ საქონელი გარეთ მეიჭამდა". ხშირი იყო შემთხვევები იმისა, როცა შვიდ მაისამდე საქონელი `გარეთ ვერ მეიჭამდა".

ზამთრის პერიოდში ღორჯომის ხეობის ყველა ოჯახში **სახლის დიდი** საქონლის მოვლა-პატრონობას თავად თავობდა ან საქმის შესრულებას ოჯახის რომელიმე წევრს დაავალებდა. შერჩეული @**მეახორე** საქონლის მოვლა-პატრონობის კარგი მცოდნე უნდა ყოფილიყო. **მეახორეობა** ოჯახში იმას ევალობოდა, `ვისაც უმფო ეხერხებოდა, ხელიდან გამოდიოდა, ხელი მიჩვეული ქონდა". ამავე დროს მეახორე@ `შინავრაი კაცი იყო". მეახორე საქონელს დღეში `ორჯერს მიართმევდა" _ დილას (**სადილი**) და საღამოს (**ვახშამი**), ხოლო დღეების გაზრდის შემდეგ, სამხრობას საქონელს *ზარმელს* მიუმატებდა. ბაგური კვების დროს პირუტყვს წყალს *ავაზანზე* ან *ჯარებში* თუ კასრებით დღეში ორჯერ ასმევდნენ. ერთი ინფორმატორის თქმით, `საქონლისათვის წყლის დასალევად *ჰავლში* ან ეზოში **ავაზანი** გვქონდა", საქონელი იქ `ჩეყუდებოდნენ და სმენდნენ".

კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხელმძღვანელობა მეცხოველეობის ფერმის გამგეს ევალებოდა. ფერმას ბრიგადირიც ყავდა. პირუტყვის უშუალო მოვლა-პატრონობა ზაფხულობით **მწყემსები**'ს, ხოლო ზამთარში _ **მომლელი**'ს საქმე იყო. ყოველ მათგანზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობით პირ–უტყვის გარკვეული რაოდენობა იყო გაპირობებული. მწყემსები ფერმაზე ურთიერთშეთანხმებით დადგენილ დღეებში მორიგეობდნენ.

ზამთრის განმავლობში მეახორე ქალი თუ კაცი საქონელს კვირაში ერთხელ მაინც მარილს *ალოკვინებდა.* მეახორე ქალის მთავარი ფუნქცია საქონლის მოწველა, **კერჩხი ცოცხი**'თ ახორის **დაგვა** და ზოგჯერ `სანაწყალიდან ნეხვის გადაყრა" იყო. მეახორენი ბაგური კვების განმავლობაში `ლოდოს ამინდს" შეარჩევდნენ და `თბილი წყლით" რამდენჯერმე `საქონელ ახორში ტან დაბანდენ", ხოლო **ყაშავი**'თ კვირაში ორჯერ *დაფხანვდენ.* კარგ ამინდებში, დრო და დრო, საქონელს გარეთაც გამოუშვებდნენ - `თოვლში ფეხი გაუსუფთავდესო".

ბაგური კვების სეზონი^ აპრილის პირველ რიცხვებში მთავრდებოდა და ესეც მაშინ თუ `თოვლი ადრე ადგებოდა". თოვლის *აჭრელები* შემდეგ `საქონელ ახორიდან გამუშვებდით ეზოში, ყანებში, ახლო-მახლო მუარუნიებდით გამოსახამებლათ". გამოხამება აუცილებელი იყო იმდენად, რამდენადაც 6-7 თვეს ბაგაზე ნაბამი პირუტყვის კუნთები **დაბუხვილი** იყო და გაზაფხულზე გარეთ გამოყვანილ საქონელს`მუხლის გაშლა, სისხლის ამოძრავება" ჭირდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირუტყვს `ხამი დეიჭერდა, ოფლს დასხამდა". საქონელი შეიძლება მოკვდეს კიდეც თუ *ჩახამდა.* ამიტომაც, პირველ დღეებში გარეთ გამოყვანილმა საქონელმა `ახლო-მახლო მიდამოებში რამდენიმე დღე უნდა გეიარ-გამეიაროს _ გამოხამდეს". დიდაჭარიდან მომდინარე მასალით, `ძველით აპრილის დასაწყისში", თვის `პირველ ხუთში", საქონელს ახორიდან გარეთ გამუშვებდნენ და `დახნამდე ყანებში გამოახამებდნენ - აძოვებდნენ". გამოხამების შემდგომ დღეებში ადგილობრივ მცხოვრებთ საქონელი `გაღმა ფერდებში" - *წიახებში*[13] გაყავდათ. აქ საქონელი 10-15 დღეს ბალა-

[12] მსხვილფეხა პირუტყვის ასაკობრივი თუ სამეურნეო დანიშნულებით ამდაგვარ დაყოფას სხვა ავტორებიც მიმართავს. მაგალითად, პირიტყვის ასაკობრივი დაყოფის საკითხს ვ. შამილაძეც შეეხო. მან ამა თუ იმ სოფელში ჩაიწერა სიტყვები, რომლებიც ზოგადად ზემოაჭარულად, უფრო ზუსტად, ზემოაჭარულისათვის დამახასიათებლად მიიჩნია. ასეთეია, საკუთრივ: **ბერწიშვილი**, **შესამატი დეკნა**, **ნამატი**, **ახალ პირი ძროხა** („სამიდან-ოთხ წლამდე ახალ პირი ძროხა", „პირველი ხბო დედაა") და სხვა (იხ. **შამილაძე**, 1960:144).

[13] დიდაჭარში დამოწმებული ადგილთა საგეოგრაფიო სახელი **წიახი** იგივე **წიაღი** უნდა იყოს. ძველ ქართულში ეს უკანასკნელი „კალთა და უბე", ნაპირი, სანაპირო ყოფილა (იხ. **ორბელიანი**, 1949:449)

ხობდა. მთხრობელთა თქმით, ხიხაძირში მარტის მორე დეკადიდან საქონელს `ეზოკარში გავარონიებდით", იმიტომ, რომ `ფეხი გამეიდგას, გამოხამდეს". ღორჯომ-აგარის თემის მცხოვრებთ, ისე, როგორც სხვა ხეობების მკვიდრთ, გამოხამებული საქონელი სოფლის ახლო-მახლო `საძუარი ჭალები სადაც არის იქ გაყავდათ და ყველა მისას აძუებდა", შემდეგ `შორი ჭალებში"^_ *ზეგნებში* მიყავდათ. ცოტა მოგვიანებით პირუტყვი ფერდაზე გადაყავდათ.

მეკომურთ, რომელთაც საგაზაფხულოსაშემოდგომო **ყიშლა სახლი** ჰქონდათ, საქონელი გაზაფხულზე თავიანთ `გაერთიანებულ სათიბებში" გაყავდათ. დიდაჭარის მცხოვრებთ პირად და საკოლმეურნეო პირუტყვისათვის საგაზაფხულო, საშემოდგომო და საზამთრო ყიშლა ველათში ჰქონდათ, ხოლო აგარას ადგილ **ყიშლა**'სა და *ნაკაფში*, მეკეიძეებს - კუშტურში, ღორჯომის თემის სოფლებს - *აფასადგმურში.* წინათ ფერდაზე`თელი სოფელი თითქმის ერთათ წევდოდა".

ხეობის მცხოვრებთაგან, `ვინცხას ყიშლა სახლი ჰქონდა, თოვლი რომ გადნებოდა, ასე აპრილის 15-დან საქონელს" ფერდზე გადაიყვანდა. ზოგ სოფელს ფერდაზე საქონელი 5-10 აპრილს გადაყავდა იმის კვალობაზე თუ სად და როდის დადნებოდა თოვლი.

აპრილის პირველი დეკადიდან საქონელი ყიშლებზე იმიტომ გადაყავდათ, რომ ხვნა-თესვის დროს,@ბარში `ყანები ითესებოდა" და საქონლისათვის, მაშინ აქ ბალახი იყო. ხეობაში `ხნა და საქონლის ყიშლაზე წაყვანა" თითქმის ერთად იწყებოდა". ხვნა-თესვის შემდეგ საბალახოს არეალი იზღუდებოდა, რადგანაც ზოგ სოფელს ჭალები ახლოს არ მოსდგამდათ. საბალახოდ შორს მოსიარულე პირუტყვი კი `ფეხიდან ვარდებოდა, ფეხს იგლიდა და კუტდებოდა, ვეღარ დადიოდა, ბობვას იწყებდა, ნჭელდებოდა, დაშრებოდა", ე. ი. აღარ იწველიდა. ფაქტია, რომ საქონლის ფერდაზე გადაყვანა, ბუნებრივი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. მთა აჭარის რიგი სოფლის მეკომურს `ყიშლა სახლი" არ ჰქონდა. აგარის მცხოვრებთ, როგორც ამას 90 წლის ა. ირემაძე (ბოზუენთი) შენიშნავს, ყიშლები არ ჰქონდა... გამოხამებულ საქონელ ისევ ახორში აბამდნენ". ანალოგიურია სოფელ საციხურის მცხოვრებ, 98 წლის ა. მარკოიძის (მარიენთი) მიერ მოწოდებული ცნობაც. ინფორმატორი შენიშნავს, რომ `გაზაფზულზე ჩვენ საქონელ ყიშლებზე არ ევყვანდით" იმ მოსაზრებით, რომ `სათიბები არ დეიცვებოდა, გაფუჭდებოდა ჭალა". ხიხაძირის სინამდვილეში, `ვინცხას ყიშლა არ ქონდა" იგი საქონელს `გვერდზე^ ტყეში ეიყვანდა და იქ აძუებდა". ღორჯომის ხეობის სოფლები, რომელნიც ზეგანს ეკვრიან ყიშლა სახლები არ ქონდათ და არც ჭირდებოდათ.

ფერდაზე 15-20 დღის თუ ერთი თვის ყოფნის შემდეგ, დაახლოებით შვიდი მაისისათვის, საქონელი საზაფხულო საძოვრებზე გადაყავდათ. ხეობის თემს თუ სოფელს მთის საკუთარი საბალახო ჰქონდა. ცალკეული სოფლის, თემისა თუ ხეობის საზაფხულო საძოვრები - **სალაეთი** თუ **იაილები**, ჩვეულებრივ, დასახლებული ადგილები, ერთმანეთისგან მთის ქედებით, ტყეებითა და ღელე-ხევებით იყო გამიჯნული. ერთი თე–მის თუ სოფლის@**თა** სხვა თემისა თუ სოფლის მცხოვრებთათვის მიუწვდომელი იყო. ველზე ჩაწერილი მასალით, დიდაჭარის **თა**'ზე, ე. წ. კლაკნილში, `სხვა სოფელი საქონელ ვერ მიიყვანდა".

თემი **ეილი** მიწაზე სხვა სოფლის წარმომადგენელს სახლსაც არ ჩაადგმევინებდა, ვინაიდან ყველა სოფელს `მისი თა ქონდა". წინათ `ეს წესი მაგრათ იყო დაცული და დღესაც ასეა".

მცხოვრებნი **თაზე გაბარგვა**'ს მოსახერხებელ დღეს შეურჩევდნენ. ყველა მეკომურს@`დაცდილი" ჰქონდა და@`ვისაც რა დღე მუდიოდა იმ დღეს მიდიოდა". ოჯახის მორწმუნე - **უფროსი ქალი**, თუ ოჯახში ასეთი ქალი არსებობდა, `ახორიდან გამოსვლის დროს, მზის ამოსლამდე საქონელ სამჯერ" შემოავლებდა `თავს რაც" ექნებოდაა - `ფარა, ფქვილი, ყველი და მისცემდა ფუხარას ან იმას ვისზეც გემეტებოდა". ამას უითავრესად **მენთევრი** (**მემთეური**) ასრულებდა. ზაფხულობით **თიობა**'ზე `მთაში საქონელ წაყვებოდა მოხუცი _ **სახლის უმფოსი** მისი ქალით. ქალს მენთევრს ეტყოდნენ". ერთი ხიხაძირელი მთხრობელის თქმით, `მენთევრი ქალია, დედაბერი". ოჯახის საქონელი თუ ბევრი იყო, მაშინ დედამთილი მთაში რძალსაც თან წაიყვანდა.

მემთევრად, უმთავრესად, ხანში შესულ, ჩვილ ბავშვიან ან ავადმყოფ ქალს აგზავნიდნენ. ინფორმატორის გადმოცემით, *მემ–თეურად* ოჯახიდან ის პიროვნება იგზავნებოდა, რომელსაც სახლში გარეთა საქმის კეთება არ შეეძლო ან ბავშვიანი იყო. ერთი ცნობით, ოჯახში `ძლიებიდან ვისაც წვიტი ბავშვები ეყოლებოდა და ბარში ვერ იმუშავებდა ი მთაში წაყვებოდა" მესაქონლეებს და `საქონელ მოწველიდა". სხვა ცნობითაც ირკვევა, რომ@ბარში `უმფო ჯამთელები" რჩებოდნენ, ვინაიდან `იქ უმფო ძიმე სამუშაო იყო: ყანი ფხეკა, ტყის საქმე, ხნა-თესვა, ჭალობა" _ ვისაც `ძიმე საქმე არ შეეძლო ი თაში გაყვებოდა საქონელ და თი საქმეს გააკეთებდა". ირკვევა, რომ `ეილებზე საქონელ ენჩუღი მოხუცებულები და ქალები" იმიტომ მიყვებოდნენ, რომ მოხუცები და ბავშვიანი ქალები `იმფერი ხალხია ბარში მუშაობა არ შეეძლო". ზოგი ოჯახიდან მემთეურად ყოვ–ელწლიურად მხოლოდ ერთი დედაკაცი დადიოდა იმიტომ, რომ@`ყველი-იაღის კაი გაკეთება" იცოდა. სხვა ცნობით მემთეურად ის ქალი^ იგზავნებოდა, რომელსაც `მოფერებული ხელი ჰქონდა, გაკეთების მცოდნე იყო, სუფთად გააკეთბდა". მემთეურად ხშირად `ხანში შესულებს" იმიტომ აგზავნიდნენ, რომ მათ გამოცდილება და @ცოდნა მეტი ჰქონდათ. ეთნოგრაფიული მასალით ჩანს, რომ მემთეური მთაში ზოგჯერ `საქონელ მიყვებოდა". მთაში იგი ცხენით აყავდათ. ერთი ინფორმატორის თქმით, მემთეურთაგან ვისაც უნარი შესწევდა, `საქონელ წაყვებოდა, ვისაც არა ცხენით მიყავდათ". სხვა ცნობით, მთაში მემთეურის გადაყვანა წინათაც შეძლებაზე იყო დამოკიდებული - `ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით წევდოდა". ხიხაძირშიც ოჯახიდან `საქონელ მემთევრი წაყვებოდა". მთაში მემთეურის ფუნქციას ძროხის მოწველა და რძის პროდუქტების წარმოება შეადგენდა. ადრე მემთეურს მომხმარედ თან 10-15 წლის ბავშვი ახლდა, რომ–ელსაც ღორჯომის ხეობაში **მორბედი** ეწოდებოდა. მორბედის ფუნქციას სახმარი და სასმელი წყლის მოტანა, **ხბიები**'ს, **თიკნები**'ს, **კაკნები**'ს, **კოტოები**'ს შეხედვა, მოწველის დროს, **ძროხების მოგანუება** შეადგენდა. მორბედი ხშირად იმ ოჯახის შვილი იყო, ვისი პირუტყვიც მოსაწველ-შესახედად@-მენთევრს ჰყავდა აბარებული.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის ფერმებში პირუტყვის ჩამოსაწველად **მწველავი**, ხოლო რძის პროდუქტების მწარმოებლად **გადამმუშავებელი** კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე გამოიყოფოდა. მწველავის მიერ ჩამოწველილ რძეს (წონით) ფერმის ბრიგადირი გადამამუშავებელს აბარებდა. ეს უკანასკნელი რძის პროდუქტებს საწყობში აგზავნიდა.

მთაში რძის პროდუქტების გადასამუშავებლად და ოჯახის საჭიროებისათვის უმთავრესად **თექნა**, **ჯარა**, **კარდალი**, **ქვაბი**, **ხელგობი**, **კასრი**, **საწვერელა**, **საწურავი**, **კოლოფი**, **კეცი**, **ჯაჭვი**, **ასტამი**, **უსკურა**, **საინი**, **ქოთანი**, **ფახრაჯა**, **ციცხვი**, **ცული**, **თოხი**, **ყაზმა**, **ლოგინი** მიქონდათ. ფქვილი შეძლების მიხედვით მიჰქონდათ:@`ერთი გვარდაი" მაინც _ ერთი კვირის სარჩო. თან ჰქონდათ **მაწნის დედა** (მთხრობელი: ჯ. მარკოიძე, 90 წლის).

მთა აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, საკუთრივ კი _ ღორჯომის ხეობაში, საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვის გადაყვანა და საჭირო ინვენტარის გადატანა **თაზე გაბარგვა**'დ იწოდებოდა, ხოლო მთაში ყოფნის სეზონი **თობა**'ს (**თიობა**'ს) სახელწოდებით იყო ცნობილი.

ხეობის მცხოვრებნი მთაში პირუტყვს `ნაშვიდმაისევ გადენიდნენ", თუმცა ძველი გამოცდილებით ცნობილია, რომ `ექვს და შვიდ მაის ფურთუნაი გათოვება იცის". შვიდი მაისის გასვლის შემდეგ მთაშიც ათბება და `ბალახიც მუა". პირუტყვის მთაში გადაყვანაც მაშინ იწყებოდა, მიუხედავად ამისა ერთგან რატომღაც თ. სახოკია წერდა: აჭარელნი მთაში `სოფლიდან მაისის გასულს ამოდიან"-ო (**სახოკია**, 1956:119).

მთაში საქონლის გადაყვანის დროს სა–ჭირო **ბარგი** და ინვენტარი **ხელი**'თ და ცხენით გადაჰქონდათ. ბარგის გადასატანად ადრე მარხილიც გამოიყენებოდა. მთაში *აბარგვის* წინ, ერთი კვირით ადრე, იაილაზე ოჯახის რომელიმე მამაკაცი _@ხშირად **სახლის დიდი** თოვლისგან დაზიანებულ **თი სახლი**'ს მოსავლელად, მთის ბოსტნის, დამ–ტვრეული ღობეების (**ღობიები**) აღსადგენად, დაზიანებული გზებისა და იაილის რუს შესაკეთებლად მიემგზავრებოდა. ამ სამუშა–ოს, ხშირად, სოფელი კოლექტიურად ასრუ–ლებდა. ამავე დროს, **შორაი ეილები**'ს პატ–

რონთ, მთაში საქონლის გადაყვანიდან ერთი-ორი დღით ადრე, ცხენებით სურსათ-სანოვაგე, საჭირო ჭურჭლეულობა და ლოგინიც კი გადაჰქონდათ. ყველა ამ საქმეს სათავეში ოჯახის **სახლის დიდი** ედგა.

ეთნოგრაფიული მასალიდან ისიც ირკვევა, რომ ზოგი ოჯახის `საქონელი და ბარგი ერთად მიდიოდა", ხოლო ზოგის კი _ ჯერ საქონელი გადადიოდა, შემდეგ კი _ ბარგი მიქონდათ. მთაში გადასარეკ საქონელს `**კალ-ხჩო**'ს და *საძირს* შეაბამდნენ კისერზე, დურევდნენ ხბიებს", რადგანაც მთაში `ძროხები და ხბიები ერთმანეთთან დარეული" მიყავდათ. მთაში გადასულ პირუტყვს `ხბიებს დურჩევდნენ". მთაში ზოგს ხბოებისთვის **სახბოვე** ჰქონდა, ხოლო ზოგს - `ძროხი ძირში ყავდა მიბმული". აჭარის მთური მესაქონლეობის დამახასიათებელი ნიშანი ისიც იყო, რომ მეწველი პირუტყვი ღამეს როგორც ბარად, ასევე, მთაშიც `ახორში ათევდა". მთაში **უგვი** საქონლისა და უმთავრესად კი *ჩვრილფეხისათვის* _ თხა-ცხვარისათვის **ბერა** ჰქონდათ შემოღობილი. მათი ბოსელში დაბმის ხშირი შემთხვევებიც იყო. თხა-ცხვარსა და უგვ საქონელს, ზოგჯერ, `შემოღობილ ახორქვეშ ჩაყრიდნენ".

ხეობაში მიღებული ტრადიციით, ხელმოკლე - **მარტოხელი** ოჯახი პირუტყვს მეზობელსა თუ ნათესავს *მიაბარებდა* (*აბარებდა*). ამას **ამანეთი** ეწოდებოდა. ასეთ შემთხვევაში **მემთეური** გაწეული შრომის გასამრჯელოს არ იღებდა. იცოდნენ პირუტყვის **მოჭრით დაჭირვა**, რასაც *ქესუმს* ეძახდნენ. მოჭრითი დაჭირვის დროს პირუტყვის მეპატრონე მეწველ ძროხაზე იმას^ მიიღებდა, რაც მისი საქონლის *ქესუმით აბარების* დროს განისაზღვრებოდა.

მთა აჭარის ეთნოგრაფიულ მასალებში განსაკუთრებულ ყურადღებას მესაქონლეობის შრომის ორგანიზაციის ფორმები იქცევს[14]. ჩვენი მასალებით ღორჯომის ხეობის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გამოვ–ლინდა **მენახირე**'ს და **მეხარე**'ს ინსტიტუტი. ეს უკანასკნელი ახლაც მოქმედია. მეხარეს ამჟამად შრომადღე ერიცხება და მათი მოვალეობაა ხვნა-თესვის გასვლიდან მარხილობის დაწყებამდე კოლმეურნეობის ხარის მოწყესვა, მაგრამ მხოლოდ ხარების საბალახოდ განკუთვნილ ადგილებში. მეხარეობა ხანმოკლე: ხვნა-თესვის გასვლიდან მარხილობის დაწყებამდე პერიოდს მოიცავდა. ღორჯომთან შედარებით ხიხაძირში **ხარის ნახირი** სოფელში უფრო ადრე ჩამოყავდათ. ველზე ჩაწერილი მასალით, ხარის გადმოყვანა ამ სოფელში მაშინ ხდებოდა, როცა `ჭალობა დეიწყებოდა ბარში და ყიშლებზე".

მიღებული წესით ყველა თემისა თუ სოფლის@ხარები მთაში `ცალკე იძუებდა". წინათ ამა თუ იმ პიროვნების ხარების მწყემსად `დაჭირვა წინაÁ კაცების საქმე იყო". მეხარეს ჯოგის მთაში `ასლისთანავე იჭერდნენ". სხვადასხვა სოფელში მწყემსთა გასამრჯელო განსხვავებული იყო. გასამრჯელოს რაოდენობა ტრადიციით იყო განსაზღვრული. დიდაჭარაში სეზონის განმავლობაში უღელი ხარის მოწყესისათვის მწყემსს `ორ აბაზს", აგარის მცხოვრებნი - `ოყა იაღს" უხდიდნენ. მეხარეს მოსახლეობა საჭმლითაც უზრუნველყოფდა. მწყემსის `დამჭერი კომისია" საკვებს სოფელში `მოკრეფდა და გატანდა". მეხარესათვის საჭმელი მოსახლეობას იაილებიდან მორიგეობით ჩაქონდათ. ხიხაძირში უღელი ხარის მოწყესვა `ცხრა ოყა სიმინდი" ღირდა. შეთანხმებით საკვები მწყემსის თუ იქნებოდა, მაშინ გამწევი ძალის მეპატრონენი ერთი უღელი ხარის მოწყესვაში მეხარეს `ოყა ნახევარ იაღ მიცემდნენ". ინფორმატორების თქმით, სხვა სამუშაოსთან შედარებით ხარის მწყემსობა უფრო მძიმე და^ ძნელი იყო,^ რადგან ისინი კარვებში ცხოვრებდნენ და საქონელი `ეილაში არ მიყავდათ". ხარის მწყემსებს **მეხარე**'ში[15] _ გამწევი ძალის საბალახოებზე ღამის გასათევად მიწურები (**მიწური**) და ხის ქოხები (**ხი ქოხი**) ჰქონდათ. სალაეთიდან (**მეხარე**) გამწევი ძალა ზოგჯერ სახლში არ ბრუნდებოდა _ კორდზე წვებოდა. ღორჯომში და, საერთოდ, აჭარაში@**ხარის საწოლი**, ხშირად, *ხარი იათაღად* იწოდებოდა.

მეხარეობის ინსტიტუტში ექსპლოატაციის თავისებური ფორმა წარმოჩნდება. წინათ აგარა-საციხურში მოსახლეობას სულ სამას ხარამდე ჰყავდა. სოფელს მეხარედ

[14] ზემო აჭარის მსხვილფეხა მესაქონლეობის შრომის ორგანიზაციის ფორმების შესახებ იხ. **შამილაძე**, 1964:155-172.

[15] გამწევი ძალის საბალახოსთან ცნება **მეხარე**'ს შენაცვლების მიმანიშნებელია ისიც, რომ ღორჯომის ხეობაში ხბოების საძოვრები, ხშირად, **სახბოვრია**'დ იწოდება.

ყოველთვის ორი კაცი აყავდა. სოფლის მიერ **დაჭერილი** მწყემსები - `თვითონ მეხარიები მესამეს, დამხმარეს იჭერდნენ და ამ მეხარე მწყემს (**ხარის მომდენი**) სეზონში გაწეული შრომის გასამრჯელოდ მხოლოდ@20 ოყა იაღამდე აძლევდნენ. თუ თანასწორად განაწილდებოდა საზღაური, მაშინ ამ უკანასკნელსაც 50 ოყა ერბო უნდა მიეღო. ღორჯომის ხეობის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ფუნქციონალურ ხასიათს უფრო მენახირეს ინსტიტუტი ატარებდა. მენახირეს საქონლის მწყემსად `ეილაჯი ხალხი იჭერდა". მიღებული ტრადიციით, `თხაცხვარი, ხბიები და ჯამუშები ნახირში არ შედიოდა", თუმცა ზოგ იაილაში `წვრილფეხობაც ნახირს ახლდა". იყო იაილები, სადაც ცხვარს ცალკე მწყემსი - **მეცხვარე** პატრონობდა, ხოლო ზოგჯერ `ვისაც **მორბედი** ჰყავდა იმა მიაბარებდნენ". ღორჯომის უმრავლეს იაილაზე@`თხიები გადენილი იყვნენ". გარდა გამონაკლისისა, მთაში `ჯამუშებს მწყემსი არ ყავდათ"^ _ ისინიც `გადენილი იყვნენ", თუმცა ხიხაძირში განსხვავებული ფაქტებიც შეინიშნებოდა. ამ სოფელს კამეჩების მწყემსი ცალკე ჰყავდა. სოფლის იაილაზე `მენახირე საღამოს მეიყვანდა ჯამუშებს მოსაწველაი. დილასაც მოწველიდით და მემრე წეიყვანდა საბალახოთ". წინათაც კამეჩები საღამოთი `ტყეში იდენებოდა". პირუტყვი ღამით ტყეში `იძოვებდა და იქ დარჩებოდა კიდვენ" დილამდე. ჩამოწველის შემდეგ კამეჩებს მწყემსი კვლავ საბალახოზე გარეკავდა.

ღორჯომის ხეობის სინამდვილეში მოჯამაგირე _ **ხიზმეთქარი** მცირე საზღაურის სანუფქოთ ოჯახის სხვა სამუშაოებთან ერთად არამარტო ბარში, არამედ ფერდსა და მთაში მწყემსობასაც ითავსებდა. ღორჯომის ხეობის ზოგი სოფლის იაილებს მწყემსი არ სჭირდებოდა. მინთაძიებელი შ. ანთაძის თქმით, `თაზე საქონელს არ ვაძუებდით", მაგრამ `ხანდხან დეიკავებდნენ მენახირეს", **მეცხვარე**'ს კი _ ყოველთვის `იჭერდნენ". ამჟამად ზოგ იაილაზე, მაგალითად, ნათელათში, ყველა ოჯახს მისი მწყემსი ყავდა. ამდენად, სასურველია შრომის ორგანიზასიის ამ ფორმის განახლება, რაც მთაში მწყემსობაში ნაკლები მუშახელის დასაქმებას გამოიწვევს.

ხეობის ცალკეულ იაილაზე მწყემსთა რაოდენობა სხვადასხვა იყო. აგარის თემის იაილებს - კუნჭულეთსა და ქვაბიჯვარს წინათ ორ-ორი მენახირე ემსახურებოდა, კერძოდ, აგარის იაილა კუნჭულეთში ერთი ადამიანი 300 სულ მოწყესავდა, იაილა ნათელათი `სამ მენახირეს იჭერდა", დიდაჭარის 500-600 სულ საქონელს @ორი მენახირე ჰყავდა, სხალთის ხეობის სოფელ ხიხაძირის იაილზე 800-1200 სულ პირუტყვს ორი ადამიანი მყემსავდა. ზოგიერთ სოფელში ერთი სული პირუტყვის მოწყესვის ღირებულება და მწემსების რაოდენობის განსაზღვრა ტრადიციას ექვემდებარებოდა. ჩაწერილი მასალით, `ეს ასე იყო ძველების მიერ გადაწყვეტილი". ამ ტრადიციით იაილა ნათელათის `ხალხი ერთ სულზე ორ კვერცხ იაღ იხდიდა", კუნჭულეთში - `ერთი სულის მოწყესვა იყო სამი კვერცხი იაღი", დიდაჭარის მცხოვრებნი მყემსებს `ძროხაზე ორ შავრს", ხოლო მინთაძეებში ცხვრის მოწყესისათვის მწყემს `ერთ დედოზე ნახევარ კილო იაღ" უნაზღაურებდნენ, ხიხაძირში პიროვნებას `ერთ ძროხაზე" მოწყესვის `ქირაში 45 ოყა სიმინდ" ან `ნახევარ ოყა იაღ" აძლევდნენ. ხიხაძირელნი ერთი კამეჩის მოწყესვაში მწყემს `ოყა იაღ" თუ ერთ `კოდ სიმინდ" უხდიდნენ.

ტრადიციასა და შეთანხმებას ექვემდებარებოდა აგრეთვე მწყემსის ბინისა და გამოკვების საკითხიც. ზოგ იაილაში მენახირის გამოკვება@*სირით* იყო განსაზღვრული. დიდაჭარელი ინფორმატორების თქმითაც, `მწყემსის გამოკვება `ჩვენ ხარჯზე იყო". მინთაძეების იაილაზე ცხვრის `ძუებისას საჭმელი მწყემსის იყო". მიღებული ადათით მწყემსი თუ სხვა სოფლიდან იყო, მაშინ სადაც მას `ჭამის რიგი უწევდა იქ ათევდა ღამესაც".

მწყემსი ანგარიშვალდებული იყო, ერთის მხრივ, `ეილაჯი ხალხის",^ხოლო, მეორეს მხრივ, - `დამჭერი კომისიის" წინაშე. დამჭერი კომისია `შუა ეილობიხან აგრუვებდა" მწყემსებისათვის გადასახად გასამრჯელოს. შეგროვილ `იაღს ფარას თუ სიმინდ" მთიდან `გადმობარგვი ხანებში" კომისია @მენახირეს აბარებდა. თუ პრუტყვის დაკარგვის ან დაღუპვის შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, მაშინ მწყემსი მეპატრონეს `დაკარგული საქონლის მოწყესვი ქირას არ ართ-

მევდა". დაკარგულ `საქონელს ჯერ მენახირე მოძებნიდა". ხალხური ადათით უგზო-უკვალოდ დაკარგული პირუტყვის ღირებულება მწყემსს @უნდა გადაეხადა.

სეზონის განმავლობაში პირუტყვის საბალახოს მიმართულების შერჩევა დღეების მიხედვით მენახირის სურვილსა და ამინდზე ყოფილა დამოკიდებული. საღამოს მწყემსი მემთეურებს აფრთხილებდა დილით საქონელი საძოვრების რომელი მიმართულებით უნდა გაედენათ. მიღებული წესით მეორე დღეს `ყველა იმ მიმართულებით გუშვებდა საქონელს". დილით საქონელს საბალახოზე მენახირე კი არ გადენიდა, არამედ **მენთევრი** ან **მორბედი**. ხდებოდა პირუკუც. ზოგი იაილის საძოვრების თავისებურების გამო _ ტყე, სათიბების სიახლოვე _ საქონელს დილიდანვე `მწყემსი წეიყვანდა საძოვრათ" და `მთელი დღე თან ახლავდა". უფრო მეტად მწყემსი დღისით `გორაზე ადიოდა" და `ათვალყურებდა საქონელს", ხოლო საღამოს _ თვითონვე მორეკავდა ნახირს. თუ ვინმეს საქონელი დააკლდებოდა, მენახირე პირუტყვს აუცილებლად მოძებნიდა და მოიყვანდა

თიობის პერიოდში მნიშვნელოვანი ადგილი **შუამთობა**'ს ეკავა. ღორჯომის ხეობის სინამდვილეში მოსახლეობა `შუა მთობაზე - მენხლიანობაზე", `ასე 10-15 დღე რომ გავა ჩურუგაის" _ ძველი სტილის ივლისის^თვის, მაშინ მიდიოდა. ამ დროს ბარში `სამუშავრები მოთავდებოდა" და `ხალხი მთებში მიემგზავრებოდა დასასვენებლად". წინათ ღორჯომის ხეობის მცხოვრებნი ივლისის თვეში ჯერ `პურს მოთიბავდნენ, დაზვინავდნენ და მემრე წევდოდნენ თაზე". მთებში მთელი სოფელი ადიოდა. მაშინ `ბარი სახლებში მხოლოდ თითო მოხუცი რჩებოდა". ათი დღით თუ ორი კვირით მთაში ასული მოსახლეობა `ჰაერობდა, თიებს ათვარიელებდა,^ ისვენებდა და დროსაც ატარებდა". ისინი ცეკვავდნენ და მღეროდნენ.^წინათ შუამთობის დროს შეჯიბრებები: ჯირითი, დოღი, ჭიდაობა იმართებოდა, მცოდნენი შაირობდნენ და ზოგჯერ მოსულ ხალხურ მომღერალ-დამკვრელებსაც - *აშიღებს* ეჯიბრებოდნენ. იყო სხვა თემების, ხეობებისა და პროვინციების მოჭიდავეებზე ადგილობრივი ფალავნების შეხვედრაც. იაილაში მყოფი მოსახლეობა სიმღერა-ცეკვებსა და შაირობებში ღამეებს ათევდა. მენხლიანობას მეორე სახელწოდება - **ღამი თეობა** აქედან უნდა მიეღო. ხალხში `ღამი სათევ" წასვლა სახალისო და სასურველიც იყო. ამ ტრადიციის ბუნების დადგენის მიზნით ყურადსაღებია აგარის თემის იაილებზე არსებული ადგილების სახელწოდებანი _ **პაწაჲ სალოცავი** და **დიდი სალოცავი**, რომელთაც `მოჰაერენი" სტუმრობდნენ და ათვლიერებდნენ. საფიქსირებელია, წინამუსლიმანურ პერიოდში სალოცავები `თიებაზეც იყო", რაც ტოპონიმებად შემოგვრჩა და რომელთაც ივლისის ბოლო დეკადასა თუ აგვისტოს პირველ რიცხვებში მოსახლეობა მოინახულებდა. იქნებ აქ რომელიმე უქმესაც დღესასწაულობდნენ. ჩვენ ვარაუდს შედარებითი წყაროები უფრო მყარს ხდის. სამეგრელოში პირველი აგვისტოდან უწმინდესი ქალწული მარიამის მარხვას ინახავდნენ. ღამით ნავახშმევს გარეთ გამოდიოდნენ როგორც კაცები, ისე ქალები და შუაღამემდე მღეროდნენ. მცხოვრებნი სოფელში ოჯახის თვალყურმაგდებლად მოხუცებს სტოვებდნენ. გამხიარულებულნი ერთად ცეკვავდნენ. თვით დღესასწაულისათვის ჰკლავდნენ საკლავებს და ნაირ-ნაირი საჭმელებითაც ხვდებოდნენ (**ჯუდიჩი მილანელი**, 1964:96).

ღორჯომის ხეობის იაილებზე ასული მოჰაერენი ბარში 10-15 დღის გასვლის შემდეგ ბრუნდებოდნენ. სოფელში მიმავალნი მთის სათიბებში ჩამოივლიდნენ და ერთი სახეობის მხალს, ე. წ. **დვარულა**'ს კრეფდნენ. ეს მცენარე გარდა საკვებისა, სამკურნალოდაც გამოიყენებოდა. საერთოდ, საფიქრებელია, რომ ხეობის მოსახლეობა წარსულში ივლისის ბოლო რიცხვებიდან და აგვისტოს დამდეგიდან მთებში ველური მხალის (//**ფხალი**'ს) საკრეფად არამარტო საზამთრო მარაგის დაგროვების მიზნით, საჰაეროდ და დასასვენებლად, არამედ რელიგიური მოსაზრებებითაც ადიოდა. სწორედ აქედან უნდა მიეღო ამ დღესასწაულს კიდევ ერთი სახელწოდება @_ მენხლიანი (//**მენხლიანობა**).

ღორჯომის ხეობის *თიებზე* საქონელი თითქმის ოთხ თვეს რჩებოდა. აქ პირუტყვის საიალაღო სეზონი `ენკენითვი შვიდში" მთავრდებოდა. ერთი ინფორმატორის თქმით, `ბარიდან თაზე" საქონლის გადაყვანის პერიოდი `შვიდ მაისიდან იწყებადა",

ხოლო `ენკენითვი შვიდ რიცხვში" პირუტყვის მთის საძოვრებზე ყოფნის დრო მთავრდებოდა. ჩაწერილი მასალით, `იმ თვეს შვიდში, თორმეტსა და თხუთმეტში ფურტუნებია აქ". ამ დროს მთაში უკვე ციოდა, თოვლიც მოსალოდნელი იყო. მთაში საქონელიც აღარ ჩერდებოდა და `ბარში მორბოდა", რადგანაც საძოვრებზე უკვე ბალახიც მოლეული" იყო. თ. სახოკიას დაკვირვებით, გაზაფხულის მიწურულს იაილებზე ასული ღორჯომელები მთაში სექტემბრის გასვლამდე რჩებოდნენ (**სახოკია**, 1956:119).

ზაფხულის საიალაღო სეზონის - **თიობა**'ს (//**თობა**'ს) გასვლის შემდეგ მოსახლეობის ნაწილი ბარში, ხოლო ვისაც ყიშლა ჰქონდა ფერდაზე გადადიოდა. მთიდან ბარში **გადმობარგვა** (//**ჩამობარგვა**) დაცდილ დღეს ხდებოდა. თ. სახოკიას ცნობით, ღორჯომის ხეობის მცხოვრებნი მთიდან ჩამოსვლის შემდეგ თავიანთი პირუტყვით, `ერთ თვესაც ყიშლებში ატარებენ" (**სახოკია**, 1956:119). ადგილობრივი მკვიდრნი მიუთითებენ, რომ `ყიშლას მეტი გამოყენება შემოდგომაზე" ჰქონდა. ფერდაზე საქონელი დაზამთრებამდე ძოვდა. თ. სახოკიას ცნობითვე, ღორჯომის მცხოვრებნი@ერთ თვეს ან თვენახევარს ყიშლებზე, რომ დაჰყოფენ, მერე საზამთროდ სოფელში დაეშვებიან (**სახოკია**, 1956:119). მოსახლეობა ფერდადან ბარში საქონლის გადაყვანის დროს კონკრეტულად ასახელებს. ერთი ინფორმატორის თქმით, საქონელი ყიშლიდან `ღვინობის თვეში, თვი ბოლოს მოგვყავდა". მაშინ ყიშლებზე გათოვლდებოდა. ამის შემდეგ თოვლი ბარშიც მალე იწყებოდა ბუნება იხურავდა ზამთრის საბანს, ხოლო პირუტყვს ექვს თუ შვიდ თვიანი ბაგური კვება ეწყებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

ორბელიანი, 1949 - სულხან საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949.

რობაქიძე, 1960 - ალ. როქბაქიძე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში.- ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის `შრომები", I, ბათუმი, 1960.

სახოკია, 1956 - თ. სახოკია. მოგზაურობანი (გურია, აწარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), თბილისი, 1956.

ჩიტაია, 1937 - გ. ჩიტაია. იმერეთის ექსპედიცია (ბაღდადის რაიონი). -`ენიმკის მოამბე", II, თბილისი, 1937.

ჩიტაია, 1937 - გ. ჩიტაია. ხევსურული სახლის *სენე*. -`ანალები", I, თბილისი, 1947.

ჩიტაია, 1937 - გ. ჩიტაია. დასახლების ტიპი მთიულეთში.-`მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვია", VI, 1963.

ჯუდიჩი მილანელი, 1964 - დონ ჯუზეპე ჯუდიჩი მილანელი. წერილები საქართველოზე, თბილისი, 1964.

შამილაძე, 1960 - ვ. შამილაძე. მსხვილფეხა მესაქონლეობა ზემო აჭარაში. -`საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები", თბ., 1960.

შამილაძე, 1964 - ვ. შამილაძე. მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები აჭარაში. -ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინტიტუტის `შრომები", III, თბილისი, 1964.

აჭარის მუზეუმის ღონისძიებათა დაიჯესტი 2012 წელი

7 თებერვალი – ჩატარდა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი სტუდენტთა და მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენცია (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

8 თებერვალი – ქ. ბათუმის #16 საჯარო სკოლის XII კლასების მოსწავლეებს მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგემ ასმათ ბაჯელიძემ ჩაუტარა დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ვიქტორინა.

8 თებერვალი – შპს "მახინჯაურის ლიცეუმის" XI-XII კლასების მოსწავლეებს მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა მაყვალა გოგუამ ჩაუტარა სემინარი თემაზე "დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღე".

23 თებერვალი – შპს მახინჯაურის ლიცეუმის XII კლასების მოსწავლეებს ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა მაყვალა გოგუამ ჩაუტარა გაკვეთილი დისკზე "25 თებერვალი საქართველოს ოკუპაციის დღეა".

25 თებერვალი – ქ. ბათუმის #16 საჯარო სკოლის IX კლასების მოსწავლეებს მუზეუმის ისტორიის განყოფილების გამგემ ასმათ ბაჯელიძემ ჩაუტარა ლექცია თემაზე: "25 თებერვალი საქართველოს ოკუპაციის დღეა".

2 მარტი – ქ. ბათუმის #4 საჯარო სკოლის XI_XII კლასების მოსწავლეებს პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ჩაუტარა ლექცია "ქართული ეკლესია X-XV საუკუნეებში.

8 თებერვალი – ქ. ბათუმის #13 საჯარო სკოლაში IX^ა კლასის მოსწავლეებს მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ალექსანდრე ჩხაიძემ ჩაუტარა ლექცია თემაზე "სახალხო განმანთავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში ოსმალთა წინააღმდეგ XIX საუკუნეში".

15 თებერვალი – ქ. ბათუმის №13 საჯარო სკოლაში IX^ბ კლასის მოსწავლეებს მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ალექსანდრე ჩხაიძემ ჩაუტარა ლექცია თემაზე: "სახალხო განმანთავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში ოსმალთა წინააღმდეგ XIX საუკუნეში".

2 მარტი – მუზეუმის თანამშრომლებს შეხვდა აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე.

6 მარტი – აჭარის ქალთა დარბაზთან ერთად ჩატარდა შეხვედრა ღვაწლმოსილ, დამსახურებულ ქალბატონებთან ფატმან კობალაძესთან, ნინო საკანდელიძესთან, ნაზი ხალვაშთან, ნუნუ ჩაუშბასთან, ინგა ებუ–ტიასთან.

7 მარტი / 18 აპრილი _ მოეწყო აჭარის დამსახურებული მხატვრის გრაჩ სეჩენიანის საიუბილეო პერსონალური გამოფენა. გაიმართა გულო ფუტკარაძის წიგნის "დაბადე–ბიდან გარდაცვალებამდე" მიძღვნილი გრაჩ სეჩენიანისადმი" პრეზენტაცია.

9 მარტი – ჩატარდა მუზეუმისა და ბათუმის №10 საჯარო სკოლის ერთობლივი მუსიკალური-ლეტერატურული საღამო მიძღვნილი დედის დღასადმი. (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

16 მარტი – ჩატარდა 1921 წლის 18-20 მარტს ბათუმისათვის ბრძოლებში დაღუ–პულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტ-მოსწავლეთა კონფერენცია (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

11 მარტი – ქ. ბათუმის #13 საჯარო სკო–ლაში VIII^ა კლასში მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ალექსანდრე ჩხაიძემ ჩააატარა ლექ–ცია თემაზე: "სახალხო განმანთავისუფლე–ბელი მოძრაობა აჭარაში ოსმალთა წინააღ-მდეგ XIX საუკუნეში."

6 აპრილი – მუზეუმის ბუნების გან–ყოფილებაში ბუნების განყოფილების გამგემ ლამარა გულორდავამ ქ. ბათუმის მე-10 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეებს ჩაუტარა თემატური გაკვეთილი თემაზე "აჭარის ენდემები და რელიქტები".

12 აპრილი – ქ. ბათუმის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ისტორიულ-შემეცნებით კლუბ "ფესვებთან" ერთად ჩატარდა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება "საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ". (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი).

20 აპრილი / 1 მაისი – მოეწყო მუზეუმის ფონდსაცავში დაცული ნატურმორტების გამოფენა გაზაფხულის თემაზე.

3-15 მაისი – ჩატარდა აჭარის ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, დიალექტის, სახალხო ცნობილი მკვლევარის, აჭარის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის დოცენტ ჯემალ ნოღაიდელის დაბადებიდან 105 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. აქვე გაიხსნა გამოფენა "ფონდში დაცული ქარგულობა". ღონისძიება

მოაწყო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებამ.

4-6 მაისი – მუზეუმი მონაწილეობდა ბათუმის ყინულის სასახლეში მოწყობილ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში ექსპო ბათუმი_2012წ.

18 მაისი – აჭარის მუზეუმების წარმომადგენლებს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა, აჭარის არ. მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე, აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე (აჭარის ხელოვნების მუზეუმი).

18 მაისი – მოეწყო მუზეუმში დაცული აფიშებისა და პლაკატების გამოფენა, მიძღვნილი მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი.

25 მაისი – ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია. (ილია ჭავჭავაძის მუზეუმი)

29 მაისი – მუზეუმი მონაწილეობდა ტურიზმის კვირეულის ფარგლებში მოწყობილ ღონისძიებაში "მუზეუმები ღია ცის ქვეშ" (ბათუმის ვარდების ბაღი)

1 ივნისი – ჩატარდა ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდა მუზეუმის თანამშრომელთა მომავალი თაობა.

5 ივნისი – გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მუზეუმის ბუნების განყოფილებამ მოაწყო გამოფენა "აჭარის ველური ბუნება".

6-7 ივნისი – ჩატარდა მუზეუმის ექსკურსიამძღოლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორების მიერ ჩატარებული ექსკურსიების მოსმენა.

12 ივნისი – პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებთან ჩაატარა ღია ლექცია თემაზე: "რუსეთ-თურქეთის 1877-1878წწ. Oომი და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება".

19 ივნისი – საზოგადოება "ჭვანელის" კავშირთან ერთად ჩატარდა შეხვედრა ცნობილ მოღვაწესთან, ჩვენს თანამემამულესთან, განათლებისა და კულტურის ქართულ-თურქული ფონდის დამფუძნებელთან გურამ ხიმშიაშვილთან და მის მეუღლესთან ფატი ხიმშიაშვილთან.

20 ივნისი – მოეწყო მუზეუმში დაცული თიხის ნაკეთობათა გამოფენა.

20 ივნისი – მოეწყო გამოფენა "ჯართში ნაპოვნი ისტორია", გამოფენილი იყო ბიძინა აფხაზავასა და კაკო ძნელაძის პირად კოლექციაში დაცული ეთნოგრაფიული და ანტიკვარული ნივთები (ხელოვნების მუზეუმი).

18 ივლისი/10 აგვისტო – მოეწყო სახალხო მხატვრის შოთა ხოლუაშვილის ნამუშევრების გამოფენა.

15 აგვისტო – გაიხსნა ქალაქ თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა.

7 სექტემბერი – მოეწყო რამაზ ბლუაშვილის ფოტოგამოფენა "ჩინეთი საქართველოს თვალით", რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავს.

2-24 სექტემბერი – მოეწყო ნარგიზ ფუტკარაძის პერსონალური გამოფენა.

25 სექტემბერი/ოქტომბერი – მოეწყო მუზეუმში დაცული ხის ნაკეთობების გამოფენა.

5 ოქტომბერი – ამერიკელმა მეცნიერმა, ანთროპოლოგმა და ეთნო–ფოლკლორისტმა პიტერ გოლდმა მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპოზიციაში ჩაიწერა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტთან არსებული გოგონათა ანსამბლი "აიდიოსი".

5 ოქტომბერი – მოეწყო გულნარა სვანიძის ნაქსოვი თოჯინების გამოფენა.

12 ოქტომბერი - მუზეუმის ექსპოზიციაში პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ტურიზმის სპეციალობის I კურსის სტუდენტებს ჩაუტარა ღია ლექცია თემაზე: "ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში და ვახტანგ გორგასალი".

15 ოქტომბერი – მუზეუმის ექსპოზიციაში პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტებს ჩაუტარა ღია ლექცია თემაზე: "ქართული საბრძოლო ხელოვნების ისტორია".

ჯემალ ნოღაიდელის დაბადებიდან
105 წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია

მხატვარ გრაჩ სეჩენიანის
პერსონალურ გამოფენაზე

გამოფენაზე "ექსპო ბათუმი 2012"

მუზეუმების საერთაშორისო დღე

მუზეუმების საერთაშორისო დღე

გამოფენა-მუზეუმი ღია ცის ქვეშ.

გამოფენა "აჭარის ველური ბუნება"

სტუდენტთა სამეცნიერო
კონფერენცია ილია ჭავჭავაძის მუზეუმში

შეხვედრა ღვაწლმოსილ ქალბატონებთან

ბავშვთა დაცვის დღე მუზეუმში

შეხვედრა პუბლიცისტ გურამ ხიმშიაშვილთან

მუზეუმში დაცული თიხის
ნაკეთობების გამოფენა

პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი ატარებს ლექციას თემაზე: რუსეთ–თურქეთის 1877-1878 წწ. ომი და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება

გამოფენა– ჯართში ნაპოვნი ისტორია

ნარგიზ ფუტკარაძის
პერსონალური გამოფენა მუზეუმში

მუზეუმში დაცული
ხის ნაკეთობების გამოფენა

გამოფენა– ჯართში ნაპოვნი ისტორია

შოთა ხოლუაშვილის ნამუშევრების გამოფენა

ფოტოგამოფენა –
ჩინეთი საქართველოს თვალით

გულნარა სვანიძის ნაქსოვი
თოჯინების გამოფენაზე

ოთარ გოგოლიშვილის ღია ლექცია
ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებთან

თეიმურაზ კომახიძის გახსენება



გარდაიცვალა გამოჩენილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე თეიმურაზ კომახიძე. თეიმურაზ კომახიძე დაიბადა 1937 წლის 10 მარტს ბათუმში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც 1960 წელს დაამთავრა.

მას შემდეგ თეიმურაზ კომახიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე – იყო საქართველოს განათლების სამინისტროს ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორი, ბათუმის პრეფექტის პირველი მოადგილე, ბათუმის მერი, აჭარის კულტურის მინისტრი. მისთვის ჩვეული შემართებით იღწვოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გამოქვეყნებული აქვს 59 წიგნი, სადაც განხილულია აჭარის წარსული, დღევანდელობა, მისი კულტურა და ხელოვნება.

თეიმურაზ კომახიძის ძალისხმევით მნიშვნელოვანი კულტურის კერები გაიხსნა აჭარის სხვადასხვა კუთხეში. იგი იყო ინიციატორი არაერთი ისტორიული ძეგლისა და ეკლესიის აღდგენისა.

თეიმურაზ კომახიძე გახლდათ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო, აბუსერისძე ტბელის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ბერძენიშვილის და ფრიტიოფ ნანსენის სახელობის პრემიები, აჭარის კულტურის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. ტარებდა ბათუმის, ხულოსა და ხელვაჩაურის საპატიო მოქალაქის წოდებას.

თეიმურაზ კომახიძეს დიდხანს ემახსოვრება ყველას, ვინც მას იცნობდა.